F 1193 № 10196

# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 13 (258) ◆ 27 მარტი – 2 აპრილი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.



### CIA-ს შეფის ვიზიტი საქართველოში... დაიწყო

რა არის ეს – რუსეთისადმი დემარში, თუ საქართველოსთვის ბოლო შანსი? ეს არის ღია პოლიტიკური თამაში, გათვლილი რუსეთზე...

– ბრიტანეთის გაზეთებს მსხვილი შრიფტით გამოჰქონდათ სათაურები: – პუტინის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ შევლენ რუსები საქართველოსა და აზერბაიჯანში?.. საქართველოს წინააღმდეგ პუტინს ნამდვილად აქვს ექსპანსიონისტური გეგმები...

– ღირს კი საქართველოსთვის მხარდაჭერა? ეს არის საკითხთა საკითხი... შეიძლება ამისათვის ჩამოვიდა ტენეტი...

გვ. 3

### აფხაზ ტყვეებს კარგად ვექცეოდი



– ვიცოდი, როგორც მოვექცეოდი აფხაზ ტყვეს, ისევე მოექცეოდნენ ქართველ ტყვეს...

– ქართულ-აფხაზურ ალიანსში მაღალჩინოსნებიც კი მონაწილეობენ...

– ჩვენ კორუფციაზე კი არ ვწუხვართ, იმაზე ვწუხვართ, რომ ამ კორუფციაში თავად ვერ ვმონაწილეობთ.

გვ. 6

*პაატა ზაქარეიშვილი*

### „რუსთავი-2“-მა მილიონი უნდა გადამიხადოს



– გადაცემა იყო ტენდენციური, ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი... შეილახა ირაკლი ტუღუშის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია... ზიანი მიადგა პროფკავშირების თითოეულ წევრს...

*რატომ უჩივის ტუღუში „60 წუთს“*

გვ. 5

### გულშემატკივრები უკვე თვალში ბეწვს უთვლიდნენ ამჟამინდელ პრეზიდენტს



...უცებ, დასავლეთი ტრიბუნის პირველი იარუსის მესამე და მეოთხე სექტორებს შორის სპორტული ნაბიჯით გვერდზე ჩამირბინა მაშინდელი ცკ-ის პირველმა მდივანმა. ტრიბუნებს გაოცების ჩურჩულმა გადაუარა – „შევარდნაძე... შევარდნაძე...“ ანცი ბიჭივით ერთი ხელის დაკვრით გადაევლო სარბენ ბილიკებს და ტრიბუნებს შორის ზღუდეს და პირდაპირ თავაშვებული ხალხისკენ გასწია.

გვ. 7

### დედებისგან შვილების განირვის ფაქტებს ხომ არ შევეგუეთ...

–დილით, სამგორის რაიონის ერთ-ერთი სანაგვეზე პოლიეთილენის პარკში გახვეული ახალშობილი ბიჭუნას გვამი იპოვეს...

გვ. 6

### ვინ არის პრეზიდენტის ყველაზე ერთგული

გვ. 27

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

### ტანზე შემომწვარი მაისურიანად რედაქციაში გვეწვია...



– კვირიკედან ვარ... ქმარიც აჭარელია... ორი შვილი მყავს. როცა მათი მოფერება მომინდება, მეშინია, არაფერი ვავნო-მეთქი.

გვ. 23

### სამხედრო თემაზე:

...არ არის გამორიცხული, სამხედროებს ერთ მშვენიერ დღეს გამოუცხადონ – ხვალიდან დათხოვნილი ხართ...

...სანქტ-პეტერბურგში „მოღვაწე“ დაუნდობელი კრიმინალურ – აფხაზური ბანდა რუსეთის სამართალდამცავებმა მხოლოდ ახლახან გააუვნებელყვეს.

გვ. 9



კოსოვოში სერბების ჯავშანტექნიკაზე ნადირობა A-10A „ტანდერბოლტ II“-ებით დაიწყო...

### ყოფილი ეკლესიის საკურთხეველში ოჯახი ცხოვრობს

– აქ მაცხოვრებელი ბევრი ახალგაზრდა დაიღუპა... მეც გადმოსვლის წელსვე დამბლა დამემართა და აუტანელ ტკივილებს ვუძლებ... თითქმის არ არის ოჯახი, გარდაცვლილი ახალგაზრდა არ ჰყავდეს... შეშინებული ვარ... 9 წლის ბიჭი ბავშვთა სახლს მივაბარე.

გვ. 5

### შეიარაღებული ბანდების გამოჩენა მაშინ სენსაციად ითვლებოდა

ეპიზოდი

მკვლელობა სამივემ გიგაურს დააბრალა... ნამდვილმა მკვლელმა 15 წელი მაგადანის ერთ-ერთ კოლონიაში, რომ იტყვიან, ზარიდან ზარამდე უშეღავათოდ გაატარა... დადგა განთავისუფლების დღე. საბუთები გაუფორმეს... ტუსაღყოფილი კოლონიის მეგობრებს დიდხანს ემშვიდობებოდა... შემდეგ შემობრუნდა და კარებს მიაშურა... ორიოდ სამი ნაბიჯიღა აკლდა, რომ გარეთ გამოსულიყო და უცებ, ყველას თვალწინ გულის შეტევით ადგილზე გათავდა...

გვ. 10

### „ჩელე... პელე...“



*რევაზ ჩელებაძის მოგონებები*

– ჩვენი ახალგაზრდა თანაგუნდელის მამა მოვიდა საწვრთნელ ბაზაზე, ჯიბეში დიდი დანა ედო, ახალკაცს დედა უნდა ვუტირო – ბავშვს „სასტავში“ არ აყენებსო... შევიდა ახალკაცთან და ცოტა ხანში ღრიალით გამოვარდა: „სად არის ჩემი შვილი, უნდა მოვკლა, მაგის...“

გვ. 22

### ბატონ პუტინს დღეს ჰგონია



...რომ მას ყველაფრის ნება აქვს – 16 ქვეყნის 200-მდე უცნობილესი პიროვნება ხელს აწერს ჩეჩნეთის ომის საშინელებათა წინააღმდეგ საპროტესტო მოწოდებას... და ითხოვენ საკუთარი პრეზიდენტებისგან ზეწოლას რუსეთის ხვალინდელ პრეზიდენტზე.

გვ. 18


ფირმა „ბერმუხა“ შპს



ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


### საკვირაო



ტელე-კინოგიდი

27 მარტი

2 აპრილი

გვ. 14-15

Неделя

КОММАНДОС

Частная жизнь

Телохранитель

За рубежом

Московские новости

Newsweek

Focus

Общая газета

Der Spiegel

Комсомольская правда

stern

Сегодня

Клюква

Известия

Труд

Совершенно секретно

Аргументы и факты

Иностранец

Le Figaro magazine

Match

ТВ Парк

Лица

Огонёк

daily

Le nouvel Observateur

Итоги

30 მარტს – „კვირის პალიტრის“ ახალი ჟურნალი – „გზა“

## კანონიერი აუტოდაფე

პრეზიდენტობის კანდიდატების წინაშე ვალმოხდილმა ცსკ-ის წარმომადგენლებმა პრეზიდენტობის კანდიდატთა მხარდამჭერთა სიები ერთ დიდ გროვად დაყარეს და ცეცხლი შეუნთეს, გათბნენ კიდეც და კანონის აღსრულებით კმაყოფილებმა მიაშურეს თავთავიანთ სამუშაო ადგილებს... დაწვას გადაურჩა ასანიძის მხარდამჭერთა სიები, რადგან მისი საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის! საერთოდ, ასეთი კოცონების დანთება კანონითაა გათვალისწინებული, რადგან ოდესმე ამა თუ იმ პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერი მოქალაქე, რომლის ხელმოწერაცაა სიებში, არ დაისაჯოს(!) ვინმეს მიერ და არ მოექცეს რეპრესიების ქვეშ! ანუ ეს აუტოდაფე საქართველოს მოქალაქეთა ინტერესებს და უფლებებს ემსახურებაო, აღნიშნავენ ცსკ-ის წევრები.

## შსს-ს თავისი ვერსია აქვს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური საგამოძიებო ჯგუფის ინფორმაციით, ავტოკატასტროფა, რომელშიც პატიაშვილი მოჰყვა (საბედნიეროდ, გამვლელი ქალი და მგზავრები გადარჩნენ), არ იყო გამოწვეული სპეციალურად დაჭრილი საბურავებით, რადგან პატიაშვილის ავტომანქანას ჰქონდა ე.წ. უკამერო საბურავები, რომლებიც გაჭრისთანავე იჩუტება და რომ საბურავები დასკდა ბეტონის კედელსა და აზბესტის მილთან შეჯახებისასო... ასე რომ, გამომძიებელთა განცხადებით, გამორიცხულია დაზიანებული საბურავები მოძრაობისას დამსკდარიყო... ეს არგუმენტები კი სასაცილოდ არ ჰყოფნით პატიაშვილის მომხრეებს...

## გაირკვა სატარიფო ციფრები

ალიევის ვიზიტისას „გასკდა" თვეების მანძილზე გასაიდუმლოებული ტარიფების ციფრები. გაირკვა შემდეგი: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამუშავებიდან საქართველო მიიღებს არანაკლებ 2 მლრდ 100 მლნ დოლარს! არადა საქართველოსთვის, რომლის ტერიტორიაზეც ამ ნავთობსადენის ერთი მეშვიდედი გაივლის, არ იყო გათვალისწინებული ამ რაოდენობის თანხა. გარანტირებული შემოსავალი წელიწადში 52 მლნ 500 ათასი დოლარი იქნება, რაც გია ჭანტურიას თქმით, არსებული ბიუჯეტის 10%-ს შეადგენს!

ტარიფების ციფრები კი ასე განაწილდა: 2004-2008 წლებში საქართველო ერთ ბარელ ნავთობზე 12 ცენტს მიიღებს; 2008-2018 წლებში ერთ ბარელზე მივიღებთ 14 ცენტს; 2018-2043 წლებში კი თითო ბარელიდან 17 ცენტი დარჩება ქვეყანას!

## დიპლომატებს შეამცირებენ

უცხოეთის ქვეყნებში აკრედიტებული ქართველი დიპლომატების შტატებს შეამცირებენ. საგარეო საქმეთა სამინისტროს ასევე შეკრეჭილი ბიუჯეტი ველარ აუდის ქართველ დესპანთა შენახვას. უახლოეს მომავალში ჩვენი საელჩოებიდან 50-მდე თანამშრომლის გამოწვევას აპირებენ!

## მოსკოველი ქართველები მხარს უჭერენ პუტინს

უცნაური ინფორმაცია მოვიდა მოსკოვიდან, რომლის მიზანიც ალბათ მომავალში გაიშიფრება. საქმე ის არის, რომ რუსეთის საპარლამენტო არჩევნებამდე ათი დღით ადრე მოსკოვში და საერთოდ, რუსეთში არსებული ქართული სათვისტომოები და ორგანიზაციები გამოვიდნენ ინიციატივით — მხარი დაუჭირონ ერთადერთ პიროვნებას... ვლადიმირ პუტინს! მოსკოვში გამართულ საგანგებო თავყრილობაზე — მოსკოვის ქართულმა სათვისტომომ, ორგანიზაციამ „ქართველები რუსეთში", საერთაშორისო ასოციაციის „ქართველი ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" მოსკოვის განყოფილებამ, კლუბმა „მოსკოვი-ჯორჯიამ", ორგანიზაცია „ქართველი ახალგაზრდების მოსკოვის კავშირმა", რუსულ-ქართულმა საზოგადოებამ „ძალისა" და მოსკოვის საზოგადოებამ „აჭარა" მიიღეს ერთობლივი მიმართვა თავიანთი წევრებისა და რუსეთის მოქალაქე ყველა ქართველი ამომრჩევლისადმი, რომ ხმა მისცენ პუტინს! მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია: „ვლადიმირ პუტინი ღირსეული კანდიდატი და ღირსეული შვილია თავისი ერისა.. ახალგაზრდა, ენერგიული, არაჩვეულებრივი მეოჯახე და, რაც მთავარია, უსაზღვროდ შეყვარებული რუსეთზე..." ამ ორგანიზაციების აზრით, პუტინის გაპრეზიდენტება ხელს შეუწყობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გაუმჯობესებას! რუსეთში მცხოვრებმა ქართველთა საინიციატივო ჯგუფმა პირადი წერილითაც მიმართა პუტინს და მხარდაჭერა აღუთქვა არჩევნებში.

ეს, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ანალოგიური მხარდამჭერი წერილებით მიმართეს პუტინს არძინბამ და ჩიბიროვმაც, მოსკოველმა აფხაზებმა და ოსებმაც, სადაც „იმედს გამოთქვამენ, რომ პრეზიდენტი პუტინი ხელს შეუწყობს აფხაზი და ოსი ხალხების „მრავალსაუკუნოვან ბრძოლას" თვითგამორკვევისა და თავისუფლებისათვის..." ასე რომ, პუტინს „არჩევანის" საშუალება ნამდვილად ექნება, რომელ ბარათს უფრო გაუწიოს ანგარიში, თუ საერთოდ შეიძლება ლაპარაკი რაიმე ანგარიშგაწევაზე, როცა საქმე რუსეთისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ რეგიონს — კავკასიას ეხება!

## პრეზიდენტს თვითმფრინავი წაართვეს

საქართველოს პრეზიდენტს თვითმფრინავი ილ-62 წაართვეს, ის თვითმფრინავი, რომლითაც აგერ უკვე მერამდენე წელია, შევარდნაძე ოფიციალური ვიზიტებით დაფრინავდა მსოფლიოში და რომელსაც ფიუზელაჟზე ამაყად ეწერა „გეორგია"... საქმე ის არის, რომ აღნიშნული თვითმფრინავი უზბეკეთიდან ჰყავდათ ჩამოყვანილი ე. წ. ლიზინგით, რომელიც გრძელვადიან საიჯარო ფორმას წარმოადგენს. საიჯარო ღირებულებასთან ერთად საქართველო თანდათანობით იხდიდა და ფარავდა ილ-62-ის ღირებულებასაც. მაგრამ ბოლო დროს ქართული მხარის დავალიანებამ უზბეკეთის სახელმწიფო ავიაკომპანიისადმი 250.000 დოლარს მიაღწია. მართალია, „აირზენას" წარმომადგენლები ამბობენ, თვითმფრინავი ტაშკენტში იმიტომ წაიყვანეს, რომ იქ რემონტს უტარებენო, მაგრამ უზბეკები კატეგორიულად აცხადებენ: სანამ ვალს არ გადაგვიხდით, თვითმფრინავს ვერ მიიღებთო... ასე რომ, ქვეყანას დღეს უთვითმფრინავო პრეზიდენტი ჰყავს(!).

## რადუევმა ბოჭორიშვილიც დაასახელა...

მოსკოვის ლეფორტოვოს ციხეში მყოფი სალმან რადუევი „ჩვენებას ჩვენებაზე" იძლევა და ამჯერად აცხადებს, რომ შევარდნაძის წინააღმდეგ 1998 წლის 9 თებერვალს განხორციელებული ტერაქტი დაიგეგმა 1996 წელს გროზნოში გამართულ ე.წ. ჩრდილო კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ყრილობაზე, რომელსაც მანანა არჩვაძის გარდა ესწრებოდნენ ჯემალ გამახარია და... ვახტანგ ბოჭორიშვილი! ამჟამად საქართველოს გენპროკურატურის წარმომადგენლები მოსკოვში იმყოფებიან და ცდილობენ რადუევის დაკითხვას... ვახტანგ ბოჭორიშვილი კი რადუევის განცხადებას ბოდვას უწოდებს! ახლა საინტერესო ის არის, რომ თუ რადუევი ქართველ პროკურორებს დაუდასტურებს თავის მონაწილეობას 9 თებერვლის ტერაქტის ორგანიზებაში, მაშინ საქართველოს გენპროკურატურა მის წინააღმდეგ აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს და ჩაატარებს დამატებით გამოძიებას. არ არის გამორიცხული, რომ რადუევის ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში, ქართულმა მხარემ მოსთხოვოს მოსკოვს რადუევის გადმოცემა! მაგრამ გადმოგვცემენ კი რუსი „მეგობრები" №1 ტერორისტს, რომლის კავშირზე რუსეთის სპეცსამსახურებთან თავად რუსული მასმედიაც ლაპარაკობს დიდი ხანია...

## ლეგალური ბენზინი გაიაფდება?!

შემოსავლების მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი საკანონმდებლო ინიციატივით გამოვიდა და კატეგორიულად მოითხოვა ბენზინის დაბეგვრის რეჟიმის შეცვლა. მისი მტკიცებით, ეს კონტრაბანდას შეამცირებს და საწვავზე ფასებს დააგდებს, მაგრამ მთავრობის ზოგიერთი წევრი მაჭავარიანის ინიციატივამ გააღიზიანა და, შესაბამისად, წინ აღუდგნენ ახალგაზრდა მინისტრის „საბენზინო ვნებებს"... მოკლედ, ასეა თუ ისე, მაჭავარიანი ითხოვს ცვლილებებს და პირველი ცვლილებაც უცხოური ავტომანქანების განბაჟებას ეხება, რომლის ტარიფიც, მაჭავარიანის აზრით, 20%-დან 5%-მდე უნდა შემცირდეს. მეორე ცვლილება ეხება სიგარეტის განბაჟებას, რომელზეც მაჭავარიანი ასევე მოითხოვს დროებითი ფიქსირებული გადასახადის დაწესებას! რაც შეეხება ბენზინს, მაჭავარიანმა ყველაზე რადიკალური ცვლილებების განხორციელება მოითხოვა და მიაღწია კიდეც! მისი თქმით, მხოლოდ ერგნეთსა და წითელ ხიდზე რეიდების მოწყობით ნავთობპროდუქტების კონტრაბანდა არ მოისპობა. ბენზინის კონტრაბანდის აღმოფხვრას მაჭავარიანი ლეგალური ბენზინის გაიაფებით აპირებს!

## „შევარდნაძე — ერთია!"

დიდი ზარ-ზეიმით გაიმართა პრეზიდენტობის კანდიდატ ედუარდ შევარდნაძის საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია, რომელიც მთავარ ლოზუნგში ასე იყო გამოხატული: „განახლებული საქართველო — ეკონომიკისაკენ შემობრუნება!" შევარდნაძემ თავისი მმართველობის პერიოდში დაშვებული ყველა შეცდომა ალალად და საჯაროდ აღიარა და ამ შეცდომათა გამოსასწორებლად მოითხოვა კიდევ... 5 წლით პრეზიდენტის პოსტზე ყოფნა! მუსიკალური ცენტრის გაჭედილი დარბაზიც მქუხარე ტაშით ხვდებოდა მისი პროგრამის საკვანძო პუნქტებს და თავის განწყობას და მხარდაჭერას პრეზიდენტობის კანდიდატისადმი ასევე იქვე გამოფენილი მთავარი ლოზუნგით გამოხატავდა: „ღირსეული ბევრია, შევარდნაძე — ერთი!"

## გაზაფხულის დროც მოვიდა

26 მარტს, ღამის 2 საათზე, საქართველომ ზაფხულის დროში შეაბიჯა და საათის ისრებმა გადაიწია ერთი საათით წინ.

## სად წავიდა 35%!

გენპროკურატურა სანაოსნოს საქმესთან დაკავშირებით ახალ-ახალ ფაქტებს იძიებს, კერძოდ, გამოძიების თქმით, ცნობილი შეიქნა, თუ სად მიდიოდა სანაოსნოს თანამშრომელთა ხელფასებიდან დაქვითული 35%. ეს დაქვითვა 5 წლის მანძილზე გრძელდებოდა და ეს 35%-იც თითქოს მეზღვაურების სოციალური დაცვის ფონდში მიდიოდა. გამოძიებამ გაარკვია, რომ ბანკიდან მეზღვაურთა სოციალური დაცვის ფონდისათვის განკუთვნილი თანხის ნაწილი — 400 ათასი დოლარი გამოიტანა სანაოსნოს პროფკავშირების ხელმძღვანელმა. მისი თქმით, ეს თანხა მან ჩააბარა ბათუმში, სანაოსნოს სალაროში... მაგრამ ეს 400 ათასიც და სხვა ათასებიც „აორთქლდა". საინტერესო ის არის, რომ როცა მეზღვაურებს ხელფასის გაცემის დღეს 35%-ს უქვითავდნენ ყოველი თვის ხელფასიდან, უწყისებზე ხელს არ აწერინებდნენ(!). არადა საზღვაო სანაოსნოში ყოველთვიური სახელფასო ფონდი ერთ მლნ 50 ათას დოლარს შეადგენდა, ხელფასებიდან უკანონოდ დაქვითული ყოველთვიური თანხა კი 350 ათასზე მეტ დოლარს, რამაც 5 წლის მანძილზე შეადგინა... 21 მლნ დოლარი! ამ უზარმაზარი თანხის დანიშნულებისამებრ ხარჯვის დოკუმენტები კი სანაოსნოს ხელმძღვანელობას არ აქვს!

ყველაფერს თავად მეზღვაურები, რომლებსაც, ფაქტობრივად, უკანონოდ აცლიდნენ პირიდან ხელფასის 35%-ს, გვიან მიხვდნენ, მაგრამ რაღა დროს! უცხოეთის პორტებში სანაოსნოს საერთაშორისო პროფკავშირებმა ქართული გემები დააპატიმრეს, ერთი მათგანი, „ფორე მოსულიშვილი" კი, აუქციონზე გაყიდეს! მოკლედ, პროკურატურაში უკვე ირწმუნებიან, რომ აღნიშნული თანხების ნაწილი აჭარის აღმშენებლობაში დაიხარჯა...

## მებაჟეებს განკითხვის დღე ელით!

ავტოინსპექტორთა მსგავსად, მალე „სახელმოხვეჭილი" ქართველი მებაჟეების დიდ ნაწილსაც დაუდგება „განკითხვის დღე". მიშა მაჭავარიანის განცხადებით, მარტის თვე ბევრი არაკეთილსინდისიერი მებაჟისათვის საბაჟოზე მუშაობის უკანასკნელი, „გამოსათხოვარი" თვე იქნებაო... შემოსავლების მინისტრი ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის საბაჟოების წარმომადგენლებთან ერთად დიდ რეფორმას იწყებს საბაჟოში, რაც, ბუნებრივია, ითვალისწინებს „დიდ წმენდასაც". „ნიჩაბზე" მოხვედრის კანდიდატი მებაჟეები კი გამწარებულნი ხრავენ და ხრავენ ბიუჯეტს, ვისაც როგორ შეუძლია. „მწვანე შუქს" აძლევენ კონტრაბანდას, რათა დარჩენილ დღეებში მაინც მოახდინონ იმისი ნაწილობრივი „კომპენსაცია", რასაც მთელი წლის მანძილზე გამოსწოვდნენ ბიუჯეტს და შეთქვლეფდნენ!

მომავალი „კეთილსინდისიერი" მებაჟეებისთვის კი ამერიკელმა და ბრიტანელმა კოლეგებმა მებაჟეების სპეციალური ფორმები ჩამოიტანეს! ამერიკელებმა „დიდი შეფასება" მისცეს ქართველ კონტრაბანდისტთა პროფესიონალიზმს და აღიარეს, რომ ისინი თვით აშშ-ის ბიუჯეტსაც კი შეუქმნიან დიდ პრობლემებს, რა თქმა უნდა, თუ მათ ამერიკაში „ვამუშავებთო"!

## სად შოულობენ ამდენ ნაღმს?!

რუსთავში საშინელი დრამა გათამაშდა. მოქალაქე მაზმიშვილს რუსთავის დიაგნოსტიკური ცენტრის ტერიტორიაზე ნაპოვნი... ნაღმები ხელში აუფეთქდა და ორივე ხელი მოგლიჯა. რუსთავის პოლიციის განცხადებით, მაზმიშვილი შემჩნეული იყო ფერადი ლითონების შეგროვება-ჩაბარებაში... პოლიცია იკვლევს, როგორ აღმოჩნდა იქ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები. იქვე არსებული №04117 სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა კი კატეგორიულად უარყოფს მოარულ ხმებს, რომ ნაღმები ამ ნაწილიდან იყო გატანილი. მათი აზრით, მაზმიშვილს ნაღმები ან... აჩუქეს, ან თავადვე შეიძინა! სამხედროები ამტკიცებენ, რომ მათი ნაწილის მიმდებარე ტერიტორია — სუფთაა!

## საუკეთესო ბიზნესმენები

2000 წლის 31 მარტს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება „წლის საუკეთესო ბიზნესმენი-კომპანიის" დაჯილდოების ცერემონიალი, რომელსაც აწყობს საგამომცემლო სახლი „ჯორჯიან თაიმსი". რეიტინგში გამარჯვებულები სპეციფიკური პროცედურით თავადვე გამოავლენენ 1999 წლის საუკეთესო ბიზნესმენს, რომელსაც გრან-პრის ქვეყნის პრეზიდენტი გადასცემს.

რეიტინგის შედეგებმა უკვე გამოავლინა 11 კანდიდატი:

ა) სადაზღვევო კომპანია „ალდაგი" — დავით გამყრელიძე
ბ) „გაერთიანებული ქართული ბანკი" — ირაკლი კოვზანაძე
გ) „თი ბი სი ჯგუფი" — მამუკა ხაზარაძე
დ) „ინტელექტბანკი" — კახა გიუაშვილი
ე) „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია" — თემურ ჭყონია
ვ) „მაგთი ჯგუფი" — გიორგი ჯოხთაბერიძე
ზ) სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2" —ეროსი კიწმარიშვილი
თ) „საქართველოს ბანკი" — ვლადიმერ პატეიშვილი
ი) „საქგაზი" — დავით ბეჟუაშვილი
კ) „ყაზბეგი-კასტელი" — გოგი თოფაძე
ლ) „ჯი ვი ეს" — ლევან გაჩეჩილაძე

ორდენი არის ხელნაკეთი ორიგინალი. ერთი ეგზემპლარი. იწონის 43,5 გრამს.
დამზადებისას გამოყენებულია ძვირფასი ლითონები: 31,5 გრამი ოქრო, 12 გრამი ვერცხლი.
ბუნებრივი ქვები: ბრილიანტი — 1 ცალი, ლურჯი საფირონი (პრიმა) — 1 ცალი, ფირუზი — 4 ცალი, ცირკონი — 2 ცალი
ორდენს თან ახლავს ობსიდიანის ზარდახშა.

უცხოეთი

## პუტინი პრეზიდენტი იქნება?!

რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარი შედეგებით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 53%-მდე ხმის უფლების მქონე მოსახლეობამ. დიდი უპირატესობით ლიდერობს ვლადიმირ პუტინი, მეორე ადგილზეა ზიუგანოვი, მესამეზე — იავლინსკი. ბი-ბი-სი-ს ინფორმაციით, არ გამოირიცხება მეორე ტურის გამართვაც, რომელშიც პუტინი და ზიუგანოვი მიიღებენ მონაწილეობას. შესაძლოა, „რუსეთის სინდისად" წოდებულმა იავლინსკიმ თავისი კანდიდატურა პუტინის სასარგებლოდ მოხსნას. საგულისხმოა, რომ ხმის მიცემის შემდეგ პუტინმა მოსკოვიდან სოფელს მიაშურა და იქ გაატარა მთელი დღე და ღამე... დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებმა ისიც თქვეს, რომ საკუთარ წარმატებაში დარწმუნებულმა საკმაოდ ადრე მიაშურა ლოგინს და „სალათას ძილიც" გამოაცხო — დილით უფრო ბევრი და დიდი საქმეები მელისო...

## მორიგი დეზინფორმაცია

რამდენიმე დღეა რუსეთის სპეცსამსახურები ამტკიცებენ, რომ ვიღაც დაქირავებული არაბი ბოევიკი ჩეჩნეთში საქართველოს გავლით ჩავიდა, რასაც ქართული მხარე მორიგ დეზინფორმაციას უწოდებს. ამასთან, რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე სერგეი იასტრჟემსკი უკვე კატეგორიულად მოითხოვს საქართველოში ჩეჩნეთის წარმომადგენლობის და საინფორმაციო ცენტრის დახურვას. მისი თქმით, სახალხო დიპლომატიის შირმას ამოფარებული ეს წარმომადგენლობა ჩეჩნეთში იარაღის შეზიდვას და დაჭრილი ჩეჩენი ბოევიკების მკურნალობას ემსახურება... რატომღაც ქართული მხარე არა სთხოვს რუსეთის აგერ უკვე 10 წლის მანძილზე მოსკოვში ოფიციალურად მოქმედ, ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის წარმომადგენლობის დახურვას, რომელიც აღვირახსნილ ანტიქართულ საქმიანობას ეწევა რუსეთის ხელისუფლებაშიც და მასმედიაშიც!

## აშშ-მა „ოპეკ"-თან შეთანხმებას მიაღწია

**(გეა)** აშშ-მა განაცხადა, რომ შეთანხმებას მიაღწია ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციასთან ნავთობის გაყიდვის მოცულობის გაზრდის თაობაზე, რადგან ამ მოცულობის შემცირების გამო ერთი წლის განმავლობაში ნავთობის ფასები მსოფლიო ბაზარზე სამჯერ გაიზარდა.

აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრის, ბილ რიჩარდსონის თქმით, მან შეძლო ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის წევრების დარწმუნება იმაში, რომ გაზარდონ ნავთობის მოპოვებისა და გაყიდვის მოცულობა. ამ ორგანიზაციის წევრთა შეხვედრა მომავალ კვირას ვენაში გაიმართება. ზოგიერთი ეკონომისტი შიშობს, რომ ნავთობზე ფასების უზომოდ ზრდამ შეიძლება ინფლაცია გამოიწვიოს ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო განვითარებად ქვეყნებს მძიმე ტვირთად დააწვება, რადგან მათაც ბოლო დროს ნავთობის მოხმარება გაზარდეს.

## ტრაგედია ეკლესიის შენობაში

**(გეა)** უგანდის პოლიცია განაგრძობს გამოძიებას ერთ-ერთი ქრისტიანული სექტის მიმდევართა მასობრივად დაწვის ფაქტთან დაკავშირებით. უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა კიდევ 150 გვამი აღმოაჩინეს სექტის კუთვნილ სხვა შენობაში. სექტის სახელწოდებაა „უფლის 10 მოძღვრების აღდგენის მოძრაობა". ახალაღმოჩენილ გვამთა შორის უმრავლესობა ქალი და ბავშვია. ზოგიერთს ყელზე თოკის კვალი ემჩნევა. ეკლესიის შენობაში მომხდარი ტრაგედიის მიზეზების წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ 300 ადამიანის დაწვის წინ უმრავლესობა მოკლული იყო. პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესაძლოა სექტის ზოგიერთ წევრს არც სცოდნოდა, რას უპირებდნენ, როცა ისინი ეკლესიის შენობაში ჩაკეტეს, რომელსაც შემდეგ ხანძარი გაუჩინეს.




# CIA-ს შეფის უპრეცედენტო ვიზიტი საქართველოში — დაიწყო!

## ...რუსეთისადმი დემარში, თუ საქართველოსთვის ბოლო შანსი?!

*იყო დრო, როცა აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს საბჭოთა პროპაგანდა და ხანდახან თავად დასავლეთის პრესაც კი „ბინძურ საქმეთა დეპარტამენტს“ უწოდებდა. ეს, უწინარესად, გამოწვეული იყო შეერთებული შტატების ინტერესებისთვის მიუღებელი სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეთა, პარტიების ლიდერთა პოლიტიკური მკვლელობებითა და პროკომუნისტურ ქვეყნებში სამხედრო გადატრიალებების მცდელობებითა და განხორციელებით. ასევე ყოფილ ჰიტლერელ მზვერავთათვის თავშესაფრის მიცემითა და თავიანთ საქმიანობაში გამოყენებით. სხვა საქმეა, თუ რა კვალიფიკაცია და რა სახელი ჰქონდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უპირველეს მეტოქეს, КГБ-ს, ამ ბრძოლაში რაც საყოველთაოდაა ცნობილი! ბუნებრივია, მასზე და მათ ბრძოლაზე არ შევაჩერებ ყურადღებას, მით უმეტეს, რომ დიდი ხანია „დრონი იცვალნენ“ და მსოფლიოში სტაბილურობის, დემოკრატიისა და თავისუფლების დამცველი უპირველესი უწყების შეფი დღეს საქართველოს ოფიციალური სტუმარია.*

*...1947 წლამდე, აშშ-ის დაზვერვის ფუნქციას ასრულებდნენ ამერიკის არმიის, გამოძიების ფედერალური ბიუროსა და სახელმწიფო დეპარტამენტის საგანგებო სამსახურები, მაგრამ „ცივი ომის“ დაწყებასთან ერთად, პრეზიდენტ ტრუმენის საგანგებო დეკრეტით, 1947 წელს შეიქმნა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რომლის უპირველესი ამოცანა გახდა არა მარტო კომუნიზმის ექსპანსიის შეკავება მსოფლიოში, არამედ მისი დამარცხება და მოსპობა! ამასთან, ამ უწყების კონცეფციაში შავით თეთრზე ჩაიწერა: „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიზანია აშშ-ის ეროვნული ინტერესების დაცვა პლანეტის ნებისმიერ წერტილში, რომელსაც კი აშშ საკუთარი ეროვნული ინტერესების სფეროდ მიიჩნევს...“ ამ მიზნების მისაღწევად ეს უწყება არაფერს ერიდებოდა, რაც ხშირად ხდებოდა გახმაურებული საერთაშორისო სკანდალების საფუძველი.*

*ცნობილი ამერიკელი მზვერავი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთ-ერთი დამაარსებელი და წლების მანძილზე მისი შეფი ალენ დალესი იმთავითვე აცხადებდა, — ცსს-ის საქმიანობაში ჩვეულებრივ დაზვერვას, ანუ ინფორმაციის მოპოვებას უნდა ეკავოს 10%, ხოლო ჩვენი საქმიანობის 90%-ს უნდა წარმოადგენდეს ძირგამომთხრელი საქმიანობაო...*

*დღეს ძნელია იმის თქმა, თუ რამდენ-რამდენი პროცენტი უკავია ამ უწყების მუშაობაში ამა თუ იმ მიმართულებით საქმიანობას, მათ შორის, პოსტსაბჭოურ სივრცეში, მაგრამ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფის ვიზიტი მხოლოდ საქართველოში (ჯორჯ ტენეტი საქართველოდან სამშობლოში დაბრუნდება) უდავოდ საგანგებო ვითარებითა და ვფიქრობ, ჩვენს შესახებ არსებული განსაკუთრებული ინფორმაციებითაცაა განპირობებული. ხოლო ის ფაქტი, რომ ბატონი ტენეტი სწორედ რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების დღეს ჩამობრძანდა საქართველოში, მართლაც მრავლისმთქმელია... ალბათ ამიტომაც იყო, რომ ამასწინანდელ ბრიფინგზე შევარდნაძემ თავი აარიდა ტენეტის ვიზიტის თარიღის გამჟღავნებას, ბოლო დღეებში კი ქართულ პრესაში ინფორმაციაც გავრცელდა, რომ ტენეტის ვიზიტი „გადაიდო გაურკვეველი დროით რუსეთის მხრიდან მწვავე რეაქციის გამო“...*

*მაგრამ 26 მარტს, როცა რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარეობდა, თბილისის აეროპორტში ჯორჯ ტენეტის თვითმფრინავი დაეშვა, რითაც უგულებელყოფილი იქნა „რუსეთის მხრიდან მწვავე რეაქცია...“ მაგრამ, ვფიქრობ, მხოლოდ რუსეთთან დაკავშირებული საკითხების გამო არ ჩამობრძანებულა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფი...*

*ვესაუბრები პოლიტოლოგ* **რამაზ კლიმიაშვილს.**

— ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი, როგორც წესი, არ დადის ხშირი ოფიციალური ვიზიტებით, მაგრამ თუ ჩადის სადმე, მის ამ ნაბიჯს უდავოდ პოლიტიკური დატვირთვა აქვს. მართლა რომ გასაიდუმლოებული ყოფილიყო მისი ჩამოსვლა საქართველოში, ამის შესახებ ვერავინ ვერაფერს შეიტყობდა. სინამდვილეში ეს გახლავთ ღია პოლიტიკური თამაში გათვლილი, უწინარესად, რუსეთზე. საქმე შემდეგშია: მე გუშინ ჩამოვედი ლონდონიდან, სადაც მოწმე გავხდი იმ უამრავი კომენტარისა, რომელიც ბრიტანეთის პრესამ მიუძღვნა ტონი ბლერის შეხვედრას პუტინთან სანქტ-პეტერბურგში. გაზეთი „თაიმსი“ და სხვა გამოცემები პირდაპირ წერენ, რომ ტონი ბლერს პუტინთან მოლაპარაკებისას კატეგორიულად დაუყენებია საკითხი — რუსეთის ჯარი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევიდეს საქართველოსა და აზერბაიჯანში, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები ჩეჩნეთშიო! დიახ, ეს საუბარი ნამდვილად იყო და ბრიტანეთის გაზეთებსაც მსხვილი შრიფტით გამოჰქონდათ სათაურები — პუტინის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ შევლენ რუსები საქართველოსა და აზერბაიჯანში თუ არა?! ამასთან, წამყვანი ინგლისელი ანალიტიკოსები ერთხმად ირწმუნებიან და ამტკიცებენ, რომ საქართველოს წინააღმდეგ პუტინს ნამდვილად აქვს ექსპანსიონისტური გეგმები და რომ რუსები მხოლოდ ჩეჩნეთში არ გაჩერდებიან!

**— მიზანი და „მოტივი“ პუტინის ამ ექსპანსიონისტური გეგმებისა, რა თქმა უნდა, არის კასპიის ენერგორესურსები და ბაქო-ჯეიჰანის პროექტი...**

— რასაკვირველია! რუსებს ომი ჩეჩნეთში ტერორიზმის წინააღმდეგ და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად არ დაუწყიათ. ეს იყო ბლეფი და სისულელე... ჩეჩნეთის მოსპობა არის გზა კასპიის ენერგორესურსებისკენ, რითაც 21-ე საუკუნეში უნდა მომარაგდეს დასავლეთი. რუსებს სჭირდებათ „სუფთა“ ტერიტორია კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებისთვის. მაგრამ თუ ნავთობი საქართველოს ტერიტორიის გავლით წამოვა, დასავლეთში ძალიან ბევრი დარწმუნებულია, რომ პუტინი დაიძვრება საქართველოს წინააღმდეგ, ანუ რუსები შეეცდებიან ქვეყნის ტერიტორიის დაყოფას, შევარდნაძის დამხობას, თავიანთი კაცის დასმას და ა.შ. ვფიქრობ, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს და ჩვენს სპეც-სამსახურებს აქვთ ზუსტი ინფორმაცია...

**— დავაკონკრეტოთ: ლაპარაკია პირდაპირ აგრესიაზე თუ დესტაბილიზაციაზე?**

— აბსოლუტურად პირდაპირი აგრესიაა მხედველობაში და ამას აშკარად წერენ დასავლეთის წამყვანი გამოცემები. ტონი ბლერმა კი „დაუქნია თითი“ პუტინს, მაგრამ ჩვენი დიდი უბედურება ის არის, რომ აზერბაიჯანისგან განსხვავებით, აქ რუსეთის ბაზებია და საქართველო, ჯერჯერობით, ითვლება რუსეთის სამხედრო გავლენის ზონად. თუ განხორციელდა რუსების გეგმა, ნატო და დასავლეთი დიდ ხმაურს ატეხენ, მაგრამ რეალურად ხელსაც ვერ გაანძრევენ ჩვენს დასახმარებლად. ამიტომ სანქტ-პეტერბურგში ბლერის ვიზიტის შემდეგ ჯორჯ ტენეტის ჩამოსვლა საქართველოში, გახლავთ ნაბიჯი საიმისოდ, რომ აგრძნობინონ რუსეთს — დასავლეთი და ამერიკა დაეხმარება საქართველოს! დიახ, ამერიკა ტენეტის ჩამოსვლით მიმართავს დემარშს, მაგრამ პუტინმაც შესანიშნავად იცის, რომ აშშ-ის მხრიდან რეალური დახმარება ძალიან საეჭვოა. შეიძლება ტენეტი ჩამოვიდა იმისთვისაც, რომ აქ, ადგილზე შეეკითხოს თავის ანალიტიკოსებს, თუ რა ვითარებაა და ღირს კი საქართველოს მხარდაჭერა თუ არა?! აი, ეს არის საკითხთა საკითხი, რადგან მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ — დასავლეთში ბევრ პოლიტიკოსს თუ გავლენიან პოლიტიკურ-ეკონომიკურ წრეებს უკვე... ხელი აქვთ ჩაქნეული საქართველოზე!

**— ამ განწყობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ალბათ საქართველოში მძვინვარე ტოტალური კორუფციაა, არა? სხვათა შორის, როცა პირველად გავრცელდა ინფორმაცია ტენეტის ვიზიტის შესახებ, ისიც ითქვა, რომ მისი ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზანი საქართველოს ხელისუფლებისადმი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში რეკომენდაციების მიცემაც არისო...**

— ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს ასეც შეიძლება იყოს. ჩვენ კი გავიძახით ევროპული და პროდასავლური კურსის ქვეყანა ვართო, მაგრამ ტყუილად ჰგონიათ ჩვენს ხელისუფალთ, რომ არსებული ტოტალური კორუფციის პირობებში ვინმე ჩაგვთვლის პროდასავლურ ქვეყნად. ფაქტია, რომ საუბედუროდ, დღეს დასავლეთში აღგვიქვამენ, როგორც აფრიკის მსგავს ჩამორჩენილი დონის ქვეყნად. დასავლეთში პოლიტიკას განსაზღვრავს ბიზნესი, ბიზნესმენები კი გარბიან აქედან, რადგან აქაური „კლიმატი“ პატიოსანი ბიზნესის საწინააღმდეგოდაა მიმართული. აშშ და დასავლეთი გაცილებით ერთგულად დაგვიდგებოდნენ მხარში, რომ დაენახათ რეალური ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ და თუნდაც დაპატიმრებული რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირი. ხომ ყველამ ვიცით ამ პირთა ვინაობა? დასავლეთში კი ჩვენზე უკეთ იციან მათი „საქმენი საგმირონი“. იციან, რომ გენერალური პროკურატურა დანაშაულებრივად უსუსურია, რომ კონსტიტუცია კრძალავს კორუმპირებული დეპუტატის გაწვევას პარლამენტიდან, რომ იმუნიტეტიან დეპუტატს საშუალება აქვს იმდენი იქურდოს, რამდენიც მოესურვება! წავიდა ის დრო, როცა დასავლეთში ჩვენი დაპირებებისა სჯეროდათ. დღეს აქ სხედან უცხოელი ანალიტიკოსები, რომლებიც ამომწურავ ობიექტურ ინფორმაციას აწვდიან თავიანთ მთავრობებს აბსოლუტურად ყველა სფეროში არსებულ ვითარებაზე, თვით ქართულ პრესაში გამოქვეყნებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ხასიათის პუბლიკაციებიც დაუყოვნებლივ აანალიზდება და იგზავნება... ასე რომ, თავს ალარავინ მოგვატყუებინებს! აი, ასეთ დროს, როცა ნეგატიური განწყობაა დასავლეთში საქართველოსადმი, თუ რუსეთი მიმართავს ექსპანსიას, ვიმეორებ, ბევრს იყვირებენ დასავლეთში, მაგრამ მხოლოდ ამ ყვირილით დამთავრდება საქმე! ამერიკას არაფერში სჭირდება კორუფციაში ჩამხრჩვალი და უმართავი ქვეყანა! აგერ რამდენი იყვირეს ჩეჩნების გენოციდის გამო, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: შინაგანად ამერიკელებს ძალიანაც უხაროდათ, რასაც რუსები ჩეჩნეთში აკეთებდნენ, რადგან ჩეჩნეთი შეიძლება ჩამოყალიბებულიყო ისლამური ფუნდამენტალიზმის ცენტრად კავკასიაში...

**— მაგრამ ნათქვამი ერთხელ კიდევ მიუთითებს აშშ-ის პოლიტიკის ორმაგ სტანდარტზე, რისი გათვალისწინებაც, ალბათ ჩვენც გვმართებს...**

— ჯერ იმას მოგახსენებთ, რომ იანდარბიევის ავღანეთში და პაკისტანში ყოფნისას, პაკისტანის ყველაზე გავლენიანმა ისლამისტური პარტიის ლიდერმა ქვაზი ჰუსეინ აჰმადმა 185 ათასი დოლარი გადასცა მას იარაღის შესაძენად. იანდარბიევმა ყველა მეჩეთი მოიარა, სადაც მოლებს მოუწოდებდნენ ხალხს ჩეჩნებისთვის იარაღის საყიდლად ფულის შეგროვებისკენ და დიდძალი თანხა იშოვა. როცა პაკისტანმა იანდარბიევს ვიზა მისცა, რუსებმა პროტესტი განაცხადეს, მაგრამ ამაოდ. ჩეჩენთა ერთ-ერთმა ლიდერმა მხოლოდ მაშინ დატოვა პაკისტანი, როცა ინდოეთში მყოფი... კლინტონი ჩაერია საქმეში და შეუთვალეს პაკისტანის მთავრობას — თუ იანდარბიევი არ გავა თქვენი ქვეყნიდან, აშშ-ის პრეზიდენტი ალარ გეწვევათო(!). დასკვნა მკითხველმა გამოიტანოს და შეიძლება ისიც იკითხოს, რა კავშირშია ეს საქართველოსთანო. იმ კავშირშია, რომ ამერიკელებს მივაჩნივართ ჩამორჩენილ, რუსეთის ყოფილ კოლონიად, რომელმაც საკუთარი თავი ვერ იპოვა და შეიძლება მართლაც აიღონ ჩვენზე ხელი... მათ არ სჭირდებათ მოკავშირე, სადაც რამდენიმე ათეული ადამიანი ფანტასტიკურად მდიდრდება, უმრავლესობა კი მათხოვრულ ხელფასსაც ვერ იღებს.

**— ე.ი. ერთადერთ ხელჩასაჭიდ ფაქტორად გვრჩება ბაქო-ჯეიჰანის პროექტი... თქვენ ისეთ მძიმე პერსპექტივას ხატავთ, რომელიც, მართალი გითხრათ, სრულიად აფერმკრთალებს ტენეტის ვიზიტის მოსალოდნელ შედეგებს...**

— ტენეტის ვიზიტით ამერიკლები შანსს გვაძლევენ, რომ გონს მოვეგოთ. ნუ დავივიწყებთ, რომ ირანში დემოკრატების გამარჯვების შემთხვევაში კასპიის ნავთობმა ძალიან იოლად შეიძლება იცვალოს მარშრუტი და სამხრეთისკენ წავიდეს. მერწმუნეთ, რომ ეს შეიძლება მართლაც ასე მოხდეს. როგორც არაოფიციალურ პირს, დასავლეთში საკმაოდ მაღალ დონეზე არაერთხელ განმიცხადეს პირდაპირ, რომ თუ საქართველოში არ შეიცვალა ვითარება, ზურგს შეგაქცევთო! და ეს მაშინ, როცა ოფიციალურად ჩასულ ჩვენს პარლამენტარებს უღიმიან და პირში არაფერს ეუბნებიან. მათ განცხადებებზე კი, რომ „საქართველო მიისწრაფვის ევროკავშირში გაწევრებისკენ,“ სიცილით კვდებიან... არ მინდა ყველაფრის თქმა, თუ რა დამცინავად ლაპარაკობენ დასავლეთში „საქართველოს სურვილზე შევიდეს ევროკავშირში...“ მე კი არ მიხარია ეს, არამედ ვამბობ, რომ ეს არის ჩვენთვის დიდი უბედურება! დარწმუნებული ვარ, კორუფციასთან დაკავშირებით დაახლოებით ამასვე ეტყვის ტენეტი შევარდნაძეს. ჩვენი არსებობა-არარსებობა დამოკიდებულია იმაზე, რას მოიმოქმედებს ხელისუფლება კორუფციის წინააღმდეგ, თორემ ბაქო-ჯეიჰანი ვერაფერს გვიშველის!

**— ბატონო რამაზ, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსადმი ჩვენს საზოგადოებრიობას არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს... ბევრს მიაჩნია, რომ სწორედ ეს უწყება აფინანსებს საქართველოში და, საერთოდ, პოსტსაბჭოურ სივრცეში მოქმედ რელიგიურ სექტებს, ვთქვათ, იეღოველებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, აწარმოებს ფსიქოლოგიურ და იდეოლოგიურ ომს ახლად დამოუკიდებლობამოპოვებულ ქვეყნებში და ა.შ. როგორია თქვენი კომენტარი?**

— ის, რომ თითქოს იეღოველებს აფინანსებს ტენეტის უწყება, არის ელემენტარული უვიცობა. იეღოველები გაუნათლებელი რელიგიური ფანატიკოსები არიან და თუ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს საქართველოში მაინცდამაინც ვიღაცის გამოყენება უნდა საკუთარი ინტერესებისთვის, ადგება და გამოიყენებს შიმშილის ზღვარზე მყოფ ჩვენს მეცნიერებათა აკადემიას... არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ერთი-ორი შეიძლება ფინანსდებოდეს ამ უწყებისგან, მაგრამ ამასაც აქვს თავისი ისტორია: 60-იან წლებში ჯონ კენედიმ დააარსა ამერიკელი ახალგაზრდობისგან შემდგარი „მშვიდობის კორპუსი“, რომლებიც მსოფლიოს ჩამორჩენილ ქვეყნებში აშენებდნენ სარწყავ არხებს, თესდნენ და იღებდნენ მოსავალს, ეხმარებოდნენ მოსახლეობას და ა.შ. კენედის მკვლელობის შემდეგ კი ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ამ ორგანიზაციის გარკვეული ინფილტრაცია განახორციელა და მიუხედავად იმისა, რომ „მშვიდობის კორპუსის“ ძირითად ბირთვს იდეისთვის მებრძოლი ენთუზიასტი ახალგაზრდები შეადგენდნენ და რადგან მრავალ ქვეყანაში საქმიანობდნენ, სადაზვერვო სამმართველომ გამოიყენა ეს ფაქტორი და მათ რიგებში თავისი აგენტურა ჩასვა! დღეს კი ამ უწყების ძირითადი ძალისხმევა მიმართულია ისლამური ფუნდამენტალიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ... საქართველოში მოქმედი ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი ნაწილი ობიექტური ინფორმაციის შეგროვებაა ყველა სფეროში არსებულ ვითარებაზე. ცნობილია, რომ სტატისტიკის სამმართველო, როგორც საბჭოური გადმონაშთი, იტყუება და მის მიერ მოცემულ ციფრებს არავინ ენდობა დასავლეთში. ამ ინფორმაციის შეგროვება აშკარად ხდება. ამასთან, საქართველოში ისეთი სიღარიბეა, აშშ-ის საელჩომ რომ კონკურსი გამოაცხადოს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ინფორმატორობაზე, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ საელჩოსთან ჩვენი თანამოქალაქეების კილომეტრიანი რიგი დადგება! სამწუხაროა ამის თქმა, მაგრამ ვინ მიიყვანა ხალხი ამ დონემდე? ვინ მიიყვანა საქართველო იქამდე, როცა არავითარი ზნეობრივი და ეთიკური ნორმა აღარ არსებობს? ეს ხელისუფლების დამსახურებაა...

**— მიუხედავად ყველაფრისა, დასამშვიდებლად და „საამაყოდ“ ის მაინც გვრჩება, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფის ვიზიტი საქართველოში მართლაც უპრეცედენტო მოვლენაა პოსტსაბჭოური ეპოქისთვის...**

— დიახ, უპრეცედენტო მოვლენაა. ეს გახლავთ კლინტონის უშუალო დავალებით განხორციელებული ვიზიტი და მას პირდაპირი, შეიძლება ძალიან მკაცრი მითითებაც აქვს ამერიკის პრეზიდენტისგან, თუ რა უნდა უთხრას შევარდნაძეს... იმის გარდა, რომ იგი რეკომენდაციებს მისცემს ჩვენს სპეცსამსახურებს, გვაგრძნობინებს, რომ ამერიკა მზადაა, დიდი მხარდაჭერა აღმოუჩინოს საქართველოს ყველა სფეროში, თუ აქ მოისპობა ტოტალური ქურდობა! გაიგოს ყველამ, უწინარესად ხელისუფლებამ, რომ დასავლეთში ზიზღით გვიყურებენ! ქურდებს პატივს სცემდნენ მხოლოდ საბჭოთა კავშირში, კაპიტალიზმის პირობებში კი ქურდი სძულთ, მით უფრო ის ქურდები, რომლებიც მაღალი თანამდებობებზე და უმაღლეს ეშელონებში არიან მოკალათებულნი. ის ქვეყანა არავის არ უნდა მოკავშირედ, სადაც მინისტრები ხალხის კუთვნილ ხელფასებს იჯიბავენ და საკუთარ „ბიზნესში“ ატრიალებენ...

**— გმადლობთ.**

ასეთი გახლავთ დამოუკიდებელი პოლიტოლოგის თვალსაზრისი და პოზიცია... დიახ, საქართველოდან კატასტროფული ინფორმაციები მიდიოდა და მიდის დასავლეთში და აქვე მოვიყვან ერთ, დღემდე უცნობ ფაქტს. ჯერ კიდევ თავისი კანცლერობის დროს ჰელმუტ კოლმა ამერიკელ კონგრესმენებთან საუბარში შავბნელი მომავალი უწინასწარმეტყველა ჩვენს ხელისუფლებას, თუ ის კორუფციას არ აღმოფხვრიდა... და აი, როგორც ჩანს, დაგვიდგა ეს კრიტიკული პერიოდიც...

ახლა კი ჯორჯ ტენეტის ვიზიტის პროგრამის შესახებ:

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციოზს არანაირი ინფორმაცია არ გაუვრცელებია ჯორჯ ტენეტის ვიზიტთან დაკავშირებით, უშიშროების სამინისტროში დამიდასტურეს მისი ჩამოსვლის ფაქტი. ბატონი ტენეტი შეხვდება პრეზიდენტ შევარდნაძეს, დაზვერვის დეპარტამენტისა და უშიშროების სამინისტროების ხელმძღვანელებს, გაეცნობა უშიშროების სამინისტროსთან არსებული ანტიტერორისტული ცენტრის საქმიანობას... საგულისხმოა, რომ ჯორჯ ტენეტს ჩვენი შინაგან საქმეთა სამინისტროს „მონახულებაც“ აქვს გეგმაში...

ეს ვიზიტი დიდი ხნის წინ დაიგეგმა და მისი დანიშნულება კონკრეტულად მდგომარეობს შემდეგში: საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან ამერიკელი ექსპერტის გარი ჯონსონის ხელმძღვანელობით ფუნქციონირებს მრჩეველთა საერთაშორისო საბჭო, რომელიც ამზადებს რეკომენდაციებს საქართველოს უშიშროების სისტემისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, სამხედრო მშენებლობისთვის. ასე რომ, აშშ-ის მხარე და მისი სპეცსამსახურები პირდაპირ არიან საქმის კურსში, თუ რა სახის და ხასიათის დახმარება სჭირდება, ან მომავალში დასჭირდება საქართველოს. ამიტომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფის ვიზიტი, უწინარესად, უკავშირდება ამ მუშაობისა და შექმნილი ვითარების ადგილზე გაცნობას, ქართულ მხარესთან კონსულტაციების გამართვას. ბუნებრივია განზე არც აფხაზეთის პრობლემა დარჩება, არც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა დღევანდელი ვითარება და რეგიონის უშიშროების საკითხები...

სხვათა შორის, უნდა ითქვას ისიც, რომ სხვადასხვა დროს საქართველოში ანალოგიური ვიზიტებით ისე ჩამოსულან და წასულან საფრანგეთის, გერმანიის, ისრაელის დაზვერვათა სამსახურების პირველი პირები, რომ აქ, კაციშვილს (მათ შორის ქართულ მასმედიას) არაფერი გაუგია! მით უფრო მრავლისმთქმელია ჯორჯ ტენეტის ვიზიტთან დაკავშირებით გამართული „გასაიდუმლოებანას“ თამაში...

***ზურაბ მჭედლიშვილი***

# წმიდა ამბროსი აღმსარებელი



ქართველი მამულიშვილი, ღირსეული პიროვნება, ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია დაიბადა 1861 წელს მარტვილში. სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა.

წმიდა ამბროსი სიყრმითვე იყო ანთებული სამშობლოს სიყვარულით, რაც იმდროინდელი ახალგაზრდებისგან გამოარჩევდა. დიდად განათლებული პიროვნება გახლდათ, კარგად იცნობდა ქართველი ერის კულტურას, ისტორიას, მის სულიერ ფასეულობებს და თავადაც ამ ღირსებათა მატარებელი იყო.

ბესარიონ ხელაია ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლის პერიოდში მუშაობდა საქართველოს ისტორიის პირველწყაროებზე; შემდეგ მან ამ საკითხებზე დიდი წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე აქტიურად ჩადგა ერის ინტერესების დამცველთა რიგებში. ამის გამო ორჯერ გადაასახლეს. პირველად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის ბრძოლა გახდა ამის მიზეზი, მერე კი ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში დასდეს ბრალი. მრავალი წელი იცხოვრა გადასახლებაში, მაგრამ ხელი არ აუღია მიზანზე, ეს მიზანი კი საქართველოს სულიერი და ფიზიკური თავისუფლება იყო.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ წმიდა ამბროსი წინამძღვრობდა ჭელიშის მონასტერს, ეს ის მონასტერი იყო, რომელიც თავის დროზე რაჭველთა სულიერ ცხოვრებას წარმართავდა. მამა ამბროსი მუხლჩაუხრელად იღვწოდა მონასტრის აღდგენისა და ერთ დროს უმდიდრესი ჭელიშური ხელნაწერების მოსაძიებლად.

წმიდა ამბროსი იყო ჯერ ჭყონდიდის, შემდეგ აფხაზეთისა და სოხუმის მიტროპოლიტი. 1921 წლიდან კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია.

1922 წელს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ წერილი მისწერა გენუის კონფერენციას (რაც იმ დროისთვის უპრეცედენტო შემთხვევად ითვლებოდა), საქართველოში ბოლშევიკების მიერ ეკლესია-მონასტრებისა და სამღვდელოების უმოწყალოდ დარბევის გამო, რისთვისაც ბოლშევიკებმა სასამართლოს გადასცეს.

სასამართლო პროცესზე პატრიარქთან ერთად საკათალიკოსო საბჭოს წევრებიც განისაჯნენ. მათ ბრალად დასდეს: გენუის კონფერენციისადმი მემორანდუმის გაგზავნა, საქართველოს ეკლესია-მონასტრების საგანძურის გადამალვა, სამხედრო ტაძრის კომკავშირისადმი გადაუცემლობა.

სამსჯავროზე წმიდა ამბროსი თამამად ამხელდა ხელისუფლებას მკრეხელობაში. ერთ-ერთ დაკითხვაზე პატრიარქმა თქვა: „სარწმუნოება არის ხალხის სულიერი მოთხოვნილება. დევნულობა ამ მოთხოვნილებას უფრო აძლიერებს. ის ღრმავდება, იკუმშება, გუბდება და ამოხეთქავს გაძლიერებული ძალით. ასე იყო ყველგან, ასე იქნება ჩვენშიც, საქართველო არ იქნება გამონაკლისი საზოგადო კანონებიდან". სასამართლოდან გასვლის დროს საგანგებოდ მომზადებულმა კომკავშირლებმა კვერცხების სროლით გააცილეს სატუსაღომდე.

ორი წლის შემდეგ მსჯავრდებულები გაათავისუფლეს, მაგრამ უკვე ხანშიშესულ და ჯანმრთელობაშერყეულ ერის მამას დიდხანს აღარ უცოცხლია და 1927 წელს გარდაიცვალა. 1994 წელს საქართველოს ეკლესიამ წმიდანად შერაცხა იგი და აღმსარებლის სახელი უწოდა.

წმიდა ამბროსი (ხელაია) დასაფლავებულია სიონის საკათედრო ტაძარში და იხსენიება 29 მარტს.

*ანა ჩხეიძე*

# ყარაჩოხელის ქამრის საიდუმლო

ყარაჩოხელი („შავჩოხიანს" ნიშნავს), ძველი თბილისის ლაზათი და კოლორიტია. ამ სოციალურ ფენას რვაას-ცხრაასი წლის ისტორია აქვს და მისი წინაპარია რინდი, იგივე ჯევანმარდი. „რინდი" სპარსული სიტყვაა და ნიშნავს მოქეიფეს, ზარხოშს, ჯევანმარდი — ახალგაზრდა კაცს. ასე უხმობდნენ მოჯანყე, არსებული წესწყობილების წინააღმდეგ ამხედრებულ ადამიანს.

თბილისელმა ყარაჩოხელმა, ჯევანმარდმა, მემკვიდრეობით მიიღო არა მარტო სახელის ქართული ფორმა: „ჯომარდი", არამედ მისი ყველა კარგი თვისებაც: „ყარაჩოხელი გამორჩეული ფალავანი იყო, მებრძოლი უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ, ქვრივ-ობოლთა ქომაგი და გამკითხავი.



ხელოსანთა და წვრილ ვაჭართა წრის ეს წარმომადგენლები მხოლოდ სიდარბაისლითა და დარდიმანდობით როდი გამოირჩეოდნენ სხვა მოქალაქეთაგან, გარეგნული იერსახითა და ჩაცმულობითაც განსხვავდებოდნენ: ირიბად ნაპარსი წვერი; მოგრძოდ მოშვებული თმა, სქელი, ხელოვნურად ჩაგრეხილი ულვაშები. ეცვათ წითელი პერანგი, შავი ატლასის ახალუხი, წვერწანვეტებულ ხამლებში ჩატანებული განიერი შარვალი და კრაველის წონოლა ქუდი. წელს ერტყათ უცხოდ ნაჭედი ზარნიშიანი ვერცხლის ქამარი, რომელშიც მწვანე აბრეშუმის ბაღდადის ბოლო და მოვერცხლილი ჩიბუხი ჰქონდათ გაჩრილი და ზედ თუთუნის ქისა ეკიდათ.

რადგანაც მთელმა გაერთიანებამ სწორედ ჩაცმულობიდან მიიღო სახელწოდება „შავჩოხიანები", — ბუნებრივია, ამ ტერმინს სერიოზული სიმბოლური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. და მართლაც, ნიშანდობლივია, რომ ყარაჩოხელის სამოსელი გარკვეულ ორგანიზაციულ ფორმირებებთან პოულობს კავშირს, სახელდობრ, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-რელიგიური მოძრაობის შემადგენელი ფენების სამოსელთან.

სამოსლის ყოველ დეტალს ჰქონდა სიმბოლური მნიშვნელობა, გაადვილდება იმ განსაკუთრებული როლის გარკვევა, რომელიც ენიჭებოდა ყარაჩოხელისთვის მისსავე ქამარს. იოსებ გრიშაშვილი წერდა: „გობაკებიანი ქამარი მხატვრულად დასევადებული, ხშირად მთელ ქონებას უდრიდა". მწერლის თქმით, ქამარს სარიტუალო დანიშნულებაც ჰქონდა, რადგან: „ჩვეულებრივ ქეიფსა და დღეგრძელობის დროს გამოცლილ ჭიქას ლოთიფოთურად გაუხახუნებდნენ ხოლმე თავიანთ ვერცხლის ქამარს", მაგრამ, ამავე დროს, იგი „დასაბანდებელი კაპიტალის" მოვალეობასაც ასრულებდა, რადგან ქამრის შესაძენად ზრუნვა ჯერ კიდევ ქარგლობის პერიოდიდან იწყებოდა; ხოლო ყარაჩოხელის სიკვდილის შემდეგ: „მისი ჰამფსონები გაჰყიდიან მის ვერცხლის ქამარს (რომელსაც აუცილებლად შეიძენს ხოლმე ყოველი ყარაჩოხელი სიცოცხლეშივე ამ „თავის სამარხს") და ამ განაყიდის ფულით დაკრძალავენ".

მკვლევარ გ. შაყულაშვილს არ აკმაყოფილებს ქამრის ოდენ „სამარხი კაპიტალის" დანიშნულება, რადგან ქამარს ეკონომიკურის გარდა, ეთიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ამგვარი დასკვნის საფუძველს თუნდაც იმავე ი. გრიშაშვილის მიერ აღწერილი სურათისადმი კრიტიკული მიდგომა განაპირობებს: „მე მინახავს ყომარის აზარტიანი მოთამაშე, რომელსაც ყველაფერი წაუგია ყომარში — ფული, ქუდი, ახალუხი, ჩექმები, თვით შარვალიც კი და ვერცხლის ქამრისთვის ხელი არ უხლია. იგი საცვლებზე შემორტყმული ვერცხლის ქამრით დაბრუნებულა შინ". ქამარს რომ მხოლოდ ეკონომიკური დანიშნულება ჰქონოდა, — წერს მკვლევარი, — მაშინ ასეთ თავგამოდებას არ ექნებოდა ადგილი მისი შენარჩუნებისათვის — საცვლების ამარა დარჩენა უქამრობაზე ნაკლებსასირცხვო არ უნდა ყოფილიყო და ამ ქამარსაც, ბოლოს და ბოლოს, ტანსაცმელივით როგორმე შეიძენდა ისევ, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ქამარს უფრო სხვაგვარი დანიშნულება გააჩნდა.

წელზე ქამრის შემორტყმა ოსტატად გახდომის სიმბოლური ნიშანი იყო, ამდენად, ხელოსნური გაერთიანება თავის ახალბედა წევრს ნდობას უცხადებდა, ანდობდა მას დამოუკიდებლად ეწარმოებინა თავისი ხელობა. ასე რომ, ქამარი შეგირდის ოსტატად და ამქრის წევრად გახდომის სიმბოლოა და ამიტომაც ყარაჩოხელისათვის ამ სიმბოლური ნიშნის დაკარგვა ოსტატის სახელისა და ღირსების დაკარგვის ტოლფასი იყო.

მაგრამ, აქ ალბათ კიდევ ერთხელ უნდა მივმართოთ იოსებ გრიშაშვილის დოკუმენტურ პროზას, რის თანახმადაც თურმე, როგორც წესი, მთელი ამქრის თანდასწრებით გამართულ ახალგაზრდა ქარგლების ხელოსნად დასალოცად, აუცილებლად მოჰყავდათ მღვდელი, რომელიც დალოცვის წინ ხელოსანს ზნეობრივ დარიგებებს აძლევდა. ამრიგად, ქრისტიანული კურთხევის აუცილებლობის გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ ყარაჩოხელისთვის ძველი სუფიური აღმოსავლური რიტუალი მხოლოდ ტრადიციულ საწესჩვეულებო მნიშვნელობის აქტს წარმოადგენდა; რაც შეეხება მის რელიგიურსა და იდეურ საფუძვლებს, ისინი მათ ან არ უწყოდნენ, ან სრულად ვერ აცნობიერებდნენ.

*გიორგი მამულაშვილი*



# რატომ უჩივის ტუღუში „60 წუთს“?

მიმდინარე წლის 5 მარტს, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერში გავიდა აკაკი გოგიჩაიშვილის საავტორო გადაცემა „60 წუთი“, რომელიც საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წარსულსა და დღევანდელ სიტუაციას ეხებოდა.

აღნიშნულ გადაცემას პროფკავშირებისა და მისი თავმჯდომარის ირაკლი ტუღუშის უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. მათი განცხადებით, გადაცემა ცრუ ინფორმაციებზე იყო აგებული და მხოლოდ ცალმხრივ პოზიციას აფიქსირებდა. აქედან გამომდინარე, ირაკლი ტუღუში და გაერთიანებული პროფკავშირები უახლოეს დღეებში თბილისის საოლქო სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებენ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის, აკაკი გოგიჩაიშვილის და ჟურნალ „60 წუთის“ წინააღმდეგ და მოპასუხეთაგან (სოლიდარულად-სამივესგან ერთად), მორალური ზიანის საკომპენსაციო 1 მლნ ლარის გადახდას მოითხოვენ. როგორც სასარჩელო განცხადებაშია ნათქვამი, „გადაცემაში განზრახ, მიზანმიმართულად, საქვეყნოდ გავრცელდა ცრუ, ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი ინფორმაცია, რომლითაც შეილახა ირაკლი ტუღუშის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, ზიანი მიადგა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების სახელს და მის თითოეულ წევრს...

იმისათვის, რომ კომპენსირებულ იქნეს მოპასუხეთა მიერ მიყენებული მორალური ზიანი, მათ სოლიდარულად უნდა გადაიხადონ ფულადი თანხა, კერძოდ 500.000 ლარი ირაკლი ტუღუშის და 500.000 ლარი საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების სასარგებლოდ. ამასთან მათ მიერ უარყოფილ უნდა იქნას გადაცემაში გავრცელებული ინფორმაცია“.

ვესაუბრებით გაერთიანებული პროფკავშირებისა და ირაკლი ტუღუშის ადვოკატს *ლაშა ჭიჭინაძეს:*

— **ბატონო ლაშა, გადაცემამ „60 წუთი“, რომელიც პროფკავშირებს ეხებოდა, თქვენი მხარე გააღიზიანა. უფრო კონკრეტულად, რამ გამოიწვია თქვენი უარყოფითი რეაქცია?**

— აღნიშნული გადაცემა არა მარტო ტენდენციური იყო, არამედ ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელიც. როგორც გადაცემაში, ისე მის საჟურნალო ვარიანტში, მრავლადაა გამოთქმები, რომლებიც პროფკავშირების ხელმძღვანელობას ბრალს სდებს მილიონობით ქონების დატაცებაში, მითვისებაში... რაც აბსოლუტური სიცრუეა. შეიძლია მოგიყვანოთ მაგალითებიც, კერძოდ, გაიჟღერა ინფორმაციამ, თითქოს აფხაზეთის ომის დროს, საქართველოს მთავრობამ პროფკავშირებს თანხა გადაურიცხა, რომელიც პროფკავშირებმა გაგრაში ქართველი ბავშვების დასვენებას მოახმარა. გადაცემაში ნათქვამი იყო, რომ აღნიშნული თანხა შეადგენდა 328 მლნ მანეთს, რაც მაშინდელი კურსით 60 მლნ დოლარი იყო და თითქოს ეს თანხა უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ამასთან დაკავშირებით მინდა განვმარტო, რომ გადაცემაში მოყვანილი გადმორიცხული თანხა შეადგენდა არა 328 მილიონ მანეთს, არამედ 362 მილიონ 601 ათას 213 მანეთს, რაც მაშინდელი კურსით დაახლოებით 2 მლნ დოლარი იყო (და არა როგორც გადაცემაში ითქვა — 60მლნ დოლარი). ამასთან, თანხა არა ერთიანად, არამედ პერიოდულად ირიცხებოდა, 1992 წლის 30 მარტიდან იმავე წლის 31 დეკემბრამდე.

— **სანამ სხვა ბრალდებებს შევეხებოდეთ, მინდა ერთ ფაქტზე გკითხოთ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ტელეკომპანიის წარმომადგენელმა კომენტარისათვის ბატონ ირაკლი ტუღუშსაც მიმართა, მაგრამ მან პოზიციის დაფიქსირებაზე უარი განაცხადა. ტელეკომპანიამ მოიხადა ჟურნალისტური ვალი, მაგრამ მეორე მხარემ, ამ შემთხვევაში ირაკლი ტუღუშმა, არ ისურვა საპასუხო განცხადების გაკეთება...**

— თქვენ, როგორც ჟურნალისტს, მინდა კონტრშეკითხვით მოგმართოთ, თუ თქვენ გაქვთ კომპრომატი ვინმეს წინააღმდეგ და იგი არ ეფუძნება დოკუმენტებს, მის კომენტარზე მოპასუხე უარს ამბობს, მაინც აქვეყნებთ?

— **თუ რესპონდენტი ეცნობა ინფორმაციას, მაგრამ უარს ამბობს კომენტარზე, ჟურნალისტი იხსნის პასუხისმგებლობას.**

— შესაძლოა ტენდენციურობა პროფესიული მომენტი იყოს, მაგრამ კიდევ ერთხელ გეტყვით, გადაცემა ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი იყო. იქვე აღსანიშნავია ერთი მომენტიც, როდესაც გადაცემაში საუბარია იმაზე, რომ ირაკლი ტუღუშმა კომენტარზე უარი განაცხადა, კადრში ჩანს კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ფოიე. მსგავს საკითხებზე კომენტარი „ქუჩაში“ არ კეთდება. გარდა ამისა, „60 წუთის“ წარმომადგენლები შეხვდნენ და ესაუბრნენ პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილეს, ქალბატონ ლონდა ჭანტურიას, რომლისაგანაც ყველა საკითხზე განმარტება მიიღეს, მაგრამ რატომღაც აღნიშნულმა ასახვა არ ჰპოვა გადაცემაში.

— **თქვენი სასარჩელო განცხადების ტექსტს და თქვენს მოთხოვნებს ვიცნობთ, კომპენსაციის გარდა, ფაქტების უარყოფასაც მოითხოვთ. ამ შემთხვევაში თუ არის თანახმა ბატონი ირაკლი, დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია?**

— ამაზე ალბათ თავად ბატონმა ირაკლიმ უნდა გიპასუხოთ. მაგრამ მე, როგორც ადვოკატი, გეტყვით, რომ ჩვენი მხარე თანახმაა გააბათილოს ბრალდებები. უფრო მეტიც, პროფკავშირების გაერთიანებამ ორჯერ მიმართა წერილობით „რუსთავი-2“-ს, სადაც საპასუხო




გადაცემის მომზადებას ვითხოვდით, მაგრამ წერილებს ტელეკომპანიის მხრიდან რეაქცია არ მოჰყოლია, რაც ზრდის მის პასუხისმგებლობას.

— **გადაცემა ეთერში 5 მარტს გავიდა, სარჩელის შეტანას კი ორიოდ დღეში აპირებთ. რატომ დაგვიანდა სარჩელის აღძვრა?**

— სარჩელის შეტანა არ დაგვიანებულა. უბრალოდ, ჩასატარებელი იყო მოცულობითი სამუშაო, მოსამზადებელი იყო დოკუმენტების პაკეტი. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ჩვენ არ გვეკისრება იმ ბრალდებების უარყოფა, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ გავრცელდა; პირიქით, ამის მტკიცების ტვირთი, რომ ის სიმართლეს შეეფერება, მოპასუხე მხარეს, ანუ „რუსთავი-2“-ს ეკისრება. საბოლოოდ, როდესაც გავაანალიზეთ გადაცემაში დაფიქსირებული ცილისწამებები, დაახლოებით 30-მდე ბრალდება შედგა, რომლის დამტკიცებასაც მოვითხოვთ „რუსთავი-2“-საგან.

— **თუ დააკონკრეტებთ რამდენიმე ბრალდებას მაინც?**

— დავიწყოთ იმით, რომ გადაცემაში ბატონი ირაკლის მისამართით ნათქვამი იყო შემდეგი ფრაზა: „ირაკლი ტუღუში, რომელიც 12 ლარიანი ხელფასებისა და პენსიების მოთხოვნით პერიოდულად ქუჩის აქციებს დგამს, თბილისში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია“. აღნიშნულ ფრაზაში, ჩვენთვის გაუგებარია, რაში მდგომარეობს და რით გამოიხატება „აქციების დადგმა“. ამას ალბათ ჩვენი მოპასუხეები განმარტავენ სასამართლო პროცესზე.

გარდა ამისა, საუბარი იყო პროფკავშირების შენობაში მომხდარ მკვლელობაზე. გაიჟღერა ფრაზამ, თითქოს მკვლელობიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ირაკლი ტუღუში ირონიული და მოღიმარი სახით ნახეს. სინამდვილეში კი, ამ დროს ირაკლი ტუღუში, საქართველოში ვიზიტად მყოფ პრეზიდენტ დემირელთან, ოფიციალურ მიღებაზე იმყოფებოდა. ესეც მორიგე ცილისწამება!

ამრიგად, გადაცემა ერთი რგოლია იმ დიდი ჯაჭვისა, რომელიც პროფკავშირების და მისი თავმჯდომარის წინააღმდეგაა მიმართული.

— **თქვენი აზრით, რა დაინტერესება ჰქონდა „რუსთავი-2“-ს, რომ მსგავსი გადაცემა მოემზადებინა?**

— იმის თქმა, თუ რატომ იყო დაინტერესებული, ცოტა რთულია, მაგრამ მრავალი გარემოება გვაძლევს დაეჭვების საფუძველს. საქმე ის არის, რომ გადაცემა მთლიანად ეყრდნობოდა ბატონ სოსო კაციტაძის მიერ გადაცემულ დოკუმენტებს, რომლებიც გადაცემამდე დაახლოებით 2 კვირით ადრე ჩააბარა საოლქო სასამართლოში.

მოკლედ, გადაცემა კაციტაძის წისქვილზე ასხამს წყალს, რაც გვაფიქრებინებს, ხომ არ დგას გარკვეული მოვლენების უკან ეს პიროვნება. ხოლო თუ უფრო შორს წავალთ, ანუ ვინ დგას კაციტაძის უკან, იქ უკვე საკმაოდ მრავალფეროვანი სპექტრი გადაიშლება, რადგან ესენი არიან პოლიტიკოსები და პოლიტიკური ძალები, რომლებიც სწორედ პროფკავშირების ქონებით არიან დაინტერესებულნი.

— **კონკრეტული მაგალითების მოყვანა თუ შეგიძლიათ?**

— პირველ რიგში იმ გახმაურებულ დავაზე მოგახსენებთ, რომელიც ატეხილია დელისის მეტროსთან მდებარე პროფკავშირების კულტურის სასახლის, ამჟამად კი ოფიცერთა სახლის ირგვლივ. აღნიშნული ობიექტის გამო, რომელსაც დღესდღეობით თავდაცვის სამინისტრო ფლობს, პროფკავშირების წარმომადგენლები თვით მინისტრს, ბატონ დავით თევზაძეს შეხვდნენ, რომელმაც საუბრისას განაცხადა, ეს შენობა კაციტაძემ მაჩუქა და გაუგებარია, რას მედავებითო.

მეორე, როდესაც უზენაესმა სასამართლომ გააუქმა მთაწმინდის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება და პროფკავშირების ქონების მემკვიდრედ პროფესიული კავშირების გაერთიანება (ი. ტუღუშის — ზ.ქ.) გამოაცხადა, მივედი აღნიშნული საქმის პირველად განმხილველ მოსამართლესთან და ვაუწყე ამის თაობაზე, მიპასუხა — ამ მოქალაქეთა კავშირის ვერაფერი გავიგე, ხან ასე უნდათ, ხან ისეო. დასკვნების გამოტანა მკითხველისათვის მიმინდვია.

— **და მაინც, ბატონო ლაშა, როგორ ფიქრობთ, დაკმაყოფილდება თქვენი სარჩელი?**

— წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით, სასარჩელო მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ჩვენს მხარეს არ გაუჭირდება იმის დამტკიცება, რომ ინფორმაცია მართლა გავრცელდა და მან ზიანი მოგვაყენა. ხოლო რამდენად შეძლებს მოწინააღმდეგე მხარე აბსურდული ბრალდებების დამტკიცებას, ამას სასამართლო პროცესი გვიჩვენებს.

**„კვირის პალიტრამ“ კომენტარი სთხოვა სარჩელის ერთ-ერთ მოპასუხეს, გადაცემა „60 წუთის“ ავტორს აკაკი გოგიჩაიშვილს:**

— **ბატონო აკაკი, საიდან გაჩნდა იდეა, გადაცემა პროფკავშირების საქმიანობაზე მომზადებულიყო?**

— აღნიშნული თემის შერჩევა იმავე მეთოდებით მოხდა, როგორც დანარჩენისა. ჩვენთან რეკავენ რიგითი მოქალაქეები, რომლებიც გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას ამა თუ იმ საკითხზე. რიგ შემთხვევებში მათ აქვთ საბუთები მათი ადამიანური უფლებების დარღვევის ან სხვა ფაქტების შესახებ. პროფკავშირების ირგვლივ სამი თვის განმავლობაში რეკავდნენ. ბოლოს გადაცემის მომზადებაც გადავწყვიტეთ.

— **ტუღუშის მხარის განცხადებით, გადაცემაში მოყვანილი ფაქტები და დოკუმენტები იდენტურია კაციტაძის მიერ საოლქო სასამართლოსთვის გადაცემული დოკუმენტებისა. გადაცემის მომზადებამდე თუ დაგიკავშირდათ კაციტაძე?**

— რა თქმა უნდა. ინფორმაციის ერთ-ერთი წყარო სწორედ თავისუფალი პროფკავშირები გახლდათ, რომლის თავმჯდომარე სოსო კაციტაძეა. ეს ხალხი უშუალოდ მონაწილეობდა იმ პროცესებში, რამაც დღევანდელ სიტუაციამდე მიიყვანა პროფკავშირები. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ დავუკავშირდით ირაკლი ტუღუშს და მის თანამშრომლებს, რომლებისაგანაც სამწუხაროდ ინფორმაცია ვერ მივიღეთ. ხოლო, როდესაც მათ მეორე დღეს პრესკონფერენცია მოაწყვეს, არ მივსულვართ, რადგან უკვე აღარ იყო ჩვენთვის საინტერესო. გადაცემამდე მათი პოზიციის დაფიქსირება ჩვენს ინტერესებშიც შედიოდა, რათა სიუჟეტები დაგვებალანსებინა.

**ტუღუში კომენტარზე უარს ამბობს, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში, რომელიც მისი ადვოკატის განცხადებით, არ არის საამისოდ შესაფერისი ადგილი.**

— კრწანისის რეზიდენციაში სწორედ ტუღუშთან შეთანხმებით მივედით, სადაც სამთავრობო კონფერენცია მიმდინარეობდა. თუმცა, როდესაც ბატონმა ირაკლიმ კომენტარის მიზეზი გაიგო, კატეგორიული უარი განაცხადა. გარდა ამისა, ჩვენი წარმომადგენლები რამდენჯერმე იყვნენ შრომის სასახლეში, კვლავ ტუღუშთან შესახვედრად, მაგრამ ამაოდ. გარდა ამისა, ჟურნალისტები ესაუბრნენ მის მოადგილეს, ლონდა ჭანტურიას, რომელმაც ვერანაირი დოკუმენტაციით ვერ დაგვიდასტურა მათი პოზიცია.

— **ფიქრობთ, რომ მსგავსი მოქმედებებით თავიდან აიცილეთ პასუხისმგებლობა ტენდენციურობაზე?**

— ეს იყო ჩვენი პროფესიული მოვალეობა. მცდელობა იმისა, რომ მიგვეცა მეორე მხარისთვის საშუალება დაეფიქსირებინა პოზიცია.

— **თუმცა, ფაქტია, რომ ტუღუში სასამართლოში ჩივის...**

— მას სხვა გზა აღარ დარჩენია, რადგან პროფკავშირებში შემავალი ყველა ორგანიზაცია გამოსვლას აპირებს. ფაქტობრივად დაიწყო ის პროცესი, რაც აქამდე უნდა მომხდარიყო. ჩემი ინფორმაციით ტუღუშის წარმომადგენლები ესაუბრნენ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც გამოყოფას აპირებენ და სთხოვეს, რომ სასამართლო პროცესამდე მოეთმინათ, რადგან იქ დაამტკიცებდნენ სიმართლეს.

— **პროფკავშირების ერთ-ერთი ბრალდება თქვენ მიერ ციფრების გაყალბებაა. კონკრეტულად ის 60 მილიონი, რომელიც, როგორც გადაცემაში ითქვა, საქართველოს მთავრობამ გადაურიცხა პროფკავშირებს.**

— რამდენადაც მახსოვს, გვქონდა სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები იმდროინდელი კურსის შესახებ, გავყავით და მივიღეთ ეს თანხა.

— **თუ იყო თქვენთვის და ტელეკომპანიის ხელმძღვანელობისთვის ცნობილი აღნიშნული სარჩელის შესახებ? როგორია თქვენი პოზიცია?**

— სარჩელის შესახებ პირველად თქვენგან გავიგეთ. მანამდე ჭორის დონეზე იყო ცნობილი. თუმცა ვფიქრობ, რომ მათი ბრალდებები ჩვენ მიმართ უსაფუძვლოა.

— **თავის გამართლების მთავარი კოზირი თქვენთვის რა იქნება?**

— უპირველეს ყოვლისა, გადაცემა. როგორც მოსალოდნელი იყო, საკითხის შესახებ მოსარჩელეებსაც და მოპასუხე მხარესაც განსხვავებული პოზიციები აქვთ. პროფკავშირებს იმედი აქვთ, რომ სასამართლო დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნას, მეორენი კი მიიჩნევენ, რომ ბრალდებები უსაფუძვლოა.

წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ სარჩელი საოლქო სასამართლოში მიმდინარე კვირას შედის, ამიტომ ძნელია მოსალოდნელ მოვლენათა კონტურების წარმოდგენა. მას პროცესის მიმდინარეობისას გავეცნობით.

P.S. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, 1992 წლის ივლის-დეკემბერში, ანუ იმ დროს, როცა მთავრობა პროფკავშირებს თანხებს ურიცხავდა, რუსული რუბლის კურსი დოლართან მიმართებაში ყოველკვირეულად იცვლებოდა, რაც ალბათ ზუსტი თანხის დადგენას ართულებს, რისი გარკვევაც სასამართლოს პრეროგატივაა.

***ზურა ქაჩლიშვილი***

# ყოფილი ეკლესიის საკურთხეველში ოჯახი ცხოვრობს

ამჟამად საცხოვრებელ სახლად გადაკეთებული ყოფილი წინანაურის ეკლესია, კრწანისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში, სამთავრობო რეზიდენციის გვერდით მდებარეობს. საპატრიარქოს თანამშრომელთა აზრით, ეს ეკლესია XV საუკუნეშია აშენებული და სამონასტრო კომპლექსს განეკუთვნება (XV საუკუნეში სოფელ კრწანისის მიწები საეკლესიო საკუთრება იყო და სვეტიცხოვლის ტაძარს მიეკუთვნებოდა). ეკლესიის გვერდით შენობაში კი, სადაც დღეს ხალხი ბინადრობს, მონაზონთა სამოსახლო ყოფილა. ღამის სათევად აქვე ბინავდებოდნენ ხოლმე სალოცავად მიმავალი მლოცველები, რომელთაც ხიბლავდა ღვთივსულიერ ადამიანთა სიახლოვე, ანკარა წყლის ხმაური, ჩიტების ჭიკჭიკი — მშვიდი გარემო და მშვენიერი ბუნება.

1931 წელს ეკლესიის გუმბათი აუხდიათ და აქ სამხედრო ყაზარმა გაუხსნიათ.

2-3 წელიწადში კი სამხედროები წასულან და ეკლესიაში მაცხოვრებლები შესახლებულან. თვით საკურთხეველშიც კი ხალხი ცხოვრობს(!) და აქედან დაიწყო მათი გასაჭირიც, რომელთა შესახებაც თავად მაცხოვრებლები გვიამბობენ:

**ეთერ გეგეჭკორი** — ჩემი ბავშვობის პერიოდში, ეს უკვე საცხოვრებელი სახლი იყო, მაგრამ მორწმუნე მრევლი კიდევ კარგა ხანს დაიარებოდა აქ სანთლის დასანთებად. გარედან კოცნიდნენ ეკლესიის კედლებს. ახლა კი ამბორისა და ლოცვის მაგივრად, საცხოვრებელი ოთახები აბაზანა-ტუალეტები გვაქვს მოწყობილი. ბინძური წყალი ესხმება ეკლესიის კედლებს. ვიცით, რომ ეს ძალიან ცუდია. ჩემს ოჯახში 2 ახალგაზრდაა გარდაცვლილი, 18 და 24 წლისანი — მორწმუნეები ამას ეკლესიაში რომ ვცხოვრობთ, იმას უკავშირებენ. უმეტესობას წასვლა გვინდა აქედან, მაგრამ სად წავიდეთ, როცა წასასვლელი არსადა გვაქვს.

**გივი მეძმარიაშვილი** — ჩემი და გასწვრივ მეზობლის ბინა იმ ადგილას არის მოთავსებული, სადაც უწინ ეკლესიის საკურთხეველი იყო. წარმოიდგინეთ, საკურთხეველში ქალის შესვლა არ შეიძლება და როგორია, აქ ოჯახმა იცხოვროს... პაპაჩემმა 120 წელი იცოცხლა, მამაჩემმა — 87 წელი. მე ამ სახლში გადმოსვლის იმავე წელს დამბლა დამემართა და აუტანელ ტკივილებს ვუძლებ. აქ მაცხოვრებელი ბევრი ახალგაზრდა დაიღუპა ტრაგიკულად. ღმერთმა ყველა დიდხანს აცოცხლოს და თითქმის ოჯახი არ არის, გარდაცვლილი ახალგაზრდა არ ჰყავდეს. შეშინებული ვარ, ჩემს გოგონას და მეუღლეს ოთახში



არ ვუშვებ, შუშაბანდში სძინავთ, 9 წლის ბიჭი ბავშვთა სახლს მივაბარე ალსაზრდელად.

აგერ რომ უყურებთ, ჩვენს წინ მშვენიერი ბაღია, მაგრამ რად გინდა, როგორ უნდა შეჭამო ხის ნაყოფი? — ბარს რომ დავკრავდი, ძვლები და თავის ქალები ამოდიოდა. ამ ეკლესიასთანაც უწინ სასულიერო პირთა სასაფლაო ყოფილა.

...სამთავრობო რეზიდენციის გვერდზე, ნადიკვრის ქუჩის ბოლოში კოტეჯები აშენდა პატიაშვილის დროს. მერე არეულობა რომ დაიწყო, იქაურობას არც ფანჯრები შეარჩინეს, არც კარები, ახლა იქ აღარავინ ცხოვრობს. ნუთუ არ შეიძლება ჩვენ იქ შეგვასახლონ და ამ ეკლესიიდან გაგვიყვანონ...

**მარიამ არდაზიანი** — არა, ისეც ნუ წარმოიდგენთ, თითქოს ჩვენ ღმერთი მხოლოდ უბედურებას გვიგზავნის. ხშირად გვიფარავს კიდეც. ამას წინათ, აი იმ კლდიდან ჩამოვარდა ერთი ბავშვი და გადარჩა. ჩემი შვილიც, წლინახევრისა რომ იყო, მეზობლის კაცმა გადაარჩინა სიკვდილს, „ტრუბაზე“ იჯდა და იმ კაცს რომ არ მოესწრო, ხევში გადავარდებოდა.

ისე კი ეკლესიაში ცხოვრება მართლა არ შეიძლება. მით უფრო, აქ ბევრი ამოუხსნელი რაღაცები ხდება. ამ ხევში რომ წყალი ჩამოდის, ოდითგანვე თურმე ფერს იცვლიდა ხოლმე გაზაფხულობით. შარშან — 1999 წლის აღდგომა დღეს სრულიად გაწითლდა. მეზობელმა ლაბორატორიაში წაიღო გასასინჯად და ასე უთქვამთ — არანაირი ხელოვნური მინარევი არა აქვსო.

მაცხოვრებლები ამასაც ჩივიან: თავის დროზე სახლმმართველობაში უკანასკნელი კაპიკი წაგვგლიჯეს, ბინების „პრივატიზაცია“ რომ გაგვეკეთებინა. მოგვატყუეს, თუ „პრივატიზაცია“ არ გექნებათ გაკეთებული, აქედან ისე გაგყრიან, სანაცვლოდ არაფერს მოგცემენო... (როგორც ძეგლთა დაცვის სამმართველოში გავარკვიე, კულტურული ძეგლის „პრივატიზაციის“ უფლება სახლმმართველობას არ ჰქონია — ნ.ტ.).

საბოლოოდ, ზემოაღნიშნული საკითხის თაობაზე საპატრიარქოს პრესცენტრის თანამშრომელს — თეიმურაზ საგანელიძესაც გავესაუბრეთ. ბატონი თეიმურაზი ყოვლად დაუშვებელ მოვლენად მიიჩნევს ეკლესიაში მოსახლეობის ცხოვრებას. ამას გარდა, ბატონი თემური ფიქრობს, რომ ამ უბანში მონასტრის აღდგენა მთავრობისთვისაც სასარგებლო იქნება. ჯერ ერთი, მონასტრის მონაზვნები ყოველდღიურად ილოცებენ „მთავრობისა და მისი მხედრობის“ სულიერი კეთილდღეობისთვის, მეორე: თუ მონასტერი აღდგა, სამთავრობო დაცვას საქმე გაუადვილდება.

წერილის ავტორი კი ფიქრობს, რომ თუ პრეზიდენტი ინებებს სამონასტრო კომპლექსის აღდგენას (თუნდაც თანდათანობით, ჯერ საკურთხეველში მაცხოვრებელი ოჯახები დააკმაყოფილონ ბინით და იქ სამლოცველო ოთახი გახსნან), არჩევნების წინ მისი მხრიდან ერთი სალვთო საქმე გაკეთდება.

***ნინო ტარყაშვილი***

# — მხოლოდ აფხაზეთის მხრიდან არ ყოფილა დალალატების ფაქტები...

რა ვიცით ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დღევანდელობაზე?! რა ვიცით, გარდა იმისა, რასაც ოფიციოზები გვეუბნებიან, რაზეც დახურულ კარს მიღმა საუბრობენ?! — პრაქტიკულად, არაფერი. თუმცა, საბედნიეროდ, გარდა იმისა, რომ ერთმანეთს ქართულ-აფხაზური ჩინოვნიკები ხვდებიან, ერთმანეთს ინტენსიურად ხვდებიან და ესაუბრებიან უბრალო მოკვდავნიც ანუ ადამიანები, რომელთა ნაუბარიც უფრო დასაჯერებელია (მათივე არასახელისუფლებო სტატუსის გამო)... და კიდევ, რა მდგომარეობაა ტყვეთა გაცვლისა და ქართველ მეომართა გადმოსვენების საქმეში? ასობით მეომრის დაუტირებელ ცხედარს ხომ ჭირისუფლის ცრემლი ჯერ არ ღირსებია.



ტყვეთა გაცვლის მომენტი, შუაში პაატა ზაქარეიშვილი

ამ თემაზე „კვირის პალიტრას“ ესაუბრა ტყვეთა გაცვლისა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიების კომისიის ყოფილი ხელმძღვანელი (ამჟამად კომისიის წევრი), ქართული და აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაციების კოორდინატორი, ბატონი პაატა ზაქარეიშვილი. მისი შეხვედრები აფხაზებთან დღეს „უჰალსტუხოდ“ მიმდინარეობს. ამდენად, მათ ურთიერთობაში მეტი გულწრფელობაა, ვიდრე ნებისმიერი რანგის დიპლომატთა ვიზიტში. ჩვენი დიალოგიც სწორედ ამ ნიშნით წარიმართა.

**— ბატონო პაატა, თქვენ აფხაზებს ხვდებით როგორც არაოფიციალური პირი. როგორ ახერხებთ ამას და რა კატეგორიის ადამიანებთან გაქვთ ურთიერთობა?**

— რაც შეეხება კატეგორიას, გეტყვით, რომ ვხვდები ყველას: იქნება ეს არძინბას ხელისუფლება, უბრალო მოსახლეობა თუ ინტელიგენცია. ჩემი ურთიერთობა, უფრო სწორად, ურთიერთნდობა აფხაზებთან კი მოდის იმ დროიდან, როცა ტყვეთა გაცვლას ვკურირებდი. არ ვაპირებ დამალვას, რომ აფხაზ ტყვეებს კარგად ვექცეოდი. ვიცოდი, როგორც მოვექცეოდი აფხაზ ტყვეს, ისევე მოექცეოდნენ ქართველ ტყვეს. ჩემი მუშაობის ასეთმა სტილმა გაამართლა და გულწრფელობის მომენტი აფხაზებთან დღემდე შენარჩუნებული მაქვს.

**— არძინბას ხელისუფლებას რამდენად ხშირად ხვდებით?**

— ძალიან ხშირად. თვითონ არძინბას იშვიათად, უფრო მეტად მეორე-მესამე რანგის პირებს ვხვდები. მათთან საუბრისას ყოველთვის ერთი შთაბეჭდილება მრჩება. მზად არიან, მოისმინონ ჩვენგან რაღაც ახალი, პერსპექტიული წინადადება ურთიერთობის დასაწყისისთვის; ოღონდ არ სურთ მოისმინონ, რომ მოგვიწყვეს გენოციდი; რომ ისინი ჩამოსულები არიან და სხვა.

**— ლტოლვილების დაბრუნებაზე აფხაზები რა აზრის არიან?**

— აფხაზეთის ინტელიგენციას კარგად ესმის, რომ მას, როგორც სამოქალაქო საზოგადოებას არავინ არ აღიარებს, თუ თავის მიწა-წყალზე არ დააბრუნა ლტოლვილები, არ დაიცვა მათი უფლებები.

**— რა იცით ქართულ-აფხაზურ კონტრაბანდულ დაჯგუფებებზე?!**

— ამაზე არაერთხელ გვისაუბრია. ჩვენც და მათაც კარგად ვიცით, რომ ასეთი ალიანსი აქვთ არა მარტო კერძო მოქალაქეებს, არამედ მაღალჩინოსნებსაც. სამწუხაროდ, მე ვამჩნევ ერთ მსგავსებას ჩვენ შორის: ვწუხვართ არა იმაზე, რომ კორუფციაა, არამედ იმაზე, რომ ამ კორუფციაში ვერ ვმონაწილეობთ. სანამ ასეთი აზროვნება არ შეიცვლება, მანამ იარსებებენ კონტრაბანდისტები, კორუმპირებულები და ა.შ.

**— რამდენიმე წლის წინ თქვენ ტყვეთა გაცვლის კომისიას ხელმძღვანელობდით. ამბობენ, მაშინ (და ახლაც) კომისიის წევრები ფულს შოულობდნენო...**

— მე ამ კომისიაში 1995 წლის თებერვლამდე ვმუშაობდი. კომისიის თავმჯდომარე სანდრო კავსაძე იყო, მე — მოადგილე. კავსაძემ მთელი ბერკეტები მე გადმომაბარა. კომისიის ყველა მაშინდელი საქმის სისუფთავეზე პასუხისმგებელი ვარ. მაშინ ბევრი ჩემი სახელით სარგებლობდა, ამიტომ ყველას ვეუბნებოდი, რომ უშუალოდ დამკავშირებოდნენ. შემიძლია, ხმამაღლა განვაცხადო: არ არსებობს კაცი, რომელიც იტყვის, ზაქარეიშვილს ფული მივეცი და ტყვე ისე დამიბრუნაო. ტყვეთა დაბრუნებას, გადაცვლას და დაღუპული მეომრის გადმოსვენებას კომისია უსასყიდლოდ ახორციელებს. თუმცა, ჩემს მუშაობაში იყო შემთხვევები, როცა მოვიდნენ და მითხრეს, აფხაზებმა ფული მოგვთხოვესო. ამ რამდენიმე ხნის წინ ერთი შემთხვევაც იყო: ოჯახს მიცვალებულის გადმოსასვენებლად ფული გადაუხდია (ვის გადაუხადეს, არ ვიცი). გადმოასვენეს კიდეც, მაგრამ მოგვიანებით ექსპერტიზამ გაარკვია, რომ გვამი ქალის იყო და არა კაცის. მინდა ვთქვა, რომ ასეთი მოულოდნელობები გამორიცხული არა არის. საფლავის ადგილმდებარეობას იმ მეომრებისგან ვიგებთ, რომელთაც დამარხეს მიცვალებული. ხანდახან ინფორმაციას მესამე პირისგანაც ვიღებთ, ეს კიდევ უფრო არასაიმედოა...

**— ტყვეთა გაცვლაზე შეთანხმება როგორ ხდება: რიცხობრივი თანხვედრით თუ პირადი მოლაპარაკებით? და საერთოდ, აფხაზებს თუ გაუწევიათ თქვენთვის საფლავების მოძიების დროს დახმარება?**

— გავიხსენებ რამდენიმე ასეთ ფაქტს. აფხაზებმა მიგვასწავლეს ძმათა სასაფლაო, სადაც შვიდი ქართველი იყო დამარხული. შვიდივე მეომარი აფხაზებს მოუკლავთ და მერე დაუმარხავთ. ყველა გვამი თბილისში გადმოვასვენეთ. მათი ვინაობა აფხაზებისგან ვიცოდით. ექვსი ჭირისუფალმა ამოიცნო, მეშვიდემ თქვა, ჩემი არ არისო. ალბათ, ჭირისუფალს არ უნდოდა დაეჯერებინა... მოკლედ, ის მეშვიდე ძმათა სასაფლაოზე დავმარხეთ, როგორც უსახელო მეომარი. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როცა აფხაზებისთვის საკუთარი ხელით მიმიყვანია მათი მიცვალებული: გალის ერთ-ერთი სოფლიდან, ნისლიან ამინდში გამოვათრიე აფხაზი ბოევიკის გვამი. იმ სოფელში პოზიციები ქართველებს ეჭირათ, ამიტომ აფხაზების გამოჩენა საშიში იყო; ნისლის გამო კი თეთრი დროშა არ ჩანდა. იმ მიცვალებულში აფხაზებმა 25 ქართველი ტყვე გადმომცეს — მოლაპარაკება წინასწარ გვქონდა. კიდევ ერთს გავიხსენებ: ხურჩას რომ ბომბავდნენ, თბილისში ერთი ამბავი ატყდა, რუსეთის სამშვიდობო ძალების შემოყვანაზე ალაპარაკდნენ, აქაოდა, ხურჩას ბომბავენო. სინამდვილეში საქმე სხვანაირად იყო. იქ ვიყავი და ვიცი, რამაც განარისხა აფხაზები. მათი რვა ბოევიკი ტყვე ჰყავდათ ქართველ მებრძოლებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ მოსკოვიდან არძიმბას ნათესავი, კანონიერი ქურდი ჩამოვიდა მოსალაპარაკებლად. სამი დღე და ღამე მე და სანდრო კავსაძე წვიმაში და ტყეში ვაწარმოებდით მოლაპარაკებას. რვავე ტყვე დავაბრუნეთ, სანაცვლოდ კი აფხაზებმა 27 ქართველი დაგვიბრუნეს.

**— რატომ ვერ ფუნქციონირებს კომისია დღეს ნაყოფიერად?**

— ამას თავისი მიზეზები, ბუნებრივია, აქვს. უნდა გითხრათ, რომ აფხაზეთის ანალოგიურ კომისიასთან ურთიერთობა გართულდა. აფხაზური კომისიის შემადგენლობა მთლიანად შეიცვალა, ჩემი ხელმძღვანელობის დროს იქ სრულიად სხვა ხალხი იყო... ამას ერთვის სიტყვის გატეხის მომენტებიც. სამწუხაროდ, მხოლოდ აფხაზების მხრიდან როდი ყოფილა დალალატების ფაქტები. პირობის დარღვევის შემთხვევები კი თანამშრომლობას ძირს უთხრის. არადა, კომისიაში რვაასამდე განცხადებაა შემოსული, ჭირისუფლები უგზოუკვლოდ დაკარგულ მეომართა მოძიებას გვთხოვენ. აქედან 250-მდე ჩვენ გადმოვასვენეთ; დანარჩენების მოძიება კი, როგორც უკვე გითხარით, გართულებულია. თუმცა, მუშავდება საგანგებო პროგრამა. მანამდე კი კომისია ძირითადად ლტოლვილთა უფლებების დაცვით, მათი სოციალური ყოფის გაუმჯობესებით შემოიფარგლება.

**— გმადლობთ საუბრისთვის.**

***ქეთი ბერეკაშვილი***

# „რამე პრეტენზია ხომ არა გაქვს, ბიჭო?!.“

დაახლოებით ორი კვირის წინ, ღამის 11.30 სთ-ზე, მეტროსადგურ დიდუბეში შესულმა ოთხმა უზომოდ ნასვამმა ახალგაზრდამ ერთ სრულიად უცნობ თანატოლს საკმაოდ უხეშად მოსთხოვა სავარძლიდან ადგომა და სხვაგან გადაჯდომა. ვაგონი თითქმის ცარიელი იყო და ბიჭმა, თავის მხრივ, შესთავაზა მათ, სხვაგან დამსხდარიყვნენ. ამის პასუხად ერთ-ერთმა იმ ოთხთაგან, ბიჭს საყელოში ჩაავლო ხელი, წამოაყენა, ვაგონიდან ვაგონში გასასვლელ კარზე მიანარცხა და ერთი გვარიანადაც შეუკურთხა. შეურაცხყოფილმა სიტუაციის გამწვავებას თავი აარიდა და ვაგონის მეორე მხარისკენ გაემართა. მაგრამ მომხვდური არ მოეშვა, უკან გაჰყვა, შეაჩერა და ზიზღნარევი ირონიით ჰკითხა, — რამე პრეტენზია ხომ არა გაქვს, ბიჭო? და თან არცთუ გამეტებით პანღური ამოარტყა. ბიჭმა დამცირება ველარ აიტანა, ხელი ჰკრა მას... კამათი ხელჩართულ კონფლიქტში გადაიზარდა. აგრესორს თავისი ამფსონებიც მიეხმარნენ, მხოლოდ ერთი მათგანი ცდილობდა სიტუაციის განეიტრალებას, თუმცა მაინცდამაინც დიდი მონდომებით არა. ვაგონში მათ გარდა სულ ხუთიოდე მგზავრი თუ იმყოფებოდა. მათგან ერთ მამაკაცს ღრმა ძილით ეძინა, მეორე კი თავდაპირველად რატომღაც ვერ ამჩნევდა ახალგაზრდების დაუნდობელ სისასტიკეს. დანარჩენი ორი კი შუახნის ქალბატონი და ერთი მცირეწლოვანი გოგონა იყო. ვერ გეტყვით, რამდენ ხანს გააგრძელებდნენ ხულიგნები უკვე ძირს დაგდებული ბიჭის ფეხქვეშ გათელვას, ის ბავშვიანი ქალბატონი რომ არ გადაფარებოდა წაქცეულს და მათთვის ხელი არ შეეშალა (თურმე მხოლოდ ამის შემდეგ გაბედა იმ მამაკაცმა საქმეში ჩართვა).



სადგურ „ახმეტელის თეატრის“ ბაქანზე სხვა ვაგონებიდან გამოსული მგზავრები (მათ შორის მეც) თავად შევესწარით იმ ფაქტს, თუ როგორი გაჭირვებით გამოვიდა ცემით დასისხლიანებული ბიჭი მატარებლიდან (მთვრალები სადგურ „სარაჯიშვილზე“ ამოსულიყვნენ).

ეს ფაქტი არ გახლავთ გამონაკლისი შემთხვევა ახალგაზრდებს შორის მომხდარი უაზრო დაპირისპირებისა და ალბათ ბევრი თქვენგანი მსგავს უსიამოვნო სიტუაციას არცთუ იშვიათად შესწრებია. ფიზიკური თუ სიტყვიერი შეხლა-შემოხლის მიზეზები ზოგჯერ გოგონას შეურაცხყოფა გამხდარა, ზოგჯერ სიგარეტის უქონლობა, გრძელი თმა და ა.შ. მაგრამ უფრო ხშირად უმთავრესი მიზეზი სიმთვრალეა, რაც ერთი-ორად ზრდის დღევანდელ ახალგაზრდებში ჩაბუდებულ აგრესიას, რომლის გამოვლინებაც საკმაოდ დაუნდობელი ფორმით ხდება და სავალალო შედეგითაც მთავრდება. როგორც მეტროპოლიტენის დაცვის თანამშრომლებმა გვითხრეს, მათ ხშირად უხდებათ ნასვამ ახალგაზრდებთან ურთიერთობა და მსგავსი კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვა. ბოლოს ისე ხდება ხოლმე რომ ჩვენზე იწევენ, გვაგინებენ, შეურაცხყოფას გვაყენებენ და ამ ყოველივეს ვითმენთ, რადგან არა გვაქვს უფლება, საკადრისი პასუხი გავცეთ. დღეს მოქალაქეთა უფლებების დამცველი ბევრია და ჩვენი უფლებები რომ ილახება, ამაზე არავინ ლაპარაკობს... დარჩით გვიანობამდე აქ და თავადვე ნახავთ, რამდენი მთვრალი ადამიანის მოგონიერება და მაღლა ამოყვანა გვიწევს ყოველდღე, — უკმაყოფილება ვერ დამალა დაცვის ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

სტატისტიკურ მონაცემებს თუ დავეყრდნობით, დანაშაულთა და განსაკუთრებით ხულიგნობის ფაქტების დიდი ნაწილი მთვრალ მამაკაცებზე მოდის და ეს ყოველივე ხდება ძირითადად საღამოს საათებში, არა მარტო მეტროპოლიტენში, არამედ ქალაქის ნებისმიერ ჩაბნელებულ თუ შედარებით განათებულ უბნებში. ცხადია, ჭარბი ალკოჰოლის მოყვარულთათვის მორალის კითხვას არ შევუდგებით, მაგრამ დავძენთ, რომ სიმთვრალეში ჩადენილი ერთი უბრალო სისულელე ბევრს ძალზე ძვირად უჯდება. ამ აზრს ქვემოთ მოყვანილი ფაქტიც ადასტურებს.

ნაძალადევის რაიონის პოლიციის მე-3 საქალაქო ქვეგანყოფილების უფროსი ბაჩო ბაზიერიშვილი: 18 მარტს, დაახლოებით ღამის 11 საათზე, მეტროსადგურ „სარაჯიშვილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, სამარშრუტო ტაქსების გაჩერებასთან ააფეთქეს „РГД-5“-ის ტიპის ხელყუმბარა. ოთხმა მოქალაქემ მიიღო სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება, რომელთაგან სამი საავადმყოფოში მკურნალობს. ეს პიროვნება აღმოჩნდა სამხედრო მოსამსახურე (გვარს არ ვასახელებთ, — რედ.), რომელიც იმ დღეს გათავისუფლებული იყო ნაწილიდან. როგორც ვითარების გაცნობის შემდეგ გაირკვა, ეს პიროვნება, მისი ძმა და კიდევ მათი მეზობელი, იმ საღამოს აღნიშნულ ტერიტორიაზე დათვრნენ. დაახლოებით ღამის 11 საათისთვის, როგორც ჩანს, მათ სასმელი შემოაკლდათ და ერთ-ერთ უკვე დაკეტილ ჯიხურს დაუწყეს მტვრევა. ურტყამდნენ ფეხებს და თან უმისამართოდ იგინებოდნენ. ნაძალადევის რაიონის პოლიციის დაცვის თანამშრომლებმა შეძლეს მათი დაკავება, თუმცა ერთ-ერთმა, რომელმაც შემდგომ ხელყუმბარა ააფეთქა, გაქცევა მოახერხა. როდესაც მომხდურები დაწყნარდნენ და ყველაფერი გაირკვა, თანამშრომლებმა გაათავისუფლეს ორივე დაკავებული. სულ მალე მათთან ხელყუმბარით ხელში გაქცეული მობრუნდა (როგორც ჩანს, შინიდან მოიტანა), იმუქრებოდა აფეთქებით და ითხოვდა მისი ძმის და მეზობლის გათავისუფლებას. თანამშრომლებმა აუხსნეს, რომ ისინი უკვე დიდი ხანია, გავუშვითო, მაგრამ ეტყობა, მომხდურმა არ დაიჯერა, გახსნა ხელყუმბარა და სამარშრუტო ტაქსების გაჩერებისკენ ისროლა. საგრძნობლად დაზიანდა ორი სამარშრუტო ტაქსი, რომლებმაც, ფაქტობრივად, დაიცვა მოქალაქეები უფრო მძიმე შედეგებისგან. იმავე დღეს სამივე პირი დააკავეს და ამჟამად აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 17-104 მუხლით, რომელიც ითვალისწინებს განზრახ მკვლელობის მცდელობას.

ალბათ დაგვეთანხმებით, შესაძლოა, აღნიშნული ინციდენტი საერთოდ არ მომხდარიყო, ახალგაზრდებს სასმლის მიღებისას ცოტა თავშეკავება რომ გამოეჩინათ. ზოგიერთი მოზარდი ალკოჰოლით გაბრუებას ვაჟკაცობად მიიჩნევს და ჰგონია, რადგან მთვრალია, მათივე ტერმინოლოგიით, „მაგარი ბიჭია“. არადა ვაჟკაცობა ის უფროა, როდესაც საკმაოდ ნასვამი ხარ და ეს ნაკლებად იგრძნობა ან თავად ცდილობ, ვერ შეგატყონ. რთულია განსაზღვრო, რა შეიძლება დაუპირისპირო ასეთი ახალგაზრდების გამომწვევ, აგრესიულ გამოხდომებს და ბილწსიტყვაობას, რომელიც საზოგადოებას აღიზიანებს. თუ აღნიშნულ პრობლემას განვაზოგადებთ და უფრო სიღრმისეულად შევეცდებით მისი გამომწვევი მიზეზების დადგენას, ერთ-ერთ უმთავრეს გამოსავალს ახალგაზრდობის ეკლესიისკენ შემობრუნებაში დავინახავთ, რაც ამ ბოლო დროს საკმაოდ თვალშისაცემია. თუმცა ზოგიერთისთვის, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ მოდაა და მიმტევებლობის თუ მოყვასისადმი სიყვარულის შეგრძნება მათში არცთუ ღრმადაა გამჯდარი. პირადად ვიცნობ პიროვნებას, რომელიც ერთ დღეს ეკლესიაში ხატის წინ ანთებული სანთლით ხელში ლოცულობდა და ოთხი დღის შემდეგ კი სიმთვრალეში სრულიად უმიზეზოდ თავისივე თანატოლი დანით დაჭრა. იქნებ მათ ასეთ პიროვნებებად აღზრდაში მშობლებთან და საზოგადოებასთან ერთად ეროვნული იდეოლოგიის უქონლობასაც მიუძღვის წვლილი? გვიჭირს პასუხის გაცემა. ერთი კი ფაქტია, რომ დედაქალაქი ღამით სულ სხვა ხმაურიანი ცხოვრებით ცხოვრობს და იგი დიდი ხანია შეეჩვია ჩხუბს, აყალმაყალს, ძარცვა-ყაჩაღობას, ტროტუარებზე მძინარე ლოთ-მაწანწალებს, და მეძავთა სიმრავლეს.

გიხაროდეთ, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ ნამდვილ კაპიტალიზმში შევედით!

***მამუკა ხუციშვილი***

# დედებისგან შვილების განწირვის ფაქტებს ხომ არ შევეგუეთ!

პირველ მარტს, დილით, სამგორის რაიონის ერთ-ერთ სანაგვეზე პოლიეთილენის პარკში გახვეული ახალშობილი ბიჭუნას გვამი იპოვეს(!). სამგორის რაიონის პოლიციამ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დამატებითი ინფორმაციის მოცემაზე თავი შეიკავა.

მას შემდეგ თითქმის თვე გავიდა.

პოლიცია კვლავ დუმს.

გამოძიებისთვის საჭირო სამხილის არარსებობის გამო საქმის დახურვას ვარაუდობენ. ამ შემთხვევას კი შემდეგნაირად ხსნიან: ვიღაცამ მკვდარი ბავშვი შობა ან მშობიარობის შემდეგ მოუკვდა და გვამი სანაგვეზე გადააგდო, აბა ხომ არ დამარხავდაო!

ამ ტრაგიკულმა შემთხვევამ ერთი ამბავი გამახსენა: ბავშვობაში სოფელში ძაღლი გვყავდა, ბიმბო. ძალიან მიყვარდა. ლეკვები რომ დაყარა, ბებიამ გადაწყვიტა, ერთი ლეკვი დაეტოვებინა, დანარჩენი კი გადაეყარა.

ღრიალითა და ცრემლის ღვრით ბებიას განზრახვა შევაცვლევინე.

მახსოვს დედაძაღლის მადლიერი თვალები.

სამწუხაროდ, ლეკვები ორ კვირაში დაიხოცა.

ბიმბომ სათითაოდ სადღაც გაზიდა მკვდარი ლეკვები.



ჩუმად უკან მივყევი და... ვუყურე, როგორ დამარხა შვილები.

მერე იმ ადგილს მუდამ გვერდს უვლიდა...

სულაც არ მინდა ადამიანისა და ცხოველის მშობლიური გრძნობები ერთმანეთს შევადარო.

ვინ იცის, რა დაემართა ქალს, რომელმაც მკვდარი შვილი შობა. ეგებ მწუხარებისგან შეიშალა, ეგებ თავადაც აღარ არის ცოცხალი...

დარწმუნებული ვარ, რომ გონსმყოფი დედა არ გასწირავდა ცოცხალ შვილს, ვერც იმას დავიჯერებ, რომ დედამ თუნდაც მკვდარი შვილი სანაგვეზე დააგდოს.

მაშ რა მოხდა, როგორ აღმოჩნდა უმწეო ჩვილის გვამი ასეთ ადგილას?

ათასი კითხვა და ეჭვის ჭია მღრღნის გულსა და გონებას და მახსენდება: „შვილო, სიკვდილში შეგენაცვლე, შვილო, ცრემლების სამკაულო“...

მკითხველო, დედებისგან შვილების განწირვის ფაქტებს ხომ არ შევეგუეთ და გულგრილი გავხდით? სინამდვილე კი მართლაც მკაცრია და დაუნდობელი. ძნელია უპასუხო უამრავ კითხვას, როდესაც არ ვიცით, რა დგას ზემოთ აღნიშნული ფაქტის მიღმა.

ვიდრე წარმოდგენილი „ნეკროლოგის“ ადრესატის ბიოგრაფიას რაიმე ახალი ინფორმაცია შეემატებოდეს, ისღა დაგვრჩენია, ეს შემზარავი ფაქტიც ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ქალაქის ცხოვრების ერთ-ერთ ტრაგიკულ ფურცლად მივიჩნიოთ და ღმერთს პატარა ბიჭუნას სულის შეწყალება შევთხოვოთ.

***ეკა ლომიძე***

# შევარდნაძეს კაშპიროვსკობას ნუღარ დავაბრალებთ!



ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობენ 1977 წლის 23 ივლისს თბილისის ვ.ი. ლენინის სახელობის დინამოს სტადიონზე მომხდარ ინციდენტზე, რომლის შესახებაც მაშინდელ პრესაში (გასაგები მიზეზების გამო) თითქმის არაფერი დაწერილა. ამან ბევრს მისცა საშუალება, თავისი ინტერპრეტაციით წარმოაჩინოს და მისთვის სასურველ ჭრილში დაინახოს ეს ფაქტი. ზოგი ისე სახავს მოვლენას, თითქოს იმ დღეს სტადიონზე კრწანისის ომი გამართულიყო, დახოცილთა და დაჭრილთა სისხლით მტკვარი გაწითლებულიყო. ზოგი კი დღევანდელი პრეზიდენტის საამებლად ისე გადმოსცემს ამ ამბავს, ლამის შევარდნაძეს, თუ მეტი არა, კაშპიროვსკობა დასწამოს — გადავიდა სტადიონზე, ეგზალტირებულ გულშემატკივრებს თვალებში ჩახედა, უთხრა — რას შვრებით, შვილებოო — და, თურმე ყველა დარცხვენილი და თავჩაქინდრული გაუდგა სახლის გზას.

რაც სტადიონზე ედუარდ შევარდნაძემ მაშინ მოიმოქმედა, თავისთავადაა გამბედაობის, უშიშრობის, ვაჟკაცობისა და საკუთარი ერის წინაშე ყოველგვარი პასუხისმგებლობის ნიმუში. ამ ღირსებების უკეთ წარმოსაჩენად სულაც არ არის საჭირო, ისეთი რამ მოიგონო, რაც მოკლებულია რეალობას, მით უმეტეს, თუ ეს შენი ფანტაზიის ნაცოდვილარი უფრო აკნინებს და აფერმკრთალებს კაცის დამსახურებას.

იმდენად, რამდენადაც თავად გახლდით იმ მატჩის უშუალო მხილველი და შემდეგ განვითარებული მოვლენების ერთ-ერთი მომსწრე, თავს უფლებას მივცემ, შესაძლო სიზუსტით მოგითხროთ ყოველივე, რაც მაშინ დინამოს სტადიონზე მოხდა და რაც რიგითი გულშემატკივრის თვალისთვის მისაწვდომი იყო.

...როგორც იტყვიან, კარგ საფეხბურთო ამინდში ულიმლამოდ ჩატარებული მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა. ჩვენმა ბიჭებმა მთელი 80 წუთის განმავლობაში მინდორზე მშვიდად ისეირნეს და ბოლოს, როგორც იქნა, თავი მოიფხანეს. ჯიქურ შეუტიეს ვოროშილოვგრადის „ზარიას" კარს. ტრიბუნებზე მრავლადმოსული მაყურებელიც გამოფხიზლდა და ბოლო წუთებს ფეხზე მდგარი, ემოციური ყიჟინით ადევნებდა თვალს. მატჩის დამთავრებამდე ორი, სამი წუთით ადრე სტადიონის ტაბლოზე საათი „გაჩერდა" (ამ მეთოდს იმ პერიოდში არცთუ იშვიათად იყენებდა სტადიონის ტექნიკური პერსონალი. ეს თავისებური ფსიქოლოგიური სვლა იყო, ერთის მხრივ მაყურებლის და მეორე მხრივ მსაჯების მისამართით გათვლილი). მოგეხსენებათ, ჩვენთვის არასასურველი შედეგის დროს ძალიან სწრაფად გარბის ხოლმე დრო და უნებლიეთ მის შეჩერებას ვნატრობთ. ამიტომ ტაბლოზე გამოხატული ასეთი „ეშმაკობა" მაყურებელთა გულუბრყვილო უმრავლესობისთვის ნატვრის სასწაულებრივი ახდენა იყო და, აქედან გამომდინარე, იმედიც. მსაჯს კი, თუ იგი ჩვენ მიმართ ოდნავი დახმარების სურვილით მაინც იქნებოდა გამსჭვალული (რაც საბჭოთა ფეხბურთში იშვიათად ხდებოდა) საშუალებას აძლევდა, ერთი-ორი წუთით გაეწელა დრო ჩვენს სასარგებლოდ. ამ საკითხზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ იმაზე, რაც მატჩის შემდეგ მოხდა, მნიშვნელოვნად იმოქმედა თავად ტაბლოს ასეთმა ტრიუკმა, რადგან ბოლო წუთზე მეტოქის საჯარიმოში ერთ-ერთი დინამოელის გაურკვეველ ვითარებაში წაქცევისას პენალტის დაუნიშნაობით გამოწვეულ მაყურებელთა უკმაყოფილებას ისიც დაემატა, რომ არბიტრმა თამაში იმწამს დაამთავრა. ზოგიერთმა გამწარებულმა გულშემატკივარმა, სტადიონის საათზე აუნთებლად დარჩენილი ერთი თუ ორი ნათურა ისე აღიქვა, რომ მატჩი ხუთი წუთით ადრე დამთავრდა. ამას მოჰყვა მაყურებელთა გამაყრუებელი სტვენა და მსაჯების მიმართ საოცარი ერთსულოვნებით ატეხილი რუსულენოვანი გინება, რომლის „აკომპანიმენტზეც" ფეხბურთელებმაც და არბიტრებმაც სირბილით მიაშურეს გასახდელს. ამ დროს ვიღაცამ, წესისამებრ, პირველ ორ რიგში გამწკრივებულ მილიციელებსა და მერვე პოლკის ჯარისკაცებს ქუდი გადაუგდო მინდორზე, რის შემდეგაც, როგორც ერთნი, ისე მეორენი შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად სარბენ ბილიკებზე გადავიდნენ, ხოლო შემდეგ იძულებულნი გახდნენ ტრიბუნიდან ნასროლი ბოთლები თუ სხვა საგნები რომ აეცილებინათ, მოედნის ცენტრში შეგროვილიყვნენ. უცნაური სანახავი იყო თეთრ წრეში მოქცეული, ერთმანეთს მჭიდროდ მიტმასნილი მილიციელები და ჯარისკაცები, რომელთა ქუდების წითელი არშიები, როგორც კორიდას ხარებს, ისე აღიზიანებდათ განრისხებულ გულშემატკივრებს. არადა, არავინ ფიქრობდა სტადიონიდან წასვლას...

ვერ გეტყვით, ვისი მითითებით და სარბენ ბილიკებზე სახანძრო მანქანები გამოჩნდნენ. სავარაუდო წყლის ჭავლის შიშით ტრიბუნებზე მდგომი გულშემატკივრები ზევით აცვივდნენ და იქიდან დაუშინეს მანქანებს „ჭურვები". მინაჩამტვრეულმა ავტომანქანებმა კუდამოძუებული, დამარცხებული იერით დატოვეს სტადიონი. ამის შემდეგ წესრიგის დამცველებს ერთი მაღალჩინოსანი, ჭარმაგი მილიციელი გამოეყო და სამხრეთ ტრიბუნებისკენ გასწია. საკონტაქტო მანძილზე მან წესრიგისა და სიმშვიდისკენ მოუწოდა მაყურებელს, მაგრამ ეს „მოწოდება" ხეირიანად დაწყებულიც არ ჰქონდა, რომ თავში სნაიპერის სიზუსტით გამოსროლილი ქვა მოხვდა და... რამდენიმე კაცმა ხელით გაიყვანა თავდასისხლიანებული პოლკოვნიკი.

სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა. ავისმომასწავლებლად, ფუტკრის სკასავით ზუზუნებდა სტადიონი. განსაკუთრებით ჩოჩქოლებდა და ტორტმანებდა ხალხი აღმოსავლეთ ტრიბუნაზე, სადაც, ცნობილია, სხვაზე მეტად ექსცენტრიკული მაყურებელი იყრის ხოლმე თავს. სწორედ იქიდან წამოვიდა პირველი ნიაღვარი. რამდენიმე ასეული კაცი მინდორზე გადახტა და ვფიქრობ, წინასწარგანზრახვის გარეშე დაედევნა მათ დანახვაზე შეშინებულ და საპირისპირო მხარეს გაქცეულ, მართლაც რომ თავქუდმოგლეჯილ წესრიგის მცველებსა და ჯარისკაცებს. ქუდები ყაყაჩოსავით გაიშალა მწვანე მინდორზე. რამდენიმე წაქცეულს კი ფეხით გადაუარა გულშემატკივართა მასამ, ბევრსაც უმოწყალოდ და უმიზეზოდ გვარიანად მოხვდა...

სტადიონზე გამეფებულ სრულ ქაოსში უმართავი ადამიანები თავხედურად იქცეოდნენ. ტრიბუნებზე ცეცხლს ანთებდნენ, გლეჯდნენ სკამებს, გადააბრუნეს და ხელჯოხებით დაამტვრიეს ვიღაცის დასახმარებლად შემოსული სასწრაფო დახმარების მანქანა. ველურად აღგზნებული და ნამოქმედარით კმაყოფილი ბრბო ჯოხებზე წამოცმული ცეცხლწაკიდებული სამართალდამცავთა ქუდებით საპატიო წრეს არტყამდა მინდორს...

თავად სტადიონის დირექტორმა, ყველასათვის პატივცემულმა პიროვნებამ, ბორის პაიჭაძემ სცადა მათთან მოსალაპარაკებლად მისვლა. იგი ხელში აიტაცეს, მხრებზე შეისვეს და ერთი საპატიო წრის შემოვლის შემდეგ უვნებლად ჩამოსვეს ადმინისტრაციულ შესასვლელთან. იგივე ბედი გაიაზრა დავით ყიფიანმაც, რომელსაც მატჩის შემდეგ შხაპისთვისაც ვერ მოეცალა და საფეხბურთო ფორმით უჩვეულო მატჩის თამაში მოუხდა.

რაკი არაფერმა გაჭრა და მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა, ჩანს, შეატყობინეს მომხდარის შესახებ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც რამდენიმე წუთში მოვიდა სტადიონზე და რადიოთი მიმართა ფეხბურთის გულშემატკივრებს, რომელთაც აღუთქვა, რომ ყველა ღონეს იხმარდა მტყუანმართლის გასარკვევად და აუცილებლად დააკმაყოფილებდა მათ მოთხოვნას მატჩის გაპროტესტებასთან დაკავშირებით. დაპირებამ შედეგი არ გამოიღო. ამის შემდეგ კი მოხდა ის, რაც სწორედ ყველაზე მნიშვნელოვანია და საგულისხმო ამ ამბავში. უცებ, დასავლეთ ტრიბუნის პირველი იარუსის მესამე და მეოთხე სექტორებს შორის მდებარე კიბეზე სპორტული ნაბიჯით პირდაპირ გვერდზე ჩამირბინა მაშინდელმა ცკ-ის პირველმა მდივანმა. ტრიბუნებს გაოცების ჩურჩულმა გადაურბინა — „შევარდნაძე... შევარდნაძე...". ის კი ანცი ბიჭივით (კარგად დავინახე) ერთი ხელის დაკვრით გადაევლო სარბენ ბილიკებსა და ტრიბუნებს შორის არსებულ ზღუდეს და პირდაპირ თავაშვებული ხალხისკენ გასწია. სწორედ ამის შემდეგ, თავპირისმტვრევით ჩაირბინა კიბეზე შევარდნაძის დაცვის სამმა თუ ოთხმა ბიჭმა და ვერ ვიტყვი, რომ მათ ბეტონის ბარიერის გადალახვისას წინამორბედზე მეტად განსხვავებული სპორტული მომზადება გამოევლინოთ.

გულშემატკივრებს უკვე მოესწროთ ცკ-ის მდივნის ალყაში მოქცევა. თუმცა ჯერ ხელით შეხებას (პაიჭაძისა და ყიფიანის მსგავსად), როგორც ჩანდა, ვერ უბედავდნენ. მაგრამ „ალყა" თანდათან ვიწროვდებოდა და სულ მალე, პირად მცველთა მიერ გაკეთებული „ჯაჭვის" მიუხედავად, გულშემატკივრები უკვე თვალში ბეწვს უთვლიდნენ ამჟამინდელ პრეზიდენტს. შეგახსენებთ, ეს ის პერიოდია, როდესაც მექრთამეობისა და პროტექციონიზმის წინააღმდეგ გამოცხადებული შეუქცევადი კამპანიის გამო, საკმაოდ ბევრი მტერი გაუჩნდა რესპუბლიკის თავკაცს...

ასე, საუბარ-საუბარში „მიჰყვა" ხალხის დინებას შევარდნაძის ამქარი და სტადიონიდან ეზოში გავიდა. ტრიბუნებზე დარჩენილებმაც იქით მივაშურეთ. მუშტაიდის მხარეს დაბლა ჩასული ისევ მოვლენის ეპიცენტრში აღმოვჩნდი. სულ ორიოდე მეტრიდან ვუყურებდი ალყაში მოქცეულ ქვეყნის პირველ კაცს. ჰალსტუხმომძვრალი, გულმოღეღილი, ერთიანად ოფლში იყო გახვითქული, თუმცა ჩემდა გასაოცრად, მისი თეთრი პერანგი უწინდებურად ქათქათებდა. უზომოდ შეწუხებული სახე ჰქონდა. წუხდა მომხდარის გამო და ალბათ იმის გამოც, რაც ამ ფაქტს შეიძლებოდა მოჰყოლოდა რესპუბლიკისთვის. მაშინ, ამაზე მგონი არავინ ფიქრობდა, ერთი ტყავის ბურთის გამო გამოწვეულ ემოციებს შესაძლო იყო მამინაცვლის განრისხება მოჰყოლოდა. მამინაცვალთა რისხვის ფასი კი ჩვენი მამების თაობასაც კარგად ახსოვდა.

საბედნიეროდ, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. რისი და ვისი ძალისხმევის შედეგად, მემატიანენი განსჯიან.

P.S. ამას წინათ ეს ამბავი ერთ ჩემს ნაცნობს მოვუყევი. გულისყურით მისმენდა და მეც მაქსიმალურად ვირჯებოდი. ბოლოს მკითხა, რა ქნეს, ის მსაჯი დასაჯესო?..

ასეა, რას იზამ, ზოგი ცას ვერ ხედავს, ზოგი ცაზე გატყორცნილ წეროების რიგსაც და თავის საბუდარში კვერცხებს ითვლის, ბოლო დროს ძალიან მოდაში შემოსულს.

***ფირუზ ფურცელაძე***

# „თავი აღარ მინდა ცოცხალი..."

ცხოვრება დიდ მდინარეს წააგავს. მიდის და მიედინება ხან მღვრიედ, ხან წმინდად; არასოდეს ჩერდება, მასზე არ მოქმედებს არც პოლიტიკური და არც ბუნებრივი კატაკლიზმები, მაგრამ როცა ქვეყანა მნიშვნელოვანი არჩევანის წინაშე დგება, ცხოვრების დინება თითქოს იცვლება. იგი უფრო ჩქარი, დაძაბული და ნერვიული ხდება.

საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება და წინასაარჩევნო ბატალიები ერთობ მშფოთვარე სახეს იღებს. არ ვიცი, პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის თავიდან როგორი ურთიერთშეთანხმება იყო, მაგრამ ფაქტია, რომ მათი მომხრეები მოწინააღმდეგეს არაფრით ზოგავენ. სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში პრეზიდენტობის კანდიდატები ერთმანეთის წარსულს ასე გესლიანად არ იხსენიებენ (ალბათ ისეთ საბედისწერო შეცდომებს არც სჩადიან, როგორც ქართველები), სამომავლოდ კი ბევრ სასიკეთოს ჰპირდებიან ხალხს და, თქვენ წარმოიდგინეთ, დანაპირებს მაქსიმალურადაც ასრულებენ. ჩვენში კი პირიქით ხდება. ადრე დაპირებებს უხვად გვირიგებდნენ, მოგვიანებით იგი საპნის ბუშტივით სკდებოდა და ქრებოდა. ამჯერად უკვე აღარავინ არაფერს გვპირდება. დადის ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და მოჩვენებითი ხუმრობით, ღიმილიანი სახით „აფრთხილებს" ხალხს: მე თქვენ ვერაფერ ისეთს ვერ გპირდებით, მაგრამ გახსოვდეთ, დანაშაული იქნება, მე რომ არ ამირჩიოთო... თუმცა, ერთი კაცი გყავთ ასარჩევი და ბევრი ფიქრი არც დაგჭირდებათო.

ამ ქაოსურ სიტუაციაში ჩვეულებრივ ხალხთან გასაუბრება საინტერესო იქნება-მეთქი, გავიფიქრე.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი (მეტრო, სამარშრუტო ტაქსი თუ ავტობუსი) ის ადგილია, სადაც ალალად, შეუფარავად ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა. მეც ამის უნებური მოწმე გავხდი და საჭიროდ აღარ მივიჩნიე საგანგებო კითხვების დასმა, რადგან საუბარი ისედაც „მშვენივრად" წარიმართა და მთელი ქვეყნის დღევანდელი ჭირვარამი 40 წუთის სავალ გზაზე ერთიანად წამოტივტივდა.

— თავი აღარ მინდა ცოცხალი, რა ხდება ამ ბაზარში!.. თუ შიგ შეაღწიე, მერე გარეთ გამოსვლა ჭირს. გზაზე ყრია ყველაფერი, რას ვჭამთ, რას ვსვამთ, ღმერთმა იცის! — ავტობუსში ქოთქოთით ამოვიდა ახალგაზრდა ქალი და ორი დიდი ჩანთა ამოიტანა.

— ჩანთები კი აგივსიათ, ქალბატონო! კარგად გქონიათ საქმე და ნუღარ წუწუნებთ, — გაეხუმრა იქვე მჯდომი კაცი.

ქალმა სიტყვა გაწყვიტა, მიუტრიალდა კაცს და თვალებით გაბურღა. კაცმა ვეღარ გაუძლო მის მომაკვდინებელ მზერას და სახეში შესცინა.

— რა გაცინებს, შე კაცო! გამოტენილი გაქვს ჩანთებიო, რომ მეუბნები, არ გაინტერესებს, რა ვიყიდე?.. ბოსტნეულსა და მზესუმზირას ძლივს ვამყოფინე ჩემი ხელფასი. ეს 3-4 დღე მეყოფა ალბათ, მერე კი ერთი თვე უნდა ველოდო ისევ ხელფასს. თუ დროზე იქნა, ხომ ვიყიდი ბალახეულს, თუ არადა კარგად მეყოლე.

— ახლა ხორცი მაინც არ შეიძლება, უნდა იმარხულოთ, არ გაგიგიათ, „ოდენ რწმენითა და მარხვითო?" — კვლავ სცადა გახუმრება კაცმა.

— ეჰ, ქალბატონო, სხვებს პურის ფულიც არა აქვთ! — ჩაილუღლუღა მოხუცმა კაცმა და გაზეთში გახვეული პურები შავ პარკში ჩადო.

ამ დროს თათრის ქალმა შემოყო თავი მანქანაში და ცოცხების დიდი შეკვრა ცხვირწინ დაგვიტრიალა, — აბა, ხაზეიკებო! ცოცხი გააყოლეთ სახლში, კარგად გვის!

უკანა რიგში მჯდარ შლაპიან, სიმპათიურ მამაკაცს, აქამდე ჩუმად რომ იყო, უცებ გული მოუვიდა და გაბრაზებულმა გამყიდველს მიახალა: წადი, „ბაჯი", პარლამენტში. იქიდან ბევრია გამოსაგველი და იქ გამოგავე!

ცოცხების გამყიდველმა ერთხანს უყურა, მერე საფეთქელთან ხელი დაიტრიალა, — „გაუფრენიაო", — გვანიშნა და წავიდა.

— საქართველოში ქართველის გარდა ყველა კარგად ცხოვრობს, — განაგრძო ისევ იმ შლაპიანმა, — მიწა მაგათ არ აკლიათ და ქონება. მეტსაც გეტყვით, ახლა შუქი არაქართულ მოსახლეობას უფრო კარგად მიეწოდება, ვიდრე ჩვენ. გაგონილა, კაცო, ერის ასეთი დაძაბუნება და დათრგუნვა? პრეზიდენტი „ვოიაჟებს" აწყობს აქეთ-აქით. მაგან ნამდვილად არ იცის ხალხის უკიდურესი გაჭირვება. ძველ საქართველოში ადამიანების გულის წუხილი რომ გაეგოთ, მეფეები იერსახეს იცვლიდნენ, ინით ილებავდნენ წვერ-ულვაშს და ხალხში გაერეოდნენ, რათა თავისი ყურით მოესმინათ და საკუთარი თვალით დაენახათ ყველაფერი...

ის-ის იყო, მანქანა უნდა დაძრულიყო, რომ პატარა ბიჭმა შემოყო თავი, — აბა, ვის უნდა „ჟუვაჩკები" 5 თეთრად?

— წადი, ბიძია, ისედაც პირუტყვად გადავიქეცით, სულ ბალახი და ბალახი, ახლა „ჟუვაჩკასაც" დავუმატებთ და ავბღავლდებით მალე, — უთხრა მძღოლმა და მანქანა დაქოქა, მერე შლაპიანს მიუბრუნდა და საუბრის თემა გააგრძელა, — ინა კი არა, ფრანგული საღებავები, პარიკი და პლასტიკური ოპერაცია ვერ შეცვლის მაგას, მაინც იცნობენ... ასეთი ხმა მარტო მაგას აქვს.

— იცით, ახლახან რა უბედურება დამატყდა თავს? — უცებ ხმამაღლა ამოიძახა ერთმა შავოსანმა ქალმა.



ყველა მას მივუტრიალდით, — ჩემმა ქალიშვილმა წამლების სია და ფული გამომატანა, მთელი საათი ვიარე საბითუმო აფთიაქებში, — ეგებ, იაფად ვიყიდო და თან კარტოფილსაც გავაყოლებ ხელს-მეთქი, ვიფიქრე. უცებ ვიღაც გოგომ ჩანთა გამომგლიჯა და გაიქცა. ფული კი აღარ მედო შიგ, მაგრამ ჩვენი ლტოლვილობის საბუთები, ყველა ახლობლის — დაღუპულთა და ცოცხალთა — სურათები ჩანთაში მედო და ჩემი გული თან გაჰყვა იმას. რა ვქნა ახლა მე? — ქალს ტირილი წასკდა.

— მიწა დავაყარე ამ მთავრობას — ვეღარ მოითმინა იმ ქალბატონმა, მწვანილეულობით გავსებული ჩანთები რომ მიჰქონდა შინ, — გუშინწინ თელასის ხალხი მომადგა, დავალიანება გაქვთ და სანამ მრიცხველებს დაგიდგამთ, უნდა გადაიხადოთ, თუ არადა დენის კაბელს გადაგიჭრითო. ისედაც გაწვრილებული მაქვს ნერვები და კიდევ მათი შეჩუჩხუნება მინდოდა? რომ ვიფეთქე, ყველაფერი ვუთხარი, ყველას გადავწვდი. როგორ, ამერიკულად მაწვდიან განა შუქს, ამერიკულად გადახდას რომ მთხოვენ? ისე გაცვივდნენ, უკან აღარ მოუხედავთ.

— ეჰ, თქვენ კიდევ გყოფნით შემართება, მაგრამ სხვებს რომ არ შეუძლიათ დავა? — თქვა ისევ პურებიანმა მოხუცმა.

— ჰოდა, ცხვრებად რომ ვიქეცით, იმიტომაა ჩვენი საქმე კარგად.

— პოლიტიკა ბინძური რამაა, უბრალო მოკვდავი ვერასოდეს გაიგებს პოლიტიკოსის „სვლებს", — თქვა მძღოლმა.

— რატომაა პოლიტიკა ბინძური საქმე? არა, ბატონო, პოლიტიკა ჭადრაკივით რთული და ჭკვიანური სათამაშოა. თუ ჭკვიანი პოლიტიკოსია, „სვლებს" ისე გააკეთებს, რომ ღირსეული გამარჯვება მას დარჩეს. აბა, ეგ რა გამოვიდა, მარტოდდარჩენილმა „მეფემ" ან „დედოფალმა" იძახოს, — ცოცხალი ვარ და კარგად ვაროო — გაეპასუხა შლაპიანი მძღოლს და მანქანის გაჩერება სთხოვა. მგზავრები ნელ-ნელა მოგვაკლდნენ. მძღოლმა დიდხანს ვეღარ მოითმინა და თავის პრობლემაც ამოთქვა: მეც ლტოლვილი ვარ და ოჯახიანად საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობ. ცოტაოდენი ფული რომ ჩამივარდა ხელში, ბინის ყიდვას (იმ თანხით ოროთახიანი მაინც მომივიდოდა თბილისის გარეუბანში) მაინც სამარშრუტო ტაქსის ყიდვა ვარჩიე, რადგან იმედი მქონდა, ყოველდღიური პურის ფულსაც ვიშოვიდი და ბინისთვისაც ნელ-ნელა შევაგროვებდი, მარა, მეტი არაა ჩემი მტერი... მომკლა ამ რაფმა, სულ მის ქვეშ ვარ შეგორებული, სულ ვაკეთებ და მაინც გაუკეთებელია. ბენზინს კი არ ხარჯავს, ჭამს. ნეტა საჭმელს აუვიდეს და სხვას აღარ დავეძებ. ეს ავტოინსპექცია ხომ კანონიერი ბანდიტების საკრებულოა. მიზეზები არ აკლდებათ, ხან რას მოიგონებენ და ხან რას. ამას წინათ ვერაფერზე რო ვეღარ შემედავნენ, თვითონვე გაეცინათ და მითხრეს, — მორჩი ახლა ლაილაის, 2 ლარი გაიმეტე, თორემ ეს ხაზი დაგესიზმრებაო. მივაშავე, აბა, რა მექნა? იმ საერთო საცხოვრებელში კი რა ხდება, ნეტავი ცალი თვალით მაინც შეგახედათ. არავინ არაა ჩვენი პატრონი. სახურავი დაზიანებულია და ავდარში უკანასკნელ სართულზე ისე წვიმს, როგორც გარეთ... ოჰ, ნეტავ, ჩემს კარმიდამოში დავბრუნდე და დამწვარ სახლს არ დავეძებ, კარავში ვიცხოვრებ, ყველაფერს მოვიკლებ და მაინც ავაშენებ პატარა სახლს... ე, მაშინ გავიშლები მხრებში და მოვითქვამ სულს... ამ თბილისელებსაც მოგაბეზრეთ თავი, მარა რა ვქნათ, ჩემო დაია, თოფი რო თოფია, ომის დროს ისიც სანატრელი გაგვიხდა. რაია ჩემი სიცოცხლე, ჩემი ძმა ცოცხლად დამარხეს აფხაზებმა გუდაუთაში და შურს კი ვერ ვძიობ... ამის მერე კაცი მქვია მე? ხო გაგიგიათ: „დათვი რო მოგერევა, ბაბაია უნდა დაუძახოო", გამოგვაბუნძულეს იქიდან. თავს ვერ ვიკლავ, ოჯახი მყავს სარჩენი და თან ერთი პატარა იმედი მაინც მიბჟუტავს გულში. ეგებ, მოხდეს სასწაული და დავბრუნდეთ ჩვენს კუთხეში... სამაჩაბლოდანაც ბევრი ცხოვრობს ჩვენთან ერთად, ისინიც რა დღეში არიან, იცით? ერთ ჩემს ნაცნობ ოჯახს იქაურმა ოსებმა შემოუთვალეს თურმე: ჩამოდით, თქვენს დიდ სახლში ორ ოთახს დაგითმობთ და ყველანი დავეტევითო. მკვდარსაც კი გაეცინება... ქართველ კაცს მთელი სიცოცხლე უშრომია, სახლი აუშენებია და ახლა ვინცხა ოსი ნებას რთავს, საკუთარ სახლში მივიდეს და მცირეოდენი ფართი დაიკავოს... ეჰ, სამართალი არაა, არა!

სამართალი არააო, — თქვა მეგრელმა, იქით ცხინვალელს ცრემლი ჩასდგომია თვალში, აქეთ მთელი დასავლეთ საქართველო პურის ფულისთვის „გადმოხვეწილა" დედაქალაქში, თბილისელ ინტელიგენტსაც ეს ცხოვრება დედინაცვლად ქცევია, საშველი კი კვლავაც არა ჩანს. რა სიურპრიზებს გვპირდება სამომავლო არჩევნები, ეს ჯერ არავინ იცის...

***მარინა ბაბუნაშვილი***

# რატომ გაურბიან ბიზნესმენები აი-თი-ეს-ს?

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დავიწყეთ ბრიტანულ კომპანია აი-თი-ეს-თან დაკავშირებული პუბლიკაციის ბეჭდვა. ამ კომპანიის საქართველოში მოღვაწეობის მიმართ პრეტენზიები საკმაოდ მკვეთრი და დამაფიქრებელია.

როგორც ბიზნესმენებთან საუბრისას გაირკვა, თავიდან მათ აი-თი-ეს-ისა დიდი იმედი ჰქონდათ, რადგან თუ ბრიტანული კომპანია მთლიანად ვერ აღმოფხვრიდა კონტრაბანდას, მის მნიშვნელოვნად შეზღუდვას მაინც მოახერხებდა და ამით თეთრი ბიზნესის წარმომადგენლებს დამცავ მექანიზმს შეუქმნიდა.

დღევანდელი სინამდვილისგან შექმნილი ვითარება კი, სამწუხაროდ, ბიზნესმენებს სანუგეშოს ვერაფერს ეუბნება. ამ პუბლიკაციაში ხშირად მომიწევს ერთ-ერთ ბიზნესმენთან საუბრის ფრაგმენტების ჩართვა, რომელსაც, მისი ბიზნესიდან გამომდინარე, თავიდანვე ინტენსიური კონტაქტი ჰქონდა აი-თი-ეს-თან. მხოლოდ ბიზნესმენმა ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, თუ რატომ, ეს ნათლად გამოჩნდება.

ინკოგნიტო იმპორტიორი:

— მე, პირადად, დიდი სიხარულით შევხვდი ამ კომპანიის შემოსვლას საქართველოში, რადგან წესიერად მუშაობა მინდოდა (სხვათა შორის, ახლაც დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ იძულებული ვხდები, სხვა გზა მოვძებნო, ან საერთოდ გავჩერდე). როცა ბიზნესმენი აშკარად ხედავს, მისი კონკურენტი მხოლოდ იმის ხარჯზე უგებს, რომ შემოაქვს კონტრაბანდული ან ნახევრად კონტრაბანდული საქონელი და ამ საკითხის მოწესრიგებას საშველი არ ადგება, მაშინ მეწარმე იძულებული ხდება, საერთოდ გაჩერდეს ან მიჰყვეს დამკვიდრებული თამაშის წესებს.

სხვათა შორის, პირველი პუბლიკაციის შემდეგ რედაქციაში უამრავი ზარი გაისმა და ფაქსიც კი მოვიდა, სადაც ბიზნესმენები იტყობინებოდნენ, რომ ამ პრობლემის გამო მათ უკვე მოძებნეს სწორედ ის „სხვა გზა“, რომელზეც ჩვენი ინკოგნიტო რესპონდენტი ლაპარაკობს. აშკარაა, რომ დამღუპველ ტენდენციასთან გვაქვს საქმე, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზიც ბრიტანული კომპანიაა.

**რევაზ საყვარელიძე, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი:**

— ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს საბაჟო სისტემის რეფორმა, რომლის განხორციელებაზეც პასუხისმგებელია აი-თი-ეს-ი. რეფორმა კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის გარდა უნდა ითვალისწინებდეს საბაჟო ტერიტორიის კონტროლს, საინფორმაციო-სადაზვერვო მონაცემების შეგროვებას, კომპიუტერული ტექნოლოგიების მოწოდებას და ა.შ.

ცხადია, ამ პრობლემის მოუგვარებლობა, თეთრი და ჩრდილოვანი ბიზნესის წარმომადგენლებს არათანაბარ პირობებში აყენებს ჩრდილოვანი ბიზნესის სასარგებლოდ. არ არსებობს ჯანსაღი კონკურენცია და თავისთავად ბიუჯეტიც ზარალდება.

დღევანდელ ვითარებაში საბაჟო სივრცეზე კონტროლის განხორციელება რომ ვერ ხერხდება, მთლად მარტო აი-თი-ეს-საც არ უნდა დაბრალდეს. ამ უწესრიგობაში დიდი წვლილი საქართველოს საბაჟო დეპარტამენტსაც მიუძღვის.

**ვიქტორ ლორთქიფანიძე, პარლამენტის საბაჟო შემოსავლების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, საბაჟო საქმის ექსპერტი:**

— ჩემი აზრით, აი-თი-ეს-ის საქმიანობა მაშინ იქნებოდა ეფექტიანი, თუ იგი ჩვენს საბაჟოს საინფორმაციო სამსახურს გაუწევდა. ნებისმიერი იმპორტი საქართველოში წარმოადგენს ექსპორტს რომელიმე ქვეყნიდან და იგი შესაბამისი ქვეყნის სტატისტიკაშია აღნუსხული ფართო მონაცემებით (დეკლარაციის სახით). ჩვენი და საზღვარგარეთის ქვეყნების დეკლარაციების ფორმა ერთნაირია. აქედან გამომდინარე, თუ აი-თი-ეს-ი ჩაერთვებოდა მსოფლიო ქსელში და საქართველოს მიმართულებით განხორციელებული ყველა ექსპორტის დეკლარაციის ასლი მიეწოდებოდა საქართველოს საბაჟოს, მაშინ მას უკვე ეცოდინებოდა, რა საიდან მოდის, ვის უნდა დახვდნენ და ვის რა მოსთხოვონ. ბრიტანული კომპანიის შემოყვანა დაახლოებით იმას ჰგავს, რომ დანაშაულის გასახსნელად უცხო ქვეყნის სპეციალისტები მოიწვიო და თან საფასური დაზარალებულის ხარჯზე გადაუხადო.

გარდა ამისა, აი-თი-ეს-სა და ქართულ მხარეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც ყველაზე გასაიდუმლოებულ დოკუმენტს წარმოადგენდა და ძლივს ჩავიგდე ხელში, საკმაოდ არაკვალიფიციურადაა შედგენილი. მასში თავიდანვე ისეთი რამეა ჩადებული, თითქოს, ამ ხელშეკრულების მთავარი მიზანია აი-თი-ეს-მა საქართველოში იშოვოს ფული.

საქართველოში შემოდინებული კონტრაბანდის დიდი მასშტაბების გარდა (რომელიც სულს უხუთავს თეთრი ბიზნესის განვითარებას და, რომელზეც პასუხისმგებლობას ერთმანეთს აბრალებენ აი-თი-ეს-ი და საბაჟო უწყება), არსებობს უშუალოდ ბრიტანული კომპანიისგან მომდინარე მიზეზები, რაც იმპორტიორებს ამ კომპანიასთან ურთიერთობის ხალისს უკარგავს და უბიძგებს, თავიანთი საქმიანობა აი-თი-ეს-ის გვერდის ავლით განახორციელონ.

**ინკოგნიტო ბიზნესმენი:**

— თავიდან აი-თი-ეს-ის ოფისში იმპორტიორების ტევა არ იყო. რიგი იდგა სერტიფიკატების მისაღებად. ხანდახან საათობით დგომაც კი გვიწევდა, რომ მათ წარმომადგენლამდე მიგვეღწია.

დროთა განმავლობაში იმპორტიორების რაოდენობამ თანდათან იკლო. ამ ბოლო ხანს კი თითო-ოროლას თუ ნახავთ აი-თი-ეს-ის ოფისში (კომპანიის ოფისში იმპორტიორთა აშკარა სიხალვათის მოწმე თავად გავხდი რამდენჯერმე, — **მ.გ.**). ვერავინ იტყვის, რომ საქართველოში რაიმე საქონელზე დეფიციტი შეიქმნა ან შემოზიდვამ იკლო. ე.ი. რაღაც სხვა მიზეზთან გვაქვს საქმე. მაშასადამე, იმპორტიორებმა სხვა გზები გამონახეს და აი-თი-ეს-ს გვერდი აუქციეს. ამის მიზეზები კი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასახელო დიდი გადასახადი (საქონლის ღირებულების 1,19%. ტენდერის დროს ეს სიდიდე 0,94% იყო, მინიმალური გადასახადის ოდენობა — 350 დოლარი, რაც ტენდერის დროს 250 დოლარს წარმოადგენდა. ამაზე წინა პუბლიკაციაში გვქონდა საუბარი, — **მ.გ.**), უზარმაზარი დროის კარგვა და ნერვების წყვეტა აი-თი-ეს-თან ურთიერთობისას, სერიოზული ბიუროკრატიული მანქანა, რომელიც ამ კომპანიაში მუშაობს.

ვიქტორ ლორთქიფანიძის კომენტარი ჩვენი რესპონდენტის მიერ გამოთქმულ პირველ მიზეზთან დაკავშირებით:

— მინიმალური გადასახადის განაკვეთი — 350 დოლარი — არასამართლებრივად მიმაჩნია. ეს არის დისკრიმინაციული ტარიფი. იმპორტიორების ასეთი დაბეგვრა მომსახურეობისთვის წარმოუდგენელია. როდესაც ჩვენ საბაჟოზე მომსახურების ტარიფი საქონლის ღირებულების 3% გვქონდა, მსოფლიო ბანკმა ამისთვის დაგვტუქსა და ეს განაკვეთი 0,15%-მდე ჩამოგვაყვანინა. უცხოური კომპანიის შემოყვანას არ უნდა გაეზარდა გადასახადი. თუ ვინმე ბიუჯეტს რაიმე შემოსავალს აძლევს, მისი მომსახურების საფასური გადახდილ უნდა იქნეს ბიუჯეტიდან და არა იმპორტიორების ჯიბიდან. ისედაც ზედმეტად იბეგრებოდნენ და ახლა უფრო უარესი წესებია. ეს ჩემთვის გაუგებარია.

აი-თი-ეს-ის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია საიმპორტო ტვირთების წინასწარი ინსპექტირება. ეს ძალიან კარგი ფორმაა საკონტროლოდ, მაგრამ როგორც გამოირკვა, დღევანდელ პირობებში მის სრულყოფილად განხორციელებას ძალიან ბევრი აკლია, ვინაიდან აი-თი-ეს-ს არ აღმოაჩნდა ოფისების ისეთი ქსელი, რის საშუალებითაც ამ პროცესის უმტკივნეულოდ ჩატარებას შეძლებდა.

**ინკოგნიტო რესპონდენტი:**

— არ მოხდა ჩემი ტვირთის წინასწარი ინსპექტირება და არაინსპექტირებული ჩამომივიდა საქართველოში. მივედი აი-თი-ეს-ში და მოვითხოვე ადგილზე ინსპექტირება. მომთხოვეს წარმედგინა ჩემი თხოვნა ოფიციალური წერილის სახით, რომელზეც რეაგირება მოხდებოდა 3 დღეში. მესამე დღეს მომთხოვეს, განმემარტა, რა მიზეზით არ ჩატარდა ინსპექტირება. ვუპასუხე — თქვენი მიზეზით-მეთქი. კიდევ სამი დღე უნდა დავლოდებოდი პასუხს. ორი დღის შემდეგ დაგვრთეს ნება ინსპექტირების ჩატარებისა. ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა. ახლა სერტიფიკატის ლოდინი დაგვჭირდა კიდევ 2-3 დღე — აქედან გაიგზავნა ინფორმაცია ჰამბურგის ოფისში, საიდანაც შემდეგ სერტიფიკატი ჩამოვიდა. ამ ხნის განმავლობაში ჩემი საქონელი არ ჩამომიტვირთავს, ვინაიდან ვერ ვახერხებდი განბაჟებას და მომიწია ჯარიმის გადახდა სატრანსპორტო საშუალებების მოცდენისთვის. თავი დავანებოთ იმას, რომ მე თვითონაც მოვცდი საქმეს.

რატომ უნდა ვიხადო აი-თი-ეს-ის გამო ზედმეტად ფული? ასეთი ვითარება ნებისმიერი ბიზნესმენის უკმაყოფილებას იწვევს. მარტო ამ შემთხვევაში საკმაოდ ვიზარალე.

ამ დროს ჩემი კონკურენტი სხვანაირად მუშაობს — შემოაქვს კონტრაბანდა და იმავე საქონელს გაცილებით იაფად მთავაზობს, ვიდრე მე მიჯდება.

ასე მუშაობის მექანიზმი მეც კარგად ვიცი, მაგრამ არ მინდა ასე მუშაობა, თუმცა მაიძულებენ!

ბიზნესმენის ამ ბოლო ფრაზით ცხადი ხდება, თუ რატომ ისურვა ჩვენმა რესპონდენტმა ინკოგნიტოდ დარჩენა.

თვალნათლივ იკვეთება სამწუხარო სინამდვილე — თეთრ ბიზნესს გამოაკლდება კიდევ ერთი წარმომადგენელი, ბიუჯეტს კი — ფული.

**რევაზ საყვარელიძე, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი:**

— ვინაიდან აი-თი-ეს-ი კომერციული სტრუქტურაა, იგი ქვეყნიდან ქვეყანაში მოგზაურობას დაბალი ღირებულების საქონლის ინსპექტირებისთვის არ დაიწყებს, რადგან უსათუოდ იზარალებს, ამიტომ შეეცდება, თავიდან აირიდოს წინასწარი ინსპექტირების ჩატარება ისეთ ქვეყნებში, სადაც წარმომადგენლის მივლინებისთვის გაწეული ხარჯი მეტი იქნება, საინსპექციო საქონლიდან მიღებულ გადასახადზე. ამაზე კი კომერციული სტრუქტურა არაფრით არ წავა, მაგრამ არის კიდევ ერთი მხარე: იმ ქვეყნებში, სადაც აი-თი-ეს-ს ოფისები არ გააჩნია, არ ნიშნავს, რომ არ აქვთ ამის სურვილი, მაგრამ ამ ქვეყნებში ფუნქციონირებენ ინსპექტირების სხვა კომპანიები, რომელთანაც ადგილობრივი ხელისუფლება თანამშრომლობს უკვე. შესაძლებელია პარალელურად აი-თი-ეს-ის ფუნქციონირებაც, მაგრამ ხელისუფლება იმასთან თანამშრომლობას ირჩევს, რომელსაც უფრო იცნობს.


აი-თი-ეს-ის ოფისში ხალხმრავლობა აღარ შეიმჩნევა...

როგორც ეტყობა, ასეთი ვითარების შექმნამ შემოსავლების მინისტრს გარკვეული დასკვნები გააკეთებინა. იგი აპირებს პარლამენტს წარუდგინოს კანონში ცვლილებები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება როგორც იმპორტიორების პასუხისმგებლობის, ასევე აი-თი-ეს-ის პასუხისმგებლობის ფორმაც, ანუ კანონმა ორივე მხარეს უნდა დააკისროს პასუხისმგებლობა.

როგორც ბატონი მაჭავარიანი გეგმავს, თუ აი-თი-ეს-ი არ შეასრულებს იმპორტიორის წინაშე დაკისრებულ ვალდებულებას, მაშინ შემოსავლების სამინისტრო ბრიტანულ კომპანიას საქონლის ღირებულების 6%-ით დააჯარიმებს, განმეორების შემთხვევაში კი — 12%-ით. იგივე პასუხისმგებლობა ეკისრება იმპორტიორებსაც.

გარდა ამისა, ბატონი მაჭავარიანის მოთხოვნაა, შეიცვალოს აი-თი-ეს-თან გაფორმებული ხელშეკრულების ის ნაწილიც, რომლის მიხედვითაც ბრიტანული კომპანია 5000 დოლარზე ნაკლები ღირებულების ტვირთების ინსპექტირებას არ ახორციელებდა. სწორედ ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ ათასგვარი მაქინაციის გზით (ტვირთის დანაწილება პატარ-პატარა, 5.000 დოლარზე ნაკლები ღირებულების ტვირთებად და ა.შ.), იმპორტიორებმა გვერდი აუქციონ აი-თი-ეს-ს და შემდეგ მებაჟეებთან გარიგებით თავი აარიდონ გადასახადებს. ამის საილუსტრაციოდ ბატონმა მაჭავარიანმა სტატისტიკა მოიშველია: — აი-თი-ეს-ის საქართველოში შემოსვლის შემდეგ 5.000 დოლარზე მეტი ღირებულების ტვირთების სახით, 38 მლნ დოლარის იმპორტი დაფიქსირდა. 5.000 დოლარის ქვემოთ ღირებულებისა კი — 3 მლნ. ექსპერტების გაანგარიშებით, ეს თანაფარდობა ნახევარი ნახევარზე უნდა ყოფილიყო, — განაცხადა ბატონმა მაჭავარიანმა.

**ინკოგნიტო ბიზნესმენი:**

ის, რომ შემოსავლების მინისტრი ყველანაირი ღირებულების ტვირთების ინსპექტირების უფლების აი-თი-ეს-ისთვის მინიჭებას მოითხოვს, სამართლიანია და თუ განხორციელდა, უდავოდ იმუშავებს თეთრი ბიზნესის სასარგებლოდ. მაგრამ ამ იდეის ხორცშესხმისა მეეჭვება იმიტომ, რომ იმ კაპიტალდაბანდებითა და ძალისხმევით, რასაც დღეს აი-თი-ეს-ი აკეთებს, ამის მიღწევა შეუძლებელია, გაცილებით დიდი ფინანსები და სპეციალისტთა დიდი რაოდენობის მობილიზება დასჭირდება.

შემოსავლების მინისტრის მონდომება გასაგებია, მაგრამ რამდენად შეძლებს ბრიტანული კომპანია ყველანაირი ღირებულების ტვირთების (ანუ ყველა ის საქონელი, რაც საქართველოში შემოდის) წინასწარ ინსპექტირებას? პარლამენტის საბაჟო შემოსავლების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე ბატონი ვიქტორ ლორთქიფანიძეც აცხადებს, რომ ამის ფიზიკურად განხორციელება ძალიან ძნელია. ვნახოთ, რას მოიტანს რეალურად ბატონი მაჭავარიანის ჯერ მხოლოდ სურვილების ფორმით გამოხატული ენერგიული ქმედებანი. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესი დათრგუნავს წვრილ მოვაჭრეებს, რომელთათვისაც ამ საქმიანობიდან მიღებული მცირეოდენი მონაგებიც კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ კატეგორიის ბიზნესმენებისთვის ყოვლად წარმოუდგენელია აი-თი-ეს-ისთვის საქონლის ყოველ პარტიაზე მინიმალური გადასახადის ($350) გადახდა, რაც მათთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება. ამიტომ ეს საკითხი ძალიან სერიოზული მსჯელობის საგანია და დიდ სიფრთხილეს მოითხოვს.

P.S. ამ პუბლიკაციას ტენდენციურობა რომ არ დასწამონ, მინდა განვმარტო, რომ ჩვენ ველოდებოდით აი-თი-ეს-ის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორის, ბ-ნ ნევილ ბისეტის პასუხებს ჩვენ მიერ გაგზავნილ კითხვებზე. სამწუხაროდ, ამ ნომრისთვის ვერ მოასწრეს. თუმცა ამ თემასთან დაკავშირებით კიდევ გვექნება საუბარი ჩვენს გაზეთში და იქ ბატონ ნევილ ბისეტის კომენტარებსაც გავაცნობთ მკითხველს.

***მამუკა გიორგაძე***

# „გაუშვით, თორემ ამ რკინებს გამოვანგრევ...“

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარნათქვამი ფინანსთა ექს-მინისტრი გურამ აბსანძე კვლავ გისოსებიან სასამართლო დარბაზში გადაიყვანეს, სადაც 12 განსასჯელთან ერთად მოსამართლე იური ტყეშელაშვილი მის ტერაქტთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმის განხილვას აგრძელებს. რამდენიმე სხდომა საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნებას მიეძღვნა. ამ ხნის განმავლობაში ბრალდებულებმა და მათმა ადვოკატებმა კვლავ დააყენეს მოსამართლის აცილების შუამდგომლობა, რომელიც არ დაკმაყოფილდა.

...სასამართლომ თითქმის სამი დღე იმსჯელა იმის თაობაზე, დანიშნულიყო თუ არა ექსპერტიზა განსასჯელ ზაურ გულუას სმენადობის დასადგენად, რომელსაც აქამდე სასამართლოსთან საურთიერთობოდ „თარჯიმანი“ დაუნიშნეს. მისი ადვოკატის განცხადებით, იგი ბავშვობიდან ყრუა, ვერ ლაპარაკობს ქართულად და არ იცის წერა-კითხვა. გაირკვა, რომ გამოძიების დროს გულუას სასმენი აპარატი ჩამოართვეს. პროკურორმა ბადრიაშვილმა მიმართა ადვოკატს, — თუ ასე ხართ შეწუხებული, ბოლოს და ბოლოს, უყიდეთ გულუას ეს აპარატიო!



ვიდრე სასამართლოს შემადგენლობამ განჩინების გამოსატანად დარბაზს დატოვებდა, გურამ აბსანძემ განცხადების გასაკეთებლად დრო ითხოვა, რაზეც უარი მიიღო. მოსამართლე ტყეშელაშვილის „მოუცლელობის“ მიუხედავად, განსასჯელმა მოგვმართა ჟურნალისტებს. ბადრაგმა კი სასწრაფოდ დაიწყო დარბაზიდან ჩვენი ევაკუაცია.

„ძირს ხუნტა, გაუმარჯოს საქართველოს!“ — გვესმოდა სასამართლო დარბაზიდან ძალით „გაბრძანებულებს“. საქმე იქამდეც მივიდა, რომ განსასჯელთა დასაცავი გავხდით. „გაუშვით ხელი ჟურნალისტს, „გაუშვით, თორემ ამ რკინებს გამოვანგრევთ!“ — ისმოდა პატიმართა ხმა, რამაც, ცოტა არ იყოს, შეარბილა ბადრაგის აგრესია. გურამ აბსანძემ კი თავისი განცხადება გზაში „დაგვაწია“ — ვუერთდებით კოლონიებში მიმდინარე აქციას და დღეიდან შიმშილს ვაცხადებთო!

ასე რომ, გურამ აბსანძემ და 12-მა განსასჯელმა დაიწყეს შიმშილობა. ისინი იმ პოლიტპატიმრებს უერთდებიან, რომლებიც 2 თებერვლიდან შიმშილობენ გათავისუფლების მოთხოვნით; 4 მოშიმშილე პატიმარი კი, როგორც უკვე ვწერდით, 9 აპრილს თვითმკვლელობას აპირებს, თუ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

ამ მოთხოვნებს ფართო გამოხმაურება მოჰყვა საზღვარგარეთ. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო საზოგადოების გერმანულმა სექციამ, რომელსაც მხარი დაუჭირეს შვეიცარიის, ავსტრიის, სლოვაკეთის, უნგრეთის სექციებმა, გამოაქვეყნეს რეზოლუცია: ჩვენ გვაქვს ინფორმაცია საქართველოს სასჯელის აღსრულების ადგილებიდან, რომ პოლიტპატიმრებს — ზვიად ძიძიგურს, გურამ აბსანძეს, ზაურ ქობალიას და ვალტერ შურღაიას კრიმინალებად აცხადებენ. ილახება მათი სამართლებრივი უფლებები. ეი-ჯი-ეფ-ემ-ის ჯგუფმა ცნობა მიიღო, რომ არაადამიანური ცემის, აგრეთვე ტუბერკულოზის ინფექციის გამო პეტრე გელბახიანის, ირაკლი დოკვაძისა და სხვა პოლიტპატიმრების სიცოცხლე საფრთხეშია. მუშა ჯგუფი სოლიდარობას უცხადებს პოლიტპატიმრებს, რომლებმაც 2000 წლის 2 თებერვალს გამოაცხადეს უვადო შიმშილობა. მათი მიზანია პოლიტპატიმართა გათავისუფლება.

— იმის მიუხედავად, რომ პატიმრობის შესახებ კანონი ძალაში პირველი იანვრიდან შევიდა, არასამთავრობო ორგანიზაციების (ისევე, როგორც ჟურნალისტებისათვის! — **ნ.ც.**) წარმომადგენლებისთვის პატიმრებთან შეხვედრა, კოლონიებში შესვლა მიუღწეველია. მოშიმშილე პატიმრებმა არაერთხელ დააფიქსირეს ჩვენთან შეხვედრის სურვილი, მაგრამ სურვილი სურვილად დარჩა, — განაცხადეს განსასჯელთა ადვოკატებმა.

P.S. დიდი მცდელობის მიუხედავად, მოშიმშილე პატიმრებს ახლოსაც არ გაგვაკარეს. არადა მათი ახლობლები აპირებენ აქციების მოწყობას, სადაც ერთ-ერთი მოთხოვნა იქნება მასმედიასთან პატიმართა შეხვედრა. ნაკლებ სარწმუნოა, რომ მათ მოთხოვნებს რაიმე შედეგი მოჰყვეს, მაგრამ დროა, იფიქრონ პენიტენციალური სისტემის მესვეურებმა, რომ მათი ასეთი უყურადღებობა პრესისა თუ ტელევიზიის მიმართ, მათვე მიუბრუნდებათ, რადგან დასავლეთის წინაშე ფუჭი თავმომწონეობა არ კმარა, მიღებულ კანონებს პრაქტიკული რეალიზება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრს კარგავს ისეთი ცნება, როგორიცაა რეფორმა, კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, პატიმრობის კანონი და, საერთოდ, რა საჭიროა კანონის მიღება, თუკი მაინც არ შესრულდება?

***ნელი ცქიტიშვილი***

# „რადიოაქტიური ტყვიის წვიმა“ სერბების წინააღმდეგ

ერთი წლის წინ, 1999 წლის 24 მარტს, NATO-მ იუგოსლავიის წინააღმდეგ დამსჯელი ოპერაცია დაიწყო.

ჩრდილოატლანტიკური სამხედრო ალიანსის საბრძოლო ავიაცია 78 დღე-ღამის განმავლობაში გამანადგურებლად ურტყამდა სერბების შეიარაღებულ ძალებს და იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში განთავსებულ სტრატეგიულ პუნქტებს. ამ საჰაერო თავდასხმების შედეგად განადგურდა 40 ათასამდე სახლი და დაიღუპა არანაკლებ 1,5 ათასი ადამიანი. იუგოსლავიის საბოლოო ზარალმა NATO-ს საჰაერო თავდასხმების შედეგად დაახლოებით 100 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

მაგრამ რა დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, სერბების ძირითადი ტერიტორია NATO-ს, F-15, F-16 გამანადგურებელ-ბომბდამშენებსა თუ F-117A და B-2 „სტელსის“ სისტემის „უხილავი“ თვითმფრინავებიდან უხვად ჩამოყრილ მსხვილკალიბრიან საავიაციო ბომბებს არ დაუზარალებიათ.

როგორც ამჟამად ირკვევა, სერბების პოზიციების მიმართულებით ამერიკულმა მოიერიშე თვითმფრინავებმა A-10 „ტანდერბოლტებმა“ 31 ათასამდე ჯავშანგამტანი ჭურვი გაუშვეს, რომელთა დამღუპველი მოქმედება სწორედ ახლა იჩენს თავს.

იუგოსლავიელების შეიარაღებაში არსებული ტანკები დიდად არაფრით განსხვავდებოდნენ ზემოხსენებული T-62-ებისგან (სხვა თუ არაფერი, ბროზ ტიტო ათწლეულების განმავლობაში ხომ სწორედ საბჭოთა საბრძოლო ტექნიკის ანალოგებს აკეთებინებდა იუგოსლავიის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს), ამიტომაც პენტაგონმა კოსოვოში სერბების ჯავშანტექნიკაზე სწორედ A-10A „ტანდერბოლტ-“-ებით დაიწყო ნადირობა.

NATO-ს ახალმა გენერალურმა მდივანმა რობერტსონმა მხოლოდ ახლახან გაუგზავნა გაეროს გენერალურ მდივანს კოფი ანანს იმ დასახლებული პუნქტების სია, სადაც ერთი წლის წინ ამერიკულმა „ტანდერბოლტებმა“ „რადიოაქტიური ტყვიის წვიმა“ დააყარეს სერბებს.

რაოდენ უსიამოვნოც არ უნდა იყოს, ამ სიაში კოსოვოს სხვა ქალაქებთან ერთად მითითებულია დასახლებული პუნქტი პრიზრანიც და მისი ახლომდებარე ტერიტორია. სწორედ აქ არის დისლოცირებული KFOR-ის თურქეთის ბატალიონი და მის შემადგენლობაში მყოფი ქართული სამშვიდობო ოცეულიც.

ის 31 ათასი ჯავშანგამტანი ჭურვი ერთი შეხედვით საშიშროებას მხოლოდ მიზანში მოხვედრის დროს წარმოადგენს. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ჩვეულებრივი ლითონისგან იქნება დამზადებული. იმის გამო, რომ მათში დიდი რაოდენობით იყო გაღარიბებული ურანი და ჭურვის აფეთქების მომენტში წარმოიქმნებოდა მიკრონაწილაკები, რომლებიც განვლილი თვეების განმავლობაში აუცილებლად შეერეოდა მიწასა და წყალს, შესაძლოა, ეს მავნე ნივთიერებები იქ მოსაქმე ადამიანების ორგანიზმშიც მოხვდნენ. ეს კი ონკოლოგიური დაავადებების რისკს მნიშვნელოვნად ზრდის. არადა იმ 31 ათასი ჭურვის საერთო მასა თითქმის 10 ტ-ს უტოლდება.

თავის დროზე მრავალეროვნულმა ძალებმა ანალოგიური ჭურვები ერაყში, ჰუსეინის არმიის წინააღმდეგ გამოიყენეს. მას შემდეგ ათმა წელმა გაიარა და ავადმყოფები გამოჩნდნენ არა მარტო ერაყელთა, არამედ ომის მონაწილე ამერიკელ ჯარისკაცთა შორისაც. ამ დაავადებებს „უდაბნოს ქარიშხლის“ სინდრომი უწოდეს.

ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართულ სამშვიდობო ოცეულს, რომელიც კვლავ კოსოვოში იმყოფება, იქ მიმოფანტული გაღარიბებული ურანის შემცველი ჭურვებისგან ზიანი არ მიადგება.



**ჩვენი ცნობა:** მოიერიშე A-10A „ტანდერბოლტ-“ ამერიკელებმა 1972 წელს შექმნეს. ეს 22,6 ტონიანი თვითმფრინავი ავითარებს მაქსიმალურ 720 კმ/სთ სიჩქარეს და 7,2 ტ ბომბების და რაკეტების წაღება შეუძლია. მისი ძირითადი იარაღია შვიდლულიანი, 30 მმ-იანი კალიბრის საავიაციო ქვემეხი GAU-81A. ქვემეხის ჭურვების მარაგი 1174 ერთეულს აღწევს. ამ ჭურვების ქობინები გაღარიბებული ურანისგანაა დამზადებული და დიდი ჯავშანგამტანობის უნარი გააჩნია. თავის დროზე პენტაგონმა სპეციალურად ისრაელს გამოართვა საბჭოთა T-62 ტიპის ტანკები, რომლებიც ებრაელებმა, თავის მხრივ, არაბებს წაართვეს. სწორედ ამ T-62-ზე გამოიცადა პოლიგონებზე „ტანდერბოლტის“ ქვემეხის ძალა — ერთი კმ-ის სიშორიდან A-10A მოიერიშეები ქვემეხებით წარმატებით აზიანებდნენ საბჭოთა ტანკებს, ჯავშანგამტანი ჭურვები აალებდნენ ტანკების საწვავს და აფეთქებდნენ მათ საბრძოლო მასალას.

# მკითხველის სვეტი

**„კარგად ვიცით, რომ საქართველოს საზღვრების დიდი ნაწილი დაუცველია. გთხოვთ გვაცნობოთ, საზღვრის რა ნაწილი არის დაცული და რა საშუალებებით?**

***ვალერი ფხაკაძე***

## უფულო მესაზღვრეები მარტო სენსორების იმედად ვერ იქნებიან

მესაზღვრეებზე უკეთ ვინ იცის, თუ რამდენადაა დაცული ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრები. თუმცა აქ ერთი განმარტებაც აუცილებელია — იმ სახით საზღვრის გაკონტროლება, როგორც ეს საბჭოთა პერიოდში იყო მიჩნეული, დღევანდელი საქართველოსთვის ფინანსურად შეუძლებელია და არც არის საჭირო.

საზღვრის მთელ პერიმეტრს თავის დროზე ვერც საბჭოთა მესაზღვრეები იცავდნენ — ჩინეთის, ავღანეთის ან სულაც თურქეთის საზღვართან იყო ის ძნელად გასაკონტროლებელი მთის ბილიკები, რომლებითაც ხშირად სარგებლობდნენ კონტრაბანდისტები თუ მზვერავები. ამიტომაც მოსკოვს საზღვრისპირა რაიონებში სპეციალური საშვი ჰქონდა შემოღებული — თუკი მესაზღვრეები ვერ აღმოაჩენდნენ საზღვრის დამრღვევს, მაშინ საქმეში ადგილობრივი მცხოვრებლები ერთვებოდნენ, რომლებიც უცხო ადამიანს იოლად ცნობდნენ.

დღევანდელი საქართველოს სინამდვილეში ასეთი საზღვრისპირა დახურული რაიონები აღარ არსებობს. თუკი ვინმე უცხო ქვეყნის მზვერავს სურს ჩვენთან შემოსვლა, ამას იგი თავისუფლად მოახერხებს სხვადასხვა ფირმის წარმომადგენლის ან ბიზნესმენის საბუთით თუ ტურისტული საგზურით.

სადღეისოდ ყველაზე დაძაბული ადგილი მაინც საქართველო-რუსეთის ფედერაციის საზღვრის ინგუშეთ-ჩეჩნეთ-დაღესტნის მონაკვეთია, საიდანაც, მთებში თოვლის დადნობისთანავე (აპრილის მიწურული — შუა მაისი) შეიძლება უცხო ქვეყნის შეიარაღებულმა პირებმა დააპირონ გადმოსვლა, მაგრამ ბოლო მოვლენების თანახმად, ჩეჩენი მებრძოლები ეტყობა, მაინც სულ სხვა გზას აირჩევენ — ტყეების გამწვანებისთანავე ჩეჩნეთის დაბლობებს დაუბრუნდებიან და სრულმასშტაბიან პარტიზანულ ომში ჩაითრევენ რუსეთის ფედერალურ ძალებს.

მიუხედავად ამისა, აუცილებელია საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის გამაგრება. საზღვრის ზემოხსენებულ მონაკვეთზე ქართველი მესაზღვრეები მალე 11 საგუშაგოს გახსნიან, რომლებიც თანამედროვე ელექტრონული აპარატურით იქნება აღჭურვილი.

აშშ-ის შესაბამისმა სამსახურებმა ქართველ მესაზღვრეებს დახმარების სახით გამოუგზავნეს რამდენიმე სახეობის ელექტრონული მოწყობილობა, რომლებმაც უთუოდ უნდა გააადვილონ საზღვრის კონტროლი.

ამ მოწყობილობებს შორის უპირველესად აღსანიშნავია მინი-სენსორული დეტექტორების კომპლექტი. იგი შედგება ლაზერული და სეისმური მცირეგაბარიტიანი დეტექტორებისგან, რომლებიც შენიღბულად დაიდგმება მთისა თუ ხეობის ბილიკზე. თუკი ადამიანი ამ სენსორებს 20-30 მ-ის სიახლოვეს ჩაუვლის, ისინი რადიოგანგაშის სიგნალს გადასცემენ 3 კმ-ით დაშორებულ, მინირადიომიმღებით აღჭურვილ მესაზღვრეს. დაახლოებით ამგვარ სისტემებს ამერიკელები ჯერ კიდევ ვიეტნამის ომის დროს იყენებდნენ, რათა აღმოეჩინათ ჯუნგლებში მოსიარულე ვიეტნამელი პარტიზანები.

ამერიკიდან ქართველმა მესაზღვრეებმა ღამის ხედვის პორტატიული ბინოკლებიც მიიღეს. საგანგებოდაა აღსანიშნავი რადიაციის აღმომჩენი პეიჯერი, რომელიც მესაზღვრეს ქამარზე ჰკიდია და განგაშს ტეხს, თუკი ახლოს რადიოაქტიური ნივთიერება აღმოჩნდა. დაახლოებით ამდაგვარი ფიზიკური მეთოდით მოქმედი, ოღონდ სტაციონარული სისტემები დამონტაჟდა ჩვენი საზღვრის რამდენიმე საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე. მათ ქვეშ გამავალ მანქანაში რომელიმე რადიაქტიური ნივთიერების თუნდაც მცირე რაოდენობაც რომ იყოს გადამალული, სისტემა დაუყოვნებლივ მიუთითებს. მესაზღვრეებს გააჩნიათ კონტეინერების შიგთავსის გამზომი და გადამალული ტვირთის აღმომჩენი სხვა სპეციალური ტექნიკაც.

გარდა ამისა, ამერიკელების დახმარებით სუფსაში დამონტაჟდა ტექნიკური დაკვირვების რადიოლოკაციური სადგური, რომელმაც ნავთობტერმინალის მიმდებარე საზღვაო აკვატორიის კონტროლი უნდა განახორციელოს.

მისასალმებელია, რომ ქართველ მესაზღვრეებს მეგობარი ქვეყნები ეხმარებიან, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვაში მთავარი სიტყვა მაინც ადამიანის ფაქტორმა უნდა თქვას. მათ კი საარსებო კუთვნილი ხელფასი თვეობით არ ეძლევათ.

# „გინდ დააგრძელე, გინდაც დაამოკლე, თუკი ხელისუფლება არ იზრუნებს, ქვეყანას არმია არ ეყოლება

გასულ კვირას უცხოელმა სამხედრო კონსულტანტებმა კიდევ ერთხელ გვირჩიეს, — თქვენ ამხელა არმიის შემნახველი არ ხართ და სჯობს, შეამციროთო.

სულ რამდენიმე დღის წინ სამხედრო ძალების ძირითადმა შემადგენელმა ნაწილებმა თავიანთი რიცხოვნება წარადგინეს.

თავდაცვის სამინისტრო 27 ათასი კაცის დაკანონებას მოითხოვს, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი 9,5 ათასს ყაბულდება, ხოლო შსს შინაგანი ჯარები კი დაახლოებით 6.500-ს.

არადა ზემოხსენებული უცხოელი ექსპერტები არაორაზროვნად მიუთითებენ — თავდაცვის სამინისტროსთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა — 44 მლნ ლარამდე, მხოლოდ 11-12 ათასი სამხედრო მოსამსახურის მეტ-ნაკლებად გამოკვებასა და მომზადებას თუღა ეყოფაო.

რა თქმა უნდა, სჯობს გყავდეს მცირერიცხოვანი, მაგრამ რეალურად ბრძოლისუნარიანი არმია. ამის შესახებ „კვირის პალიტრა“ ბოლო სამი წელი შეუსვენებლივ წერდა, მაგრამ ახლა ჩვენ მეორე უკიდურესობაში აღმოვჩნდით.

დამოუკიდებელი სამხედრო ექსპერტები სრული პასუხისმგებლობით აცხადებენ, რომ ვერც იმ შემცირებულ 12 ათას კაცს მიექცევა სათანადო ყურადღება, რადგან სახელმწიფო გაისად კვლავ შეკვეცს სამხედრო ბიუჯეტს. მარტო რიცხობრიობის შემცირებით ჯარი არ შეიქმნება, მით უმეტეს, არ მოგვარდება ფინანსური პრობლემა. პირიქით, ხელისუფლება ვალდებული იქნება დათხოვნილ ოფიცრებსა და ზემდეგებს გადაუხადოს 7-10 თვის ხელფასისა და ულუფის ფული, აგრეთვე სხვა თანხებიც, რომელიც კანონით არის განსაზღვრული. ეს კი რამდენიმე მლნ ლარია (თუმცა არის სხვა გამოსავალიც — სამხედროებს ერთ მშვენიერ დღეს გამოუცხადონ, ხვალიდან დათხოვნილი ხართო და არც არაფერი აუნაზღაურონ. ეს დღევანდელ საქართველოში სრულიად შესაძლებელია).

არის რაღაც მინიმუმი, რომლის ქვემოთაც სამხედრო ძალების შემცირება საერთოდ უაზრობას გახდის თვით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ცნებას.

იმავე თავდაცვის სამინისტროში, როგორც სხვა ძალოვან სტრუქტურებში, უპირველესად უნდა შემცირდეს ხელოვნურად გაზრდილი მართვის ორგანოების თანამშრომელთა რიცხვი (არ შეიძლება 27 ათასიან თავდაცვის სამინისტროში მხოლოდ 16 ათასამდე სერჟანტი და ჯარისკაცი იყოს), მათ ხარჯზე კი საბრძოლო დანაყოფები მომძლავრდეს.

გასაგებია, რომ ბევრს აქცენტი საკონტრაქტო პროფესიონალურ არმიაზე გადააქვს; მაგრამ რომელი „კონტრაქტიანი“ გაჩერდება ნაწილში, ერთი თვის ხელფასიც რომ დაუგვიანო, არათუ 10 თვისა?!

ქართული სამხედრო ძალების დღემდე შეუქმნელობის თავიდათავი კი ის გახლავთ, რომ არც აღმასრულებელი და არც საკანონმდებლო ორგანოები არ ზრუნავენ იმ ტოტზე, რომელზეც თავად სხედან.

# რუსები აღიარებენ, რომ იარაღს აფხაზები მათგან ყიდულობენ

ეს საინტერესო აღიარება სრულიად შემთხვევით გაისმა რამდენიმე დღის წინ. ცნობილმა ტელეკომპანია НТВ-მ მთელ რუსეთს მოსდო სენსაციური ახალი ამბავი — რუსმა ოფიცრებმა ჩეჩნებს ზალპური ცეცხლის რეაქტიული დანადგარის „გრადის“ რაკეტები მიჰყიდესო.

ის გარემოება, რომ დღეისთვის უმსხვილესი ფინანსური მაგნატის, გუსინსკის „ფრთებქვეშ“ შეფარებული ტელეკომპანია НТВ რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობს, ისედაც თვალნათლივ ჩანს. ამიტომაც НТВ-ს ზემოხსენებულ ინფორმაციას გამსკდარი ბომბის ეფექტი შეიძლება მოეხდინა: მაშინ, როდესაც რუსეთის ფედერალურ ჯარებს სისხლისმღვრელი ბრძოლები ჰქონდათ გაჩაღებული ჩეჩნებთან, სხვა რუსი ოფიცრები, პირიქით, იმავე ჩეჩნებს იარაღს აძლევდნენო.

და მხოლოდ ამ, მართლაც მძიმე ბრალდების ფონზე, ოფიციალური მოსკოვი იძულებული გახდა, ეღიარებინა სიმართლე. რუსეთის მთავარი სამხედრო პროკურატურის — ГВП-ს სახელით ოფიციალურად გავრცელდა ინფორმაცია — ის ოპერატიული კადრები, რომლებიც „გრადის“ გამყიდველი რუსი ოფიცრების დაკავების პერიპეტიებს ასახავს და რომელიც НТВ-მ ახალ კადრებად გაასაღა, სინამდვილეში 1997 წლის შემოდგომაზეა გადაღებულიო.

მაგრამ მთავარი ნიუანსი, რამაც შეიძლება ქართველი მკითხველი დააინტერესოს, სულ სხვა რამაა — „გრადის“ დანადგარისთვის გამოსადეგი 180 ცალი რეაქტიული ჭურვის გაყიდვას კრასნოდარის მხარეში დისლოცირებული სამხედრო ნაწილის რუსი ოფიცრები სამი წლის წინ მართლაც ცდილობდნენ, ოღონდ არა ჩეჩნებზე, არამედ აფხაზი სეპარატისტების მსტოვრებზე.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ მოვლენებიდან სულ რაღაც ექვს თვეში, 1998 წლის მაისის ბოლოს, გალის რაიონში ახალი ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები დაიწყო. ე.ი. აფხაზი სეპარატისტები, გარკვეულწილად, ემზადებოდნენ და ივსებდნენ სამხედრო საჭურვლის მარაგს.

დაახლოებით იმ პერიოდისთვის რუსეთში, სანქტ-პეტერბურგში, „მოღვაწეობდა“ დაუნდობელი კრიმინალური დაჯგუფება, რომელიც ძირითადად აფხაზებისგან იყო შემდგარი. ისინი „მოგების“ (ანუ ნაძარცვის) ლომის წილს სოხუმში გზავნიდნენ იარაღის შესაძენად. ეს აფხაზური დაჯგუფება რუსეთის სამართალდამცავებმა მხოლოდ ახლახან გააუვნებელყვეს.

ეს ყველაფერი ღია რუსული საინფორმაციო წყაროებიდან გახდა ცნობილი. ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი გარიგება ხდება ყოველთვიურად და რა რაოდენობისა და სახეობის იარაღით ივსება სეპარატისტული აფხაზური ხელისუფლება.



თუმცა სხვა მხრივ შეიძლება ამ ფაქტს კაცმა სინანულითაც შეხედოს — მაშინ, როდესაც საქართველოს სამხედრო ძალები სატირალ მდგომარეობაში იმყოფებიან და მათთვის ქვეყნის ბიუჯეტიდან გამოყოფილ საცოდავ თანხასაც ვილაც-ვილაც მსხვილვარსკვლავებიანები რესტორნების საპირფარეშოებს „ატანენ“, აფხაზი სეპარატისტები თავის მომავალ ძლიერებაზე ფიქრობენ.

1997 წლის სექტემბერში კრასნოდარის მხარეში აფხაზების მსტოვრები 180 ერთეული „გრადის“ რეაქტიული ჭურვის ყიდვას 2 მლრდ რუსულ რუბლად აპირებდნენ. ისინი უკვე იყვნენ მოლაპარაკებულნი სამ რუს ოფიცერთან. ამ უკანასკნელებმაც „გრადის“ რაკეტებით დატვირთული „კამაზები“ წინასწარ დათქმულ ადგილას მიიყვანეს, მაგრამ ბოლო წუთს საქმეში რუსეთის ГВП ჩაერია, რომელიც ალბათ გარიგების წილში აფხაზებმა არ ჩართეს.

დაახლოებით ანალოგიური ფინანსური ოპერაციების შედეგად შეიძინეს აფხაზებმა ის ზებგერითი МиГ-23 ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავი ბელორუსიაში, რომელიც ამჟამად უჟანგდებათ სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო (სხვათა შორის, ოფიციალურ თბილისს შეიარაღებაში არ გააჩნია არც ერთი ზებგერითი თვითმფრინავი).

ის ფაქტი, რომ აფხაზები რუსეთში მაინცდამაინც „გრადების“ რაკეტების ყიდვას აპირებდნენ, შემთხვევითი სულაც არ არის.

დღეისათვის აფხაზი სეპარატისტების შეიარაღებაში არანაკლებ 8 ცალი БМ-21 „ГРАД“-ის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის დანადგარი უნდა იყოს. ეს კი აფხაზებს საშუალებას აძლევს, ერთდროულად 320 რაკეტის ზალპი მისცენ. თუკი ისინი კრასნოდარის მხარეში 180 რაკეტის შეძენას მოახერხებდნენ, ეს საკმაოდ გააძლიერებდა სეპარატისტებს, რადგან „გრადების“ სროლის მაქსიმალური სიშორე თითქმის 21 კმ-ს აღწევს. „გრადი“ აფხაზების ყველაზე შორსმსროლელი იარაღია, რომლითაც მათ ყოველთვის შეუძლიათ შანტაჟის ქვეშ ამყოფონ როგორც ზუგდიდი, ისე სამეგრელოს გარკვეული ნაწილი. ამიტომაც სასურველია, საქართველოს სპეცსამსახურებს ყოველთვის ჰქონდეთ ინფორმაცია, თუ „გრადების“ რამდენი რაკეტაა დარჩენილი აფხაზი სეპარატისტების საწყობებში.

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

...ბომბდამშენი ბილიკზე უკვე ორი ასეული კმ/სთ სიჩქარით მიქროდა, როდესაც Ан-12-თან შეკრებილმა ხალხმა გარიჟრაჟის ბინდბუნდიდან მათკენ დიდი სისწრაფით მოახლოებული, აბრდღვიალებული ფარები დაინახა და შიშით ადგილზევე გაიყინა...

ირაკლი ალადაშვილის ექსკლუზიური მასალები „კვირის პალიტრის“ ახალ ჟურნალში – „გზა“

პირველი ნომერი გამოვა 30 მარტს!

# ბანდების გამოჩენა მაშინ სენსაციად ითვლებოდა...

***ჩვენი მკითხველისთვის ალბათ ცნობილია, რომ ბოლო რამდენიმე წელიწადი საქართველოში კორუფციასთან ბრძოლის წლადაა გამოცხადებული (სხვა საკითხია, თუ როგორ მიმდინარეობს სინამდვილეში ეს ბრძოლა). 1976 წელი კი, ვეტერან სამართალდამცავთა აზრით, ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის წლად იყო ცნობილი და თურმე ბრძოლები მართლაც წარმოებდა...***

***სწორედ მაშინ გაუყენეს შორეულ საპატიმროთა გზას ჩვენში კარგად ცნობილი არაერთი იატაკქვეშა მეწარმე თუ გადამყიდველი. ამბობენ, ფაბრიკა-ქარხნების, მაღაზიებისა და რესტორნების იმჟამინდელ ხელმძღვანელებს ის წელი ჟრუჟრუხით აგონდებათო — ახალგაზრდა კადრებით გაძლიერებული „ორგანოები“ სასტიკად უსწორდებოდნენ ხაზინის მფლანგველებსა და სპეკულანტებს...***

***შესაძლოა, სწორედ იმის გამო, რომ მილიციის რაზმების უდიდესი ნაწილი ამ ფრონტზე იყო გადასროლილი, რესპუბლიკაში თითქმის ერთდროულად გამოჩნდა ცეცხლსასროლი იარაღით კარგად აღჭურვილი რამდენიმე ბანდა, რომელთა თარეშმაც საგონებელში ჩააგდო საქართველოს ხელმძღვანელობა...***

***უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საკუთარი თვალით იმდენი უმძიმესი დანაშაული ვიხილეთ, რომ ჩვენ მიერ ქვემოთ აღწერილი ისტორიები შესაძლოა ბევრს მსუბუქ თავგადასავლებადაც მოეჩვენოს, მაგრამ 25 წლის წინ, „უძრაობის“ ხანაში მართლწესრიგით თავმომწონე რესპუბლიკაში შეიარაღებული ბანდების გამოჩენა ნამდვილ სენსაციად იყო აღქმული...***

***ჩვენი დღევანდელი რესპონდენტები სწორედ ორი ასეთი ბანდის შესახებ მოგვითხრობენ.***

## ხურცილავას ბანდა

**ომარ გაბელია, მილიციის კაპიტანი თადარიგში, 1963-1977 წლებში მსახურობდა თბილისის, ქუთაისისა და სოხუმის შინაგან საქმეთა უწყებებში:**

— მაშინ აფხაზეთში ვმუშაობდი და სამსახურებრივი მოვალეობის გამო ხშირად მიწევდა ბიჭვინთაში ჩასვლა. ერთხელ, ამ ულამაზეს ადგილას მორიგი ვიზიტის დროს შუა გზაზე, ციტრუსების მეურნეობის მახლობლად, უცნობი მამაკაცი შევნიშნე. ეტყობა, რაღაც უჭირდა, შეშლილის გამომეტყველება ჰქონდა და ხელებს გიჟივით იქნევდა. მანქანა იმწამსვე გავაჩერე და უცნობს რუსულად მივმართე, რაშია-მეთქი საქმე. პასუხი არ გაუცია, თვალის დახამხამებაში მანქანაში ჩამიხტა და რუსულადვე დამიწყო ხვეწნა, ამ ადგილიდან წამიყვანეო. ცოტა არ იყოს, დავიბენი, მაგრამ კაცს თხოვნა შევუსრულე, მანქანა დავძარი და დაახლოებით სამას მეტრში ისევ გავაჩერე. მილიციის თანამშრომელი ვარ და მითხარით, რა მოხდა-მეთქი. მანქანა წამართვეს და მეუღლეც თან წაიყვანესო, მეუბნება.

— რამდენი იყვნენ და რომელ მხარეს წავიდნენ? — ვეკითხები.

წარმოდგენა არ მაქვსო და თან აქეთ-იქით აცეცებს თვალებს. ალბათ, ძალიან შეაშინა ვიღაცამ. ახლაღა შევამჩნიე, რომ თვალთან ახალი იარა ამჩნევია, მარჯვენა ყურის ნაწილი აგლეჯილი აქვს და ქერა ულვაშები სისხლით მოსვრია. მახლობლად სამთავრობო აგარაკები და პანსიონატები იყო განლაგებული, ყველაფერი კარგად იყო დაცული და ამ ადგილას ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის ხილვა ძალიან გამიკვირდა.

საკურორტო სეზონი უკვე იწურებოდა, თუმცა გზაზე მაინც ბევრი ავტომობილი მოძრაობდა. ვიფიქრე, ვინმე მანქანიანს გავაჩერებ, ვთხოვ, რომ ეს გაუბედურებული კაცი საავადმყოფომდე მიიყვანოს, თავად კი მილიციის უახლოეს „ტეკამდე“ მივალ და რაიონულ განყოფილებას რაციით გადავცემ გატაცებული მანქანის ნომრებს-მეთქი. ჩემს თანამგზავრს მივუბრუნდი და კითხვები მივაყარე:

— რა მანქანაა, ფერი, ნომერი, საით გაიქცნენ?..

თქვენც არ მომიკვდეთ, ერთზეც ვერ გამცა პასუხი. უკვე სერიოზულად ვფიქრობდი, ალბათ ფსიქიკურად დაავადებულია-მეთქი. მანქანა კვლავ დავქოქე და მაქსიმალური სვლით „ტეკისკენ“ გავწიე. გასისხლიანებულ მამაკაცს გზაში გული წაუვიდა და ინსპექტორებამდე ცოცხალ-მკვდარი მივიყვანე. რაციით გამოვიძახეთ სასწრაფო, მაგრამ ექიმების მოსვლამდე უცნობი მოულოდნელად მოსულიერდა და ენაც ამოიდგა:

— ანატოლი გონჩარი, მხატვარი მინსკიდან... ცოლთან ერთად ბიჭვინთაში ვისვენებ. დღეს ჩვენი მანქანით რიწის ტბაზე გვინდოდა ასვლა... თეთრი „ვოლგა“ გვყავს, გაზ-21... მათი მანქანა უკნიდან წამოგვეწია, ჯერ დაასიგნალა, შემდეგ გვერდიდან მოგვადგა და ერთ-ერთმა მილიციის წიგნაკი მიჩვენა. გავჩერდი. მოგვიახლოვდნენ. სამნი იყვნენ... ორმა ხელი ჩამავლო და გზიდან გადამათრია... ჯერ მაგრად მცემეს, მერე უნდა მოგკლათო, გამომიცხადეს, ხის ქვეშ დამსვეს და ორი პისტოლეტიდან სროლა დამიწყეს... სულ მილიმეტრებში მაცილებდნენ ტყვიებს, თან იცინოდნენ... თავი რომ დამანებეს, გზაზე გამოვედი, მაგრამ იქ არავინ დამხვდა...

ასეთი იყო საქართველოში სტუმრად ჩამოსული მხატვრის ისტორია. მისი მანქანა და ნაცემ-ნაწამები მეუღლე მილიციამ იმავე საღამოს გაგრის მახლობლად იპოვა. დაზარალებულთა გამოკითხვისა და სხვა ოპერატიულ-საგამომძიებლო ღონისძიებების გატარების შედეგად სამართალდამცავებისთვის ცნობილი გახდა ვინმე ზვიად ხურცილავას, 35 წლის ე.წ. კანონიერი ქურდის სახელი, რომელსაც ორი თვის წინ ურალის ერთ-ერთ საპატიმროში მოეხადა სასჯელი და სამშობლოში დაბრუნებულიყო. როგორც უკვე მოგახსენეთ, ანატოლი გონჩარი მხატვარი იყო, მან ორი თავდამსხმელის პორტრეტი საკუთარი ხელით დახატა და ამ ნახატების ასლები მაშინვე მილიციის ყველა განყოფილებას დაურიგდა, მაგრამ დამნაშავეთა (ბანდის ორი წევრის ვინაობა კვლავაც უცნობი იყო) კვალი კარგა ხნით დაიკარგა.

ხურცილავას ბანდამ, როგორც მას ოპერმუშაკები ვუწოდებდით, თითქმის ერთი თვის შემდეგ, ოქტომბრის ბოლოს წამოყო თავი. ჯერ ოჩამჩირეში და შემდეგ გალში ისინი თავს დაესხნენ ავტომობილთა მფლობელებს და მათ მანქანები და ძვირფასი ნივთები წაართვეს, ამასთან ყოველგვარი სისასტიკითა და თავხედობით გამოირჩეოდნენ. გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და ადამიანთა ჯგუფის დაყაჩაღებისას იმავე ბანდიტებმა 70 წლის ქალი მოკლეს. ორი დღის შემდეგ მათი თაოსნობით კიდევ ერთი ადამიანის ფიზიკურად დაზიანების ფაქტი დაფიქსირდა.



***ჯაფარიძე მძღოლს ესაუბრებოდა, როცა გზაზე მდგარ ნიღბიანებს მოჰკრა თვალი. „პარაბელუმი“ დააძრო და მძღოლს დაუყვირა, ავტობუსი არ გააჩეროთ. მანძილი ტრანსპორტსა და ბანდიტებს შორის სწრაფად კლებულობდა...***

მალე აგენტურული წყაროებიდან სამართალდამცავთათვის ცნობილი გახდა ბანდის აქამდე უცნობი წევრების გვარებიც — ხარჩილავა და კანკავა. ესენი ახალგაზრდა სოხუმელები იყვნენ, ქურდის სახელის მოპოვებისთვის რომ იბრძოდნენ და სახელიან ხურცილავას ყველაფერში ბრმად ბაძავდნენ. მილიციას ასევე შეატყობინეს, რომ ზვიად ხურცილავა საკუთარ თავს ცნობილი და იმ პერიოდში უკვე დახვრეტილი ბანდიტის, დურუ ხურცილავას ახლო ნათესავად ასაღებდა და ამის გამო დამნაშავეთა შორის უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობდა. სინამდვილეში დურუსთან მას არანაირი ნათესაური კავშირი არ ჰქონდა.

ახალი წლის წინა დღეებში ხურცილავას ბანდამ თბილისშიც გაინავარდა, ორ სპეკულანტს ფული გამოსძალა და შემდეგ რესპუბლიკის ტერიტორია დატოვა. საქართველოში მათ სულ სამიოდ თვე „იმოღვაწეს“ და ჩემი ინფორმაციით, მას შემდეგ აღარც გამოჩენილან.

ხურცილავა რატომღაც კარგა ხნის გარდაცვლილი მეგონა, მაგრამ სრულიად შემთხვევით, რამდენიმე წლის წინ მისი სახელი და გვარი რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში მცხოვრები ჩემი ბიძაშვილისგან გავიგონე — სამოც წლამდე იქნებაო, მითხრა. ამბობენ, ადრე კანონიერი ქურდი ყოფილა, ციხეებშიც მჯდარა, ამჟამად კი ციმბირში საკმაოდ ცნობლი ბიზნესმენიაო. ნუთუ, ის არის? არადა, ბევრი რამ ემთხვევა...

## ყორიაულის ბანდა

**გრიგოლ დავითულიანი, მილიციის პოლკოვნიკი თადარიგში, წლების მანძილზე იყო რესპუბლიკის სასჯელთა აღსრულების სამმართველოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი:**

— თბილისიდან თიანეთის მიმართულებით, როგორც წესი, დღეში ორი ავტობუსი გადიოდა, დილით და შუადღისას. მახსოვს, კვირა დღე იყო და ავტოსადგურში პირველ რეისზე ხალხმრავლობა იგრძნობოდა — თბილისელებს თიანეთის ცნობილ ბაზარში მიეჩქარებოდათ. ჩვენი ავტობუსი გაივსო და გრაფიკით გათვალისწინებულ დროზე ათი წუთით გვიან დაიძრა. უკან დაგვრჩა გლდანის დასახლება, ცხვარიჭამია და ავტობუსი საბადურას ტყის მიმდებარე მასივის ალმართს ხვნეშით შეუყვა.

მგზავრები თვლემდნენ, მძღოლი დაბალ ხმაზე, თავისთვის რაღაც სიმღერას ღიღინებდა. როგორც იქნა, დამთავრდა ალმართი და ახლა ერწოსკენ მიმავალ დაღმართზე დავიწყეთ დაშვება. მოღიღინე მძღოლს ხმა ერთბაშად ჩაუწყდა, შიშისგან თვალის გუგები გაუფართოვდა და მუხლების კანკალი დაეწყო. წინ გავიხედე და შუა გზაზე, ჩვენგან დაახლოებით 40 მეტრში ოთხი ნიღბიანი მამაკაცი შევნიშნე. კბილებამდე შეიარაღებულები იყვნენ და როგორც ჩანს, ჩვენ გველოდნენ. იარაღმომარჯვებული კაცები მგზავრთა ნაწილმაც დაინახა. მოულოდნელობისგან დაბნეულები ველოდით მოვლენათა განვითარებას.

ამასობაში ავტობუსი სვლას განაგრძობდა. საცოდავი მძღოლი ვერაფრით იმორჩილებდა საჭეს და მხოლოდ მაშინ მოახერხა დამუხრუჭება, როცა ნიღბიანებს ორ ნაბიჯში მივუახლოვდით. მათ იარაღი მძღოლს მიუშვირეს და ავტობუსის გზიდან მარჯვენა მხარეს, ტყის სიღრმეში გადაყენება უბრძანეს. აკანკალებული მძღოლი უმალ დაემორჩილა ბანდიტებს და მანქანა მათ მიერ მითითებულ ადგილზე, ტრასიდან ასე, 50 ნაბიჯში გადაიყვანა. შემდეგ ნიღბიანები ავტობუსის კარებთან დადგნენ და მგზავრებს ჩამოსვლა მოსთხოვეს. იარაღმომარჯვებულნი საკმაოდ დინჯად და თავდაჯერებულად მოქმედებდნენ. ხალხი მიწაზე დასხეს და მათ პირწმინდად ძარცვა-გასუფთავებას შეუდგნენ. წაართვეს ფული, ძვირფასი ნივთები, მაჯის საათები, ხელჩანთები, შემდეგ ნადავლი იქვე დააწყვეს და გაძარცულებს დაგვემუქრნენ, — ხმაური არ ატეხოთ, თორემ საიქიოს გაგისტუმრებთო.

ისეთ ადგილას ვისხედით, რომ ცენტრალური გზიდან არ ვჩანდით. მეთვალყურედ ერთი ბანდიტი მოგვიჩინეს, დანარჩენები იქვე ახლოს, ბორცვზე წამოგორდნენ, იარაღი ბალახში ჩამალეს, ნიღბები მოიხსნეს და მშვიდი საუბარი გააბეს. თან გზას გაჰყურებდნენ და ხანდახან ჩვენც გადმოგვხედავდნენ ხოლმე. მათი საუბარი ჩვენამდე არ აღწევდა, სიშორის გამო ვერც მათ სახეებს ვხედავდით კარგად, სამაგიეროდ, გზიდან რომ დაენახა ისინი ვინმეს, ალბათ იფიქრებდა, საკურორტო ზონის ერთ-ერთი სანატორიუმის დამსვენებლები არიან და საუზმის შემდეგ მზეს ეფიცხებიანო...

რაჟა სარჩიმელიას მიერ გაძარცული მგზავრებივით ვისხედით ბალახზე და ამაოდ ველოდით ყაჩაღთა წასვლას. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი... თავდამსხმელები კვლავ ბორცვის თავზე გორაობდნენ და ჩვენს განთავისუფლებას თითქოს არც კი აპირებდნენ. არხეინად იყო მეთვალყურეც, თუმცა გამუდმებით გვაკონტროლებდა და თოფიც სულ შემართული ჰქონდა. მერე ბანდიტებს ფორიაქი შევატყვე, ბორცვზე მყოფები ფეხზე წამოდგნენ და ბოლთის ცემას მოჰყვნენ, ჩვენი დარაჯიც წამდაუწუმ დასცქეროდა საათს. ცხადი იყო, რომ ვიღაცას ელოდებოდნენ.

მართალია, ერთმანეთში საუბარი სასტიკად გვქონდა აკრძალული, მაგრამ შიგადაშიგ მაინც ვახერხებდით ხოლმე ჩურჩულს. კაცები იმთავითვე შევთანხმდით, რომ თავდამსხმელებისთვის წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა — იარაღი არც ერთს არ გაგვაჩნდა და აყალმაყალი რომ აგვეტეხა, შესაძლოა ყოველივე მსხვერპლით დასრულებულიყო. ბანდიტებმა ნერვიული წრიალი რომ დაიწყეს, ჩემს გვერდით მჯდომმა მამაკაცმა ჩამჩურჩულა, ამათ ალბათ თიანეთისკენ მომავალი მეორე ავტობუსის გაძარცვაც განუზრახავთ და იმას ელოდებიანო. ასეც იყო.

დაახლოებით სამ საათზე ბორცვზე მყოფებმა კვლავ აიკრეს ნიღბები და გზის მხარეს დაეშვნენ, მაშინვე ავტობუსის ხმაც შემომესმა. ეს უთუოდ თბილისიდან მომავალი მეორე რეისი უნდა ყოფილიყო.

მოგვიანებით გავიგე, რომ ამ ავტობუსით მომავალ მგზავრთა შორის იმყოფებოდა თიანეთის მილიციის უფროსის მოადგილე, გოგი ჯაფარიძეც — სასიამოვნო გარეგნობის, ფიზიკურად ძლიერი და გამოცდილი ახალგაზრდა ჩეკისტი, რომელსაც შვებულება დასრულებოდა და მეუღლესთან ერთად თბილისიდან რაიონში ბრუნდებოდა.

ჯაფარიძე მძღოლის გვერდით იჯდა და მასთან საუბრობდა, როდესაც გზაზე სამ შეიარაღებულ და ნიღბიან კაცს მოჰკრა თვალი. მილიციელი არ დაბნეულა, მგზავრებს დაუყვირა, ძირს გაწექითო, თავად „პარაბელუმი“ დააძრო და მძღოლი სასტიკად გააფრთხილა, რომ მას არავითარ შემთხვევაში არ გაეჩერებინა ავტობუსი. მანძილი ტრანსპორტსა და ყაჩაღებს შორის სწრაფად კლებულობდა, მაგრამ ეს უკანასკნელნი გზიდან არ გადადიოდნენ — თითქოს დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მძღოლი მათ არ გაწირავდა. ბოლო მომენტში მძღოლს მართლაც უმტყუნა ნერვებმა და მანქანა ბანდიტებს ცხვირწინ გაუჩერა.

იარაღშემართული მგზავრის დანახვისას თავდამსხმელები ორიოდ წამით შეცბნენ. ამასობაში გოგი ჯაფარიძე გარეთ გადახტა და ნიღბიანებს სროლა აუტეხა. ბანდიტებმა უკან დაიხიეს, გზა გადაირბინეს, ხეებს ამოეფარნენ და საპასუხო ცეცხლი გახსნეს. სუნთქვაშეკრული მგზავრები ახალგაზრდა მილიციელის გმირობის მოწმენი გახდნენ. ჯაფარიძე ავტობუსს არ ამოფარებია, რათა ყაჩაღთა მიერ ნასროლი ტყვიები უდანაშაულო ადამიანებს არ მოხვედროდათ. ის მოწინააღმდეგეთ ფეხდაფეხ დაედევნა, ტყეში შეიჭრა და უთანასწორო ბრძოლაში ჩაება. ინტენსიური სროლა დაახლოებით ერთ წუთს გაგრძელდა და ლოგიკური შედეგით დასრულდა. ტყეში გაფანტულმა ბანდიტებმა მოახერხეს გამარჯვება და გოგი ჯაფარიძის მოკვლა, თუმცა არც ჩეკისტი დარჩენილა ვალში — თავდამსხმელთაგან ერთ-ერთი თავის არეში დაჭრა. ბოროტმოქმედებმა გუდა-ნაბადი აიკრეს, დაჭრილი მეგობარი ხელში აიყვანეს და სასწრაფოდ გაუჩინარდნენ.

თავდამსხმელთა ცხელ კვალზე დაკავების მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ იმავე დღეს გაატარა ოპერატიული ღონისძიებანი, მაგრამ დამნაშავეთა პოვნა ვერ მოხერხდა. აუცილებელი იყო სპეციალური ჯგუფის შექმნა, რომელიც მხოლოდ ამ საქმეზე იმუშავებდა და მინისტრმაც მიიღო გადაწყვეტილება — თბილისი-თიანეთის გზაზე მომხდარი დანაშაულიდან 24 საათიც არ იყო გასული, რომ ბანდიტთა კვალს ბრწყინვალედ მომზადებული რაზმი დაადგა, რომელსაც სამინისტროს სამძებრო განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ვალერიან თალაკვაძე ჩაუდგა სათავეში.

თალაკვაძემ იცოდა, რომ შეტაკებისას მძიმედ დაჭრილ ყაჩაღს მკურნალობა დასჭირდებოდა და სამუშაო გეგმაც სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით შეიმუშავა. ნაკლებსავარაუდო იყო, დაჭრილი ძმაკაცი ბოროტმოქმედებს თიანეთის, ერწოს, გლდანის ან მით უმეტეს, თბილისის საავადმყოფოებში მიეყვანათ. პოლკოვნიკი დარწმუნებული გახლდათ, რომ პირველი სამედიცინო დახმარებისათვის ძებნილები რომელიმე ახლომდებარე სოფელს მიადგებოდნენ და ოპერჯგუფმაც დაიწყო იმ პირთა მოძიება, რომელთაც რაიმე კავშირი ჰქონდათ მედიცინასთან.

მახლობელ სოფლებში თალაკვაძემ შვიდი ასეთი ოჯახი დაადგინა. ზოგიერთი მათგანის წევრები სამედიცინო დაწესებულებებში მუშაობდნენ, დანარჩენებს შინაური წამლებით მკურნალობა ეხერხებოდათ. მილიციის ჯგუფი ძირფესვიანად ამოწმებდა მათ, მაგრამ შედეგი ჯერჯერობით არ ჩანდა. გაისინჯა ექვსი ოჯახი და დარჩა უკანასკნელი, რომლის დიასახლისიც ადგილობრივ სამედიცინო პუნქტში მედდად მუშაობდა.

რაზმის წევრებმა საგულდაგულოდ გაჩხრიკეს საცხოვრებელი სახლი, დამხმარე სათავსოები, მიმდებარე ტერიტორია (არ იყო გამორიცხული, რომ დაჭრილისთვის მახლობლად მდებარე ბუჩქნარში ან ტყეში გაეკეთებინათ დროებითი თავშესაფარი), მაგრამ კვლავ ამაოდ — არც დაჭრილი ჩანდა სადმე და არც ბანდის სხვა წევრები. მილიციელები სათითაოდ ტოვებდნენ მედდის კარ-მიდამოს. ეზოდან უკანასკნელი საგონებელში ჩავარდნილი თალაკვაძე გამოდიოდა. გამოცდილი პოლკოვნიკი ვერაფრით მიხვდა, თუ სად უნდა გაუჩინარებულიყვნენ ბოროტმოქმედები. თითქოს ყველა საეჭვო ტერიტორია დაათვალიერეს, ყველა დაჰკითხეს... იქნებ, რაღაც გამორჩათ? რაზმის ხელმძღვანელი მედდას დაემშვიდობა, ჭიშკარშიც გამოვიდა, მაგრამ მოულოდნელად თავში რაღაც აზრმა გაუელვა. შებრუნდა, იქაურობას კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი და გაშეშდა. მისი ყურადღება საბძელზე მიდგმულმა კიბემ და მასზე გამობმულმა უზარმაზარმა ნაგაზმა მიიპყრო. თალაკვაძე სწრაფად შებრუნდა ეზოში და გაოცებულ დიასახლისს ძაღლის სხვა ადგილზე გადაბმა უბრძანა. ეზოში რაზმის წევრებიც შემობრუნდნენ. მათ არ გამოჰპარვიათ ის გარემოება, რომ პოლოვნიკის ბრძანებამ წყობიდან გამოიყვანა შუახნის ქალბატონი, რომელიც მანამდე მეტისმეტად თავაზიანი გახლდათ მილიციელების მიმართ. დიასახლისს კოპები შეეყარა, ვიღაცის მისამართით წყევლა-კრულვას აგზავნიდა და ნაგაზის გადაბმის პროცესს განგებ აჭიანურებდა.

თალაკვაძე მიხვდა, რომ რაღაცაში იყო საქმე — გაფითრებული მედდა ფეხს ტყუილად არ ითრევდა. ერთი ხანობა ჯგუფის წევრებმა ისიც კი იფიქრეს, დიასახლისმა ვეებერთელა ძაღლი არ აუშვას, ჩვენზე არ დაგეშოსო და იარაღიც უმალ შემართეს, მაგრამ ქალმა ამდენი ველარ გაბედა. როგორც იქნა, ნაგაზი ხეზე მიაბა და თალაკვაძემაც მაშინვე დაიწყო კიბეზე ასვლა. უცებ, ერთი ბეწო საბძლიდან სასოწარკვეთილი ყვირილი გაისმა: „არ მესროლოთ, გნებდებით, ახლავე ჩამოვალ!“ და ეზოში ზღართანი გაადინა ზემოდან გადმოგდებულმა „ტეტე“-მ. შემდეგ დაბინტული თავი გამოჩნდა, თავს ტანიც მოჰყვა და უკვე რამდენიმე წამის შემდეგ ხელ-ფეხგაკოჭილი ბანდიტი რაზმის წევრებს ეზოდან გაჰყავდათ.

დაკავებული, გვარად გიგაური, აღმოჩნდა ერთ-ერთი იმათგანი, ვინც რამდენიმე დღის წინ თავს დაესხა ავტობუსებით მომავალ მგზავრებს. პირველივე დაკითხვისას მან განაცხადა, გოგი ჯაფარიძე ჩვენი ბანდის მეთაურმა, ყორიაულმა მოკლაო. გიგაურმა ყოველგვარი ხვეწნა-მუდარისა თუ მუქარის გარეშე დაასახელა ბანდის სხვა წევრთა სავარაუდო ადგილსამყოფელიც.

როგორც მოგვიანებით შევიტყვე, დაჭრილი ბოროტმოქმედის დატყვევების ამბავი სამი ბანდიტისთვის იმ დღესვე გამხდარა ცნობილი. შეკრებილან და ყორიაულს განუცხადებია, თუ დაგვიჭირეს, მილიციელის მკვლელობა გიგაურს უნდა დავაბრალოთო. ყორიაულს საკმაო ავტორიტეტი ჰქონდა დამნაშავეთა სამყაროში, ბანდის წევრები მას უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ და რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მილიციამ მართლაც დააკავა ისინი, ხელი სამივემ გიგაურს დაადო.

სასამართლო პროცესზე გიგაური ბევრს ეცადა, დაემტკიცებინა თავისი სიმართლე, მაგრამ სამი ადამიანის ჩვენების წინააღმდეგ ვერაფერს გახდა. საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო გოგი ჯაფარიძის მკვლელობის საქმეში და სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა. განაჩენი მალევე მოიყვანეს სისრულეში, ბანდის დანარჩენ წევრებს კი 15-15 წელი შეუფარდეს.

ჯაფარიძის ნამდვილმა მკვლელმა — ყორიაულმა 15 წელიწადი მაგადანის ოლქის ერთ-ერთ კოლონიაში, ყოველგვარი შეღავათის გარეშე, რომ იტყვიან, ზარიდან ზარამდე, გაატარა. დადგა მისი განთავისუფლების დღე. ადმინისტრაციამ ყველა საბუთი გაუფორმა, სამგზავრო ტალონები გამოუწერა და გარკვეული თანხაც გადაუხადა. კოლონიაში შეძენილ მეგობრებს ყორიაული დიდხანს ემშვიდობებოდა, შემდეგ შემობრუნდა და ცენტრალურ კარებს მიაშურა, მაგრამ ამ დროს მართლაც სასწაული მოხდა — ორი-სამი ნაბიჯი აკლდა გარეთ რომ გამოსულიყო და უცებ, გულის შეტევა დაემართა. ყორიაული იმწამსვე გარდაიცვალა. ალბათ, უფალმა არ აპატია ჩადენილი ცოდვები.

***მიხეილ ჩერქეზია***

თბილისის ცენტრში, დღისით-მზისით, ათობით ადამიანის თვალწინ ახალგაზრდა ქალს 5 თვის ბავშვი მოჰპარეს! ქალაქის მილიცია უმალ ფეხზე დადგა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დანაშაული მართლაც მძიმე და არაორდინარული იყო და მეორეც: მოტაცებული ბავშვი საკმაოდ ცნობილი ოჯახიდან გახლდათ.

**მიხეილ ჩერქეზიას ახალი ვერსიები „კვირის პალიტრის“ ახალ ჟურნალში – „გზა“**

**პირველი ნომერი გამოვა 30 მარტს!**

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ორაზროვანი სიტყვა



ზაფხულის ცხელი დღე იდგა. ლუდის ბარი „ყაზბეგი“ ლუდის მსურველ ხალხს ვერ იტევდა. ბარში, ერთ-ერთ მაგიდასთან სამი ახალგაზრდა იჯდა. ერთმანეთს ცხელი ხინკლის ოხშივარში ძლივს ხედავდნენ, მაგრამ გარეთ მდგარ მანქანას ფანჯრიდან თვალის მოუშორებლად უყურებდნენ.

საუკეთესო ხინკლით დანაყრებულებმა და ცივი ლუდით გულგაგრილებულებმა, კიდევ ერთხელ მადლობით მოიხსენიეს ლუდის „მამა“ გოგი თოფაძე და არყით ფეხარეულები მანქანისკენ გაემართნენ.

ის იყო მორიგი კლიენტების ტალღით აფორიაქებული დამლაგებელი ქალი, მაგიდას ალაგებდა, რომ მთლად „გამოფხიზლებული“ ერთ-ერთი ახალგაზრდა შეშფოთებული შემოვარდა უკან და დამლაგებელს მუდარის კილოთი მიმართა:

— დეიდა, მანქანის გასაღები ხომ არ გინახავს მაგიდაზე?

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა დამლაგებელმა მხრები აიჩეჩა და ჯიბეებში ხელებმოფათურე ბიჭს გაოცებული შეაჩერდა.

ცოტა ხანს უყურა და შემდეგ თანაგრძნობით მიმართა:

— უკაცრავად, შვილო, კარგად ნახეთ შიგ ხომ არა გაქვთ?

ამის თქმა და მთელ დარბაზს სიცილ-ხარხარმა გადაუარა.

დაბნეული ქალი გვიან მიხვდა თავის გულუბრყვილო ნათქვამს და გაწითლებული თვალს მიეფარა.

არადა, ბიჭს მართლა შიგ ჰქონდა... გასაღები, შარვლის ჯიბეში.

***მალხაზ გელაშვილი, გორი***



## — მითხარი, ბიჭო, დავი...

მამა ჰყავს ოთიას გარდაცვლილი. ღამეს ვუთევთ მეგობრები, თან ნარდს ვთამაშობთ გასართობად. ოთარიც ჩაგვერთო. შუა თამაშში დავი მითხრა, არ წავყევი, — ქვა მყავს მკვდარი-თქვა.

— ბიჭო, მე მამა მყავს მკვდარი, მარა მაინც კი წაგყევი და შენ რა მოგივიდაო.

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

## იარაღი



მეექვსე თუ მეშვიდე კლასში რაიონიდან ერთი ბიჭი შემოგვიერთდა, ასაკით ჩვენზე უფროსი ჩანდა. ჩვენ ჯერ ღინღლიც არ გვეტყობოდა და მოკლე შარვლებით დავრბოდით, ის ყმაწვილი კი გრძელ, დაუთოებულ შარვალში იყო გამოწყობილი და ულვაშიც უბიბინებდა.

ერთი ცუდი ჩვევა ჰქონდა. მასწავლებელი გაკვეთილის ახსნას რომ დაიწყებდა, ის თავისთვის თამაშს იწყებდა არა რაიმე სათამაშოთი, არამედ თავისივე შარვლის „იარაღით“. ჩვენ მის მაგიერ სირცხვილით ვიწვოდით, ის კი უბრალოდ ერთობოდა. რომ ვეკითხებოდით და ვუშლიდით, გვპასუხობდა, — ბავშვობიდან ასე ვერთობიო. მამა ამბობდა — ითამაშოს ბავშვმა, ხელს მაინც არ გაიჭრისო. მოკლედ, ჩვენც ყურადღებას აღარ ვაქცევდით. მხოლოდ ეგ იყო, რომ მერხის მეზობელი არ უჩერდებოდა და მუდამ მარტო იჯდა. იმ წელს სკოლაში, გაკვეთილზე ერთ-ერთ უფროსკლასელს იარაღი გაუვარდა და ამხანაგი დაჭრა. მასწავლებელი და დირექტორი როგორ გადაურჩნენ მოხსნას, დღესაც ვერ გამიგია. სასტიკი საყვედურები კი ნამდვილად აიკიდეს.

ერთხელაც ისტორიის გაკვეთილზე ჩვენი ახალი მეგობარი უდრტვინველად შეუდგა თავის უწყინარ თამაშს, ისე, თითქოს ცხვირს იქექავსო.

მასწავლებელს ეტყობა, შემჩნეული ჰყავდა, მაგრამ ამჯერად ნერვებმა უმტყუნა და იკივლა, სასწრაფოდ ხელები დააწყვე მერხზე და არ გაინძრეო. მორიგე კი დირექტორის მოსაყვანად გააგზავნა.

შემოვიდა დირექტორი. მასწავლებელი მიუახლოვდა და ჩვენს მახვილ სმენას არ გამოჰპარვია, დირექტორს რომ ჩასჩურჩულა — ბატონო პარმენ, „იარაღი“ ჰქონდა ამოღებული და ათამაშებდაო. იარაღის ხსენებაზე დირექტორი გაცოფდა. მიიჭრა მერხთან და დასჭყივლა — ახლავე ამოიღე იარაღი და მერხზე დადეო. მერაბს, ასე ერქვა დამნაშავეს, „იარაღი“ კი ჰქონია ამოღებული, მაგრამ მერხზე დირექტორისა და მასწავლებლის წინ დადებისა ერიდებოდა და მგონი ცხოვრებაში პირველად, შერცხვენილი და გაწითლებული იდგა. დირექტორი კი დასჭყიოდა, — სასწრაფოდ იარაღი დადე მერხზეო. ბოლოს ჩვენც და მასწავლებელიც მივხვდით, თუ რა იარაღს სთხოვდა დირექტორი. ერთმა დაიძახა — სხვა რამეს ათამაშებდაო. წონასწორობიდან გამოსულმა მასწავლებელმა — საოხრესო, მოკლედ, დირექტორმა იაზრა, რაზეც იყო ლაპარაკი. უცბად დამშვიდდა, სახე გაებადრა, ლამის ჩაკოცნა ჩვენი ცუღლუტი მერაბი და ღიმილით უთხრა, — დაჯექი, შარვალი შეიკარი. გაკვეთილების მერე ჩემთან შემოდი, იქ მოგელაპარაკებიო და ისეთი სახით გავიდა კლასიდან, თითქოს დიდი ტვირთი მოიცილაო.

***ოთარ ურუშაძე***

## საქათმე



ნუკრი ჯანეზაშვილმა მეგობრებს სთხოვა, — ქათამი მყავს, ხან სად დადის, ხან სად, იქნებ ერთი საქათმე გამაკეთებინოთ და საღამოს კარგად გაქეიფებთო.

დატრიალდნენ ბიჭები. შემოიარეს მეზობლები, მეგობრები, შეაგროვეს საშენი მასალა და დილიდან დაწყებულ საქმეს საღამომდე ძლივს მოაბეს თავი. გააკეთეს საქათმე, ქათამი შიგ დაამწყვდიეს და ჯერი პურის ჭამაზე მიდგა. ნუკრის მეუღლე შინ არ იყო. მოიტანა ღვინო, პური, მაგრამ შესატანებელი ვერაფერი იშოვნა. არც აცია, არც აცხელა და... საწყალი ქათამი გაუყენა საიქიოს გზას.

***ჰამლეტ ადუაშვილი***

## ნოვატორი მწველავი

ჩემი თანაკურსელი, თბილისელი გოგონა ნელი, წარმოშობით რაჭიდან იყო და ზაფხულობით არდადეგებს სოფელში, ბებიასთან ატარებდა.

ერთხელაც ბებია შეუძლოდ შეიქნა და ნელის უთხრა, — მეზობელთან გადადი და სთხოვე, ძროხა მომიწველოსო. ნელიმ თავი გამოიდო:

— ხომ მიყურებია, როგორ წველი და მე მოვწველი, მეზობლის შეწუხებასო.



აიღო ვედრო და გავიდა ბოსელში. მალე უკანვე შემობრუნდა შეწუხებული სახით თქვა, — არ მიკარებს ძროხაო.

გაიჭირვა ბებიამ, გავიდა ბოსელში და რას ხედავს: ბულაა აწყვეტაზე, ანგრევს იქაურობას.

— აი, ეს ძროხაა, ბებია, ვერაფრით ვერ მოვწველე, — შესჩივლა ნელიმ ახითხითებულ ბებიას.

***რ. გიგოლაშვილი, დედოფლისწყარო***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



ორი გურული შეხვდა ერთმანეთს, ერთი ეკითხება:

— რაფერაა, ძამა, ქვეყნის საქმე?

— მაგი, არაა ჩემი საქმე!

— რაფერაა შენი საქმე?

— მაგი არაა შენი საქმე!

***თენგიზ თალაკვაძე, ნაგომარი***



ქიზიყის პატარა სოფელ ოზაანში ქალაქელი ტიპი მანქანით ჩავიდა. მანქანაზე დაუყენებია ერთობ მოდური სიგნალი და კახელს ეჭიმება, წარამარა ასიგნალებს. უყურა კახელმა, უყურა და გაკვირვებულმა ჰკითხა:

— რას ამბობ, ჯო, ეგ არი სიგნალი? ე მაგხელა, ხო ეხლა გავაპრუწუნე?

***მაია ყალაბეგაშვილი***



შეზარხოშებულმა ჭიჭიკიამ გაუყარა ცოლს მკლავი და მიჰყავს „სპალნისკენ“.

— მოიცა, შე გასაგლეჯო, — უთხრა ნაზიკომ, ხომ ხედავ, რაფერი მთვრალი ხარ.

— რა იყო, შე ქალო, საჭესთან ხომ არ ვჯდები, — უპასუხა ჭიჭიკიამ მხიარულად.

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

ჭიჭიკია ნაცნობ სვანს შეხვდა:

— რავა ხარ, ძამია?

სვანი დუმს.

— რა მოგივიდა, კაცო, ენა ჩაყლაპე, თუ რავაა შენი საქმე? — შემოსწყრა ჭიჭიკია.

— ჩუ, ახლახან I არხით გამოაცხადეს, ოპოზიცია დადის და ხალხს ხმებს ძალით ართმევსო! — მიუგო სვანმა შეშფოთებით.

***„ქილიკა“, რუსთავი***





მუნჯები ქეიფობენ, კარგად რომ შეთვრნენ, თავები ასწიეს და ჭერს მიაშტერდნენ.

მებუფეტეს შეეშინდა და ოფიციანტს ჰკითხა:

— რამეზე გული ხომ არ მოუვიდათ?

— არა, — უპასუხა ოფიციანტმა, — დათვრნენ და მრავალჟამიერს მღერიან.

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***



ორი პატიმარი საკანში ზის, ერთი ამბობს:

— აუ, ახლა „კალბასი“ მოგვცა!

— ჰოო, გაასწორებდა, — ამბობს მეორე.

— შენ ჩაკბეჩ, მეც ჩავკბეჩ, შენ ჩაკბეჩ, მეც ჩავკბეჩ და ჩავკბეჩ.

ისმის ტაბურეტის თავში დარტყმის ხმა.

— რა იყო, რა მოგივიდა!

— შე „კრისა“, ორჯერ ჩაკბიჩე, არა?

***ზურა ზედგენიძე, ხაშური***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე***

# კეთილი მეზღაპრე






გიორგი დანელია ჩემი მეზობელია. მე რომ ფეხს დავაბაკუნებ, ნიკოლაევიჩს ესმის: მისი ბინა ჩემს ქვემოთაა. მეზობლურად და მეგობრულად გადამიღო თავის ფილმში, თანაც უკვე მესამედ.

პირველად „ნასტიაში" ვითამაშე. იქ ვერავინ მცნობს და არც არაფერს ვამბობ. თუმცა, ზურგით მივათრევ ლოთს, რომელსაც დანელია ასახიერებს. ბედმა გამიღიმა: დანელია ფილმის მონტაჟისას ბევრ რამეს ჭრის. მე ვერაფერი მომიხერხა — თავის თავს ხომ არ ამოჭრიდა... მეორე ფილმში „არიოლი და რეშკა" უკვე ექიმის როლი მანდო სიტყვებიანად — „ფილტვების კრუპოზული ანთება", რომლის შემდეგ სიგარეტს ვაბოლებდი და ხველება მიტყდებოდა. როლი კი არა — დიაგნოზი იყო... აი, ახლა კი „ფორტუნა". აქ უკვე ნამდვილი როლი მაქვს! დიდ ბუბა კიკაბიძესთან დიალოგი კადრში — ხომ წარმოგიდგენიათ, რა პასუხისმგებლობაა! ჩემს პერსონაჟს, როგორც ყოფილ გენპროკურორს, კომპრომატს „შეუგდებენ", მეც მომიწია გოგოებთან ერთად აბანოში ჭყუმპალაობა. სხვა მსახიობებთან შედარებით ჩემზე გაცილებით მეტი ფირი დაიხარჯა, სამაგიეროდ, საკუთარი თავის ნახვა არ მრცხვენია. დანელიას კინემატოგრაფში ჩემს როლზე ლაპარაკს, თავმდაბლობის გამო აღარ გავაგრძელებ. მხოლოდ იმას აგიხსნით, რატომ ვთამაშობ მის ფილმებში.

***

დანელიას გადასაღებ მოედანზე ყოველთვის თამაშის სული ტრიალებს. ტირანი სულაც არ არის — მზადაა, მოუსმინოს თამაშის შენეულ პირობებს და მიიღოს კიდეც, მაგრამ არა ყველა. ბუბა, პეტრენკოსთან ერთად, დიდხანს ეხვეწებოდა „მარუსენკას" ვიმღერებთო. არაფრით არ ქნა. ეს სიმღერა ყველა იმ ფილმში ჟღერს, სადაც ლეონოვი თამაშობს. ახლა კი ლეონოვი აღარაა...

ერთი გულისამაჩუყებელი მომენტი მახსენდება. როცა ნიჟნი ნოვგოროდში ჩავედი და გადამღები ჯგუფიანად თბომავალ „ბორის ჩირკოვზე" დავსახლდით, ბინოკლი მომცეს ხელთ: „შეხედე, იმ მხრიდან ბარჟა გამოჩნდება". მართლაც, ვხედავ, მოსრიალებს ვოლგაზე „ფორტუნა", პატარა, სიმპათიური, ბოგურაზე ჩემი უზარმაზარი პორტრეტია გაკრული, გადაღებისთვის დახატული. ვერ გეტყვით, როგორ მესიამოვნა: მაინც ვოლგაა, ხალხი ნაპირიდან ხედავს ყველაფერს... და ასეთი სიყვარულის გამომხატველი ნიშანი, მარტო ჩემს მიმართ კი არა — ყველას მიმართ. ფილმიც ადამიანის სიყვარულითაა გაჟღენთილი. დანელიას ჩანაფიქრიც უბრალოა: არსებითად, ყველა ადამიანი კარგია. ეგ არის, ყოველთვის კარგად ვერ იქცევიან, მაგრამ ვინ არის დაზღვეული ამისგან?

***

მოდი, დანელიას ჩვენი საყვარელი ფილმები გავიხსენოთ. ვისზეა ისინი? თითქმის ყველა პერსონაჟი ხომ სოციალურად საეჭვო ელემენტი თუ არა, გაიძვერაა, თუ გაიძვერა არა — უსაქმური მაინც. მაგრამ ყველა გმირის უკან მათი საკუთარი სიმართლე დგას. რა, „აფონიაში" ბრონდუკოვი არ არის მართალი? ცამდე არა, მაგრამ მაინც ხომ არის. მინდა დალევა? მინდა. მართებს აფონიას ჩემი მანეთი? მართებს. „დაყაჭე, აფონია! მოიტა მანეთი!" ხალხმა ეს სიმართლე თავის საკუთრებად აღიარა, ფრაზა ფრთიან გამონათქვამად იქცა. აუხსნელია? არაფერია ასახსნელი.

საქმე ის არის, რომ დანელიასთვის არსებობს სიკეთის პრეზუმფცია: დაამტკიცოს ნაძირალამ, რომ ნაძირალაა. „არ იდარდოში!" თვით თავადი-ფანფარონი, ბენჟამენ ღლონტის მეტოქე (მერაბ კოკოჩაშვილის გმირი) — თითქმის სრული არარაობაა, მაგრამ კვდება როგორც რაინდი, დუელში. ახლა მამაკაცური საშინელებების პირველი საბჭოური ფილმი გავიხსენოთ — „საშემოდგომო მარათონი"? კისერს მოვიჭრი, ვინმე ასეთ სიტუაციაში თუ სიმპათიით განიმსჭვალება იმ კაცისადმი. მაგრამ მაინც როგორ გვებრალება ბასილაშვილი დილის გარბენისას, მუხლებზე გამობერილი შარვლითა და იდიოტური კეპით. ორი ურჩხული „ქინ-ძა-ძაში"? (ლეონოვი და იაკოვლევი) — მათ შესახებ ხომ, დიდი-დიდი, ისღა შეგიძლია თქვა: ჯანდაბას, ყველა დანარჩენისაგან ვერაფერს გამოადნობ, ამ ორთან კი მაინც გამონახავ საერთოს-თქო...

„ფორტუნაშიც" ნახეთ რა კომპანიაა თავშეყრილი. კაპიტანი, ოდესღაც ჩაძირვის პირას მისული გემი რომ მიატოვა, ახლა სხვისი პასპორტით რომ ცხოვრობს, თანაც რულეტის თავგადაკლული მოთამაშეა. გემის მექანიკოს-კლეპტომანი — მექანიზმების სრულყოფის იდეით შეპყრობილი, კომერციაში წინ წაწეული ბიჭი, კომპრომატებით სავსე ჩემოდნიანი ბანდიტი. ჩემი მიტიუკოვი, თავისი საარჩევნო დემაგოგიური მოწოდებით: „გვეყო ხვალეს ლოდინი, ჩვენ დღეს გვსურს კარგი ცხოვრება!" თავის თავს თვითონვე რომ შეუქმნა კომპრომატი, რათა არჩევნებზე კონკურენტი ბინძურ თამაშში ემხილებინა. ომონი, მოვაჭრე ვიეტნამელები, ბანდიტი... მოკლედ, სრული განუკითხაობაა, ისეთი, როგორიც ცხოვრებაშია. მაგრამ ეს ყველაფერი გასაოცრად ლამაზადაა გადაღებული — ვარდისფერი ტონებით. რატომ?

ვფიქრობ, დანელიას ეს სამყარო, რომელიც მის ირგვლივაა, იმდენად აშინებს, რომ თავისთვის და ჩვენთვისაც ზღაპრებს იგონებს. ამერიკას არ აღმოვაჩენ, თუ ვიტყვი, რომ დანელია თავისი ცხოვრების მანძილზე ერთთავად ზღაპრებს იღებს — სასაცილოებს, თავზარდამცემებს, სანტიმენტალურებს. მეზღაპრის გაკიცხვა კი იმისათვის, რომ ახალ-ახალ ზღაპრებს (ან ძველს ახალ ყაიდაზე) გვიამბობს, უცნაური იქნება, სხვა რომ არაფერი ვთქვათ. თუ ბედნიერ დასასრულს ვუსაყვედურებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მასთან ერთად არ უნდა გვჯეროდეს (დანელიას ერთი ფილმის „მთლად წყალწაღებულნის" პერიფრაზირებას თუ გავაკეთებთ), მთლად წყალწაღებულნი რომ არ ვართ.

**დანელია თავისი ცხოვრების მანძილზე ერთთავად ზღაპრებს იღებს — სასაცილოებს, თავზარდამცემებს, სანტიმენტალურებს. მეზღაპრის გაკიცხვა კი იმისათვის, რომ ახალ-ახალ ზღაპრებს (ან ძველს ახალ ყაიდაზე) გვიამბობს, უცნაური იქნება, სხვა რომ არაფერი ვთქვათ. თუ ბედნიერ დასასრულს ვუსაყვედურებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მასთან ერთად არ უნდა გვჯეროდეს (დანელიას ერთი ფილმის „მთლად წყალწაღებულნის" პერიფრაზირებას თუ გავაკეთებთ), მთლად წყალწაღებულნი რომ არ ვართ.**

***

მახსოვს „კომსომოლკამ" პირველ მივლინებაში გამიშვა თურქმენეთში, მენავთობეთა დაბაში. ხალხი ქოხმახებში ცხოვრობდა, არც ხელისუფლება იყო, არც სკოლები, არც საავადმყოფოები და არც მილიცია. როგორც იქნა, ქალაქ ნებითდაგეში გავაღწიე და კინოში წავედი. რა ვნახე — არ მახსოვს. მაგრამ ის კი კარგად მახსენდება, რომ საშინლად დათრგუნვილი გამოვედი კინოთეატრიდან. „რატომაა იქ (კინოში) ყველაფერი ასე კარგად — და ასე ცუდად აქ?!"

მოგონილი სამყარო ვერ გიხსნის. ჯერ არავინ გადაურჩენია. მაგრამ თუნდაც ორიოდ საათით მაინც აღწევ თავს სასტიკ სამყაროს.

ამ ბოლო დროს შევნიშნე — როცა ვინმეზე ან რამეზე კარგი სიტყვის თქმა გვსურს, ისეთი ტონით ვიტყვით, თითქოს თავს ვიმართლებდეთ — იქნებ ვცდები. იქნებ ასეთი გემოვნება მაქვს. იქნებ რაიმე ვერ გავიგე.

გვეკითხებიან: „რაო, რას იტყვით?" — და ამ კითხვაში საბოლოო განაჩენი გვესმის. ადამიანებს იმისათვის განვსჯით, ისე რომ არ იქცევიან, ჩვენ რომ გვსურს. დაგეგმილი, ჩარჩოებში მოქცეული ქცევების გარეშე, ჩვენ უარს ვამბობთ მათ სიყვარულზე, უარს ვამბობთ გვიყვარდეს მხოლოდ იმისათვის, რომ ამ ხანმოკლე ცხოვრებაში გვინდოდა თუ არა ეს ჩვენ, შევხვდით ერთმანეთს, ვისაუბრეთ, დავლიეთ, წავიღიღინეთ...

***

დაბოლოს, ერთი ძველი წიგნიდან ციტატას შემოგთავაზებთ. წიგნს „კავკასიის ნარკვევები" ჰქვია და 1902 წელსაა დასტამბული. წიგნი ბერლინში მსოფლიოში ყველაზე მშრომელმა ადამიანმა, ბავშვთა ქირურგ-კარდიოლოგმა ლადო მესხიშვილმა იყიდა. ექვს საათზე დგება, შვიდზე — სამუშაოზეა, ღამის ცხრა საათზე შინ ბრუნდება. დღეში ორ ოპერაციას აკეთებს.

წიგნის პირველი გვერდის ასლი მაჩუქა, მე, რომელიც ყოველდღე გულს ვიღრღნი იმაზე ფიქრით, რაღაცას ვერ ვასწრებ-მეთქი.

„სიზარმაცისა და გართობის მოთხოვნილება, რისთვისაც სამხრეთის მცხოვრები საერთოდ, განსაკუთრებით კი ქართველური ტომები, მსხვერპლად სწირავენ ბევრ მნიშვნელოვან საქმეს, მიუკერძოებელ ანალიზს მოითხოვს. ეს მოთხოვნილება არც ისე სულელურია... სწორედ გართობა, სიზარმაცის გარკვეული უფლება გახლავთ კეთილდღეობის ერთ-ერთი პირობა, რომლისკენაც ისწრაფვის ადამიანი არა მარტო პირადი, არამედ საზოგადოებრივი თვალსაზრისითაც. ეს არის ყველაზე საგრძნობი გამოვლინება ადამიანის თავისუფლებისა, სხეულისა და სულის თავისუფლებისა — სწორედ ისე, როგორც აუცილებელი სამუშაოა მონობის თვალსაჩინო გამოხატულება, რომელთანაც ადამიანს აკავშირებს არა მარტო შინაგანი, არამედ სიტყვის არსიც".

ლადომ ეს წიგნი სიხარულით მაჩუქა და მითხრა: „გამართლებული ხარ". მე ზარმაცი ვარ, ის — მშრომელი. ეს ორივემ ვიცით. მაგრამ ლადო არ მაყვედრის, ის გამართლებას მიძებნის, თუმცა უფლება აქვს არა მარტო გამკიცხოს, არამედ უბრალოდ შემაფასოს კიდეც.

მაგრამ ასეთი შეფასებაც მისთვის ჩემი თავისუფლების შელახვა იქნება.

აი, რაზეა დანელიას ახალი ზღაპარი — სხვისი თავისუფლების ბედნიერებაზე.

დაე, ვინმემ უფრო უკეთესი გადაიღოს.

***იური როსტი***
***ოგონიოკი №8***




# რას გვეტყვი, მამაო?

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველმა იცის, რუბრიკას, „რას გვეტყვი, მამაო?" სათავე დაუდო რუსული მართლმადიდებელი გაზეთის „ტროიცკაია კნიგას" ამგვარივე ხასიათის რუბრიკამ. აქამდე ვსარგებლობდით მხოლოდ ამ გაზეთში დაბეჭდილი ინფორმაციით, დღეიდან კი გთავაზობთ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრის პასუხებს თქვენს წერილებზე.

მომავალშიც მონაცვლეობით მოგაწვდით როგორც თარგმნილ მასალას, ასევე პასუხებს თქვენ მიერ დასმულ კითხვებზე.

**ჩვენს ოჯახში ინახება ძველებური ბარძიმი, რომელიც, გადმოცემით, დანგრეული ეკლესიის მიდამოებში უპოვიათ. გთხოვთ მიპასუხოთ, გვაქვს თუ არა უფლება, შევინარჩუნოთ იგი და როგორ უნდა მოვეპყროთ ასეთ შემთხვევაში; თუ არა და, სად არის მისი ადგილი?**

ამ საეკლესიო სიწმინდის ოჯახში გაჩერება არ შეიძლება. იგი განკუთვნილია საღმრთო მსახურებისთვის და მისი შეხების უფლება ყველა საეკლესიო პირსაც კი არა აქვს, არათუ საეროს. მხოლოდ მღვდელმსახურს აქვს ნება, გამოიყენოს იგი საღმრთო საიდუმლოს შესასრულებლად — მორწმუნე მრევლის საზიარებლად.

ასე რომ, თუ შემთხვევით ოჯახში აღმოგაჩნდებათ ბარძიმი, სასწრაფოდ უნდა მიიტანოთ ეკლესიაში, რათა იქ მან თავისი წმინდა დანიშნულება შეასრულოს.

**რამდენად მიზანშეწონილია პირჯვრის წერა და ლოცვა, როდესაც ეკლესიას ტრანსპორტით ჩაუვლით?**

თუ თქვენი შეკითხვა მჯდომარე პირჯვრის წერის უფლებას გულისხმობს, პასუხი ერთმნიშვნელოვანია — მიზანშეწონილია. მეტიც, ავადმყოფ ადამიანს მწოლიარე მდგომარეობაშიც არ ეკრძალება პირჯვრის გადასახვა.

მთავარია, პირჯვრის გადასახვა იყოს გულწრფელი და სასოებასა და კრძალვას გამოხატავდეს ჯვრისა და ეკლესიის მიმართ.

კალისტრატე ცინცაძის ქადაგებიდან: „აბა დააკვირდით, ბევრი ჩვენგანი ცხადყოფს თავის ქრისტიანობას პირჯვრის დაწერით, ეკლესიის მახლობლად გავლის დროს ანუ ზარის ხმის გაგონებისას...

ნაცნობი ვინმე ქუჩაში რომ შეგხვდეს და სალამი რომ არ მოგცეს, ანუ სალამზედ არ გიპასუხოს, ვიტყვით, — აღარ გვკადრულობს, ჩვენი ნაცნობობის რცხვენიაო... ხოლო ღვთის დანახვაზე, რომ არ ვცეთ პატივი უფალსა ქუდის მოხდით ან პირჯვრის დაწერით, — ეს რისღა ნიშანია?"

**ჩემი მოძღვარი გადაიყვანეს სხვა ეკლესიაში. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მე ვერ დავდივარ იმ ტაძარში. შემიძლია თუ არა სხვა მოძღვარს ჩავაბარო აღსარება?**

ეს უნდა მოხდეს თქვენს მოძღვართან შეთანხმებით; როდესაც ის მოგცემთ ლოცვა-კურთხევას, სავსებით შესაძლებელია.

**სად შეიძლება ხატის ასაკის დადგენა?**

ხატის ასაკის დადგენა შეიძლება ხელოვნებათმცოდნეებისა და მხატვარ-რესტავრატორების დახმარებით.

**ჩაითვლება თუ არა მონათლულად გოგონა, რომელსაც ამ საიდუმლოს შესრულების დროს დედათა წესი ჰქონდა?**

ნათლობა ჩაითვლება შესრულებულად, თუმცა ყოველ ქრისტიან მანდილოსანს უნდა ახსოვდეს, რომ დედათა წესის დროს თავი შეიკავოს საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობისგან.

**არის თუ არა ცოდვა, როდესაც ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვერ ვიცავ მარხვას ჯეროვნად?**

ხორციელი უძლურების ჟამს მოძღვართან შეთანხმებით, შეიძლება მარხვის პირობების შემსუბუქება.

**რამდენად მართებულია ეკლესიურად, როდესაც ღვთისმსახური ჯვრისწერისა და ნათლობის დროს პირდაპირ გვისახელებს თანხის ოდენობას?**

მღვდელმსახურისგან თანხის დასახელება უკანონო ქმედებაა. მორწმუნე ქრისტიანი საეკლესიო შესაწირავს იხდის შესაძლებლობის ფარგლებში. საგულისხმოა, რომ ძველი აღთქმის კანონმდებლობით ყოველ მორწმუნეს თავისი შემოსავლის მეათედი შეჰქონდა ეკლესიის სასარგებლოდ. ნებაყოფლობითი საეკლესიო შესაწირავი სრულიად ბუნებრივად მოიაზრება ახალი აღთქმის ტრადიციითაც.

**ახლობელმა, რომელიც უკეთურად არის ჩემდამი განწყობილი, მაჩუქა ხატი. მისი დატოვება არ მსურს ხსენებული მიზეზის გამო. როგორ მოვიქცე?**

დაიტოვეთ ხატი და შეავედრეთ ღმერთს ეს ადამიანი. უსურვეთ მას ყოველივე სიკეთე და სთხოვეთ უფალს, თქვენ მიმართ მისი დამოკიდებულების გამოკეთება.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ* *იხ. გვ. 28*

***თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები***

# ფრაგმენტებიანი კროსვორდი



## თარაზულად:

**7**



ტანისა და კიდურების დაჭიმვით გამართვა

**8**



წლებით გამოხატული ასაკი

**10**




**11**



ალიანი მხურვალება

**12**



ერთ-ერთი მხარე

**16**



წლის დრო

**18**



სააფთიაქო წონის ერთეული ძველად

**19**



დედალი ძაღლი

**20**



დასკვნითი პროცესი

**21**



ჰაერში დაგროვილი წყლის შესქელებული ორთქლი

**25**



ქარისგან მოტანილი სილის ბორცვი

**26**



დისტანციის ცალკეული მონაკვეთი

**27**



უჯრედის ბირთვის ნაწილი, რომელიც იღებება

**30**



სავარჯიშო იარაღი

**33**



ჭაკი ცხენი

**34**




ღონისძიება მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით

**35**

ორგანიზმის შეუვალობა შხამის, დასნებოვნების მიმართ

**36**



მექანიზმი, რომელიც ერთი სახის მოძრაობას გარდაქმნის მეორეში (ბრუნვითს — გადატანითში)

## შვეულად:

**1**



სითხის ნაკადი

**2**



რაიმე საგნის შემცირებული ნიმუში

**3**



დაგუბებული წყალი

**4**



წყალში გაქნილი ფქვილისაგან ტაფაზე მომწვარი პატარა ლავაში

**5**



უვარგისი ნარჩენები

**6**



ვულკანური ქანი — მუქი ფერის მინა

**9**

ორგანოს დაპატარავება-გაქრობა საკვების ნაკლებობის ან ხანგრძლივი უმოქმედობის გამო

**13**



მრავალწლოვანი ბალახი მარცვლოვანთა ოჯახისა

**14**



უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის

**15**

სოფელი სიღნაღის რაიონში

**17**



მეზღვაურთა მაუდის კურტაკი

**22**



ოპტიკურ სისტემაში გამავალი სხივთა კონის შემზღუდავი გაუმჭვირვალე ფირფიტები

**23**



სახის გამოსახულება გვერდიდან

**24**

სპირტის წვით მოქმედი ქურა

**28**



სინამდვილის მცდარი აღქმა

**29**



ვაზის ნასხლავი

**31**



ცხვირის გარეთა ხვრელი

**32**



ერთ-ერთი მეუღლე

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №12 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ლია; 9. ჭკუასული; 10. აისბერგი; 11. ჭუპრი; 12. უზრუნველი; 13. ილეთი; 16. „ტიფანი“; 19. საყურე; 20. მეხლუხა; 21. ბოქლომი; 22. ადიდება; 25. ინდაური; 27. ნიანგი; 28. ნათურა; 31. კიანუ; 33. კოლენკორი; 34. ბრემი; 35. სტუდენტი; 36. პლასტიკა; 37. ალი.

**შვეულად:** 1. რიფენშტალი; 2. ოკუპაცია; 3. შასი; 4. პლაზმა, 6. ბიბლია; 7. „პეზი“; 8. აგრესორი; 14. მანდოლინა; 15. წყალბურთი; 17. პულმანი; 18. მხედარი; 23. მასპინძელი; 34. ნისკარტი; 26. არაბესკი; 29. ყლორტი; 30. ქერცლი; 32. ურდო; 34. ბუტი.

## იყიდება ბინები

ან იცვლება დიღომიდან 2-ოთახიანი ბინა მიშენებით, აივნებით, გისოსებით, ავტომანქანის სადგომი ადგილით, ცივი და ცხელი წყლით დილის მასივში, ხევთან ახლოს 2 ან 3-ოთახიან ბინაზე, მე-2 სართულზე. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. 1 სართ. ტ: 34-52-34

სასწრაფოდ! ქალაქის ცენტრში კეთილმოწყობილი, არასტანდარტული, 3-ოთახიანი, მაღალჭერიანი ბინა (ს/ფ 80 კვმ) 100 კვმ ბაღით („ვეა"). ფასი 55.000$. მის: საბურთალოს ქ. №37/4. ტელ: 38-45-69

5 ოთახიანი, იზოლირებული, არასტანდარტული, კაპიტალურად გარემონტებული ჩეხური პროექტის ბინა, 2(9), 18 კვმ გადახურული აივნით, ტელეფონით, რკინის კარით და გისოსებით, ჩაშენებული კარადებით, საკუთარი საშრობით, მუდმივი წყლით, „არისტონით". ფასი 16.000$. მის: გლდანის მას. III მ/რ. ტელ: 68-03-60; 67-06-74; 899 51-03-26

ჩეხური პროექტის, 4 ოთახიანი, სუფთა, კეთილმოწყობილი ბინა, საშუალო დონის კოსმეტიკური რემონტით, 3(9), მუხიანში, ლუბაძის გამზირის დასაწყისში. ფასი 12.500$. ტელ: 63-03-06

რეალურ ფასად ჩეხური, გარემონტებული, 5-ოთახიანი ბინა (ს/ფ 138 კვმ), მე-2 სართულზე, გადიდებული სამზარეულოთი და აივნებით, დამტკიცებული კაპიტალური ავტოფარეხით ორი მანქანისათვის, მშრალი სარდაფით. მის: კანდელაკის ქ. №8. ტელ: 37-67-33

ვაკეში, ფალიაშვილის №98-ში, ახალაშენებული საცხოვრებელი სახლის მე-7 სართული (ს/ფ – 360 კვმ), სუფთა, 250 კვმ ფართის მანსარდით. აქვს ლიფტი და 2 ადგილიანი კაპიტალური ავტოფარეხი. ფასი მანსარდით – 170.000$ (შეიძლება გაიყიდოს ნაწილობრივაც, როგორც საცხოვრებელი სართული, ასევე – მანსარდი). ტელ: 66-31-07 (საღამოს); 899 58-25-72

თავისუფლების მოედანზე №4-ში, მე-2 სართულზე იზოლირებული საოფისე ფართი – 150 კვმ. ტელ: 95-61-10

მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში 2.000 კვმ მიწა. ტელ: 98-36-43. სოსო

ან იცვლება თბილისის ნებისმიერ უბანში ბინაზე აგარაკი საგურამოსთან ახლოს, სოფელ ბურიანში, დაწყებული სახლის მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800 კვმ. ფასი 1000$. ტელ: 23-07-65; 877 43-32-33

## ვიგირავებ

ბინას საბურთალოზე 1000$-ის ფარგლებში. ტელ: 33-11-48. დოდო

## მილოცვა

**თამუნა თიგიშვილსა და მიშიკო ბუხრიკიძეს** დაბადების დღეს ულოცავენ ახლო მეგობრები და უსურვებენ ბედნიერებასა და ჯანმრთელობას!

*ნანა და მაია*

## გთავაზობთ სამუშაოს

სასწრაფოდ! სამუშაოდ ვიწვევთ მდივან-მემანქანეს. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: თავისუფლების მოედანი, ცეკავშირის შენობა, IV სართ, ოთახი №404. გასაუბრება ორშაბათს და პარასკევს, $11^{30}$-$13^{00}$ სთ. ტელ: 899 57-76-94

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა – საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ჯიბის ფული 1.700 ფრანკი (400 მარკა თვეში). ტელ: 96-07-81; 95-64-18

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 899 58-75-89. ნინო ჭელიძე

სწრაფად და ხარისხიანად მოგემსახურებით წიგნების, ბუკლეტების, გაზეთების აკრეფა-დაკაბადონებაში. ტ: 61-51-17; 95-46-79. ქეთი

ფსიქოლოგიური ტესტებით და პითაგორას ცოცხოვრიბული კვადრატით გამოგითვლით თქვენს შესაძლებლობებსა და მომავალს. ვისაუბრებთ პრობლემებზე. სასურველია ბინაზე გამოძახება. ფასი 5 ლარი. ტელ: 77-06-34

ვამზადებთ კარ-ფანჯრებს (წაბლის მასალა 1 კვმ – 75$, წიწვოვანი ჯიშები 1 კვმ – 45 ლარი), სამზარეულოებს, კედლის კარადებს, გემბანის (პოლუბნი) იატაკს, საოფისე და საოჯახო ავეჯს. ვასრულებთ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს. მისაღებია ანგარიშსწორების ნებისმიერი ფორმა. ტელ: 75-91-24; 79-69-91; 97-40-17; 37-52-73

სს „მშენდოსანი" აწარმოებს სახლების მშენებლობას, მიწისა და მიწისქვეშა სამუშაოებს, კეთილმოწყობას. ამზადებს საკედლე ქვებს, ზეძირკვლისა და სხვა კონსტრუქციებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასად. მის: წერეთლის გამზ. №57. ტ: 34-82-30; 34-14-81. „მშენდოსანი"

შევასრულებთ სამღებრო-კოსმეტიკურ სამუშაოს თქვენი გემოვნებით. შესაძლოა ჭერის მხატვრული გაფორმებაც. მაქვს საკმაო გამოცდილება. დარეკეთ, კმაყოფილი დარჩებით: 60-08-05 (20 სთ-დან)

ვასრულებთ ბრტყელი სახურავების სარემონტო-საიზოლაციო სამუშაოებს გარანტიით – მინა ქსოვილით, ტოლით, გუდრონით. აგრეთვე დავამზადებთ რკინის კარებს, გისოსებს, ჟალუზებს, ფარდა-ჟალუზებს შეღავათიან ფასად. ტელ: 62-42-79. ვაჟა

თმის მოცილება სახესა და სხეულზე მცენარეული ნაყენით, დამუშავებული რესპუბლიკის პრემიის ლაურეატის მცენარეების სამეცნიერო კვლევის დარგში, ფიტო-თერაპევტის, დოცენტის მიერ. ეპილაციას ატარებენ წამყვანი კოსმეტოლოგები. მის: ალმაშენებლის გამზ. №113 (შესასვლელი თაღიდან), კაბინეტი №12. მიღება ყოველდღე, კვირის ჩათვლით, 12-18 სთ

მას „ხვედი კიბე" სამომხმარებლო ბაზარზე მრავალწლიანი გამოცდილებით გთავაზობთ ორიგინალური დიზაინით შესრულებულ ნებისმიერი სახის შიდა კიბეებს, მუხის კარ-ფანჯრებსა და სხვადასხვა სახის ხის ნაკეთობას. ენდეთ გამოცდილ პროფესიონალებს. ტელ: 899 55-76-53; 69-19-52 (???)

შპს „Coucasus computer system". უახლესი კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამები, კომპიუტერული ქსელები, უმაღლესი სერვისი. გარანტია 2 წელი. მის: ბარნოვის ქ. №1. ტელ: 98-44-20

დაიმახსოვრეთ! ნებისმიერ გართულებულ ჭარბთმიანობას სამუდამოდ, უმოკლეს დროში და უკვალოდ განკურნავს მხოლოდ პროფესიონალი და არავითარ შემთხვევაში, რომელიმე აპარატი ან მალამო. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით), დაზოგეთ ბიუჯეტი და სილამაზეც გარანტირებული გექნებათ. ტ: 57-50-49. მარიკა

დასხივებისა და ჩხვლეტების გარეშე განიკურნეთ ჭარბთმიანობისაგან, სწრაფად და უმტკივნეულოდ! „ქვეყანაში, სადაც „ლუიზოლი" საქმიანობს, ჭარბთმიანობის პრობლემა არ უნდა არსებობდეს" – ითქვა რუსეთის კოსმეტიკური კორექციის ცენტრში. მოგვმართეთ: რუსთაველის 28, მოზრდილთა პოლიკლინიკა №13, კაბ. „ლუიზოლი"; იოსებიძის ქ. №53, კაბინეტი „ლუიზოლი". ტ: 37-38-13

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ვიბრომასაჟისა და ელექტროშეპინგის საშუალებით გთავაზობთ: 1. გახდომას – ცხიმებისა და ცელულიტების ინტენსიურ დაშლას; 2. სხეულის ფორმის კორექციას, ბარძაყების დავიწროებას, თეძო-მუცლის, დუნდულების დაპატარავებას, გალიფეების მოცილებას. მის: კოსტავას ქ. №47. სალონი „ლედი დი". ტელ: 92-02-64

დროა, ვიზრუნოთ გარეგნობაზე, უკვე გაზაფხულია, გავხდეთ, გავლამაზდეთ, დავიბრუნოთ ახალგაზრდული იერი და მომხიბვლელობა! პროგრამები – ინდივიდუალური, შედეგი – ეფექტური! აბა, სცადეთ! ტელ: 61-77-74; 899 58-25-44

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით. განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაწიბური. შემოგთავაზებთ საუკეთესო სახის გამწმენდ და მკვებავ საშუალებებს. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ეპილაცია – 1 სთ – 8 ლარი, ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით, კანის გაღიზიანების გარეშე, ანესთეზიით, გარანტიით; თმის მოცილება სახესა და სხეულზე მცენარეული ნაყენით; ყველა სახის მაკიაჟი, სახის გაწმენდა. ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. გაიცემა სერტიფიკატი. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნინო. მის: რუსთაველის გამზ. №14/ზესიკის ქ. №2. სალონი „სტილი-1". ტელ: 98-78-11

სილამაზის სალონი „პოდიუმი-777"! თმის მოდელური შეჭრა კატალოგების მიხედვით – 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 5-7 ლარი; მელირება – 15 ლარი; ქიმიური გასწორება – 15-25 ლარი; შეღებვა (**WELLA**) – 12 ლარი; საბანკეტო და საქორწილო ვარცხნილობები – 25 ლ. თქვენ მოგემსახურებათ პარიკმახერ-დიზაინერი, მოდელიერ-სტილისტი ირა გურჯიანი. მის: დ. აღმაშენებლის გამზ. №113 (პოლიციის ეზოში). მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 95-08-83 (სამს); 68-28-17 (ბინა). 899 57-46-40

სტილისტი გიორგი გთავაზობთ: 1. სახის კორექცია შეჭრა-ვარცხნილობის მიხედვით; 2. დეკორატიული მელირება, ტონირება, მზის ლაქები; 3. თმის შეღებვა საუკეთესო საღებავით Korestion-2000. აგრეთვე, წარმოებს საპარიკმახერო კურსები. ჩაეწერეთ და მობრძანდით! ტელ: 98-78-11. სილამაზის სალონი „სტილი-1"

## მკურნალობა

ვმკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, გლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ვმკურნალობ უფასოდ. მის: ამბროლაურის ქ. №166. XI კორპ. IV სად. ბინა 46. (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

ბრონქული ასთმის, ალერგიის, სასუნთქი გზების ქრონიკულ დაავადებათა მკურნალობა ტრადიციული და ჰომეოპათიური მეთოდებით, მაღალი შედეგით. მის: რკინიგზის საავადმყოფო, V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება. ექიმი ზურაბ გიორგაძე. ტელ: 97-66-78

ვარჩენ ძვლისა და კანის ჩირქოვან, ინფექციურ დაავადებებს: ოსტეომიელიტს (ძვლის ინფექც.), ბეწვის ჩაზრდას, დაჩირქებულ ფრჩხილს, ნაწიბურს, ნაოპერაციევს, ძირმაგარას, გემატომას, მასტიტს, მენისკს, შხამიანი მწერებისა და ქიმიური ნივთიერებისაგან კანში შეჭრილ ინფექციას, წითელ ქარს და სხვ. ტ: 68-43-10

წინაპართა მეთოდებით, მცენარეებისა და თეთრი მუმიოსაგან მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს მალამოებს, ხსნარებსა და საფენებს. მკურნალობს: ჰაიმორიტს 4-5 დღეში, სრული გარანტიით, რევმატიზმს, სახსრების, ნალვლის ბუშტის, საშწვერა ნერვის ანთებას, თავის ტკივილს, ოსტეოქონდროზს, მარილებს, პოლიართრიტს, რადიკულიტს. ლიცენზირებულია ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ. მის: გორის ქ. №3, I სად, 1 სართ. (მ. „წერეთელთან"). მიღება 13-16 სთ (შაბათის გარდა). ტელ: 34-05-69

პროსტატიტის, ქლამიდიოზის, ტრიქომონიაზის, უშვილობის, სქესობრივი პოტენციის დაქვეითების მკურნალობა უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით. მკურნალობას ატარებს პროფესორი რევაზ სალაყაია. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 35-20-06

სიახლე საფრანგეთიდან! სიმაღლეში ზრდის ვიტამინები 4-18 წლამდე (5-10 სმ); გახდომა ფრანგულად!!! ჯანმრთელობის აღდგენა: კენჭების, მარილების დაშლა, უშვილობა, ენურეზი, ონკოლოგიის პროფილაქტიკა. ტელ: 52-65-18. თამარი; 61-75-18. მზია

ვამზადებ ჩასახვის საწინააღმდეგო უვნებელ სანთლებს (100%-ანი შედეგით), სახის გამწმენდ, მკვებავ და მათეთრებელ კრემებს; ვმკურნალობ ბებერას, ბუასილს, მკერდის ტკივილს, გამაგრებას (ციკლის წინ); ვწმენდ თირკმლებს, ნაღვლის ბუშტს ჩირქისაგან, მარილებისა და ცილებისაგან. ტელ: 51-63-12; 35-15-64. ბიოლოგი ნინო

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

სწრაფი, დაჩქარებული კურსით შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას ინდივიდუალურად, ხარისხიანად. MS DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGEMAKER. მაქვს საკუთარი დენის წყარო. ტელ: 34-32-79

ფირმა **DAWIT**-თან არსებული კომპიუტერული ცენტრი გთავაზობთ კომპიუტერის სწრაფად და ხარისხიანად შესწავლას. მოგემსახურებიან გამოცდილი პედაგოგები ყოველდღიური, ინდივიდუალური მეცადინეობით. ტელ: 98-78-26

ფირმა **DAWIT**-თან არსებული უცხო ენების ცენტრი შეგასწავლით ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებს. ყოველდღიური მეცადინეობით ინდივიდუალურად მოგემსახურებიან გამოცდილი პედაგოგები. ცოდნა გარანტირებულია. ტელ: 98-78-26

იაფად! თსუ დოცენტი მოამზადებს აბიტურიენტებს და მოსწავლეებს მათემატიკაში, გარანტიით. მეცადინეობა ჩატარდება ვაკეში, საბურთალოზე ან მუხიანში, სურვილის მიხედვით. გასაუბრება და ჩაწერა დღეიდან. ტელ: 64-25-93; 63-85-72; 899 51-24-10

შეგასწავლით ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, საგადასახადო კოდექსს, პრაქტიკულ ბუღალტერიას, ბუღალტერიას კომპიუტერზე. მის: წერეთლის გამზ. №142. სამთო ქიმიის შენობა, მე-3 სართ. ოთახი 80. ტელ: 92-34-99; 899 56-32-64. აუდიტური ფირმა „მელიტა"

## იყიდება

ა/მ „მერსედეს ბენცი-190", 5-სიჩქარიანი, 2,3 ძრავით, მუქი ლურჯი, 1985 წლის გამოშვება, ძალიან კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 2.800$. ტელ: 31-67-44

გვაქვს ყველა სახეობის საუკეთესო ჯიშების ხეხილის ნერგები (ნამყნები); ვაზები – თეთრი და შავი (უწამლი); ვარდები სხვადასხვა ფერის. მის: თბილისი, ზღვა, ხეხილსანერგე მეურნეობა. ალიოშა გაბუნია. ტელ: 66-07-34; 66-08-79

ბოლნისში, უსინათლოთა კავშირის ლაქ-საღებავების საწარმო. საწარმოო ფართი – 700 კვმ, მიწის ფართი – 4.000 კვმ, რკინიგზის ჩიხით. ტელ: 79-00-22; 899 58-85-57

1) მე-19 საუკუნის ბოლოს შესრულებული ფერწერული ტილო, რუსული სკოლა – 150$; 2) ბალზაკის 15 ტომი – 60 ლარი; 3) ა. დიუმას 20 წიგნი – 60 ლარი; 4) „სტარაია რიგის" ბუფეტი – 1.500$; 5) ხელით ნაქსოვი, კაპრონის ძაფის, 2 საწოლის გადასაფარებელი, დიდი ამობურცული ყვავილებით – 70 ლარი. ტელ: 23-07-65; 877 43-32-33

ჩვენი დღევანდელი ცხოვრება ნერვიულობით სავსე და დაძაბულია; „ნევროსტიმით" მკურნალობა ყოველდღიურ სტრესს სწრაფად უმკლავდება. დამამშვიდებელი მცენარეული წვეთები „ნევროსტიმი" მკურნალობს ნევროზს, ხსნის მაღალ წნევას, გაღიზიანებადობას, შიშის სიმპტომებს, აწესრიგებს ძილს. მოზრდილთა პოლიკლინიკა №13 (ოპერის პირდაპირ), კაბ. №26. ტ: 37-38-13

რეგისტრირებული, 100%-იანი ნატურალური, მცენარეული ლოსიონი „ანსალიტი" ბოლომდე და სწრაფად ასუფთავებს თმას ტილებისა და წილებისაგან. წილები ეფექტურად სცილდება, განსხვავებით სინთეტიკური პრეპარატებისაგან. კაბ. „ლუიზოლი". ტ: 37-38-13. „ანსალიტი" თქვენი ბავშვისთვის არატოქსიკური, ნატურალური არჩევანია!

უნიკალური ტერფსაფენი „ბიომაგი" სპილენძის ფირფიტებით, მაგნიტებით. „ბიომაგი" აცილებს ფეხს ოფლს, სუნს, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, არეგულირებს წნევას, ნივთიერებათა ცვლას, ამაღლებს პოტენციას, აუმჯობესებს მეხსიერებას, იძლევა გასაოცარ ეფექტს. ფასი ხელმისაწვდომია. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №27. სადღეღამისო აფთიაქი „ნინო-დ" (რესპუბლიკური საავადმყოფოს ასახვევთან). ტელ: 38-80-75; ვაჟა-ფშაველას გამზ. №3. ტელ: 38-50-19

„ლუიზოლი" – 100%-იანი ნატურალური სახის კრემი – ასწორებს ნაოჭებს, აქრობს ჩირქოვან, ალერგიულ გამონაყარს, აქვს ჭარბთმიანობის საწინააღმდეგო ეფექტი... ყველაფერი ერთ კრემში! შეიძინეთ „ლუიზოლი"! მის: იოსებიძის ქ. №53, კაბინეტი „ლუიზოლი"; რუსთაველის 28, მოზრდილთა პოლიკლინიკა №13, კაბინეტი 26. ტ: 37-38-13

## შევიძენ

ფოტოაპარატ „კიევ-88„-ის უხმარ ობიექტივებს: „МИР-26В", „МИР-38В", „МС. ВЕГА-28В", „КАЛЕЙН-АР-3В". ტელ: 37-58-91. იგორი (18 სთ-ის შემდეგ)

## ნეკროლოგი

შპს გამომცემლობა „კოლორი" თანაუგრძნობს **რობინზონ ჩუტკერაშვილს** ძმის გარდაცვალების გამო.

## ხსოვნა

### არჩილ ჭანკოტაძის მოგონება



უშენოდ უნდა აღვნიშნოთ შენი დაბადების 58-ე წლისთავი. 28 მარტი ცრემლების, სინანულისა და ტკივილის დღე იქნება. შენთან ყოველი შეხვედრა ხომ დიდ ზეიმსა და მეშვიდე ცაზე ყოფნას ნიშნავდა ჩვენთვის...

გამორჩეული დედისა და ბებიის პატრონთ, დალოცახებულებს, უამრავი ნათესავ-მეგობრის გვერდით, შენ ერთადერთი გვეგულებოდი ულალატო მეგობრად და შეუცდომელ მრჩევლად.

მამა გრიგოლი (აბულაძე) ზესტაფონის ეკლესიას შეფარებული უპატრონო თუ ულუკმაპუროდ დარჩენილი თვალმაზარა გოგო-ბიჭების დიდ შემწედ გთვლის და ყველა წირვაზე საგანგებოდ შეახსენებს პატარებს, ვისი მადლიერნი უნდა იყვნენ, – სიცივეს, შიმშილსა და ათასგვარ გაუტანლობას რომ გადაურჩნენ.

შენმა საყვარელმა სოფელმა და რაიონმა ერთგულება დაგიმტკიცა... მხოლოდ რჩეულთა ხვედრია ისეთი უჩვეულო სითბოთი და ალალი ცრემლებით დატირება, როგორიც შენ გერგო წილად.

ძნელია კარგი კაცის საქმისა და სახელის გაგრძელება, მაგრამ ღირსეული შთამომავლობა ღირსეულად ივლის იმ სუფთა და ვაჟკაცურ გზაზე, შენი ნათელი სული რომ გაუნათებს.

რაც დრო გადის, უშენობა უფრო აუტანელი ხდება.

***ლია, მზია, კახა, ირმა, ალეკო, ნანა***

### ავთანდილ გურგენიძის ხსოვნას



27 მარტს 60 წელი შეგისრულდებოდა. მეცხრე გაზაფხულს ვხვდებით უშენოდ. შენს ლექსებზე დღევანდელი თაობა იზრდება, „დედაენამაც" მოწიწებით დაგითმო ცალკე გვერდი. წახვედი და დაგვიტოვე ლექსები და ტკივილი. ღმერთი ფარავდეს შენს სულს.

*შენი ოჯახი*

**P.S.** *მადლობა ყველას, ვისაც ახსოვხარ!*

ავთანდილ გურგენიძის ნათელ მოგონებას უერთდებიან მისი თანაკურსელები

*„კვირის პალიტრიდან"*

### თენგო ჩაჩავას გახსენება



თენგო ბიძია, უკვე მეორედ, უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს. ყველას გვაკლია შენი გულის სითბო და სიყვარული. მოგონება შვებას არ მგვრის, მონატრებამ და გულისტკივილმა ჭეშმარიტება დამანახვა – ყველგან და არსადმყოფი ხარ. შენი ხსოვნა და კარგი კაცობა მთელი ცხოვრების მანძილზე არ ამოიშლება ჩემი გულიდან და მე ბედის მადლობელი ვარ, რომ შენ ჩემი ბიძია გერქვა. დიდი მადლობა ყველაფრისათვის. შენს სპეტაკ სულს ღმერთმა საუკუნო სავანე დაუმკვიდროს.

*ნინო*




# ყველასათვის სასურველი...



გერმანიის ფინანსთა მონისტრის მოადგილე კაიო კოხ-ვეზერმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელის პოსტიდან თავისი კანდიდატურა მოხსნა. გფრ კანცლერისთვის გაგზავნილ პირად ბარათში კოხ-ვეზერი წერდა: „მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ქვეყნები და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრები მხარს უჭერენ ჩემს კანდიდატურას, აშშ ჩემი წინააღმდეგია... ფონდის რეფორმების ჩატარება კი აშშ-ის უდიდესი აქციონერების გარეშე შეუძლებელია“.

გერჰარდ შრიოდერმა ამ პოსტზე — ევროპის რეკონსტრუქციისა და რესტავრაციის ბანკის პრეზიდენტის, 57 წლის ჰორსტ კელერის კანდიდატურა წამოაყენა, რომელზეც ევროკავშირის მხრიდან უკვე თანხმობა ჰქონდა მიღებული. ოფიციალური ბერლინის აზრით, ბ-ნი კელერი, ყველას მოთხოვნასა და გემოვნებას შეესატყვისება. აშშ-ის ადმინისტრაციას დიდი ენთუზიაზმი არ გამოუჩენია ფავორიტების შეცვლის გამო. თვით კელერმა გერმანიის კანცლერთან საუბარში განაცხადა, რომ იგი მხოლოდ მაშინ დათანხმდება, თუ ფონდის წევრთა უმრავლესობა დაუჭერს მხარს. შრიოდერი მოლაპარაკებებს აწარმოებდა ევროპის კავშირის ქვეყნების ლიდერებთან და არწმუნებდა მათ, რომ კელერი „კარგი არჩევანია“. იტალიასა და ინგლისს საერთაშორისო ფონდის დირექტორად თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდათ. კელერის აშკარა მოწინააღმდეგე იყო იაპონიის ყოფილი ფინანსთა მინისტრი. საერთაშორისო ანალიტიკოსების აზრით, ამჟამინდელი ევროპის რეკონსტრუქციისა და რესტავრაციის ბანკის თავმჯდომარე ფონდს „რკინის ხელით“ ვერ უხელმძღვანელებს და, მით უმეტეს, ვერ უკარნახებს თავის პირობებს მთავარ აუქციონერს — აშშ-ს. რაც შეეხება მოსკოვს, იგი ერთნაირად მიიღებს ყველა შემოთავაზებულ წინადადებას. აშშ-ის პრეზიდენტი დაჰპირდა კელერს, რომ მხარს დაუჭერდა მის კანდიდატურას.

ერთხმად გადაწყდა... ყველასათვის სასურველი ჰორსტ კელერი მსოფლიო სავალუტო ფონდის დირექტორი — განმკარგულებელი გახდა.

***რუსული პრესის მიხედვით***

# მილიარდერი კვლავ ხალხზე ზრუნავს



ჰონკონგში სახელი ლი კა შინი „ოქროს საბადოს“ სინონიმად ქცეულა. მილიარდერის ბევრმა წამოწყებამ ხომ ათასობით ადამიანი აქცია მესაკუთრედ. ახლახან მან დააარსა თანამედროვე კომუნიკაციათა მომსახურე ფირმა და აქციების თავისუფალი გაყიდვა გამოაცხადა. არავის გაჰკვირვებია, რომ აქციათა შეძენის მსურველთა ჯარი ფირმის სალაროს მიაწყდა. წესრიგის დასაცავად ასობით პოლიციელის მობილიზება გახდა საჭირო. მათ „ცოცხალი რიგი“ შექმნეს და ფირმის სიახლოვეს მთელი ქუჩა გადაკეტეს. ერთი აქცია 23 ცენტი ღირდა. მყიდველები ასობით აქციით ხელდამშვენებულნი გამოდიოდნენ სალაროდან. წინასწარი მონაცემებით, ერთ წელიწადში აქციის მფლობელები დაახლოებით 113 მლნ დოლარის მოგებას გაიყოფენ. 23 ცენტად არცთუ ისე მცირე შენაძენია. აქ მთავარი ის არის, რომ იმუშავა „ოქროს საბადოს“ სახელმა. აქციების ათიათასობით მყიდველთაგან ცოტა ვინმემ თუ იცოდა, რა საქმეში აბანდებდა ფულს. ერთ-ერთმა ადგილობრივმა რეპორტიორმა ასეთ შეკითხვასაც კი მოჰკრა ყური — „რა არის ინტერნეტი?“

***ნიუზუიქ, მარტი***

# დიდი რეგატა — მარტოდმარტო აფრებით დედამიწის გარშემო



ნუგზარ კიკნაძე, ცნობილი გამომგონებელი, ზღვაოსანი, კაპიტანი, მრავალი საზღვაოსაოკეანო ექსპედიციისა და ასპარეზობის მონაწილე, დედამიწის გარშემო თვითნაგები კრეისერული იახტით მარტოდმარტო ნაოსნობის პირველი ეტაპის (ფოთი-გიბრალტარი-ლასპალმასი) გავლის შემდეგ, ახალი კრეისერული იახტის აგებას შეუდგა. ჩვენს მკითხველებს ალბათ ახსოვთ, რომ იგი ინტერნეტის საშუალებით ბილ გეიტსს თანადგომას სთხოვდა (იხილე „კვირის პალიტრა“ 2-9 აგვისტო, 1999).

კომპიუტერული იმპერიის მამამთავრისგან, მართალია, პასუხი არ მოუვიდა, მაგრამ ჩვენს თანამემამულეს საქმე მაინც ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია, უფრო მეტიც, ამ დღეებში ნუგზარ კიკნაძემ გულშემატკივრებისა და ჟურნალისტებისათვის პრესკონფერენციაც გამართა და „ვენდი გლოუბ 2000“ მონაწილეობის პროგრამა გამოაცხადა.

„ვენდი გლოუბ 2000“ — უფრო მასშტაბური საოკეანო რეგეტა მსოფლიომ არ იცის. 5 ნოემბერს, საფრანგეთში, ბისკაის ყურიდან ერთდროულად სტარტს აიღებს სულ ცოტა 20 კრეისერული იახტა. მსოფლიოს უპირველესმა აფროსნებმა მარტოდმარტო, შეუჩერებლად უნდა შემოუარონ დედამიწას ურთულესი მარშრუტით (60 ათასი კმ). რომელიმე ნავსადგურში შესვლა ან შემხვედრი გემისგან დახმარების მიღება აკრძალულია. ასპარეზობა 6-7 თვეს გასტანს. ერთი სიტყვით, შეჯიბრების პირობები მეტად მკაცრია და მისი წარმართვა მთლიანად აფროსნის შესაძლებლობაზეა დამოკიდებული.

მსოფლიოს შვიდმა სახელმწიფომ უკვე გამოთქვა მონაწილეობის სურვილი. ზოგიერთ სახელმწიფოს სურვილი და შესაძლებლობა აქვს, მაგრამ არ ჰყავს სათანადოდ მომზადებული აფროსანი. საბედნიეროდ, საქართველოს ჰყავს ასეთი პიროვნება — ნუგზარ კიკნაძე, მაგრამ არა აქვს ფინანსური შესაძლებლობა, თუმცა რეგატაში მონაწილეობისათვის აუცილებელი თანხა ასეთი მასშტაბის ღონისძიებისათვის დიდი არ არის — საორგანიზაციო კომიტეტში შესატანი თანხა კრეისერული იახტის იჯარის, ეკიპირების, მგზავრობის და სხვა ხარჯები 170 ათას დოლარს შეადგენს.

ბიზნესმენ-მეცენატებო! სიტყვა და საქმე თქვენზეა...

***გვანჯი მანია***

# დავეწიოთ და გავუსწროთ ბილ გეიტსს!

ჰონკონგელი მილიარდერის ვაჟმა, ექსტრავაგანტურობით განთქმულმა 33 წლის რიჩარდ ლიმ, ჰონკონგის უდიდესი ტელეკომუნიკაციური კომპანიის CABLE WIRELESS HKT-ის საკონტროლო პაკეტი აზიური ბაზრისთვის რეკორდულ თანხად — 296 მლრდ ჰონკონგურ დოლარად (38,5 მლრდ აშშ დოლარი) შეიძინა. რიჩარდ ლი აშენებს აზიურ ინტერნეტ-იმპერიას, რომლის მთავარი შემადგენელი ნაწილი იქნება დიდი ჩინეთის კიბერსივრცე ათეულმილიონობით პოტენციური მომხმარებლით. ექსპერტები ამტკიცებენ, „ოქროს უცოლომ“, რიჩარდ ლიმ, შარშან ვირტუალური ბიზნესით თითქმის იმდენი მოიგო, რამდენიც მამამისმა 50 წლის მანძილზე უძრავი ქონების ვაჭრობით, რითაც ლი კა შინის კლანმა მსოფლიოს უმდიდრესი ოჯახების იერარქიაში მე-10 ადგილი მოიპოვა. ახლა, ბილ გეიტსს რომ დაეწიოს, რიჩარდ ლის სულ ცოტა რამ სჭირდება — ჩინეთმა უნდა აკრძალოს ცენზურა ინტერნეტის ჩინურ ვარიანტში, რაც ავტომატურად მოახდენს დემოკრატიულ რევოლუციას კომუნისტურ ჩინეთში. თავის დროზე კომპიუტერმა, ჟურნალისტების თქმით, კომუნიზმი დაღუპა. როცა ჩინური ინტერნეტი საბოლოოდ თავისუფალი შეიქნება, დემოკრატიის გამარჯვებას წინ ვერაფერი დაუდგება.

***ოგონიოკი №8***

# დოლარმა ეკვადორი დაიპყრო



ეკვადორის პრეზიდენტმა გუსტავო ნობოამ გამოსცა ეკონომიკური რეფორმის ახალი კანონები, რის მიხედვითაც ქვეყნის ოფიციალურ ვალუტად ამერიკული დოლარი უნდა იქცეს. თვით პრეზიდენტი კი ხელისუფლებაში ერთი თვის წინ, სამხედრო გადატრიალების შედეგად მოვიდა, რომელიც ქვეყანაში „დოლარიზაციის“ მოწინააღმდეგეებმა მოაწყვეს. ახალი კანონის მიხედვით, ეკვადორის ეროვნული ვალუტა მკაცრად დაიცავს კურსს: 25 ათასი სუკრე უდრის 1 დოლარს. იმავდროულად, ეკვადორის ცენტრალური ბანკი კარგავს ფულის ბეჭდვისა და ფასიანი ქაღალდების ემისირების უფლებას. ნახევარი წლის შემდეგ კი სუკრე საერთოდ გამოვა ბრუნვიდან და ადგილს დოლარს დაუთმობს. ამგვარად, ეკვადორი მსოფლიოში მეათე და ლათინურ ამერიკაში — მესამე სახელმწიფოა (არგენტინისა და პანამის შემდეგ), სადაც ამერიკული დოლარი ეროვნულ ვალუტას უთანაბრდება.

ეკვადორში უსიამოვნებანი 1998 წელს დაიწყო. ქვეყანაში უმუშევრობამ 17%-ს მიაღწია. დაახლოებით 12,5 მლნ-იანი სახელმწიფოს 62,5 მცხოვრები სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა. ინფლაცია წელიწადში 60%-მდე გაიზარდა (ყველაზე დიდი მაჩვენებელია ლათინურ ამერიკაში). ეკვადორის საგარეო ვალებმა 16 მლრდ დოლარს მიაღწია და ხელისუფლება იძულებული გახდა, დეფოლტი გამოეცხადებინა. ეკვადორის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მკაცრი ეკონომიკური რეფორმა გაეტარებინა; პირველ რიგში მოეხდინა ეროვნული ვალუტის კურსის ფიქსაცია აშშ-ის დოლართან, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია. ინდიელები, რომლებიც მოსახლეობის მესამედს წარმოადგენენ, გაერთიანდნენ პროფკავშირებთან, სამხედროებსა და „დოლარიზაციის“ სხვა მოწინააღმდეგეებთან და გადატრიალების შედეგად ძალაუფლება ხელთ იგდეს. ყოფილმა პრეზიდენტმა ჯამილ მაჰუადმა გაქცევით უშველა თავს. მისი ადგილი ნობოამ დაიკავა, რომელმაც, ერთი თვის შემდეგ, თავისი წინამორბედის პოლიტიკა გააგრძელა. დოლართან სუკრეს კურსის ფიქსაციის შემდეგ საერთაშორისო ფინანსურმა ორგანიზაციებმა დახმარება შესთავაზეს ეკვადორს (2 მლრდ დოლარი სამი წლის მანძილზე, პირველ 900 მლნ დოლარს წლის განმავლობაში მიიღებს). იტარ-ტასის ცნობით, რომელიც მსოფლიო ბანკის პრესსამსახურს ეყრდნობა, „ახალი პროგრამა“ მოწოდებულია, დაეხმაროს ეკვადორის ხელისუფლებას ეკონომიკის დოლარიზაციის გეგმების განხორციელებაში, საბანკო კრიზისის გადალახვასა და სახელმწიფო ფინანსთა სისტემის გამაგრებაში. მაგრამ ახალ კურსს მაინც ჰყავს მოწინააღმდეგეები. მათი აზრით, „დოლარიზაცია“ ქვეყანას გააღარიბებს, რადგან ფინანსური სტაბილურობა ფასების ზრდისა და შემოსავლის შემცირების ხარჯზე უნდა მოხდეს.

***კომერსანტი №41***

# კითხვა-პასუხი



***გთხოვთ გვიპასუხოთ, რით აიხსნება თვალების უპეების ჩალურჯება — ჩამუქება? რა იწვევს და როგორ ვიმკურნალოთ?***

***რეზო გაბუნია, 21 წლის***

თვალის უპეების ჩალურჯება-ჩამუქება დაკავშირებულია უამრავ ფაქტორზე. იგი შეიძლება იყოს ზოგადი სახის პათოლოგია ან კონკრეტულად თვალის დაავადებით გამოწვეული. თვალის უპეების ჩალურჯება-ჩამუქება განყენებულად არ უნდა წარმოვიდგინოთ, რადგან, შესაძლოა იგი გამოიწვიოს მრავალმა გარეგანმა თუ შინაგანმა ფაქტორმა. ასეთი სახის ავადმყოფმა კლინიკურლაბორატორიული გამოკვლევისთვის უნდა მიმართოს ექიმ-თერაპევტს.

***მაკა გოგიაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ნიუ-იორკის სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი, კლინიკა „ელექსირის“ წამყვანი სპეციალისტი***

***დავამთავრე ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1999 წლის ნოემბრიდან ვარ ჯარში. გთხოვთ გამარკვიოთ, რამდენი ხნით მიწევს ჯარში სამსახური — ცხრა თვით თუ ერთი წლით?***

***მ. სირაძე***

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა იმ კატეგორიის უმაღლესდამთავრებულთათვის, რომელთა სასწავლებელსაც არ გააჩნია სამხედრო კათედრა, განისაზღვრება ერთი წლით; ჩვეულებრივ კი წვევამდელთა მსახურების ვადა, ნაცვლად ადრინდელი ორი წლისა, წელიწად-ნახევარია.

***მთავარი საორგანიზაციო-სამობილიზაციო სამმართველო***

***რამდენ ხანს შეუძლია პოლიციას დააკავოს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი და, უკანონოდ დაკავების შემთხვევაში, რა პასუხისმგებლობა ეკისრება მას?***

***მკითხველი***

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, რაც გულისხმობს იმას, რომ ეჭვმიტანილის ადრე გათავისუფლებაც დასაშვებია. ხოლო, თუ პიროვნების დაკავება მოხდა უკანონოდ, ასეთ შემთხვევაში მას აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

***ადვოკატთა კოლეგია***

***მართვის მოწმობის შეცვლისას შეუძლიათ თუ არა მოსთხოვონ პიროვნებას სამედიცინო ცნობა — ფსიქო და რა შემთხვევაში?***

***მანაგაძე***

მართვის მოწმობის შეცვლის დროს არ არის სავალდებულო სამედიცინო ცნობის — ფსიქოს წარდგენა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საგზაო პოლიციელმა მოწმობის შეცვლისას პიროვნებას შეამჩნია დაუფარავი ფიზიკური ნაკლი, უფლება აქვს, გააგზავნოს მოქალაქე სამედიცინო გადამოწმებაზე, რათა გაირკვეს პიროვნების ფსიქიკური მდგომარეობა.

***გ. ცაგარეიშვილი, საგზაო პოლიციის მძღოლთა მომზადებაზე კონტროლისა და კვალიფიკაციის მინიჭების განყოფილების უფროსი***

***რა შემთხვევაში არ ეკუთვნის შვილს გარდაცვლილი მშობლების ქონებიდან წილი?***

***შ.ს.***

თუ ფსიქიკურად ჯანმრთელმა მშობლებმა სიცოცხლეშივე შვილი აღიარეს ულირს მემკვიდრედ, მაშინ მას მემკვიდრეობითი წილი აღარ ეკუთვნის. ყველა სხვა შემთხვევაში, თუ მშობელი ანდერძით ან ჩუქებით სხვას დაუტოვებს ბინას, შვილს, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს, შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილი, რაც განისაზღვრება იმ წილის ნახევრით, რაც მას ეკუთვნოდა ანდერძის დაწერამდე.

***ნოტარიუსი***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 25 მარტიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| **აშშ დოლარი** | | 1,970 |
| **გერმანული მარკა** | | 0,979 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | | 3,126 |
| **ევრო** | | 1,915 |
| **რუსული რუბლი** | | 0,069 |
| **თურქული ლირა** | **(10.000)** | 0,033 |

ხის საამქრო
კარ-ფანჯარა, ავეჯი, ანტიკვარული გრეხილი კიბე, ლავგანდარი (კარნიზი)
ლითონის საამქრო
ფარდა-ჟალუზი; ლითონის კარი; „გარმოშკა“; ჟალუზი; ფანჯრის უძრავი გისოსი; ავტოფარეხი. აგრეთვე, ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს.
მის: ფალიაშვილის 100; ჭავჭავაძის 25
ტ: 25-12-72; 22-60-03; 877-41-87-75

და შტამპების
ფირმების რეგისტრაცია აუდიტი
რუსთაველის 22
☎99-86-09; 38-37-89

NGA
ხის საამქრო
კარ-ფანჯარა, ავეჯი, ანტიკვარული გრეხილი კიბე, ლავგანდარი (კარნიზი)
ლითონის საამქრო
ფარდა-ჟალუზი; ლითონის კარი; „გარმოშკა“; ჟალუზი; ფანჯრის უძრავი გისოსი; ავტოფარეხი; ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს.
მის: ბარნოვის 84
ტ: 29-39-81, 877-41-87-75

ყველაზე იაფად!

გადავიტანთ ავეჯს ან 5ტ-მდე ტვირთს; თბილისი — 1 სთ - 8 ლარი, თბილისის გარეთ — 1 კმ — 70 თეთრი
გვყავს მუშა-სპეციალისტები როიალების და სეიფების გადასატანად
ა/მ ГАЗ-53 ფურგონით.
☎ 69-11-01
ან შეგვატყობინეთ თქვენი ტელეფონი პეიჯერზე 900(111) 9990
(პეიჯერზე დარეკვა უფასოა).
დაგიკავშირდებით 10 წუთში

ფირმების რეგისტრაცია
სწრაფად, იაფად
თავისუფლების მოედანი 7, ცეკავშირის შენობა, VI სართ, ოთ. 639
☎99-02-80; 899-53-91-91

## რუსეთის წინასაარჩევნო პეიზაჟი



მსოფლიოს ე.წ. „ნორმალურ“ ქვეყნებში ყველამ წინასწარ იცის, რომელ პარტიას ეკუთვნის პრეზიდენტობის კანდიდატი და რა ცვლილებებს შეიძლება ელოდნენ საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მისი არჩევის შემთხვევაში. იმ ქვეყნებში პრეზიდენტს სრული შეგნებით ირჩევენ და იციან, რომ თუ შეცდომა დაუშვეს, ხელისუფლების დამოუკიდებელი ინსტიტუტები ამას გამოასწორებენ.

ეს ყველაფერი, როგორც მოგეხსენებათ, სხვაგან ხდება — არა რუსეთში. ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნების წინა დღეებში სოციოლოგიური სამსახურის მიერ დასმულ კითხვაზე — სურს თუ არა რუსეთს „მაგარი“ ხელი, გამოკითხულთა უდიდესმა ნაწილმა უპასუხა — „რა თქმა უნდა, გვსურს. იმისთვის, რომ მშვიდად ვიცხოვროთ, უნდა ვიცოდეთ, რომ გვყავს უფროსი, პატრონი, მშობელი მამა, რომელიც ყველაფერს გადაწყვეტს, მოგვცემს სამუშაოს, ჭერს, დაგვიცავს მტრისაგან.“

*ვლასტი №11*

## «ამოჟლიტეთ მთელი ჩეჩნეთი!»

რუსები ცოფიანი ცხოველებივით დაძრწიან გროზნოს მიდამოებში და ჩეჩენი მებრძოლების გვამებს აგროვებენ.

ქუჩებში ყოველ ორ კილომეტრში იჭერენ ჩეჩენს, რომელმაც მეზობელ ინგუშეთში თუ დაღესტანში გაქცევა ვერ მოახერხა. „ზავი“ („განთავისუფლება“) მოჩვენებითია. „დიახ, რუსებმა გამათავისუფლეს — ჩემი ოჯახისა და ჩემი სახლისაგან, — ამბობს მწარედ ჩეჩენი ლუიზა, რომელმაც გროზნოდან გამოასწრო — ისინი მათ მიერვე დაღვრილ სისხლში ჩაიხრჩობიან“.

თვითმფრინავებით და არტილერიით შეიარაღებულმა 93 000-მა ჯარისკაცმა მსუბუქად შეიარაღებული 8000 მეომარი ადვილად ვერ დაამარცხა. რუსებს ყველგან პარტიზანების თავდასხმა ელანდებოდათ. იმისათვის, რომ ბოევიკების გროზნოში უკან დაბრუნებისათვის ხელი შეეშალათ, ოდესღაც 400 000 მცხოვრებიანი ქალაქი მიწასთან გაასწორეს, ნანგრევებად აქციეს. გროზნოს სამხრეთით, ალჰანიურტში ბი-ბი-სი-ს კორესპონდენტმა რუსების მაროდიორობის, მკვლელობის, წამების, სახლების გადაწვის 41 ფაქტი დააფიქსირა — დაბომბვის, სროლებისა და ეგზეკუციების დროს; „ლა მონდის“ ინფორმაციით, 184 სამოქალაქო პირი დაიღუპა — გროზნოში ბოევიკები საერთოდ აღარ იყვნენ. ჩეჩნეთის ყოველი მხრიდან კი ცოცხლად დარჩენილ მოსახლეობას „საფილტრაციო ბანაკში“ აგზავნიან. ბანაკში ცოცხლად დარჩენილები სამუდამოდ ინვალიდებად რჩებიან.

ჩეჩნები გაზაფხულზე, როცა ხეები კვლავ ფოთლებით შეიმოსება, უკან, სამშობლოში დაბრუნებას და მის განთავისუფლებას აპირებენ.

ჩეჩნებს მშვიდობიანი მომავალი უნდათ, მაგრამ იქ, სადაც რუსები იქნებიან, ეს წარმოუდგენელია. „ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ბრძოლა, სულერთია როგორ, თუ ღვთის ნება იქნება, გავიმარჯვებთ“ — ამბობენ ჩეჩნები.

*შტერნი*

## სისხლის ღვრა ქაშმირში

ბილ კლინტონის აზიური ვოიაჟის დასაწყისი ტრაგედიით აღინიშნა. წინა დღეს ქაშმირში უცნობმა პირებმა სიქჰების თემის 35 წევრი დახვრიტეს. ამ მოვლენამ ამერიკა-ინდოეთის მოლაპარაკებებზე აქცენტი ქაშმირის პრობლემაზე გადაიტანა.

კლინტონმა სამი ქვეყანა უნდა მოიაროს — ინდოეთი, ბანგლადეში და პაკისტანი.



სამივე ქვეყანამ უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები მიიღო. ამის მიზეზი ანტიამერიკული ძალების აქტივიზაციაა. ამიტომაც ვიზიტის ორგანიზატორები იძულებულები შეიქნენ პროგრამიდან ამოეღოთ ზოგიერთი პუნქტის მონახულება. მაგრამ ტერორისტები იქ გამოჩნდნენ, სადაც არ ელოდნენ. რისთვის მოხდა ეს სისხლის ღვრა ქაშმირში, ზუსტად არ არის ცნობილი. პოლიციის ცნობით, ტერორისტები ურდუს ენაზე ლაპარაკობდნენ (ურდუ — ინდოელ მუსულმანთა უმრავლესობისა და, ერთდროულად, პაკისტანის სახელმწიფო ენაა). ამიტომ სავარაუდოა, რომ ეს აქცია ქაშმირის გამოყოფისათვის მებრძოლი ბოევიკების მოწყობილია. მათ პაკისტანი უჭერს მხარს. თუმცა, ქაშმირის ისლამისტების ლიდერმა შემხვედრი ბრალდება გამოთქვა და სისხლის ღვრა ინდური სპეცსამსახურების პროვოკაციად მონათლა.

ამ შემთხვევის უპრეცედენტობა ის გახლავთ, რომ ქაშმირის კონფლიქტის მანძილზე პირველად დაზარალდნენ სიქჰები, რომელთაც ნეიტრალური პოზიცია უჭირავთ ინდუსებსა და მაჰმადიანებს შორის ბრძოლაში. უფრო მეტიც, სულ რაღაც 10-15 წლის წინ სიქჰებს, რომლებიც ინდოეთისაგან პენჯაბის შტატის გამოყოფისათვის იბრძოდნენ, პაკისტანი აშკარად უჭერდა მხარს. ინდოეთის შსს-ის ხელმძღვანელის აზრით, ამ აქტის მიზანია ქაშმირის გაწმენდა იმ ხალხისაგან, რომელიც დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებს ხელს უშლის. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ქაშმირიდან 300 000-ზე მეტი ინდუსი წავიდა.

ასეა თუ ისე, ქაშმირის ინციდენტმა ძალზე დააზარალა პაკისტანის საერთაშორისო რენომე. ინდოეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას კლინტონმა მომხდარის გამო აღშფოთება გამოთქვა და განაცხადა, რომ ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების აუცილებლობას.

ბირთვულ იარაღზე კონტროლის ცენტრალურმა თემამ ამერიკა-ინდოეთის მოლაპარაკებების მეორე პლანზე გადაინაცვლა.

*კომერსანტი №8*

## ვინ გასცა რადუევი



„ვლასტი“-სათვის ცნობილი გახდა სალმან რადუევის დაპატიმრების სენსაციური წვრილმანები და იმ ადამიანის სახელი, რომელმაც №2 ტერორისტი სპეცსამსახურებს გადასცა. რადუევი გასცა მისმა ბავშვობის მეგობარმა.

1996 წლის 4 მარტს რადუევი რუსეთის სნაიპერებმა მარჯვენა საფეთქელში დაჭრეს. მას დაუზიანდა ჰაიმორის ღრუ, ცხვირის ძვლები, თვალის ორბიტის ფსკერი და მარცხენა ლაწვი, ჩაემსხვრა ზედა ყბა და მიიღო მძიმე კონტუზია. რადუევის ბედად ტყვია ასცდა ტვინის ქსოვილს. მისი ხანგრძლივი ავადმყოფობისა და საზღვარგარეთ ჩატარებული ოპერაციების შესახებ მკითხველმა იცის.

როცა 1996 წელს, შემოდგომაზე რადუევი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა, დუდაევი მოკლული დახვდა, ხელისუფლებაში კი მისი მტერი — მასხადოვი იყო მოსული. მას გუდერმესის პრეფექტის ადგილი კი არა, ნებისმიერი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი თანამდებობის იმედიც კი აღარ ჰქონდა და რადუევი ოპოზიციაში წავიდა. თავის პირველივე პრესკონფერენციაზე ყურანზე დაიფიცა, რომ პრეზიდენტი დუდაევი ცოცხალია.

რადუევი მარტო იყო „ჯოჰარის გზაზე“. ამასთან, იგი ცდილობდა კონკურენცია გაეწია ბასაევისათვის, ხშირად მტრობდა ვაჰაბიტებს, მაგრამ „მოსისხლე მტრად“ ყოველთვის მასხადოვს მიიჩნევდა.

უკანასკნელ ომში რადუევი არ იბრძოდა. იგი ძირითადად ჩეჩნეთის სამხრეთში იცდიდა და იშვიათად ჩამოდიოდა მთიდან. ფიქრობდა, საერთოდ „გასულიყო თამაშიდან“ და საზღვარგარეთ წასულიყო. ხმებიც კი გაავრცელა თავისი სიკვდილის შესახებ. მაგრამ არ ყოფნიდა ფული. დახმარებას ჰპირდებოდა საველე მეთაური სულიმ იამადაევი.

რადუევი და იამადაევი, ორივენი გუდერმესის რაიონში გაიზარდნენ. პირველი ომის შემდეგ დამეგობრდნენ. მასხადოვს და ვაჰაბიტებს ერთდროულად წაეკიდნენ.

იამადაევი მხარს უჭერს კრემლისათვის ლოიალურ მუფთ ახმად-ჰაჯი კადიროვს, რომელსაც ერის სულიერი მამის პრეტენზია აქვს.

გასული წლის 10 ოქტომბერს ასლან მასხადოვმა კადიროვს ბრძანებულებით მოუხსნა მუფთის წოდება იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა უარი თქვა რუსეთისათვის ჯიჰადი გამოეცხადებინა. იამადაევიც ჩამოაშორეს საქმეს. გასაკვირი არ არის, რომ გასულ შემოდგომაზე მათ ფედერალებს უბრძოლველად ჩააბარეს გუდერმესი და დაჰპირდნენ, რომ ქალაქს თავად გაწმენდნენ ვაჰაბიტი ბანდიტებისაგან.

როცა იამადაევმა სალმან რადუევი სოფელ ნოვოგროზნენს მიიწვია, ეს უკანასკნელი მაშინვე ჩავიდა, თანაც მხოლოდ ორი მცველი და ხაზინადარი ახლდა. მეგობრისაგან ღალატს იგი არ ელოდა და ამიტომ უშიშროების ფედერალური სამსახურისთვის იოლ მონაპოვრად იქცა. როგორ მოახერხა სპეცსამსახურმა იამადაევის დათანხმება, რადუევი გადაეცა, უცნობია. „თავად იამადაევსაც სისხლში აქვს გასვრილი ხელები“, — განუცხადა „ვლასტის“ კორესპონდენტს უფს-ს ერთმა წყარომ.

*ლეონიდ ბერესი*
*შამსუდინ მამაევი*

*ვლასტი №11*

სანამ სალმან რადუევი ლეფორტოვოს იზოლატორს ეჩვევა, მისი ადვოკატები პაველ ნეჩეპურენკო და დადახანოვი ტერორისტის დასაცავად ემზადებიან.

— ბრალდებული თავს შესანიშნავად გრძნობს, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქიკურადაც — ამბობს ნეჩეპურენკო — იგი აბსოლუტურად ჯანმრთელია. ხმები იმის თაობაზე, რომ თავში ყველაფერი რიგზე არა აქვს — სიცრუეა. სამედიცინო ექსპერტიზა ჩატარდება და ბოლო სიტყვას ის იტყვის.

რადუევი საკანში მარტო არ არის. მისი ორი თანასაკნელი — ორგანოების თანამშრომელია. შსს-ს წყაროს თქმით, ერთი მათგანი ვალდებულია ტერორისტს ინფორმაცია დასცინცლოს, მეორემ კი თვალყური უნდა ადევნოს, რომ პატიმარმა თავი არ მოიკლას.

მოსალოდნელია თუ არა, რადუევი გაიცვალოს, დავუშვათ შპიგუნზე, ნეჩეპურენკომ უპასუხა:

— ჩვენს ქვეყანაში ყველაფერია მოსალოდნელი!

*სობესედნიკი №11*

## ლეგიონერთა მარში: ისტორია და პოლიტიკა

რიგაში ტრადიციული მსვლელობა მოაწყვეს ვეტერანმა ლატვიელმა ლეგიონერებმა. მეორე მსოფლიო ომში ისინი ვერმახტის მხარეზე იყვნენ და წითელ არმიას ებრძოდნენ. მაშინ ლეგიონში 1.500 მებრძოლი იყო. მათგან 7 ათასი ცოცხალია, მარშში კი დაახლოებით 400-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

ლატვია პატარა ქვეყანაა და მილიონიან რიგაში ოთხასამდე ბერიკაცის მსვლელობას თითქოს დიდი აჟიოტაჟი არ უნდა გამოეწვია, მაგრამ ასე არ მოხდა. განსაკუთრებით მძაფრი რეაქცია ჰქონდა მეზობელ რუსეთს, ადგილობრივ რუსებსა და ებრაელებს. რუსეთი ხშირ-ხშირად ახსენებს ხოლმე ლატვიას — თქვენი და ლიტველი ლეგიონერები SS-ის მხარეზე იბრძოდნენ და ამიტომაც დამნაშავენი არიანო. ლატვიის 11 ათასიანი დიასპორა ლეგიონერებს ნაცისტების მიერ თავიანთი 80 ათასი თანამოძმის მკვლელობაში ადანაშაულებს. ლეგიონერები კი ჯიუტად გაიძახიან, — ჩვენ დაღუპულ ლატვიელ მებრძოლთა ხსოვნას ვუძღვნით ამ შეკრებასო. მარშის კოორდინატორმა, 76 წლის ვ. ლაცისმა განაცხადა, — ახალგაზრდა თაობამ უნდა გაიგოს სიმართლე ლატვიაში მომხდარ მოვლენებზეო.

1940 წელს სტალინურ უღელქვეშ მოხვედრილ ბალტიის ქვეყნებს, რა თქმა უნდა, უფლება ჰქონდათ, მათთვის ხელმისაწვდომი ხერხებით გაეწიათ წინააღმდეგობა კომუნისტური დიქტატურისთვის. 1941 წელს რიგელები დაჩოქილნი, ანთებული სანთლებით სიხარულით შეეგებნენ გერმანელებს. მაგრამ თუ მოკავშირე დამნაშავეა, პასუხი უნდა აგოს მანაც, ვინც მისგან დახმარებას იღებს, ამ შემთხვევაში ლატვიელებმა.



18 საუკუნის განმავლობაში ლატვიელები გერმანელების მეზობლად ცხოვრობდნენ. მართალია, მათგან ბევრი სიმწარე ნახეს, მაგრამ მათგან ბევრი რამეც შეისისხლხორცეს. ალბათ ამიტომაც არის, რომ მზერა ამჟამადაც დასავლეთისკენ აქვთ მიპყრობილი.

*იზვესტია №47*

## «საშინელება დადის ევროპაში»

„საშინელება დადის ევროპაში“ — ჩეჩნეთის ომის წინააღმდეგ ამ სათაურით დაიბეჭდა მოწოდება ფრანგულ „მონდსა“ და ესპანურ „პაისში“. მისი ავტორები არიან ფრანგი ფილოსოფოსი ანდრე გლუკსმანი და კინორეჟისორი რომენ გუპილი. მოწოდებას ხელს აწერს 200-მდე კულტურის უცნობილესი მოღვაწე 16 ქვეყნიდან, რომელთა შორის არიან ბერნარდო ბერტოლუჩი, ჯონ ლე კარე, უმბერტო ეკო, გუნტერ გრასი, ჟან-ლუკ გოდარი, ბარბარა ჰენდრიკსი, მიშელ პიკოლი, ვანესა რედგრეივი, ფოლკერ შლენდორფი... „გროზნო აღგვილია პირისაგან მიწისა დაუსჯელად. სოფლები ფერფლადაა ქცეული დაუსჯელად. მსოფლიო დუმს და ყოველივე ამის თანამონაწილე ხდება. არ ისმის რუსეთის მკვეთრი გაკიცხვა. ვერ ვხედავთ დიპლომატიურ ზეწოლას, ფინანსურ ან სამართლებრივ სანქციებს, ბატონ პუტინს დღეს ჰგონია, რომ მას ყველაფრის ნება აქვს“ — ასე ხედავენ სიტუაციას დასავლელი მწერლები და ჟურნალისტები. ერთი დღით ადრე იმავე „მონდმა“ დაბეჭდა ღია წერილი საფრანგეთის პრეზიდენტისადმი, ხელს აწერს ქვეყნის 130 უდიდესი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომლებიც გმობენ საომარ მოქმედებებს ჩეჩნეთში და მოითხოვენ პრეზიდენტ შირაკისაგან, მოახდინოს ზეწოლა რუსეთის ხელისუფლებაზე.

*იბეჭდება შემოკლებით*
*სეგოდნია №64*

## მოკლედ

**სუკ**-ის ყოფილი გენერალი ოლეგ კალუგინი, რომელსაც ვლადიმირ პუტინმა თავის წიგნში „პირველი პირისაგან“, „მოღალატე“ უწოდა, დაელოდება პირველი ტურის შედეგებს და, პუტინის გაპრეზიდენტებისთანავე, აშშ-ს პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვს.

**უკრაინის** პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ ხელი მოაწერა კანონს სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის-პროცესუალურ და გამოსასწორებელ კოდექსებში. დღესდღეობით უკრაინაში უმაღლესი სასჯელი მისჯილი აქვს 419 ადამიანს.

მალე **ეგვიპტის** ავიაკომპანია „ოჯიპტ ეირისი“ საგანგებო რეისით ვლადიკავკაზში ჩაიტანს 32 ტ ჰუმანიტარულ ტვირთს. ეს არის ეგვიპტის მთავრობის საჩუქარი ომის დროს დაზარალებული ჩეჩნეთის მოსახლეობისათვის.

დრამატული სიტუაცია ვითარდება **მოსკოვის** „ტრანსკრედიტბანკის“ ირგვლივ. სარწმუნო წყაროები იტყობინებიან, რომ „ტრანსკრედიტბანკი“ იმ სისტემის ნაწილია, რომელიც ჩეჩენ ბოევიკებს აფინანსებდა.

**სამხრეთ ჩინეთში** სიკვდილით დასაჯეს 4 ნარკობარონი, მათ 1,5ტ ამფეტამინის აბები აღმოუჩინეს.

**მეორე მსოფლიო ომის** დამთავრებიდან 55 წლის აღსანიშნავად დაგეგმილია სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის შვილიშვილების შეხვედრა. ღონისძიების დეტალები აქტიურად განიხილება. შეხვედრა მოხდება პოლანდიაში ან ბელგიაში.

## თავდასხმა ყარაბაღის პრეზიდენტზე



22 მარტს, მთიანი ყარაბაღის დედაქალაქის ცენტრში თავს დაესხნენ ქვეყნის პრეზიდენტს — არკადი ღუკასიანს. დაიჭრნენ თვით პრეზიდენტი, მძღოლი და მცველი.

მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის ერევანში მუდმივი წარმომადგენლის ცნობით, სიტუაციას მთლიანად ხელისუფლების წარმომადგენლები აკონტროლებენ. შეიქმნა ოპერატიულ-საგამომძიებლო ჯგუფი: ეძებენ ტერორისტებს, რომლებმაც გაქცევით უშველეს თავს. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ტერაქტში მონაწილეობაში ეჭვმიტანილია ქვეყნის ყოფილი თავდაცვის მინისტრი, 35 წლის გენერალ-ლეიტენანტი სამველ ბაბაიანი და მისი ძმა კარენ ბაბაიანი (სტეფანაკერტის მერი). დააკავეს მათი მხარდამჭერნიც. სამველ ბაბაიანი მიჩნეული იყო მთიანი ყარაბაღის არაოფიციალურ ლიდერად. ბოლო დროს იგი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის (და ერევნისაც), ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. იმის მიუხედავად, რომ პრეზიდენტ არკადი ღუკასიანისა და პრემიერ-მინისტრ დანიელიანის ურთიერთობა ბაბაიანთან საკმაოდ დაძაბული იყო, მაინც ძნელი გახდება იმის დამტკიცება, რომ სამველ ბაბაიანს და მის თანამოაზრეებს კავშირი აქვთ ამ ტერაქტთან, რა შედეგიც არ უნდა გამოიღოს გამოძიებამ, ერთი რამ ცხადია: ინდივიდუალური ტერორი ყველა პრობლემის გადაწყვეტის მეთოდი ხდება. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურ პიროვნებათაგან არავის დაუშვია პრეზიდენტზე თავდასხმაში „აზერბაიჯანული კვალის“ არსებობა.

*ნეზავისიმაია გაზეტა №52*

# ფარაჯანოვების ოჯახის ზედისწერა

**გენიალური რეჟისორის სერგო ფარაჯანოვის ვაჟიშვილს ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის 8 წელი მიუსაჯეს. მაგრამ დედამსს იმედი არ დაუკარგავს, რომ მის შვილს გაათავისუფლებენ.**

— ცხოვრება მართლაც უცნაურია, — ამბობს სვეტლანა ფარაჯანოვა, დიდი რეჟისორის სერგო ფარაჯანოვის ქვრივი, — ციხიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში ჩემი ქმარი შვილს სწერდა: „მომავალი არქიტექტორი ხარ და ამიტომ ლუკიანოვსკის ციტადელს ყურადღება მიაქციე. ეს ეკატერინესეული სტილია". ახლა კი იმავე ციხეში აღმოჩნდა შვილი — სურენი და ადვოკატის ხელით წერილებს მიგზავნის: „დედა, ციხის სტოლიპინის ნაწილში ვიყავი, ახლა კი ეკატერინესეულში გადამიყვანეს". მახსოვს, განაჩენის გამოტანის შემდეგ სერგეის თმა გადაპარსეს და თავხოტრობის რცხვენოდა. მე კი ვამშვიდებდი, — თითქოს გაახალგაზრდავდი, გიხდება კიდეც-მეთქი. აი, 26 წლის შემდეგ ისევ მოვდივარ ამ ციხეში, ამჟამად ვაჟიშვილთან... სერგეი რომ დაიჭირეს, 1973 წლის 17 დეკემბერს, სურენი 15 წლის იყო. კარგა ხანს ამ ამბავს ვუმალავდი. მაგრამ ერთხელ გაზეთ „ვეჩერნი კიევში" გამოქვეყნდა: „დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიის თანამშრომელ ს. ფარაჯანოვს ბრალი ედება ჰომოსექსუალიზმში". თანამშრომელს და არა რეჟისორს, მაშინ, როცა „დავიწყებულ წინაპართა აჩრდილები" საოცარი წარმატებით გავიდა მსოფლიო ეკრანებსა და ფესტივალებზე. ჩვენ უკვე გაშორებულები ვიყავით, მიჭირდა ამეხსნა შვილისთვის, რას აბრალებდნენ მამამისს. 1974 წელს მაისში სერგეის 5 წელი მიუსაჯეს. სასამართლოზე უცნაური რამ მოხდა: როცა განაჩენი წაიკითხეს, დარბაზში მოულოდნელად ჩამობნელდა. იქვე, ელვამ ცა გაჰკვეთა და საშინელი, კოკისპირული წვიმა წამოვიდა; ცა ფეხად ჩამოდიოდა. თითქოს ბუნება ამაზრზენ უსამართლობას აუჯანყდა. სერგეისთვის, წესით, ხომ 1 წელი უნდა მიესაჯათ! იმ წუთებში იგი უჩვეულოდ ლამაზი და ოლიმპიურად მშვიდი იყო და როცა განაჩენს კითხულობდნენ და მამათმავლობის საზიზღარ მომენტებს ახმოვანებდნენ, მე მიყურებდა და თავს აქნევდა, რაც ნიშნავდა, — არაფერი დაიჯეროო.

ასეთ პატიმრებს ციხეში კლავენ და მთავრობასაც იმის იმედი ჰქონდა, რომ სერგეის ან პატიმრები მიასაკლავებდნენ, ან თავად ჩამოიცვამდა თავზე ყულფს. ის კი ზონიდან დაბრძენებული გამოვიდა. ციხეში საიდანღაც კეფირის ბოთლის სახურავებს შოულობდა და მისგან აკეთებდა მედალიონპორტრეტებს ულანოვასი, პლისეცკაიასი, ვიღაც მეფეებისა... პეპლების ფრთებს აგროვებდა, კოლაჟებს ქმნიდა. მან იქ იმიტომ გაძლო, რომ ნამდვილი ხელოვანი იყო.

16 წლის სურენი უკვე სამშენებლო ინსტიტუტში სწავლობდა. სერგეის ყველა წერილში იგრძნობოდა, რომ მას შვილის ბედი აღელვებდა და აშინებდა კიდევაც. სულ მიმეორებდა, — ბიჭს დიდი ყურადღება სჭირდებაო. სურენი საკმაოდ კარგად ხატავდა რაღაც სასახლეებს, ციხეს-იმაგრეებს... და მამამისმა გადაწყვიტა, რომ იგი არქიტექტორი გახდებოდა.


სერგო ფარაჯანოვი


სურენ ფარაჯანოვი


სვეტლანა ფარაჯანოვა

სურენის ყველა ბავშვობის დროინდელი ნახატები ახლა ერევნის მუზეუმებში ინახება. სურენმა არქიტექტურაში დიპლომი წარმატებით დაიცვა. იგი დიპლომატობაზე ოცნებობდა, მაგრამ პატიმარი მამის შვილისთვის ეს ფუჭი ოცნება იყო.

ჩემს შვილს მძიმე ბავშვობა ჰქონდა. ეზოს ბიჭები — მამაშენი პედერასტიაო, — დასცინოდნენ. პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ მამა-შვილის ურთიერთობა გართულდა.

ჩემი შვილი ციხეში უცნაურად მოხვდა. მისი საქმე, თუმცა ბრალს სხვა მუხლით სდებენ, დაკავშირებულია მამამისთან. ამაში დარწმუნებული ვარ. ბრალდებაში ლაპარაკია არა წიგნის თაროზე შემთხვევით დაბნეულ 0,29 გ ფხვნილზე ან ვითომდა 1 გ ჰეროინის ყიდვაზე, არამედ კილოგრამები ფიგურირებს! შვილის თავდებით გამოყვანაში 8.500 გრივენი (დაახლოებით 2.000 დოლარი) გადავიხადე. აპრილიდან აგვისტომდე სურენი შინ იყო. ამ ხნის განმავლობაში ბრონქების ექვსი შეტევა გადაიტანა. როცა სასამართლოში წავედით, მაღალი სიცხე ჰქონდა. საქმის მოსმენა გადაიდო. სურენი კი დააპატიმრეს. ციხეში შიმშილობა გამოაცხადა.

მისი „აყვანის" ოპერაცია პრიმიტიულ დეტექტივს ჰგავდა. შინ ვბრუნდებოდი. კარს ვაღებ — და უცბად, უკნიდან თავს მესხმის ხუთი კუნთმაგარი პოლიციელი. შემაგდეს შესასვლელში და მესმის: „ნარკოტიკები", „იარაღი", „ჩხრეკა". ავადმყოფი სურენი საწოლში იჯდა. შემდეგ სამზარეულოში შემათრიეს. კაცი, რომელიც ჩხრეკას ატარებდა, შიგადაშიგ შემოვარდებოდა და ყვიროდა: „დედას თვალი არ მოაშოროთ!" თითქოს ფანჯრიდან ჰეროინის გადაგდებას ან უნიტაზში ჩარეცხვას ვაპირებდი. ვემუდარებოდი, ჩემი მეგობარი უნდა მოვიდეს, არ შეაშინოთ, სუსტი გული აქვს-მეთქი. იმ დღეს ჩემს შვილთანაც შემოირბინეს მეგობრებმა. ჩვენი ბინა დიდ სათაგურს დაემსგავსა. ყველას, ვინც კი მოდიოდა, ხელის კვრით ჩემს საძინებელ ოთახში შეაგდებდნენ, მაგრამ მაძებრებმა ვერაფერი იპოვეს.

საქმეში მხოლოდ ერთი ჩვენება ფიგურირებს, ვითომ სურენთან მისი მეგობრის ცოლი ტატიანა ტოპოლი მოვიდა და 1 გ ჰეროინი იყიდა. ტატიანას ორი ახალგაზრდა ელოდებოდა, რომლებმაც იქვე, მანქანაში „გაიჩხირეს" და პატრულმა ისინი კაიფის მდგომარეობაში დააკავა. ჩემმა ვაჟმა მითხრა, — დედა, ორი გამოსავალი მაქვს: ან გამომიშვებენ, ან სასაფლაოზე წამასვენებენო. იგი ახლაც შიმშილობს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 20 კგ დაიკლო. მისი ნახვა აკრძალულია. ვფიქრობ, ეს შურისძიებაა... ან ბედისწერა.

*ექსპრეს-გაზეთა №23*

# ამბავი ბროდსკის ფირების გამოგზავნისა

60-იან წლებში პოეტებს განსაკუთრებულ კასტად მიიჩნევდნენ. მოსკოვში დიდ პატივში იყვნენ ევტუშენკო, ვოზნესენსკი და რობერტ როჟდესტვენსკი. ლენინგრადში კი ეთაყვანებოდნენ რეინს, ბროდსკის, ბობიშევსა და ნაიმანს.

იოსიფ ბროდსკი 1963 წელს დააპატიმრეს. დისიდენტად მონათლულ პოეტს პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ საზღვარგარეთ წასვლის საშუალება მისცეს.

1987 წელს იოსიფ ბროდსკის ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა. პრემიის ოფიციალურად გადაცემის ცერემონიალამდე ორი დღით ადრე, ლაურეატს ლიტერატურის დარგში, საპატიო უფლება ეძლევა, ლექცია წაუკითხოს აკადემიის წევრებს. ლექციის წაკითხვა შეუძლია ნებისმიერ ენაზე, რომელსაც იგი აირჩევს. აკადემიკოსები კი მას უსმენენ და თან კითხულობენ ამ ლექციის შვედურ თარგმანს. ასე წაიკითხა თავისი ლექცია ყველამ, გარდა პასტერნაკისა და სოლჟენიცინისა, რომლებიც, როგორც ცნობილია, სტოკჰოლმში არ გაუშვეს.

აკადემიაში გამოსვლის წინა ღამეს ბროდსკიმ გადააკეთა ლექციის ტექსტი. თუ თავდაპირველად იგი აკადემიური ხასიათისა იყო და რუსულ ენას, ლიტერატურასა და კულტურას ეხებოდა, ახლა უფრო პოლემიკური და პოლიტიზებული გახდა. კერძოდ, მან თქვა ასეთი ფრაზა: „ლენინი წიგნიერი იყო, სტალინი წიგნიერი იყო, ჰიტლერი წიგნიერი იყო, მაო ძე დუნი ლექსებსაც კი წერდა, მაგრამ მათ მიერ დახოცილ მსხვერპლთა რაოდენობა ბევრად აჭარბებს მათ მიერ წაკითხულს".

დაჯილდოებისას სცენაზე გამოდიან ლაურეატები მეფე კარლ გუსტავისა და დედოფალ სილვიას თანხლებით. მერე კი მეფე გადასცემს ყველა მათგანს პრემიას და თითოეული ლაურეატის პატივსაცემად უკრავენ ეროვნულ ჰიმნს. ბროდსკის, იმ დროს უკვე აშშ-ის მოქალაქეს, უნდა აერჩია, რომელი ჰიმნით მიესალმებოდნენ მას — რუსულით თუ ამერიკულით, მაგრამ მან ჰაიდნის მუსიკას მიანიჭა უპირატესობა.

ამ ცერემონიალს თავისი ინიციატივით ესწრებოდა ლენინგრადელი კინორეჟისორი ალექსანდრ სტეფანოვიჩი, რომელმაც შვედეთის ტელევიზიის დახმარებით გადაიღო ბროდსკისთვის ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიალი და მეტად ოსტატურად გამოგზავნა ფირები საბჭოთა კავშირში. სტეპანოვიჩი მოგონებებში წერს:



„...სტოკჰოლმში შევხვდი საბჭოთა კავშირის ელჩს შვედეთში ბორის პანკინს და პირდაპირ ვუთხარი:

— ბორის დმიტრიევიჩ, გლაზუნოვის ალბომთან დაკავშირებით ხომ დაგეხმარეთ, ახლა თქვენ უნდა წამაშველოთ ხელი.

— ბრძანეთ, რა გნებავთ, — გამიღიმა ელჩმა.

— თქვენი მინისტრის, ედუარდ შევარდნაძის ქალიშვილმა, მანანა შევარდნაძემ მთხოვა იოსიფ ბროდსკისთან ინტერვიუს ჩაწერა ქართული ტელევიზიისთვის. ამიტომ გთხოვთ, დიპლომატიური ფოსტით გაუგზავნოთ მანანას ეს ოცი კასეტა წერილთან ერთად.

წერილში ეწერა: „პატივცემულო მანანა! გიგზავნით მასალას, რომელზეც მოსკოვში ვილაპარაკეთ. ჩემი აზრით, მას ძალიან კარგად დაამონტაჟებს გიორგი ლევაშოვი (თუმანიშვილი, — **რედ.**). პატივისცემით — ალექსანდრ სტეპანოვიჩი."

მოსკოვში დაბრუნებულს შინ ბარათი დამხვდა. ლევაშოვი მეძებდა. მაშინვე დავურეკე. ქართველმა თავადმა ისეთი გინება მომაგება, მსგავსი არასოდეს გამეგონა.

— რა გაყვირებს? დამშვიდდი და თუ გინდა მოგიყვები, სტოკჰოლმში რას ვაკეთებდი.

— სტოკჰოლმში რასაც აკეთებდი, ვიცი! აფერისტო, ავანტიურისტო! ჩემი სახელით სარგებლობა როგორ გაბედე, ან მანანას ხსენების უფლება ვინ მოგცა? იცნობ კი მანანას?

— შენ არ გამაცანი?

— დავუშვათ, გაგაცანი! მერე ამას შვედეთში რატომ ყვები?.. ელჩმა პანკინმა დიპკურიერით, დაცვით გამოუგზავნა სასწრაფო პაკეტი მოსკოვში პირადად შევარდნაძეს. ედუარდ ამბროსიევიჩმა გადადო სახელმწიფო საქმეები, გახსნა პაკეტი და აღმოაჩინა არავის რომ არ სჭირდებოდა ისეთი ფირები. მეტიც — წერილი, საიდანაც ჩანს, რომ ეს პაკეტი მას კი არა, მის ქალიშვილს გამოუგზავნეს, რომელსაც დიპფოსტით სარგებლობის უფლება არ აქვს! ძალიან გაბრაზდა და უდანაშაულო მანანას დაატეხა რისხვა.

— გოგი, — ვეუბნები, — სხვა გზა არ მქონდა. ხომ გესმის, ეს რუსული კულტურის ისტორიაა, იოსიფ ბროდსკი!

— რა შუაშია აქ ისტორია? სად ისტორია და სად ქართველი ქალი! კარგ ადამიანს დავიდარაბაში რატომ ხვევ? ამის უფლება ვინ მოგცა?

როგორც იქნა, ყვირილითა და გინებით გული მოიოხა და ვკითხე, — ფირები სად არის-მეთქი?

— ფირები მე მაქვს, შეგიძლია წაიღო, მაგრამ შენ — ნაძირალა ხარ.

დღემდე მადლობელი ვარ ედუარდ შევარდნაძისა და ბორის პანკინისა, რომლებმაც, თავადაც არ იცოდნენ, ისე დაეხმარნენ რუსულ კულტურას.

...მხოლოდ ცხრა წლის შემდეგ, როცა შევიტყვეთ, რომ ბროდსკი გარდაიცვალა, დავამონტაჟე ფილმი „იოსიფ ბროდსკი: ცხოვრების ფურცლები". ეს ფილმი ტელევიზიით 1996 წლის 22 ივლისს აჩვენეს.

*კარავანი*

# საოცარი ჰედი ლამარი

**ჰოლივუდის ვარსკვლავ ჰედი ლამარის სახელი გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი, როგორც მსახიობისა, რომელმაც დიდ ეკრანზე პირველად ითამაშა სექსუალურ სცენაში.**

**ქალი ჰიტლერს სურდა, მუსოლინის უყვარდა. ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთელ ამერიკასა და ევროპას აგიჟებდა ტემპერამენტიანი ავსტრიელი. მსახიობის სამშობლოში, ვენაში, თანამემამულენი მისთვის ძეგლის დადგმას აპირებენ: ამ ქანდაკებას მობილური ტელეფონიდან ამოსული შიშველი ქალის ფორმა ექნება...**

## „ექსტაზი"

ქალი ფლორიდაში, თავის პატარა სახლში 85 წლის ასაკში, წმინდანივით ძილში გარდაიცვალა. წინა დღეს თავის მემანიკიურესთან იყო, მეზობელ მეხორცეს ამინდზე ესაუბრა და კიდევ ერთხელ გადაწერა ანდერძი. მას შემდეგ, რაც ხუთი წლის წინ მდიდარი ჰედი ლამარი (მისი ნამდვილი სახელია ჰედვიგა ევა მარია კისლერი) გაღარიბდა, პასიანსის ნაცვლად მის საყვარელ საქმედ ანდერძის გადაწერა იქცა.

ამბობენ, სიბერეში შესულ ქალს უყვარდა თავისი პატარა ქალაქის ქუჩებში შემთხვევითი გამვლელების გაჩერება და ერთი და იმავე შეკითხვის დასმა, — დაიჯერებთ, რომ ოდესღაც ძალიან პოპულარული კინოვარსკვლავი ვიყავი?.. ჰედი ლამარს ჩერჩეტ დედაბრად მიიჩნევდნენ და გვერდს უსიტყვოდ უვლიდნენ.

ქალი კი მემუარების წიგნის — „მე და „ექსტაზი", გამომცემლებთან დავამ გააკოტრა. „ექსტაზი" კი ის ფილმია, რომელშიც 1933 წელს ყველასთვის უცნობმა 18 წლის ჰედვიგა ევა მარიამ კამერის წინ სექსუალურ სცენაში ითამაშა.

სურათს უდიდესი წარმატება ხვდა წილად. რომის პაპმა პიუს X-მ საჯაროდ შეაჩვენა ფილმი. ადოლფ ჰიტლერმა კი მისი დემონსტრირება მესამე რაიხის ტერიტორიაზე აკრძალა.

ფილმის სიუჟეტი მარტივია: მომხიბლავი ახალგაზრდა ქალი ეჩხუბება თავის ბებერ იმპოტენტ ქმარს და დედიშობილა ტყეში გარბის. იგი იქ ხეებს ეალერსება და ციყვს საჭმელს აჭმევს. მერე მდინარეში ბანაობს, ხოლო მონადირის ქოხში სექსუალურ კავშირს ამყარებს ახალგაზრდა ინჟინერთან, რომელიც ტყეში ასევე შემთხვევით მოხვდა; მას ცოლთან პრობლემები აქვს და ამიტომ ქალთან შეხვედრამ ძალიან გაახარა. დღეს სექსუალური სცენები არავის უკვირს, მაგრამ მაშინ ეს სენსაცია იყო.

## „ბენიტო ქშინავდა, მე ვკვნესოდი"

ჰედვიგა ევა მარიას კინოკარიერას წინ აღუდგა მისი ქმარი — 50 წლის ბარონი ფრიც მანდლი, იარაღის ქარხნების ქსელის პატრონი, ავსტრიის უმდიდრესი ადამიანი. „ექსტაზი" რომ ნახა, ისე განრისხდა, რომ ცოლი დაამწყვდია, მცველები მიუჩინა, თავად კი ფილმის თითქმის ყველა ასლი შეისყიდა, მაგრამ ცოლი თავის ისეთ მეგობრებს, როგორებიც იყვნენ ადოლფ ჰიტლერი და ბენიტო მუსოლინი, ვერ დაუმალა.

ჰიტლერმა, მართალია, „ექსტაზი" გერმანიაში აკრძალა, მაგრამ ჰედვიგა ევა მარიასადმი კეთილად იყო განწყობილი, ჩაიზე მხიარულად ესაუბრებოდა და ისიც კი უთხრა, — მინდა შიშველი დაგხატოო. მუსოლინისა და მსახიობის დამოკიდებულება კი უფრო შორს წავიდა. სწორედ იტალიელი დიქტატორის გამო გაშორდა ჰედვიგა ქმარს.

ჰედვიგა ევა მარიას მოგონებებიდან: „ბენიტო ძალიან საყვარელი ადამიანია... არც კი მახსოვს, ჩვენ შორის ინტიმური დამოკიდებულება როდის დაიწყო. სამაგიეროდ, კარგად მახსოვს, როგორ დამთავრდა. ბენიტო იწვა, ოფლში ცურავდა, ორთქმავალივით ქშინავდა, საწოლი ირწეოდა, მე ვკვნესოდი. ამ დროს შემოვიდა ქმარი. მას ბენიტოს დუელში გაწვევა უნდოდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა. ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ორივენი მივატოვე".

რაღა თქმა უნდა, ქალი ვენიდან დაუყოვნებლივ უნდა გაქცეულიყო.

ჰედვიგა ევა მარიამ მოსამსახურეს ყავაში ძილის წამალი ჩაუყარა, მისი ტანისამოსი ჩაიცვა და პარიზში გაემგზავრა. იქ ბეჭდები და საყურეები გაყიდა, იყიდა ბილეთი გემზე და ნიუიორკისკენ გაქანდა. ეს მოხდა 1936 წლის ოქტომბერში.

## ჰოლივუდი და პყრო

ჰედვიგა ევა მარია „ნორმანდის" გემბანზე სიგარეტს ეწეოდა. მას მამაკაცი მიუახლოვდა და გაეცნო. იგი გახლდათ ლიკის საიერი; ჰოლივუდის კინოსტუდია „მეტრო გოლდვინ მაიერის" მფლობელი და სწორედ იქ, გემზე ურჩია ქალს, ფსევდონიმად ჰედი ლამარი აიღეთ, ასეთი სახელით ამერიკას უფრო ადვილად დაიპყრობთო.

ნიუ-იორკში მსახიობი უკვე გაუგონარი კონტრაქტით ჩავიდა — 7 წლის განმავლობაში ყოველკვირეულად 500 დოლარი ჰქონდა. 30-იანი წლების ამერიკაში ეს უზარმაზარი თანხა იყო.

ჰოლივუდმა ჰედი ლამარი მშვენიერების, სილამაზის სიმბოლოდ აქცია, ამერიკა აღმერთებდა და ეთაყვანებოდა ქალს. ის კი ცინიკურად აცხადებდა, რომ წარმატება ჩემთვის მსახიობის ოსტატობას არ მოუტანიაო. „ვარსკვლავად რომ იქცე, ამისთვის საკმარისია კადრში იდგე სულელური სახით და მაყურებელს თავი ოდნავ დაბნეულად მოაჩვენო", — წერდა ჰედი მოგონებებში.



ჰედი ლამარის ერთ-ერთი თაყვანისმცემელი, მოგვიანებით კი მეგობარი, გახლდათ ვინმე ვირჯინია ბლითი.

„მე და ვირჯინია საინტერესოდ ვატარებდით დროს, ჩვენს მამაკაცებზე ვჭორაობდით. ვირჯინია შესანიშნავ ბისკვიტებს აცხობდა, მე კი ჩემი ყოფილი ბარონი ქმრის რეცეპტით ყავას ვამზადებდი... ხანდახან იგი თავის ცელქ ბიჭუნას მიტოვებდა: მისთვის საფენების გამოცვლას ძლივს ვასწრებდი".

ვირჯინია ბლიზი — აშშ-ის ახლანდელი პრეზიდენტის დედაა, ხოლო ცელქი ბიჭუნა — ბილ კლინტონი.

## ტელეფონის ყურმილი — შიშველი გოგონა

50-იან წლებში ჰედი ლამარის კინოკარიერა დამთავრდა, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე მას არ მოჰკლებია პრესის „ყურადღება".

1986 წელს პოლიციამ ყოფილი კინოვარსკვლავი სუპერმარკეტში 86 დოლარად ღირებული ჩანთის მოპარვის გამო დააპატიმრა, 1991 წელს კი იგი კიდევ ერთხელ „ჩავარდა" — მაღაზიას 25 დოლარიანი კოსმეტიკა აწაპნა. ორივეჯერ სასამართლომ მას დანაშაული აპატია.

მაგრამ 1997 წელს ჰედი ლამარმა მართლაც ყველა გააოგნა, როცა ელექტრონიკის ამერიკის ასოციაციამ მას პრემია „PIONER AWARD"-ი გადასცა, როგორც მეოცე საუკუნის დიდ გამომგონებელს.

ჯერ კიდევ 1942 წელს მსახიობმა გამოიგონა საკუთარი რადიომაუწყებლობის სისტემა, რომლის ჩახშობა ან ფარულად მოსმენა შეუძლებელი იყო. მაშინ ამერიკელმა სამხედროებმა ამ ახალი გამოგონების დამზადება-გამოყენება ძვირადღირებულ ფუფუნებად მიიჩნიეს. 1985 წლამდე ჰედი ლამარის გამოგონება სახელმწიფო საიდუმლოებად ითვლებოდა და საფუძვლად დაედო აშშ-ის თანამგზავრულ თავდაცვას. თუ რა თანხა მიიღო თავად გამომგონებელმა, ცნობილი არ არის, მაგრამ მას შემდეგ, რაც რადიოსისტემის საიდუმლოებას ფარდა აეხადა, ამ სისტემით დაიწყო სარგებლობა მობილური კავშირის ყველა კომპანიამ.

სწორედ აქედან იშვა ქანდაკების იდეა — ტელეფონის ყურმილი — შიშველი გოგონა.

*ტელეობსერვატორი №9*

# მემკვიდრეობით მიღებული სიკეთე

**_საქართველოში არ არის დარჩენილი კუთხე, სადაც არ სმენოდეთ თურმანიძეთა გვარის შესახებ, სადაც მათგან განკურნებული, თუნდაც ერთი კაცი მაინც არ ცხოვრობს. ეს გვარი ფლობდა მალამოს დამზადების საიდუმლოს და მამიდან შვილს გადასცემდა... ქალბატონი ქეთევან თურმანიძე ასე გახდა მკურნალის საიდუმლოს თანაზიარი და თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე უამრავი სიკეთე დათესა. ის იყო დიდი ოჯახის დედა და როგორც მისი შვილიშვილი ლევან ჟუღელი აღნიშნავს, ძალიან ძლიერი ოჯახის უფროსი. ის სიამაყით იხსენებს წინაპრებს... მართლაც საამაყოა, იყო ასეთი ტრადიციების ოჯახის თუნდაც შორეული ნათესავიც კი..._**

— თურმანიძეების გვარი ისტორიულ წყაროებში X საუკუნიდან მოიხსენიება. ბებიას წინაპრები წარმოშობით შორაპნიდან იყვნენ, შემდეგ მისი ბაბუა — მაქსიმე ხაშურში გადმოსულა და იქ დამკვიდრებულა. მას ჰყავდა სამი ვაჟი: მალაქია, ლადო და სანდრო. ბებიაჩემის მამა, ლადო, შედარებით ადრე გარდაიცვალა, მალაქია კი XX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში ცნობილი მკურნალი იყო როგორც თბილისში, ისე მოსკოვში. მას, როგორც ამბობენ, ბორჯომში ვოროშილოვი განუკურნავს... ისტორიულად ისიც არის ცნობილი, რომ ამ მალამოთი უსარგებლია ალ. ჭავჭავაძეს და ჯუზეპე გარიბალდისაც კი, რომელიც ფეხში ყოფილა დაჭრილი. მალაქიას შვილიშვილი ბატონი ზურაბ თურმანიძე იყო ვატიკანში და ამ დოკუმენტებს იკვლევდა...

**— როგორი ოჯახი ჰქონდა ქალბატონ ქეთოს, იქნებ გაიხსენოთ თქვენი ბავშვობის შთაბეჭდილებები?**

— ბებია 1999 წელს გარდაიცვალა, ახლა 102 წლის გახდებოდა. მას დარჩა 4 ქალიშვილი, 6 შვილიშვილი და 10 შვილთაშვილი. პირველად პეროვის ქუჩაზე ცხოვრობდნენ. თურმე მთელი უბანი, მეგობრები მათთან იკრიბებოდნენ. იმ დროისათვის



მათი სახლი თბილისში სტუმართმოყვარეობით იყო განთქმული. ბავშვობიდან ჩემს თვალწინ გაიარა უთვალავმა ადამიანმა. უამრავი დამწვარი კაცი მინახავს ოჯახში მოსული დღე-ღამის ნებისმიერ დროს. ნელ-ნელა მივეჩვიე. ამანაც განაპირობა, რომ ექიმი გავხდი... ბებიას, ჩემს დეიდებს, შეეძლოთ ღამეც გაეთენებინათ ავადმყოფთან... უარს წასვლაზე თითქმის არასოდეს ამბობდნენ, მაშინაც კი, ხალხს კარის გაღებისა რომ ეშინოდა.

ჩვენთვის წელიწადის ყველა დღე, დღე-ღამის ნებისმიერი საათი მუდამ „სამუშაო“ იყო. ერთი ახალი წელი მახსოვს. სტუმრები გვყავდა. დაირეკა ზარი და შემოვიდა პალტომოსხმული ქალი... გაიხადა და შიშველი დამწვარი სხეული დავინახეთ... ძალიან ძლიერი დამწვრობა ჰქონდა...

**— ჩვენს თანამედროვე ცნობილ პიროვნებათაგან თუ უსარგებლია ვინმეს ამ მალამოთი?**

— უამრავს... ელენე ახვლედიანს, ჯაბა იოსელიანს, ივანე ბერიტაშვილს... აფხაზეთის ომში ხელში მძიმედ დაჭრილი ნოდარ ნათაძეც ჩვენი მალამოთი განიკურნა. დათო ევგენიძეს ესპანეთში თითი დაუჩირქდა. ვერაფერმა უშველა. არადა კონცერტი ჰქონდა დაგეგმილი. მას



მალაქია თურმანიძე

მეუღლემ ჩვენი მალამო წაუღო და დათომ სამ დღეში შეძლო დაკვრა.

ბებიას, ცნობილი პაციენტების გარდა, უამრავი ხელმოკლე ადამიანი აკითხავდა. მათ უსასყიდლოდ ეხმარებოდა. ვცდილობთ, ეს ტრადიცია არც ჩვენ დავარღვიოთ.

**— მალამოს საიდუმლოს თაობიდან თაობას გადასცემდნენ. თქვენც გაგიმხილეს?**

— არა, მე არ ვიცი მომზადების ტექნოლოგია. მახსოვს ბებია ღამით ამზადებდა მალამოს, განსაკუთრებულ სიმშვიდეში... ზოგჯერ ჩუმად ვუყურებდი... ახლა ეს ოჯახური საიდუმლო ფირმის საიდუმლოა. ახლო ნათესავებმა შევქმენით ფირმა „თურმანიძე“. დეიდაჩემები ტექნოლოგიურ მხარეს კურირებენ, ბატონი ზურაბი სამინისტროსთან ურთიერთობას, ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ მეც. ვუშვებთ ორნაირ მალამოს. თურმანიძის მალამო ისტორიულად იყო რამდენიმენაირი. არ შეიძლება ერთი მალამო კურნავდეს ყველაფერს. გასაყიდად გამოსული მალამო ზუსტად იგივეა, რაც ჩვენს ოჯახში მზადდება.



**— როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ბებიას თქვენთან?**

— ძალიან ვუყვარდით შვილიშვილები, შვილთაშვილები. ორი წელიწადი ესტონეთში ვსწავლობდი და ძალიან განიცდიდა. მთხოვდა, აქ გადმოვსულიყავი. სულ უნდოდა, თვალწინ ვყოლოდი.

**— ახლა ვინ ცხოვრობს ამ სახლში?**

— მე, ჩემი მეუღლე ეკატერინე შენგელაია (რომელიც, სხვათა შორის, V კლასში რომ იყო, ბებიასთან დაჰყავდათ, როგორც პაციენტი და ხშირად მეხუმრება, ალბათ მაშინ დამადგი თვალიო), ჩვენი შვილები — ლუკა და ნატო... ჩემი მეუღლე მხატვარია, აკადემიაში ასწავლის... ძალიან გვაკლია ბებია...

ქალბატონი ქეთო დააჯილდოეს ღირსების ორდენით, ქალთა მოძრაობის სიმბოლური ჯილდოთი, 100 წლისთავის აღსანიშნავად კი პრეზიდენტმა მისალოცი გამოუგზავნა.

„...თქვენი გვარის ისტორია უკვე ქართველი ერის ისტორიის ნაწილად იქცა, იმ ერის, რომელსაც ევროპულ ცივილიზაციამდე კარგა ხნით ადრე ჰყავდა თავისი ექიმები, ჰქონდა თავისი წამლები და სამედიცინო ხელსაწყო. თქვენ დღეს ჩვენი ერის გამორჩეული პიროვნება ხართ, მაგალითი არა მარტო თქვენი მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრთათვის, არამედ მთლიანად საქართველოსთვის, მაგალითი დღეგრძელობისა და სიკეთის ქმნისა“ — წერდა პრეზიდენტი.

მედიცინა ჭეშმარიტად ყველაზე კეთილშობილურია მეცნიერებათა შორის, — ამბობდა ჰიპოკრატე. რა თქმა უნდა, ასეა, რადგან ის დგას სიცოცხლის სადარაჯოზე, იბრძვის ტკივილის წინააღმდეგ. ქალბატონ ქეთევანზე როცა ვსაუბრობდით, უპირველესად თვალწინ ქალი-მკურნალი წარმომიდგა, ხოლო შემდეგ დედა, ბებია, ოჯახის უფროსი, იმიტომ, რომ საქმე, რომელსაც ის ემსახურებოდა, მემკვიდრეობით მიღებული სიკეთე იყო.

თურმანიძეების დიდი ოჯახის კვალი ტკივილის დამარცხებით, მადლის ქმნით იზომება.

ისტორიის წიაღში დარჩა პირველი კურთხეული თურმანიძე, რომელმაც თავისი ოჯახი და შემდეგ მთელი შთამომავლობაც ამ სიკეთით დამუხტა.

## ქეთი აბულაძე: ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვიყავით...

კულტურა — კაცობრიობის არსებობისა და განვითარების ერთი ლიბოთაგანია. მხოლოდ მისი გამოისობით ჰქვია ერს — ერი, ადამიანს — მოაზროვნე. გოლზუორთი ამბობდა, — კულტურა ეს არის სამი თაობა ყოველ ოჯახშიო. ყველაფერი, რასაც კულტურა მოიცავს, სათავეს ოჯახში იღებს, მასში მოიაზრება. ოჯახი მხოლოდ ერთ ჭერქვეშ მცხოვრებ ადამიანებს კი არ ჰქვია, ეს არის ინტელექტის სამჭედლო, ცხოვრების უდაბნოში გაშენებული ოაზისი. ამაში უფრო მეტად დარწმუნდებით, როცა ქალბატონ ქეთი აბულაძის ნაამბობს მოუსმენთ მის დიდ, ლამაზ ოჯახზე.

— ჩვენ ბებიასა და ბაბუასთან ვცხოვრობდით. ერთი დიდი ოჯახი ვიყავით... ბაბუაჩემი მიხეილ მახვილაძე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ასწავლიდა მასალათა გამძლეობას. მისი ლექციები, როგორც ამბობენ, პოეზიით იწყებოდა. გალაკტიონიდან მიდიოდა თავის საგნამდე. ბაბუას ოთახი სავსე იყო ქართველი მოღვაწეებისა და მწერლების წიგნებით; კედლებზე ეკიდა გალაკტიონის, ვაჟაფშაველას, აკაკის, ილიას, ივანე ჯავახიშვილის პორტრეტები. როცა ცუდი ამინდი იყო, ფანჯარასთან ვისხედით და მამადავითს გავყურებდით. მიყვებოდა პანთეონის შესახებ, თუ ვინ განისვენებდა იქ... დამანახვებდა „ლენკომბინატის“ შენობას, სადაც გალაკტიონმა თავი მოიკლა. სად აღარ დავყავდი — თეატრებში, მამადავითზე, ყველგან, სადაც შეიძლებოდა განათლება მიმეღო... როცა მათემატიკაში დახმარებას ვთხოვდი, კი არ მიხსნიდა, პირდაპირ მიწერდა და მაძლევდა. ამის გამო ბებია ძალიან ბრაზობდა.

საოცარი ურთიერთობა ჰქონდათ ბაბუას და მამაჩემს. ხშირად მამაჩემი და მისი მეგობრებიც კი, ღამეებს ათენებდნენ ბაბუასთან საუბარში. მეოთხე კლასში ვიყავი, ბაბუა რომ გარდაიცვალა და ძალიან მძიმედ განვიცადე...

ბებიაჩემი, ქეთევან თოთიბაძე, პეტერბურგის აკადემიაში სწავლობდა. რევოლუცია რომ დაიწყო, დაბრუნდა და აქ დაასრულა სწავლა. თუმცა თავის პროფესიას ბოლომდე ვერ გაჰყვა. რთული პერიოდი იყო. თან გათხოვდა, შვილები შეეძინა და ამის საშუალება აღარ ჰქონია. მამაჩემი ხშირად ამბობდა, — სახვით ხელოვნებაში თუ რამე ვიცი, ქეთოს წყალობითო. ბებიას თითქოს ასაკი არ ჰქონდა. მასთან ჩემი ძმის, გიას ამხანაგებიც მეგობრობდნენ...

ბებია შვილთაშვილსაც მოესწრო. ამბობდა ხოლმე, — ასე მგონია, სხვა პროფესია აღარ არსებობს: ყველა სცენარს წერს, კინოს იღებს ან როლებს თამაშობსო (მის ოჯახში ხომ ორი რეჟისორი იყო — სიძე თენგიზ აბულაძე და შვილიშვილის მეუღლე ნანა ჯანელიძე და ორი მსახიობი — ქალიშვილი მზია მახვილაძე და შვილიშვილი ქეთი აბულაძე, — **ლ.ჯ.**).

მამა ძალიან მკაცრი იყო შვილების მიმართ, იმდენად მკაცრი, რომ მახსოვს, მე და ჩემი ძმა დაძინებისას ვოცნებობდით, — ნეტა შეიძლებოდეს ჩვენს ბიძაშვილებს გავუცვალოთ მამა, ჯუმბერ აბულაძე, ჩვენი საყვარელი ბიძა, გახდეს ჩვენი მამა, თენგიზი კი იმათიო.

ერთი ამბავიც მახსენდება: გიას ბაბუაჩემის ოთახში ედგა საწერი მაგიდა. ერთხელ, მეოთხედის ბოლოს, ყველა საგანში გამოჰყვა ორიანი. მამაჩემი ძალიან გაბრაზდა. ეტყობა, შეიკრიბა ოჯახური საბჭო და გიას განაჩენი გამოუტანეს. მამამ გამოათრია მისი საწერი მაგიდა ბაბუას ოთახიდან და თავის კაბინეტში შეიტანა. ბაბუა უკან მისდევდა და ეუბნებოდა, — ჩემი სკოლა სჯობს, თენგიზ, რასაც მე ვასწავლი, უფრო გამოადგებაო. ბაბუასთან პოეზიაზე, ლიტერატურაზე ჰქონდათ საუბარი... მამაჩემის კაბინეტში კი გია სკოლის საგნებს ამზადებდა და მეორე მეოთხედში უცებ ფრიადოსანი გახდა...

ჩვენს ოჯახში ამ თბილი ურთიერთობების წარმმართველი იყო დედაჩემი — მზია მახვილაძე, თავგანწირული დედა და მეუღლე. მე, მაგალითად, ისეთი ვერ ვიქნები... მზია, თუ დუბლიორი ჰყავდა, აუცილებლად მას უშვებდა გასტროლებზე და თავად არ მიდიოდა. ყოველთვის თმობდა, როლზეც კი იტყოდა უარს, ოღონდ თენგიზს ბავშვებზე ზრუნვა არ დასწოლოდა. მამა ხან სცენარს წერდა, ხან ფილმს იღებდა... ჩვენ, ფაქტობრივად, დედას მიკედლებულები ვიყავით. როცა დედა ძალიან მძიმედ იყო ავად, მითხრა, — ჩემი სიკვდილი შენთვის უფრო ადვილი იქნებაო. რატომ-მეთქი, — ვკითხე. იმიტომ, რომ პირველად, მშობლის გარდაცვალება მძიმე ელდაა და მეორე მშობლისა — შედარებით იოლი გადასატანია, რადგან შეგუების მომენტი ჩნდებაო. ასე უნდოდა ჩემთვის მდგომარეობა შეემსუბუქებინა.

მამაჩემისთვის დედა სცენარების ყველაზე პირუთვნელი შემფასებელი იყო... თუ ვინმე რამეს ეტყოდა სცენარის შესახებ, მის აზრსაც მზიასთან „შეამოწმებდა“ ხოლმე.

მამა თითქოს ძნელად საურთიერთობო კაცი იყო, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანდა. ზოგჯერ მამასა და ქალიშვილს შორის ადრიდანვე ყალიბდება მეგობრობა. ჩვენი ურთიერთობა კი ასაკმა მოიტანა, შედარებით გვიან.





თენგიზ აბულაძე და მზია მახვილაძე

თენგიზ აბულაძე შვილიშვილებთან ერთად

**— „მონანიების“ გადაღებისას როგორი ურთიერთობა გქონდათ?**

— გადასაღებ მოედანზე მამას არ ვეძახდი და ვცდილობდი, ახლოს არ მივსულიყავი, არაფერი მეთქვა. ზედმეტი ფამილარობა არც მე და არც მას არ გვიყვარდა. ჩვენ შორის კონტაქტი, ჩვეულებრივ, როგორც რეჟისორსა და მსახიობს შორის, ასისტენტების მეშვეობით მყარდებოდა.

**— თქვენი ოჯახის ტრადიციებზე რას იტყვით?**

— ახალ წელს, არ მახსოვს, ვინმე წასულიყო ოჯახიდან, ან თუნდაც შეხვედროდა ახალ წელს და მერე წასულიყო. ასეთი ტრადიციული დღესასწაული კიდევ 31 იანვარი იყო — თენგიზის დაბადების დღე. მოდიოდნენ მისი ახლობლები. ერთი მეგობარი ჰყავდა მამას, წნორელი თამაზ ჩალათაშვილი. „ნატვრის ხეს“ რომ იღებდა, მაშინ გაიცნო... რომც არ გვნდომოდა აღნიშვნა, თამაზი გვაიძულებდა. ჩამოვიდოდა სანოვაგით და ჩვენ ისღა დაგვრჩენოდა, პურმარილი მოგვემზადებინა.

**— ზოგ ქართულ ოჯახში მამაკაცისადმი, ოჯახის უფროსისადმი განსაკუთრებული პრივილეგიებია „დაწესებული“. თქვენი მამა, მით უმეტეს, ასეთი სახელგანთქმული მამა, ალბათ პრივილეგირებული იყო.**

— ჩვენს ოჯახში ყველაზე პრივილეგირებული ჯერ იყო თორნიკე — გიას უფროსი ვაჟი, მერე მამაჩემის მძღოლი ზურიკო. მამა შინ რომ შემოვიდოდა, შვილებს კი არ მოიკითხავდა, არამედ — ზურიკომ თუ ჭამაო. ის ძალიან კარგი ბიჭი იყო. 21 წლის წინ მოვიდა ჩვენთან — მამას ჩააბარეს „გამოსასწორებლად“. შვილის ტოლი იყო და მამა, როგორც შეეძლო, ყურადღებას აქცევდა.

მამას ჰყავდა მეგობრები, რომლებიც ასევე „პრივილეგირებულნი“ იყვნენ, ოჯახის წევრებისგან განსხვავებით. რეჟისორი გია მატარაძე უყვარდა გამორჩევით. არაფერზე უარს არ ეუბნებოდა. მე ერთხელ ვთხოვე რაღაც. არ ამისრულა, მეორედ... მესამედ... ბოლოს ვუთხარი, — აუცილებლად გია მატარაძე უნდა ვიყო, თხოვნა რომ შემისრულო-მეთქი? გაეცინა. როცა გია ავად იყო, ეს ამბავი მოვუყევი და ძალიან ესიამოვნა...

**— სპექტაკლებს თუ ესწრებოდით ერთად, მთელი ოჯახი?**

— თეატრში სულ დავდიოდით... თუმცა მამაჩემს ძნელად თუ წაიყვანდი, ჩემს ძმას კი საერთოდ ვერ შეიტყუებ... რატომ, არ ვიცი. მამას არც ერთი ჩემი პრემიერა არ გამოუტოვებია. გიას კი აღარც ვეპატიჟებოდი... ერთხელ უთქვამს ნანასთვის, — რა ტაქტიანი ქალია ქეთინო, ერთხელაც არ შემოუთავაზებია, თეატრში წამოდიო...

**— ბატონი თენგიზის წარმატებებს როგორ ხვდებოდით?**

— ყოველთვის ვემზადებოდით შესახვედრად. ის რომ ფესტივალიდან პრიზით ბრუნდებოდა, იშლებოდა სუფრა. ყველანი ვიკრიბებოდით — გია, ნანა, ნანას მშობლები, ჩვენი მეგობრები. ეს ჩვენთვის დღესასწაული იყო. მართლაც კარგი დრო იყო... ხშირად ვეუბნები ჩემს შვილს, — შენ ჩემნაირი ბავშვობა არ გაქვს, აღარც ბებია გყავს, აღარც ბაბუა-მეთქი... ჩვენ სხვანაირად თბილი კერა გვქონდა... ამას წინათ ჩემმა ძმამ მითხრა, — დედა მენატრებაო... ეს იმ ურთიერთობების, იმ ჩვენი დიდი ოჯახის მონატრებაა... ამ სიცარიელეს ვერაფერი შეგვივსებს...

ბატონ თენგიზ აბულაძეს განსაკუთრებით უყვარდა რძალი — ნანა ჯანელიძე. მასთან საუბარი, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ.

ქალბატონ ნანას, სხვა ფილმებთან ერთად, ერთი მშვენიერი ფილმიც აქვს გადაღებული — „ოჯახი“. მისი ნახვის შემდეგ ერთხელ კიდევ რწმუნდები, რომ ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი — ოჯახის წევრებს შორის ნორმალური ურთიერთობებია, ყველაზე მძიმე — ამ ურთიერთობების რღვევა. როცა ვერიკო ანჯაფარიძის გმირი ოთახიდან ოთახში დადის, თითქოს რაღაცას ეძებს, მას ხომ იმის პოვნა უნდა, რასაც ოჯახი ჰქვია... ზუსტად ისეთი ოჯახი, თვით ქალბატონ ნანას რომ აქვს, ბატონ თენგიზს რომ ჰქონდა... ასეთი ოჯახების არსებობაა აუცილებელი, რომ არც პიროვნება იყოს მიუსაფარი, არც ერის რღვევა დაიწყოს...

**_გვერდი მოამზადა ლელა ჯიყაშვილმა_**

# ბედნიერება ჭკუისაგან



ღმერთმა ჭკუა თუ არ მოგცა, გული არ უნდა გაიტეხო. ასე მიიჩნევს ბევრი და ხელს რომ ჩაიქნევენ თავის გონებრივ შესაძლებლობებზე, მთელ ძალებს უფრო მოქნილი ნაწილის — კუნთების განვითარებისაკენ წარმართავენ. ამიტომ ასე ხდება: ძალა გვაქვს, ჭკუა — საჭირო არ არის, მაგრამ კარგ ინტელექტს ზიანი არავისთვის მოუტანია. უბრალოდ ბევრმა არ იცის, რომ ტვინი, როგორც ნებისმიერი კუნთი, სწორი ვარჯიშით ძლიერდება, იზრდება და იწყებს ჭკვიანური აზრების წარმოქმნას.

ანთროპოლოგები დიდხანს კამათობდნენ, დამოკიდებულია თუ არა ადამიანის ინტელექტი მისი ტვინის წონაზე. მაგალითად, დინოზავრს — ყველაზე დიდსა და სულელს ცხოველთაგან, რომელიც დედამიწაზე არსებობდა, 70 გ წონის ტვინი ჰქონდა, კაკლისოდენა. ზრდასრული მამაკაცის ტვინი 1.424 გ-ს იწონის. ასაკთან ერთად იგი 1.375 გ-მდე კლებულობს. ქალის ტვინი 20 გ-ით მეტია მამაკაცისაზე(!). სამაგიეროდ, კაცებს შორის მეტია წონის რეკორდსმენი. ქალის ყველაზე დიდი ტვინი, რაც მეცნიერებისთვისაა ცნობილი, 1.565გ-ს იწონიდა, მამაკაცისა — 2.049გ-ს. ტურგენევს 2.012 გ-იანი ტვინი ჰქონდა, მიუხედავად ამისა, მათემატიკაში მოიკოჭლებდა და ადგილობრივი მედუქნეები ამით ხშირად სარგებლობდნენ.

ადამიანის ტვინი ევოლუციას განიცდის. ბოლო 200 წლის მანძილზე მან წონაში საშუალოდ 150 გრამით მოიმატა, ეს ინფორმაციის ნაკადთანაა დაკავშირებული — ადამიანები მეტს ფიქრობენ, მეტს იმახსოვრებენ, ბევრს სწავლობენ და აკეთებენ დასკვნებს. ტვინის ყველაზე აქტიური განვითარება 2-დან 11 წლამდე მიმდინარეობს. თუ ამ დროს გამოტოვებთ, დანაკარგის აღდგენა ძნელი იქნება.

ტვინის განვითარების საუკეთესო საშუალებაა უცნობი, ახალი საქმიანობა, თუნდაც არაინტელექტუალური. ვთქვათ, დღედაღამ კომპიუტერთან მუშაობთ. თქვენი წიგნების თაროების დალაგება თქვენს ტვინს ორჯერ მეტ უჯრედს შეჰმატებს, ვიდრე 8 საათიანი ჩვეული სამუშაო. ურთიერთობა კი, თქვენზე ჭკვიან და ინტელექტუალურ ადამიანთან (უკეთესია ქორწინება) არის საუკეთესო საშუალება ტვინის გაძლიერებისა და ზომაში ზრდისთვის.

მორწმუნეები ათეისტებთან შედარებით 36%-ით იშვიათად ავადდებიან ტვინის დაავადებებით, მათ შორის სკლეროზით. საქმე იმაშია, რომ ლოცვების მუდმივი კითხვა (მელოდიური, მონოტონური ტექსტი) ამცირებს სუნთქვის სიხშირეს და აწესრიგებს ტალღისებურ რხევებს ტვინში. შემთხვევითი არ არის, რომ „უფალო, შეგვიწყალენ!" თორმეტჯერ ითქმის. ის მადლი, რაც მლოცველ ადამიანზე გადმოდის, — შედეგია არა მხოლოდ ღვთის წყალობისა, არამედ წმინდად ფიზიოლოგიური პროცესისა.

ინტელექტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იაპონელებს აქვთ — 111 ქულა. იაპონელთა 10%-ის ინტელექტი — 130 ქულაა. შედარებისთვის შესაძლებელია ითქვას, რომ საშუალო სტატისტიკური გერმანელის ინტელექტი ძლივს აღწევს 100 ქულას.

***მირ ნოვოსტეი №11***

# იცით, რომ...

— თაფლი დამამშვიდებლად მოქმედებს ორგანიზმზე და თავის ტკივილის დროს დიდ ეფექტს იძლევა.

ყოველი ჭამის შემდეგ მიირთვით 2 ჩაის კოვზი თაფლი. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ტკივილი თუ არ გაგიქრათ, კვლავ მიირთვით 1 ს/კოვზი თაფლი, თუ კიდევ არ გაგიქრათ, კიდევ 1 ს/კოვზი.

— ამერიკელი სპეციალისტები გვირჩევენ მივიღოთ თითო ჭიქა ცივი (ყინულიანი) წყალი ჭამამდე და ჭამის შემდეგ. ამ შემთხვევაში ორგანიზმი ცივი წყლის სხეულის ტემპერატურამდე გასათბობად მიღებული კალორიების ნახევარს დაკარგავს. გარდა ამისა, ცივი წყალი ავიწროებს სისხლძარღვებს, ამიტომ საკვები ნივთიერებები სისხლში უფრო ნელა შეიწოვება. თუ ყოველდღიურად 10 ჭიქა ცივ წყალს დალევთ, არასასურველ ქონის ფენას მოიშორებთ.

— ისლანდიელ მედიკოსებს მიაჩნიათ, რომ მელანომით (ავთვისებიანი სიმსივნე) დაავადების საშიშროება უფრო მეტად შორეული რეისის პილოტებს აქვთ. მათ შორის ამ საშიში სენით 25-ჯერ მეტი ადამიანი ავადდება. ასეთი მაღალი რისკი გამოწვეულია მელატონინის გამოყოფის დარღვევით. მელატონინი ის ჰორმონია, რომელიც ძილზეა პასუხისმგებელი. სიფხიზლისა და ძილის დროთა აღრევა უფრო მგრძნობიარეს ხდის კანს.

— რიჩმონდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ფეხმძიმობისა და მშობიარობის დროს გამომუშავებული ჰორმონები იწვევს დადებით ცვლილებებს თავის ტვინში — აუმჯობესებს მეხსიერებას და ამაღლებს სწავლის შესაძლებლობებს.

მიღებული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ, ორსულობა კი არ აბერებს ორგანიზმს, არამედ აუმჯობესებს ჯანმრთელობის მდგომარეობას.

— როცა 70-80 წლის კვიპროსელებს უყურებ, გაოცებული რჩები — გაბედულად ატარებენ მანქანებს, სვამენ, მოუღლელად შრომობენ თავიანთ მიწის ნაკვეთებზე. კვიპროსელთა აზრით, მათი დღეგრძელობის საიდუმლო ზეთისხილშია. ისინი ზეთისხილს განუსაზღვრელი ოდენობით მიირთმევენ — დამარილებულს, მწნილად ჩადებულს, დამუჟუჟებულს, სალათებსა და ყველანაირ კერძს, ფაქტობრივად, მისი ზეთით ამზადებენ. 12,5 ათასი გლეხის ოჯახს ეს კულტურა მოჰყავს. გასაკვირი არ არის, რომ კვიპროსმა მხარი დაუჭირა ესპანელთა ინიციატივას, რათა 2000 წელი გამოცხადდეს ზეთისხილის საერთაშორისო წლად.

***ნეზავისიმაია გაზეტა №34***

# ვიჭორაოთ!!!



ამერიკელმა ფსიქოლოგებმა სოციალური გამოკვლევების შედეგად დაასკვნეს, რომ ჭორაობა სრულებით არ არის უარყოფითი მოვლენა. პირიქით, ადამიანს იგი „ფსიქოლოგიურად" აწონასწორებს. „ჭარბ პესიმიზმს" აშორებს, კონფლიქტებისა და უმიზეზო რისხვისაგან იცავს. ჭორაობის შემდეგ ხდება ემოციური განტვირთვა, ჭორიკნები ნაკლებად კომპლექსდებიან, არ ტანჯავთ შინაგანი წინააღმდეგობანი. ჭორაობა არ უყვართ მკაცრ, ფეთქებად, ეჭვიან ადამიანებს. მაგრამ სუპერჭორიკნებს, ე.წ. „ექსტრემისტებს" სხვისი საქმეები უფრო აინტერესებთ, ვიდრე თავიანთი. მათი ცხოვრება, შეიძლება ითქვას, უფერული და უემოციოა. ამგვარი „პროფესიონალებისათვის" ჭორაობა ყურადღების მიქცევის ხერხია. ფსიქოლოგების აზრით, ჭორაობა ინფორმაციის გაცვლის ერთ-ერთი საშუალებაა: კიდევ ერთი დაკვირვება. ადამიანი, რომელსაც არ უყვარს სხვაზე ლაპარაკი, როგორც წესი, თავისი პერსონის გარდა, ყველას მიმართ გულგრილია, ზოგს იმიტომ არ უყვარს სხვაზე ლაპარაკი, რომ შემდეგ არ განიკითხონ. კვლავ ფსიქოლოგების აზრით, ადამიანი, ვისზეც საერთოდ არაფერს ამბობენ, „სოციალურ იზოლაციაშია", იგი არც უყვართ და არც სძულთ. ასეთი პიროვნება მარტოსულია, არავის იზიდავს. ჩაის ყველაზე უფრო უხდება ჭორისა და სიყვარულის მიტანება", — ამბობს ინგლისელი მწერალი ჰენრი ფილდინგი.

ნათქვამია, არ ენდო იმ ადამიანს, რომელიც ყველაზე მხოლოდ კარგს ლაპარაკობსო. პატარა ქალაქში ცოტა რამეს დაინახავ, სამაგიეროდ, ბევრ რამეს გაიგონებო, — ამბობს ამერიკელი კარიკატურისტი — კ. ჰარადი. „ათიდან 9 უსათუოდ იტყვის რაიმეს ცუდს, მეათე კი კარგს, მაგრამ სახის ცუდი გამომეტყველებით", — გვაფრთხილებს ფრანგი მწერალი ა. სივაროლი.

„რა განსხვავებაა ხმის გავრცელებასა და სოციოლოგიას შორის? მხოლოდ მასშტაბები", — უთქვამს ამერიკელ სახელმწიფო მოღვაწეს ვ. ვილსონს.

მაშ, ვიჭორაოთ, მეგობრებო!

***როვესნიკი №5***

# ივარჯიშეთ ართროზის თავიდან ასაცილებლად

ხუთი მილიონი გერმანელი, მათგან უმეტესობა ქალები, დაავადებული არიან სახსრების ანთებით. ეს სენი განუკურნებელია! დღეისათვის გავრცელებულია ამ დაავადების ისეთი სახე, როგორიც არის ართროზი. ართროზის დროს ძვლები და ხრტილები ერთმანეთს სცილდებიან, მათ შორის წარმოიქმნება სიცარიელე, რასაც მოსდევს ძლიერი ტკივილი. დაავადება ასაკის მატებასთან ერთად იზრდება. არსებობს შემაფერხებელი ან დამაჩქარებელი ფაქტორი. ართროზის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სახსრების რეგულარული მოძრაობა, კერძოდ, ძალზე მნიშვნელოვანია ვარჯიში. ხოლო ვარჯიშთა კომპლექსი ექიმის მიერ უნდა იყოს შერჩეული.

***ფოკუსი №8***


# ლალის კრისტალებით მიღწეული მშვენიერება



ამ სამიოდე წლის წინ მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა ყველაზე მტკივნეული პრობლემის — ჭარბთმიანობის თავიდან აცილება მხოლოდ ელექტროეპილაციით და სხვა მეთოდების საშუალებით იყო შესაძლებელი. მოგეხსენებათ ბუნებაში უცვლელი არაფერია და გაუმჯობესებისა და მეთოდის დახვეწის პრინციპით თანამედროვე ტექნოლოგიამ ამ საკითხის გადასაჭრელად ლაზერული ეპილაცია შექმნა. ლაზერული ეპილაციის რამდენიმე სახე არსებობს. მათ შორისაა ლალის ლაზერიც. ლალის ლაზერი ყველაზე ბუნებრივ ლაზერად არის მიჩნეული. ის თმას საუკეთესოდ „ხედავს" და თანაც „ორმაგი ქმედების" პრინციპით ზემოქმედებს (სხივების კანში გატარების შემდეგ ზედმეტი ლაზერული სინათლე უკუშეიწოვება. ეს კი მეტად ეფექტურია).

მცდარია ის აზრი, რომ თითქოს ლალის ლაზერი კანის დამწვრობას ან შეფერილობის შეცვლას იწვევდეს. პირიქით, კანის სპეციალური ტესტირების სისტემით (EPI CHECK) ზუსტად განისაზღვრება — თქვენი კანის ტიპი, ფერი, თმის ხარისხი და მისი სიძლიერე. ამის გათვალისწინებით ზუსტად დოზირდება გამოყენებული ლაზერული სხივების რაოდენობა. და შედეგად კანის მგრძნობელობის მიუხედავად ეპილაციის კვალი რამდენიმე წუთის შემდეგ უკვალოდ ქრება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ასეთი ეპილაცია პრაქტიკულად უმტკივნეულო, ძლიერ სწრაფი და ამასთან უვნებელია.

ასე რომ, ენდეთ ლალის ლაზერულ ეპილაციას, ის თქვენი სილამაზისა და მშვენიერების საუკეთესო გარანტიაა.

**საუკეთესო გერმანული ფირმის „ესკულაპ მედიტეკი"-ს ულტრა-თანამედროვე აპარატი „RUBY STAR"-ი.**

**მის: ირ. აბაშიძის ქ. №29 ტ: 25-18-88; 25-18-90**


# «პახმელია» ალკოჰოლის ბრალი არ არის

როდესაც ალკოჰოლი სისხლში იშლება, იწყება ყველაზე მტანჯველი პროცესი ალკოჰოლის მოყვარულთათვის — ნაბახუსევი, ანუ თუ პოპულარული ენით ვიტყვით ე.წ. „პახმელია". ალბათ ინტერესს მოკლებული არ იქნება მკითხველთათვის ლონდონის ნაციონალური ნევროლოგიური ჰოსპიტლის ანესთეზიოლოგის იან კალდერის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც გარდა ამ პროცესის მეცნიერულად გაშუქებისა რეალურ რეკომენდაციებსაც გთავაზობთ.

მისი აზრით „პახმელიას" იწვევს არა ალკოჰოლი, არამედ მისი ე.წ. „თანამდევი ნივთიერებები", მათ შორის კი, მთავარია ეთანოლი. ეს ნივთიერებები თავის მხრივ აუცილებელია, რადგანაც ისინი შლიან სისხლში მოხვედრილ ალკოჰოლს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიღებული ალკოჰოლი სისხლში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე დარჩებოდა და მისი შედეგები მგონი, ადვილად წარმოსადგენია.

მივყვეთ თანმიმდევრობით, ალკოჰოლი სისხლში დაშლილია, მაგრამ „ნაბახუსევის" შედეგები სახეზეა — თავის ტკივილები, გულის რევა, ოფლიანობა, კანკალი და არარეალური ფიქრები შემდეგი მოტივით — „მე მეტს აღარ დავლევ".

კალდერის აზრით, იდეალური წამალი ამ შემთხვევაში მცირე ოდენობით ალკოჰოლის მიღებაა. ალკოჰოლის ზომიერი ოდენობით მიღება ნაბახუსევის გამომწვევ ნივთიერებათა განეიტრალებას ახდენს, ანუ ამ შემთხვევაში გარკვეულწილად უკუეფექტი ხორციელდება. ამ მეთოდში სიახლე ნამდვილად არაფერია, ამას ყოველგვარი კვლევებისა და მეცნიერული დაკვირვებების გარეშეც მშვენივრად მიმართავენ, მაგრამ სიახლეს კალდერის კვლევებში სულ სხვა გარემოება წარმოადგენს.



გავრცელებული სტერეოტიპის თანახმად არსებობს მოსაზრება, რომ „რამაც მოგკლა, ისევ იმან უნდა გაგაცოცხლოსო", ანუ არყის მიღების შემთხვევაში მეორე დილით ნაბახუსევზე ისევ არაყს მიმართავენ, ღვინის შემთხვევაში — ღვინოს და ა.შ. კალდერის კვლევებმა აჩვენა, რომ იდეალური ვარიანტი ნაბახუსევზე (მიუხედავად იმისა თუ რით არის თრობა გამოწვეული) გახლავთ 300-დან 700-გრამამდე ლუდის მიღება. ეს ფენომენი ლუდის მომზადების ტექნოლოგიის დამსახურებაა. გარდა ამისა, ლუდი ფაქტობრივად ერთადერთი ალკოჰოლიანი სასმელია, რომლის რეგულარული მოხმარებაც ჯანმრთელობისათვის სასარგებლოა, ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ვინც ზომიერად და რეგულარულად მოიხმარს ლუდს, გამოირჩევა საუკეთესო ჯანმრთელობით. ლუდი პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს სისხლის შემადგენლობაზე, ამცირებს რა მასში ქოლესტერინის შემცველობას. რეკომენდებული ნორმებია: მამაკაცებისთვის ყოველდღიურად ნახევარი ლიტრი, ხოლო ქალებისათვის კი ლიტრის მეოთხედი.

ის ფაქტი, რომ ლუდი კარგი „საპახმელიო" საშუალებაა ახალი არ გახლავთ, მაგრამ ეს მოვლენა პირველად გახდა მეცნიერული კვლევის საგანი. ალბათ ქართული ლუდის მწარმოებელთათვის არ არის ამ კვლევის შედეგები ცნობილი, თორემ ამ ფაქტს აუცილებლად გამოიყენებდნენ ეფექტურ სარეკლამო არგუმენტად.

R


SGS – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS – თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS – განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS – აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:
„პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი"), მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე



ცნობილი მკურნალი **ირინა ლომთათიძე** თაობათა მანძილზე გამოცდილი მცენარეული წამლებით მკურნალობს:

- ბოტკინით დაავადებულებს;
- ორგანიზმში დაგროვილ სითხეს;
- პირის ღრუში უსიამოვნო სუნს;
- ფრჩხილების სოკოს; ყელის კატარს;
- ქავილი სხვადასხვა ადგილებში;
- ფრჩხილების ჩაზრუნება;
- თმის ცვენა, სებორეა; ბუასილი;
- ტროფიკული წყლული, წითელი ქარი.

ეფექტი გარანტირებულია I დღიდან. მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია ადგილზევე ხდება კომპიუტერული დიაგნოსტიკური გამოკვლევები მაღალ დონეზე, ფასი 40 ლარი.
მის: აღმაშენებლის გამზ. №115, „ფანასკერტელი".
იკითხეთ ლომთათიძის აფთიაქი. ტ: 77-68-50 (სად.)





ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა

ექიმი ვერტებრონევროლოგი, მანუალური თერაპევტი დავით ქურთუბაძე

თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9
ტელ: 96-95-69; 877-43-31-26

# შარშანდელი ფინალი აღარ გამეორდება

ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპიც დასრულდა. დასრულდა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. ოთხივე ჯგუფიდან ფავორიტები გავიდნენ. მხოლოდ „ფიორენტინა" გახდა ის უიღბლო გუნდი, რომელსაც სპეციალისტები ჯგუფიდან გასვლას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მეოთხედფინალს მიღმა აღმოჩნდა. თუმცა ბოლო ტურის წინ არა მარტო „ფიორენტინას", არამედ „რეალის", „პორტუს", „ვალენსიასა" და თავად „ლაციოს" ბედი იდო სასწორზე.

### A ჯგუფი

*სპარტა-ბარსელონა 1:2*
*ჰერტა-პორტუ 0:1*

„ბარსელონას" ჯგუფიდან გასვლა-არგასვლის საკითხი კატალონიელებმა სამი კვირის წინ გადაწყვიტეს და გულდამშვიდებულებმა ჩეხეთის დედაქალაქიდანაც სამი ქულა წამოიღეს. ბოლო ტურის წინ „სპარტას" თეორიული შანსი ჰქონდა მეოთხედფინალში გასასვლელად. ამისათვის თავად „ბარსელონა" უნდა დაემარცხებინა, „ჰერტას" კი — „პორტუ", თუმცა ყველაფერი პირიქით მოხდა და მომდევნო ეტაპზე „პორტუ" ითამაშებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 6 | 5 | 1 | 0 | 17-5 | 16 |
| 2. პორტუ | 6 | 3 | 1 | 2 | 8-8 | 10 |
| 3. სპარტა | 6 | 1 | 2 | 3 | 5-12 | 5 |
| 4. ჰერტა | 6 | 0 | 2 | 4 | 3-8 | 2 |

### B ჯგუფი

*ფიორენტინა-ბორდო 3:3*
*ვალენსია-მანჩესტერი 0:0*

„ვალენსიამ" და „მანჩესტერმა" თავი დიდად არ შეიწუხეს და ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე დააფიქსირეს ისეთი ანგარიში, როგორსაც ორივე მეოთხედფინალში გაჰყავდა. ამით იტალიური „ფიორენტინა" დაიჩაგრა, რომელმაც შინ „ბორდოს" ვერ მოუგო. ფლორენციელებმა, რომლებიც „ბორდოს" ბოლო წუთებამდე 3:1-ს უგებდნენ, ვალენსია-მანჩესტერის მატჩის შედეგი რომ შეიტყვეს, „ბორდოს" ორი გოლი გაატანინეს და თავიც მასხრად აიგდეს და საკუთარი მაყურებელიც.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:4 | 13 |
| 2. ვალენსია | 6 | 3 | 1 | 2 | 9:5 | 10 |
| 3. ფიორენტინა | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | 8 |
| 4. ბორდო | 6 | 0 | 2 | 4 | 5:14 | 2 |

### C ჯგუფი

*დინამო-ბაიერნი 2:0*
*რუსენბორგი-რეალი 0:1*

კიევის „დინამოს" ბედი „ბაიერნთან" მატჩამდე ერთი კვირით ადრე გადაწყდა მადრიდში. სამწუხაროდ „სანტიაგო ბერნაბეუზე" დასრულებული ფრე წაგების ტოლფასი აღმოჩნდა უკრაინელთათვის. ბოლო ტურის წინ ასეთი სიტუაცია შეიქმნა: „დინამოს" უნდა მოეგო „ბაიერნთან", „რეალს" სტუმრად ვერ უნდა დაემარცხებინა „რუსენბორგი". სხვა შემთხვევაში მეოთხედფინალში „სამეფო კლუბი" გადიოდა. მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი ამოცანა კიეველებმა ბრწყინვალედ შეასრულეს, მაინც მეოთხედფინალს მიღმა აღმოჩნდნენ. სასიხარულოა, რომ „ბაიერნის" სარეზერვო გუნდს ორივე გოლი ქართველებმა გაუტანეს. ჯერ კალაძემ გამოიჩინა თავი, შემდეგ დემეტრაძემ ულამაზესი გოლი გაიტანა და ჩემპიონთა ლიგაში საკუთარი ანგარიში გახსნა. სამწუხაროდ ეს გოლი მისთვის წელს პირველი და უკანასკნელი აღმოჩნდა. „რეალმა" რაულის ერთადერთი გოლის წყალობით მოიგო. ნორვეგიელებმა სამი-ოთხი საგოლე მომენტი გაატანეს ქარს და „რეალი" მომდევნო ეტაპზე „გაიყვანეს".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:8 | 13 |
| 2. რეალი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:12 | 10 |
| 3. დინამო | 6 | 3 | 1 | 2 | 10:8 | 10 |
| 4. რუსენბორგი | 6 | 0 | 1 | 5 | 5:11 | 1 |

### D ჯგუფი

*ჩელსი-ლაციო 1:2*
*მარსელი-ფეიენოორდი 0:0*

„ჩელსიმ" ლონდონში „ლაციოსთან" წააგო, ჯგუფში პირველი ადგილი დაკარგა და მიუხედავად იმისა, რომ მეოთხედფინალში მაინც გავიდა, მეტად გაირთულა საქმე. ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. ლონდონური მატჩის შედეგიდან გამომდინარე, „მარსელისა" და „ფეიენოორდის" შეხვედრამ აზრი დაკარგა. ჯგუფის ორმა აუტსაიდერმა „ველოდრომზე" ქულები გაიყვეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაციო | 6 | 3 | 2 | 1 | 10:4 | 11 |
| 2. ჩელსი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 10 |
| 3. ფეიენოორდი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| 4. მარსელი | 6 | 1 | 1 | 4 | 2:11 | 4 |

**პარასკევს შვეიცარიაში, უეფას შტაბ-ბინაში ლიგის მეოთხედფინალისტები დაწყვილდნენ.**

### მეოთხედფინალი

I. რეალი-მანჩესტერი (4-19 აპრილი)
II. პორტუ-ბაიერნი (4-19 აპრილი)
III. ჩელსი-ბარსელონა (5-18 აპრილი)
IV. ვალენსია-ლაციო (5-18 აპრილი).

### ნახევარფინალი

I წყვილის გამარჯვებული — II წყვილის გამარჯვებული (3-9 მაისი)
IV წყვილის გამარჯვებული — III წყვილის გამარჯვებული (2-10 მაისი)

**ფინალი**
**24 მაისი. პარიზი**

**ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩების კომენტირება ისევ ბატონ ოთარ გაბელიას ვთხოვეთ.**

**— ბატონო ოთარ, ამ ინტერვიუს დაწყებაც, ისევე, როგორც წინა კვირის საუბრისა, იმის აღნიშვნით მიხდება, რომ თქვენეული პროგნოზები მთლიანად გამართლდა.**

— როგორც მაშინვე აღვნიშნე, დიდი გულთმისნობა არ უნდოდა იმას, რომ „ვალენსიას" არ გაუჭირდებოდა, უფრო სწორად „მანჩესტერი" არ გაუჭირვებდა ქულის აღებას, არც უმოტივაციო



„ბარსელონა" მოიკლავდა მაინცდამაინც თავს („სპარტას" რომ პენალტი გამოეყენებინა, იმ თამაშს ხომ მოიგებდა) ისევე, როგორც „ბაიერნი" და „რეალსაც" ოსტატობასთან ერთად იღბალიც უნდა დახმარებოდა — იმ დღეს „რეალის" იღბალი იან კარეუს უიღბლობა იყო, სამიდან ერთი მომენტი მაინც უნდა გამოეყენებინა. „ლაციომაც", როგორც ვვარაუდობდით, ხუთიანზე შეასრულა ერიქსონის დავალება და საუკეთესონი სწორედ ჩვენგან ნაქები ბოქშიჩი, ნედვედი და ვერონი იყვნენ.

**— კიევის „დინამოსა" და ქართველების შესახებ უფრო დაწვრილებით ვთქვათ. მით უმეტეს, რომ ამ გათამაშებაში მათზე საუბარი აღარ მოგვიწევს.**

— გულწრფელად ვიტყვი: ჩემი აზრით, ობიექტურად (და არა იმიტომ, რომ კიევის „დინამოს" ვგულშემატკივრობ), ჯგუფიდან უკრაინელთა გასვლა გაცილებით უკეთესი იქნებოდა. დღევანდელი „რეალი" არ არის ის გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგას „ალამაზებს". კიეველები კი, რომლებსაც ძალუძთ, მაგალითად, „ბარსელონას" მოუგონ 7:0 ორი თამაშის ჯამში, ან იმავე „ბაიერნს" (თუნდაც მის შესუსტებულ შემადგენლობას), უფრო მეტ ინტრიგას შესძენდნენ ტურნირს. მით უმეტეს, რომ ეს „დინამოს" ქართველ ლეგიონერებსაც წაადგებოდათ, რომლებმაც ბრწყინვალედ ჩაატარეს ბოლო მატჩი და შესანიშნავი გოლებიც გაიტანეს. სამწუხაროა, რომ დემეტრაძის „პირველი გოლის კომპლექსის" მოხსნა, რომელზეც ჩვენ ადრე ვსაუბრობდით, კიეველთა გავარდნას დაემთხვა.

**— თქვენმა ფავორიტებმა „გაგიმართლეს"...**

— დიახ, ის ოთხი გუნდი („ბარსელონა", „ბაიერნი", „მანჩესტერი", „ლაციო") ფავორიტებადვე რჩებიან. მით უმეტეს, რომ მეოთხედფინალშიც ერთმანეთს არ „ეჯახებიან". თუმცა მათ მოწინააღმდეგეებსაც ნებისმიერი მეტოქის გამწარება შეუძლიათ. ეს, ალბათ, მხოლოდ „პორტუზე" არ ითქმის. ამ მხრივ, მე ვფიქრობ, „ლაციოს" ყველაზე მეტად გაუჭირდება, მაგრამ მენდიეტას არყოფნა „ვალენსიასათვის" დიდი დანაკლისი იქნება.

**— „ვალენსია"-„მანჩესტერის" თამაშმა 1982 წლის გფრ-ავსტრია ხომ არ მოგაგონათ?**

— გარკვეულწილად შეიძლება ასეც იყო, თუმცა ამას არ შეიძლება „ჩაწყობა" ეწოდოს. მით უმეტეს, რომ მთელი პირველი ტაიმი და მეორის დასაწყისიც კარგი იყო. ბოლოს კი ფრთხილობდნენ — ვერც გაამტყუნებ, 0:0 ორივეს აძლევდა ხელს და წყნარად ჩაამთავრეს თამაში. ისე, გეთანხმებით, რომ რაღაც უსიამოვნო გრძნობა მაინც დაგრჩებოდა კაცს ისევე, როგორც „ფიორენტინას" თამაშის ბოლო 3-4 წუთისაგან. ასეთი რამე დიდმა გუნდმა, უბრალოდ, არ უნდა იკადროს — ან მაყურებელს უნდა სცეს პატივი, ან სპორტულ ჟინს, ბოლოს და ბოლოს, კლუბის ფინანსური ინტერესი მაინც უნდა გაითვალისწინოს.

**— ჯგუფური ტურნირები დამთავრდა, რაიმე ნაკლს თუ გამოყოფდით გათამაშების ფორმულაში?**

— ერთადერთი, რაც შეიძლება აღვნიშნო, არის ჯგუფში უპირატესობის მინიჭების მთავარი კრიტერიუმი. ერთმანეთთან თამაშებისას ნაჩვენებ შედეგებს ვგულისხმობ, რადგან, ვფიქრობ, ამ დროს დიდია შემთხვევითობის საშიშროება. უფრო სამართლიანი იქნებოდა, ძველებურად, ბურთების სხვაობისა და მოგებათა რაოდენობის პირველ ადგილებზე დაყენება. ამ შემთხვევაში კიევის „დინამოც" ჩამოიტოვებდა „რეალს".

**— ახალი სახელები თუ გამოაჩინა წლევანდელმა გათამაშებამ?**

— ამ მხრივ ვერავის გამოვყოფ. ისე კი, ვარსკვლავებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი დიდოსტატობა: იგივე ვერონმა, რივალდომ, კარლოსმა, კანმა, ბატისტუტამ, კლუივერტმა... სხვებმა კი, უდიდესი სკოლა გაიარეს. მაგრამ მთავარნი მარტო „ვარსკვლავები" არ არიან: დაუკვირდით, როგორ ამაღლდა ე.წ. „საშუალო გუნდების" სათამაშო დონე. თუნდაც „რუსენბორგის" მაგალითი — რამხელა სხვაობაა მის შარშანდელსა და წლევანდელ კლასს შორის. იგივე შეიძლება ითქვას „სპარტაზე", „ფეიენოორდზე".

**— რახან „საშუალო გუნდები" ახსენეთ, ერთ შეკითხვასაც დაგისვამთ: როგორ ფიქრობთ რეალურია თუ არა ორ-სამ წელიწადში საქართველოს მოწინავე გუნდებისათვის (ქუთაისი, „დინამო", ბათუმი) მათ დონესთან მიახლოვება?**

— სხვაობა ძალიან დიდია და მისი შემცირება, დღევანდელი პირობების შემხედვარეს, რამდენიმე წელს მაინც შეუძლებლად მიმაჩნია.

ეს ცალკე თემაა და მომავალში მასზე ვრცლად სასაუბროდ მზად გახლავართ.

# უეფას თასი

ხუთშაბათს უეფას თასის საპასუხო მეოთხედფინალებიც გაიმართა.

**გალათასარაი (თურქეთი) — მალიორკა (ესპანეთი) 2:1 (4:1)**
**ვერდერი (გერმანია) — არსენალი (ინგლისი) 2:4 (0:2)**
**ლანსი (საფრანგეთი) — სელტა (ესპანეთი) 2:1 (0:0)**
**სლავია (ჩეხეთი) — ლიდსი (ინგლისი) 2:1 (0:3)**

**ნახევარფინალები**
**6-20 აპრილი**

*გალათასარაი-ლიდსი*
*არსენალი-ლანსი*

**ფინალი**
**17 მაისი. კოპენჰაგენი**

# როგორ გააბრიყვა ჩელემ კიევის „დინამო"

მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ჩვენში პოპულარული ადამიანების (მათ შორის სპორტსმენების) მონათხრობი, მათ თავს გადახდენილი ამბები, ზოგჯერ კურიოზული, ზოგჯერ ჭკუის სასწავლებელი და, არც თუ იშვიათად, უნიკალური შემთხვევები.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ქართველ ფეხბურთელთა შორის საყოველთაო სიყვარულით გარემოცული, ისე, როგორც რევაზ ჩელებაძე გახლდათ, ბევრი არ ყოფილა. ეს დღემდე გრძელდება და, ალბათ, უპრიანი იქნება, რომ სწორედ მისი „მინი-მემუარები" შემოგთავაზოთ. მით უმეტეს, რომ ბატონი რეზო დიდი იუმორისა და შესანიშნავი თხრობის უნარის მქონე მოსაუბრეა:

„როდესაც „დინამოში" დავიწყე თამაში, ჩემმა სამმა ბიძამ პირობა მომცა, რომ ყოველ გატანილ გოლზე თითოეული 100-100 მანეთს მომცემდა. ასე რომ, 300 მანეთი გარანტირებული მქონდა დამატებით შემოსავლად. ამ სამიდან ერთ-ერთმა ბიძამ ნამეტანი გამოიდო თავი და მითხრა: ნაკრებში თუ გაიტან გოლს, 500 მანეთს გადაგიხდიო. ბულგარეთში ვთამაშობდით საბჭოთა კავშირის ნაკრები. თამაშის წინ ეს ამბავი ბიჭებს ვუთხარი და დავპირდი, — ვინც საგოლე პასს მომცემს „პოლნი წილში" ვსვამ-მეთქი. ისე აგიცხადდათ ყველაფერი კარგი — ორი გოლი შევაგდე, ორივე ბესონოვის პასით. დღესაც მეუბნება ბესონოვი: „эти деньги, с процентами, до сих пор меня не могут найти".

საერთოდ უკრაინელებთან ძალიან თბილი ურთიერთობა მაქვს: როდესაც ჩერნობილში, 1986 წელს ავარია მოხდა, მთელი კიევის „დინამო" ოჯახებითურთ, ჩემთან ისვენებდა ქობულეთში. მაშინ ანდრეი ბალის მეუღლე ფეხმძიმედ იყო და შეთანხმებული ვიყავით, რომ თუ ბიჭი გაჩნდებოდა, მე და ბესონოვს უნდა მოგვენათლა. მართლაც, გავისტუმრე ძალიან კმაყოფილები, აგვისტოს ბოლოს ბალს ვაჟი შეეძინა და პირობის შესრულებასაც აღარაფერი ედგა წინ, მით უმეტეს, რომ სექტემბერში კიევში ჩავდიოდით სათამაშოდ. მატჩის მეორე დღეს უნდა შემდგარიყო ნათლობა. თამაშის წინ გუნდმა „დელეგატად" გამაგზავნა მოწინააღმდეგესთან (რადგან მე ვმეგობრობდი კიეველთა ლიდერებთან) თხოვნით, რომ როგორმე ერთი ქულა მოეცათ (უეფაზე გასასვლელი ადგილისათვის ვიბრძოდით). უკრაინელებმა, დიდი ბოდიშის მოხდით, უარი მითხრეს — რადგან, მოსკოვის „დინამოსთან" ჰქონდათ დაძაბული ბრძოლა ჩემპიონობისათვის. ერთ რამეს კი დამპირდნენ: ძალიან არ „გაგაფარჩაკებთ", ორით ნოლის შემდეგ, ან პენალტს „ავიკიდებთ", ან ისე გაგატანინებთ და 2:1 დავამთავროთო. რაღა მეთქმოდა. მაგრამ ერთი სათხოვარი კიდევ მაქვს-მეთქი, ანდრეი ბალს ვუთხარი: „ზეგ ეკლესიაში შენი ბიჭის მოსანათლად კოჭლობით რომ შემოვიდე, სირცხვილია. უთხარი კუზნეცოვს (კიეველთა მცველი იყო), ცოტა ფრთხილად მეთამაშოს, მაინც და მაინც ფეხს ნუ მომაჭამს-თქო". დაუძახა ბალმა კუზნეცოვს და უბრძანა: „Ты к нему не прикасайся! Если Челебадзе калекой зайдёт в церковь, я твой гроб в этот церковь поставлю!". მეც ეგ მინდოდა — კუზნეცოვისნაირმა ფეხი თუ არ მომართყა, ისე ბურთი როგორ უნდა წამართვას?! 3:1 მოვიგეთ — ორი გოლი ისე გავიტანე, კუზნეცოვისთვის თვალი არ მომიკრავს ჩემს ახლო-მახლო. საღამოს ბესონოვმა ბანკეტი მოაწყო სახლში; „ვრემიაში" გოლების ჩვენებას რომ იწყებდნენ, დავუძახე ყველას ტელევიზორთან: უყურეთ და ისწავლეთ, როგორ უნდა ფეხბურთის თამაში-მეთქი. ბალმა თავში შემოირტყა ხელი: „дурак я — что, инвалидом не мог ты ребёнка крестить, что ли?"

ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ მეორე დღეს მღვდელმა მიცნო და ეკლესიიდან მაგდებდა.

ერევანში რომ ასპროცენტიანი მომენტი გავაფუჭე, — გეხსომებათ. დამთავრდა თამაში. ავტობუსში ვზივარ, პატარა ბავშვივით ვტირი, ცხონებული ნოდარ ახალკაცი წინ ზის დაბოღმილი, თავჩაღუნული — დანა პირს არ უხსნის. ე.წ. „სუხოი პაიოკს" გვაძლევდნენ მაშინ — ყველაფერი შეიჭამა და ერთი დიდი, მეტრიანი „დოქტორსკი" ძეხვია დარჩენილი. ამოვიდა ავტობუსში მასაჟისტი გაბიტაშვილი, ეს ძეხვი ხელში უჭირავს და ახალკაცს ეკითხება: „ფარსადანოვიჩ, ერთი ცალი კალბასი დაგვრჩა და რა ვუყო?" ახალკაცმა, იმ დღეს რომ ხმა არ ამოუღია — იყვირა: „ჩელებაძეს შეტენეთ..., მაგის..."

საერთოდ, ახალკაცზე უნდა ვთქვა, რომ არა მარტო უდიდესი მწვრთნელი, არამედ უდიდესი პიროვნებაც იყო: შეხვიდოდი მასთან გაცეცხლებული, რაღაც პრეტენზიით, დარწმუნებული, რომ მართალი ხარ და... ნახევარ საათში გამოხვიდოდი და იტყოდი: — რას ვერჩი ამ კაცს, მართალიაო. ამასთან დაკავშირებით ერთ ამბავს მოგიყვებით: ჩვენი ახალგაზრდა თანაგუნდელის (შემდეგში ცნობილი ფეხბურთელის) მამა მოვიდა საწვრთნელ ბაზაზე, ჯიბეში დიდი დანა ედო, ახალკაცს დედა უნდა ვუტირო — ბავშვს მიჩაგრავს, „სასტავში" არ აყენებსო. შევიდა ახალკაცთან და ცოტა ხანში ღრიალით გამოვარდა: „სად არის ჩემი შვილი, უნდა მოვკლა, მაგის..."

სსრკ-ის ოლიმპიურ ნაკრებში ვიყავი მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადაზე. თენგიზ სულაქველიძესთან ერთად ვცხოვრობდი ოთახში, ოლიმპიურ სოფელში. საწოლის გვერდით მდგარ პატარა კარადას („ტუმბოჩკას" რომ ეძახიან) სულაქველიძემ „ფანტას" ბოთლი ჩამოარტყა და გახსნა. ერთი ციცქნა, თვალისთვის თითქმის შეუმჩნეველი ნაკაწრი დაეტყო.

მეორე დღეს ნახევარფინალი წავაგეთ გდრ-ის ნაკრებთან. ოლიმპიური სისტემა იცით: წააგებ — გავარდები. ე.ი. ვტოვებთ ოლიმპიურ სოფელს და ჩვენი ნაკრების წაგებით დაბოღმილი რუსები ყველაფერში შარზე არიან: შემოვიდა ადმინისტრატორი, ოთახი უნდა ჩაიბაროს. დაათვალიერა, მიიხედ-მოიხედა და (ან კი როგორ შეამჩნია): Кто поцарапал тумбочку? — დაიღრინა. სულაქველიძე ზის ჩუმად. ერთმანეთს ვუყურებთ. ადმინისტრატორი პასუხს ელოდება. ან შენი გაფუჭებული უნდა იყოს, ან — ჩემი, რას მიყურებ, რამე უთხარი-მეთქი. ბოლოს და ბოლოს აღიარა. Хорошо-о-о — ჩაილაპარაკა იმან და წავიდა.



მეორე დღეს შემოვიდა ვიღაც ქალი, შემოიტანა ოთახის დათვალიერების ოქმი და ჯარიმის ქვითარი — 33 მანეთი და 40 კაპიკი. „ჭომამ" (სულაქველიძემ) იკივლა, რა ამბავიაო (არადა 4-5 ათასი მანეთი აღებული გვქონდა თითოს, წინა თამაშებში გამარჯვებისთვის. ყოველი თამაშის მოგებაზე ათას მანეთამდე გვიხდიდნენ ოპერატიულად). როგორც იქნა, მისცა ფული და ეკითხება: „Тепер этот тумбочка мой?" „Да, Ваша" — უპასუხა ქალმა. ამის თქმა იყო და შეახტა სულაქველიძე „ტუმბოჩკას", დაანგრია, დალეწა — ნაფოტები აქეთ-იქით დაფრინავდა. სიცილისგან ფეხზე ველარ ვდგებოდი — ფორთხვით გავედი დერეფანში. ქალიც კივილით გავარდა გარეთ. ყველაზე საინტერესო ის შედეგი იყო, რაც ამ ამბავს მოყვა: იმ ქალმა რაღაც აურია და როგორც ხულიგანს, მე მომიხსნეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატობა, ამის შემდეგ კიდევ ორჯერ შევასრულე ამ წოდების მისაღებად საჭირო „ნორმატივი" (მათ შორის ერთხელ, თასების თასის ნახევარფინალში მონაწილეობისათვის) და ორივეჯერ სსრკ სპორტკომიტეტმა უარი მითხრა, მიზეზი სულაქველიძის მიერ დალეწილი „ტუმბოჩკა" იყო.

ისე, გულწრფელად გეუბნებით, დიდად არც მწყდება გული იმ წოდებაზე. ჩემთვის მთავარი ჯილდო გულშემატკივრების, ჩემი ხალხის სიყვარულია, რასაც ყოველთვის ვგრძნობდი და რისთვისაც ცხოვრების ბოლომდე მადლიერი ვიქნები ყველასი."

შეუძლებელია, დაგაეჭვოს ამ სიტყვებმა. მით უმეტეს, როდესაც გაიხსენებ რევაზ ჩელებაძის მიერ უნიკალურად შესრულებული პენალტის ან მისგან მოწინააღმდეგის მცველების მორიგი გაბითურების შემდეგ სტადიონის ოთხმოცი ათასიანი აუდიტორიის ერთხმად შეძახილს:

„ჩელე! ჩელე! ჩელე!..."

***გვერდი მოამზადეს მ. კბილაძემ და ზ. გურულმა***


## სამი — ხუთის წინააღმდეგ

...მესამე ხუთწუთიანის ბოლოს საქართველოს ნაკრებს სამი კალათბურთელიღა შემორჩა მოედანზე: აბაშიძე, კაკაურიძე და ალთაბაევი...

მახსოვს კაკაურიძის განწირული სახე უკანასკნელ წამებზე, ორივე ხელით რომ ჩაებღაუჭა ბურთს და არ იცოდა, ვისთვის გადაეცა იგი...

**ექსკლუზიური სპორტული მასალები „კვირის პალიტრის" ახალ ჟურნალში — „გზა"**

**პირველი ნომერი გამოვა 30 მარტს!**

# ცოცხალი ქანდაკება

ნახევარი საუკუნე მაინც გავიდა მას შემდეგ, რაც ვოლგისპირა ქალაქ კუიბიშევში თავზარდამცემი ამბავი მოხდა. გავიდა წლები, კუიბიშევს ახლა სამარა ჰქვია, მაგრამ ხალხის მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლობს გაქვავებული გოგონას ამბავი.

თუ ნაამბობს დავუჯერებთ, 1956 წლის 14 იანვარს, ჩკალოვის ქუჩა №84-ში, ქარხნის ახალგაზრდა მუშამ ზოიამ საქმროს ჩამოსვლის აღსანიშნავად წვეულება გამართა. სტუმრებმა თავი მოიყარეს, მაგრამ საქმრო იგვიანებდა. უეცრად ზოია კედელზე ჩამოკიდებულ წმიდა ნიკოლოზის ხატთან მიიჭრა, ჩამოხსნა:

— რაკი ჩემი ნიკოლაი იგვიანებს, ამასთან ერთად ვიცეკვებ, — შესძახა და ოთახში დაბზრიალდა, — თუ ღმერთი არსებობს, მაშინ დამსაჯოს, — უთხრა შეშინებულ ამხანაგებს.

ვერც მოასწრო ორიოდ წრის შემოვლა, რომ ოთახში წარმოუდგენელი ხმაური, გრგვინვა ატყდა — ქარიშხალი ამოვარდა, ელვამ გაკვესა. სტუმრები ოთახიდან გაცვივდნენ, სადაც უკვე თვალშეუდგამი შუქი ბრდღვიალებდა... როცა ყველაფერი დამთავრდა, ოთახის შუაგულში ენაჩავარდნილი, მარმარილოსავით გაცივებული ზოია დარჩა — გაყინულ-გაქვავებული კანის მიღმა აშკარად ისმოდა, როგორ უცემდა გული. ამის შემხედვარე დედამისი ჭკუიდან შეიშალა... სასწრაფოდ გამოიძახეს ექიმები, მაგრამ ქალის გაქვავებული სხეული ვაქცინას არ იღებდა, ჩხვლეტა შეუძლებელი იყო.

„ცოცხალი ქანდაკება" უამრავმა ადამიანმა იხილა — ზოიას გათეთრებული, გაქვავებული და უტყვი სახე თავზარდამცემი იყო.

ქალაქის ხელისუფლებამ სახლს მილიციის კორდონი დაუყენა და ბინაში შესვლა აკრძალა. ამბობენ, ზოგიერთ ახალგაზრდა მილიციელს შიშისაგან თმებიც გასთეთრებია. ცოცხალ ქანდაკებას დღედაღამ დარაჯობდა მედიკოსთა ჯგუფი. ღამღამობით ქანდაკება ყვირილს იწყებდა, სახლის დაცვა შიშს არაყში ახრჩობდა. მალე კუიბიშევში ხმა გავრცელდა, 128 დღის შემდეგ ზოია გაცოცხლდა და ხალხს ლოცვისა და მოთმინებისაკენ მოუწოდაო. დაზაფრული კუიბიშეველები ტაძრებს მოედვნენ და ჯვრები შეიძინეს.

როგორც ირკვევა, ზოია შემდეგ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვედრილა, სადაც მრავალი წელი გაუტარებია. როცა გამომჯობინებულა, ნათესავებს წაუყვანიათ ქალაქ კინელში. თურმე ახლაც იქ ცხოვრობს და იმ საშინელი ამბის გახსენება არ უყვარს, არც ახლობლები უშვებენ მასთან ცნობისმოყვარეებს.

ექიმებს ზოიას ფენომენზე სხვა აზრი ჰქონდათ. ერთ-ერთის თქმით, ქალი კატალეფსიურ მდგომარეობაში ჩავარდა რაღაცის გამო. ეს „რაღაც" შეიძლებოდა ყოფილიყო უეცარი შიში (გავიხსენოთ ოთახში უეცრად ამოვარდნილი ქარიშხალი და ელვა). გამორიცხული არ არის, რომ ზოია ჯერ კიდევ ამ შემთხვევამდე იყო ავად. კატალეფსიას სწორედ ის სიმპტომები ახასიათებს, რაც ზოიას ჰქონდა.

მაგრამ რატომ იყო აკრძალული ზოიას ნახვა, რატომ იყო სახლი ალყაში მოქცეული? რატომ გაუთეთრდათ მილიციელებს თმები? ამ კითხვაზე დღემდე არ არის პასუხი.

*ნლო №1*

# ეს შეუცნობი სამყარო — ინგას ლოგინში ტანზე შემომწვარი მაისურის ფერფლი ეყარა...


რეზო ხომერიკი

ინგა ჟიჟავაძე-მენაღარიშვილს მუცლის არეში მწვავე ტკივილი დაეწყო. ჯერ იფიქრა, რაღაცამ მომწამლაო, მაგრამ დღე დღეს რომ მიჰყვა, კვირა კი — კვირას, შეშინდა, ახლობლებიც შეშფოთდნენ და ექიმს მიჰგვარეს. მან მიზეზი ვერ დაადგინა, თუმცა ავადმყოფი დააიმედა — საშიში არაფერია, ალბათ გაცივდით. ტკივილი გაივლისო.

არ გაუარა. ერთხელ ინგა დედას ესტუმრა აჭარის სოფელ კვირიკეში (მეუღლეც აჭარელია, სოფელ ალამბრიდან), ისევ ასტკივდა მუცელი. მერე შესცივდა და ლოგინში ხალათიანად ჩაწვა. შინაგან მხურვალებას გრძნობდა, გული გამალებით უცემდა, თითები კი გაყინული ჰქონდა. ამ ციებ-ცხელებაში ჩაეძინა. დილას კი მოულოდნელობამ ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა — ინგას ხალათის კიდე შემომწვარი ჰქონდა და ლოგინში ფერფლი ეყარა, ხოლო ბამბის მაისური მუცელთან დამწვარ-დამდნარიყო. ამჯერად ადგილობრივ ექიმებს აღარ ენდვნენ და თბილისს მოაშურეს. რკინიგზის საავადმყოფოში გულდასმით მოუსმინეს, გასინჯეს და დააკვალიანეს: ბიოდენები გაქვთ და რეზო ხომერიკს მიაკითხეთ, ის იკვლევს ბიოველის არსებობასო.

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ბატონმა რეზო ხომერიკმა ინგა ჟიჟავაძე-მენაღარიშვილის „ავადმყოფობას" ფენომენალური ნიჭი უწოდა.

**რეზო ხომერიკი:** დიდი ხანია ვიკვლევ ადამიანის ორგანიზმში ბიოველის არსებობას. აღმოსავლურ მედიცინაში ორგანიზმში არსებულ ენერგეტიკულ კვანძებს ჩაკრა ჰქვია. ბიოველს ანუ შინაგან დიდ ენერგიას სარგებლის მოტანა შეუძლია კაცობრიობისთვის. თავად ბიოენერგოკორექტორი, თავდაპირველად, სანამ გაიგებს, რა სჭირს, ფრთხება, რადგან თავს ცუდად გრძნობს. აუცილებელია იგი გაერკვეს თავისი ძალების უპირატესობაში, რომ შეუძლია სხვას დაეხმაროს, რომ მისთვისაც კარგია ე.წ. განმუხტვა... ასე დაემართა ინგასაც. იგი ათი დღის განმავლობაში დადიოდა ჩემთან. ვასწავლე სამკურნალო სეანსების ჩატარების ხერხები. როგორც კი სხვას სეანსი ჩაუტარა, თავი უკეთესად იგრძნო, ტკივილიც დაუცხრა და დამშვიდდა. ინგა ცივი ბიოველის პატრონია. მას შინაგანი მხურვალება აქვს, კიდურები (ხელ-ფეხი) კი — გაყინული. ამიტომაც მისი ბიოველი ბამბისა და შალის ქსოვილებს წვავს და ადნობს, სხეულს დამწვრობა არ ეტყობა.

ინგას თებერვლიდან დაეწყო ტკივილები. მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში ჰქონდა მუცელზე წითელი ზოლი, მერე კი გაუქრა. მე მას უკვე მივეცი დიპლომი, რომლის მიხედვით უფლება აქვს, პაციენტების ჯანმრთელობის რეაბილიტირების მიზნით გამოიყენოს ორგანიზმის ბიოენერგოკორექციის ხერხი. სხვათა შორის, ჩემთან ისწავლა სეანსების ჩატარება ჯუნა დავითაშვილმაც.


ინგა ჟიჟავაძე-მენაღარიშვილი

ამ სამყაროში ბევრი რამაა შეუცნობელი. ერთხელ, ჩემთან მოვიდა ზუგდიდელი მარინე ჩაგუნავა. თვალებიდან ისეთ ენერგიას ასხივებდა, რომ რასაც შეხედავდა, ყველაფერს ცეცხლი ეკიდებოდა. ოჯახის წევრებს ეშინოდათ, — სატანა ხომ არ ჩაუსახლდაო და მის „გამოსადევნად" მღვდელი მოუყვანეს. ლოცვისას მღვდელს ცხვირსახოცი ამოუღია, გოგონას ამ ცხვირსახოცისთვის შეუხედავს და ცეცხლი წაჰკიდებია. ჩაუგდიათ წყალში, ამაოდ. ქსოვილი თურმე მაინც იწვოდა. მღვდელი უკანმოუხედავად გაქცეულა — ეს ქალი კი არა, ეშმაკიაო.

მყავდა ერთი სომეხი პაციენტი, ავლაბრელი აბოვიანი. მისი სხეული მაგნიტივით იზიდავდა რკინას. შეეძლო მძიმეწონიანი გირები მიეკრა სხეულზე და თუ ძალით არ მოაშორებდი, არ ჩამოუვარდებოდა. ამ კაცზე მოსკოვში სტატია დაიბეჭდა. მერე იუგოსლავიაში მიიწვიეს და შრომებიც დაიწერა მასზე. ერთმა პაციენტმა კი ბაჯაღლო ოქროს ბეჭედი პლასტელინივით დაარბილა. საშიში აქ არაფერია. მთავარია, ამ შინაგანი ძალების სწორად წარმართვა და გამოყენება.

**ინგა ჟიჟავაძე-მენაღარიშვილი:** ადრინდელი შიში ცოტა გამინელდა. ორი შვილი მყავს, 9 წლის უჩა და 8 წლის ხატია. როცა მათი მოფერება მომინდება, გამახსენდება, რომ დიდი ბიოენერგიის პატრონი ვარ და ველარ ვეფერები, რაიმე არ ვავნო-მეთქი. თუმცა, ბატონმა რეზომ დამარწმუნა: გავა დრო და შენი ფენომენი ბევრ ადამიანს სასიკეთოდ წაადგებაო. სანამ თბილისში ჩამოვიდოდი, ერთ ღამეს ჩემს მეუღლეს კუჭი ასტკივდა (საერთოდ, ხშირად აწუხებდა კუჭის ტკივილი). მე მეძინა. მას ჩემი ხელი კუჭის მხარეს დაუდვია. დილით გაკვირვებულმა მითხრა, — ტკივილი მალე დამიცხრაო. ბედნიერი ვიქნები, თუკი ჩემი შინაგანი ენერგია სხვებს მოხმარდება და შვებას მოჰგვრის.

*მარინა ბაბუნაშვილი*

# შესასვლელი იპოვეს



ავტორიტეტულმა პერუელმა არქეოლოგებმა სენსაციური განაცხადი გააკეთეს — ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ არსებობს ზღვებსა და კონტინენტებს ქვემოთ გადაჭიმული, ჯერ კიდევ გამოუკვლეველი მიწისქვეშა იმპერია. მის შესასვლელებში განლაგებულია ძველი ინდიელების დასახლებები — კერძოდ, ქალაქი კუსკო; სხვა კონტინენტებზეც, ძველ არქიტექტურულ ნაგებობათა ქვემოთ, უძირო მიწისქვეშეთში შესასვლელებია აღმოჩენილი.

უდიდეს ინტერესს იწვევს ანდებში აღმოჩენილი მიწისქვეშა ქალაქის, ლა ჩიკანას ისტორია.

არცთუ დიდი ხნის წინ ადგილობრივი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინეს ცნობა 1952 წელს ფრანგი და ამერიკელი მკვლევარების საოცარი თავგადასავლის შესახებ. როგორც გაირკვა, ინკების ქალაქ კუსკოს მახლობლად, ნანგრევებს ქვემოთ მათ შესასვლელი აღმოუჩენიათ. მეცნიერები ექსპედიციისთვის მოემზადნენ — მიწისქვეშეთში დიდხანს დარჩენას არ აპირებდნენ, მაგრამ 5 დღის საგზალი მაინც წაიღეს. 15 დღის შემდეგ უკან მხოლოდ ფრანგი ფილიპ ლამონტიერი დაბრუნდა. მას ადამიანის სახე ჰქონდა დაკარგული, ძალაგამოცლილს მეხსიერებაც დაქვეითებული აღმოაჩნდა. ამასთან, ინფექციური სენიც დაუდგინეს.

ფრანგი გაუთავებლად ლუღლუღებდა უძირო უფსკრულზე, რომელშიც მისი თანამგზავრები ჩასულიყვნენ. მისი მონაყოლი შეშლილი კაცის ბოდვად მიიჩნიეს. სამაშველო ოპერაციის ჩატარება არავის უფიქრია. გვირაბში შესასვლელი კი რკინაბეტონის ფილით ამოქოლეს. ხელისუფალთ ეპიდემიის გავრცელებისა შეეშინდათ და არქეოლოგებს სამუდამოდ აუკრძალეს მიწისქვეშეთში შესვლა.

ფილიპ ლამონტიერმა მიწისქვეშეთიდან წმინდა ოქროსგან გაკეთებული სიმინდის ტარო გამოიტანა. ახლა ეს ნივთი კუსკოს მუზეუმში ინახება. რა დაემართათ დანარჩენ არქეოლოგებს, არავინ იცის.

მხოლოდ ახლახან, ინკების ცივილიზაციის მკვლევარმა დოქტორმა რაულ რიოს სენტენომ გადაწყვიტა, გაემეორებინა დაკარგული ექსპედიციის მარშრუტი. ჯგუფში 6 სპეციალისტი შედიოდა. მათ დაცვა მოისყიდეს და ერთ-ერთი ტაძრის ქვემოთ, მიწისქვეშეთში მდებარე შენობაში შეაღწიეს. შემდეგ დიდ დერეფანს გაუყვნენ, რომელიც ვენტილაციის გიგანტურ სისტემას ჰგავდა. ექსპედიცია მოულოდნელად შეწყდა მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ გვირაბის თითქოსდა ქვის კედლები უცნობი მიზეზით ინფრაწითელ სხივებს არ აირეკლავდა, ეს კი თითქმის სენსაციური აღმოჩენა იყო. მკვლევარებმა შეძლეს სპეციალური რადიოფილტრის ამუშავება, რომელიც მხოლოდ ალუმინის სიხშირეზე ამოქმედდა. მაგრამ როგორ მოხვდა ალუმინი ისტორიამდელ ლაბირინთში? როგორც გაირკვა, კედლებზე გადაკრული იყო უცნობი წარმოშობის ზემკვრივი მეტალი. მას ვერც ერთმა ინსტრუმენტმა ვერაფერი დააკლო. გვირაბი თანდათან დავიწროვდა, მისი სიმაღლე დაახლოებით 90 სმ იყო და მეცნიერები უკან დაბრუნდნენ. რაულ სენტენო მიიჩნევს, რომ ისინი ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს საიდუმლოს მიუახლოვდნენ, მაგრამ შემდგომ კვლევაზე მათ უარი ეთქვათ. მასალები, რომლებიც მიწისქვეშა ქალაქს ეხებოდა, გაასაიდუმლოეს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ და მეცნიერებს მისტიკური შიში აქვთ იმის მიმართ, რაც მიწის წიაღში იმალება. უცხოპლანეტელთა დედამიწაზე ჩამოსვლის თეორიის მომხრენი კი ირწმუნებიან, უცხოპლანეტელებმა მიწისქვეშა იმპერია შექმნეს, სადაც შესაძლებელია ადამიანური ცივილიზაციის საიდუმლოც იმალებოდესო. ყველაზე თამამი ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ მიწის წიაღში დღემდე მუშაობს უცხოპლანეტური რეაქტორი.

*პოსლედნიე ნოვოსტი №11*

# ტესტი: რამდენად ემოციური ადამიანი ხართ?

**ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაში დაგეხმარებათ ტესტი**

**1. უცხო პირთა თანდასწრებით ტირილი გრცხვენიათ?**
**2. ფიქრობთ, რომ ცრემლი სისუსტის ნიშანია?**
**3. თქვენი აზრით, მამაკაცებმა და ბიჭებმა უნდა დამალონ ცრემლი?**
**4. განიცდით უხერხულობას, როდესაც ფილმის ყურების ან წიგნის კითხვის დროს ტირით?**
**5. დაკრძალვის დროს ცდილობთ ტირილის შეკავებას?**
**6. ფიქრობთ, რომ ცრემლები ემოციათა უსარგებლო გამოხატვაა?**
**7. სხვებს აძლევთ თქვენი დამშვიდების უფლებას?**
**8. განიცდით უხერხულობას, როდესაც ხედავთ, რომ ასაკოვანი მამაკაცი ტირის?**
**9. ცდილობთ, გაბრაზების გამომჟღავნებისაგან თავის შეკავებას?**
**10. ცდილობთ, დამალოთ იმედგაცრუების გრძნობა?**
**11. ხდება ხოლმე, რომ ძალა არ შეგწევთ აკონტროლოთ საკუთარი თავი?**
**12. საკუთარი ხასიათის გამო გქონიათ პრობლემები?**
**13. როგორ ფიქრობთ, უფრო დადებითი პიროვნება იქნებოდით, თუკი თავს შეიკავებდით ზედმეტი აგრესიულობისგან?**
**14. ფიქრობთ ხოლმე თქვენი გაბრაზების შესაძლო მიზეზებზე?**
**15. ადვილად ღიზიანდებით?**
**16. ცდილობთ, მიუალერსოთ საყვარელ ადამიანს დღეში ერთხელ მაინც?**
**17. მოგწონთ სიყვარულის ფიზიკური გამოხატვა?**
**18. გიჩნდებათ თბილი, მზრუნველი დამოკიდებულება ჩვილი ბავშვის დანახვისას?**
**19. მოგწონთ მასაჟი?**
**20. გყოლიათ შინაური ცხოველი, რომელიც მთელი გულით გიყვარდათ?**
**21. მოგწონთ, როდესაც ჩაგეხუტებიან და გკოცნიან?**
**22. ხმამაღლა იცინით კომედიების ყურებისას?**
**23. მუსიკის ტაქტს აყოლილი იატაკზე ფეხს აბაკუნებთ ან ხელებს ამოძრავებთ?**
**24. ტაშს უკრავთ კონცერტის ან სპორტული შეჯიბრის დროს?**
**25. ხმამაღლა გამოთქვამთ თქვენს დამოკიდებულებას ფილმის ან სპორტული შეჯიბრების გმირების მიმართ?**
**26. შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ, როდის გაიცინეთ ბოლოს?**



კითხვებში: 1-დან 6-ის ჩათვლით, 8-დან 10-ის ჩათვლით და 14-ში იღებთ 1 ქულას უარყოფითი პასუხებისთვის, ხოლო დადებითი პასუხის შემთხვევაში — 0 ქულას.

კითხვებში: 7, 11-13 და 15-26 იღებთ — 1 ქულას დადებითი პასუხებისთვის, ხოლო უარყოფითი პასუხისათვის — 0 ქულას.

**დათვალეთ ქულები:**

**13-26 ქულა:** ემოციებისადმი ჯანმრთელი დამოკიდებულება გაქვთ. არ გრცხვენიათ საკუთარი გრძნობების ხანდახან სხვათა თანდასწრებით გამომჟღავნებისა.

**4-12 ქულა:** იცით, როგორ უნდა გამოხატოთ ემოციები. რატომ ფიქრობთ, რომ უმჯობესია მათი დამალვა? იტირეთ, როდესაც ნაწყენი ხართ და გაიღიმეთ, როდესაც თავს ბედნიერად გრძნობთ — ეს მხოლოდ გაგიუმჯობესებთ ჯანმრთელობას.

**3 ქულა და ნაკლები:** ზედმეტად თავშეკავებული ადამიანი ხართ. სულაც არ არის ცუდი, თუკი ადამიანები გაიგებენ, რას განიცდით. რაც უფრო მეტად ეცდებით ბუნებრივი ლტოლვის დათრგუნვას, მით მეტი იქნება ალბათობა, რომ იგი ზიანს მიაყენებს თქვენს ჯანმრთელობას.


ფირმა «გარანტი»

აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი.



ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.
სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.
მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის" შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები
☎ 34-05-52; 63-05-26; 877-43-85-69

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.

ლითონის საამქრო
ფარდა-ჟალუზი; ლითონის კარი; „გარმოშკა"; ჟალუზი; ფანჯრის უძრავი გისოსი; ავტოფარეხი; დაგიმონტაჟებთ აივანს.
ხის საამქრო
კარ-ფანჯარა, ავეჯი, ანტიკვარული გრეხილი კიბე, ლავგანდარი (კარნიზი)
მის: მუხიანი, მე-4ა მ/რ მე-4 კორპ.
☎ 63-67-52; 63-53-05; 877-41-87-75

# ალტერნატიული კალენდარი — 2000



ძნელად თუ ვინმეს მოუპოვებია პოპულარობა ისე, როგორც ეს ინგლისის ქალაქ რაილსთოუნის ქალის ინსტიტუტის თანამშრომლებმა მოიპოვეს. ცოტა ხნის წინ ამ ქალბატონებმა, რომლებიც თავიანთ ინსტიტუტში ქალებს კულინარიას, მურაბების ხარშვასა და თაიგულების შეკვრას ასწავლიან, ალტერნატიული კალენდრის შექმნა გადაწყვიტეს. ალტერნატიული იმ აზრით, რომ სხვა კალენდართაგან განსხვავებით, სადაც მსოფლიოს ყველა კუთხის ახალგაზრდა შიშველი მოდელები პოზიორობენ, ამ კალენდარში სახელგანთქმული ფოტოგრაფის ტერი ლოგანის მიერ გადაღებულ შავ-თეთრ ფოტოებზე 40-დან 65 წლამდე შიშველი ქალები თავის ჩვეულ საქმეს აკეთებენ: მურაბას ხარშავენ, კერავენ და ა.შ. კალენდრის შექმნის აზრი შარშან დაებადათ, როცა ერთ-ერთ მათგანს ქმარი გარდაეცვალა ლეიკემიით. მასთან საავადმყოფოში ვიზიტებისას ქალები მომაკვდავს გასართობად ნაირ-ნაირ სახალისო ამბებს უამბობდნენ, ხუმრობდნენ — შიშვლად ფოტოგრაფირებას ვაპირებთო. ხუმრობა ხუმრობად და იდეას ფრთა შეესხა. მაგრამ ის კი არც ერთს არ უფიქრია, რომ ამ ბეჭდური პროდუქციის გამოშვება ასეთ შესანიშნავ ნაყოფს გამოიღებდა. ქალებით ჰოლივუდი დაინტერესდა. საქმე ის არის, რომ ხანში შესული ქალბატონები ფოტოებზე შესანიშნავად გამოიყურებიან, განსხვავებით ჰოლივუდელი ვარსკვლავებისა, რომელთაც 40 წლის ასაკისთვის უამრავი პლასტიკური ოპერაცია აქვთ გაკეთებული. ჰოლივუდის შოუბიზნესმენებს სურთ, კინოფირზე მაყურებელმა ბუნებრივი სილამაზე იხილოს, რაც ქალის ინსტიტუტის მასწავლებლებს არ აკლიათ. ახალი ფილმის პროექტი, ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია, თუმცა ცნობილი შეიქნა, რომ ფილმში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა თვით ჯულია რობერტსმა.

პარალელურად, ლეიკემიასთან ბრძოლის ფონდმა დიდი თანხა მიიღო, რაც რამდენიმე წლით ამ დაავადებით სნეულების უფასოდ მკურნალობას უზრუნველყოფს.

**ვოტ ტაკ №10**

# „საწყალ“ პრინცს მუშაობა მოუწევს



ინგლისის დედოფალი ელისაბედ ამ ბოლო დროს საკმაოდ მკაცრად იცავს შრომის ანაზღაურების პრინციპს.

სამეფო ოჯახის ყველა წევრი არა მხოლოდ ლამაზი თვალებისთვის იღებს ფულს ოჯახის თავის, დედოფლისგან (პრინც ედვარდის ყოველწლიური თანხა ბოლო ხანებამდე 141 ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენდა). ელისაბედის ნათესავებმა მიღებული თანხა სადედოფლო დავალებათა შესრულებით უნდა გამოიმუშაონ. მეტწილად ეს დავალება გულისხმობს მონაწილეობას მიღებებსა და საქველმოქმედო ღონისძიებებში. კარგა ხანია, რაც ედვარდი თავს არიდებს მოვალეობის შესრულებას. შარშან მან მხოლოდ 107 დავალება შეასრულა, როცა პრინცესა ანამ — 683, პრინცმა ჩარლზმა — 557, დედოფლის 78 წლის მეუღლემ და ედვარდის მამამ, პრინცმა ფილიპმა — 541.

დიდ იმედებს ამყარებდა ელისაბედი უმცროსი ვაჟისა და სოფი რის-ჯოუნსის ქორწინებაზე, რომელიც შარშან ზაფხულს შედგა. ამის შემდეგ მან 50 ათასი გირვანქით გაზარდა პრინცის თანხა. მაგრამ, ჯერჯერობით, ედვარდი დედის იმედებს ვერ ამართლებს. ადრეც მცონარად მიჩნეული 35 წლის პრინცი ახლა ოჯახის სასიკეთოდ მხოლოდ „მათრახით“ თუ გაირჯება.

ინგლისელებს ედვარდი ჩარლზზე მეტად არ მოსდით თვალში. ამის დადასტურებად იქცა ის უკმაყოფილებაც, რაც მას შემდეგ გამოვლინდა ინგლისში, როცა გამოცხადდა, რომ უელსის გრაფი დედასთან ერთად მიიღებს ტრადიციულ სამხედრო აღლუმს, რომელიც 7 და 8 ივნისს ჩატარდება ლონდონში. საქმე ის გახლავთ, რომ ედვარდი სამეფო ოჯახის იმ მცირერიცხოვან ნაწილს განეკუთვნება, ვისაც უფლება არა აქვს, ატაროს სამხედრო ფორმა — მას სამოქალაქო სამოსი ეცმევა. 1987 წელს ედვარდი სამეფო საზღვაო ფლოტში ჩაირიცხა, მაგრამ სამსახურის სიმძიმე ვერ აიტანა და სამსახურიდან გაიქცა.

ელისაბედის მოთმინების ფიალის ბოლო წვეთად იქცა ედვარდის თხოვნა, — საცხოვრებელი სახლის რემონტისთვის ფული მომეციო. ასე რომ, „საწყალ“ პრინცს თავად მოუწევს ფუფუნებაში საცხოვრებელი ფულის გამომუშავება.

**სანი №11**

# მომღერალს აჩუქეს კუნძული



ისლანდიის მთავრობამ მომღერალ ბიორკს შეიძლება ითქვას, ხმელეთის ნაგლეჯი აჩუქა — მისი სიგრძე 1 მილია. კუნძულს, რომელსაც ელიდია ჰქვია, ისლანდიისგან 4 მილი აშორებს. კაცმა რომ თქვას, ბიორკმა თავად უბიძგა მთავრობას მისთვის კუნძულის საჩუქებლად. გოგონას დიდი ხანია სურდა მიწის შეძენა და თხოვნა მთავრობას გაუგზავნა. ბიორკი ჩვენი სიამაყეა, ასახელა ისლანდია, ამიტომაც ვაჩუქეთ კუნძულიო, — ამბობს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი დევიდ ოდსონი. ბიორკი ცხრა წლისა იყო, როცა მსოფლიოს მუსიკალურმა სამყარომ გაიცნო, პოპულარობა კი პირველმა მუსიკალურმა ალბომმა „დებიუტმა“ მოუტანა. 1993 წელს, გამოსვლისთანავე ალბომი აშშ-ში „ოქროსი“ გახდა, დიდ ბრიტანეთში კი „პლატინის“. მომღერლის გაბედული ექსპერიმენტები და ექსტრავაგანტური სტილი სხვადასხვა პრემიითაა აღნიშნული. ბიორკი გამოსაცემად ამზადებს 17 კომპაქტ-დისკს. შემოდგომაზე კი გაიმართება ლარს ფონ ტრიერის ფილმის პრემიერა, რომელშიც მონაწილეობენ ბიორკი და კატრინ დენევი.

**კომერსანტი №8**

# ჰალეის ვარსკვლავი



ვუნდერკინდ ჰალი ჟიულ ოსმენტზე მთელი მსოფლიო ალაპარაკდა, როდესაც მან მთავარი როლი ითამაშა ფილმში „მეექვსე გრძნობა“. ნორჩმა მსახიობმა დიდი ძალა და ენერგია დახარჯა, რათა ეკრანზე გაეცოცხლებინა ჭკვიანი, ეშმაკი ბიჭუნა.

ფილმმა წარმატებით ჩაიარა. მისი გადაღება დაახლოებით 280 მლნ დოლარი დაჯდა. ნორჩმა მსახიობმა ოსკარი მიიღო. წელს განზრახულია სამი ფილმის გადაღება ოსმენტის მონაწილეობით.

როგორც მსახიობის მამამ განაცხადა, ჰალი სრულიად ნორმალური ბავშვია, უვლის ცხოველებს, დიდი სიამოვნებით თამაშობს კალათბურთს და უყვარს წიგნების კითხვა.

**ფოკუსი №8**

# ლინდა გალამაზდა



ლინდა ტრიპის გარეშე ბილ კლინტონის ირგვლივ სკანდალი არ ატყდებოდა — ლინდამ თავისი ყოფილი მეგობრის, მონიკა ლევინსკისა და ამერიკის პრეზიდენტის საუბრების მაგნიტოფირზე ჩანაწერები ქვეყანას მოსდო, რის გამოც ამერიკელებმა შეიძულეს იგი. 50 წლის ლინდა ცოტა არ იყოს, სასაცილო გარეგნობისა იყო. მან ახლახან ბევერლი-ჰილზში ექიმ ჟოფრეი კეიეს 30.000 დოლარი გადაუხადა პლასტიკურ ოპერაციაში და... შესამჩნევად გალამაზდა. თანაც ფიქრობს, ამ სახით ნაკლებად მიცნობენ ჩემზე შემომწყრალი თანამემამულენიო.

**ფოკუსი №11**

# გაბრიელ გარსია მარკესი გამოჯანმრთელდა

„მარტოობის ასი წლის“ სახელგანთქმულმა ავტორმა გაბრიელ გარსია მარკესმა დაბადების 73 წელთან დაკავშირებით ძვირფასი საჩუქარი მიიღო — მას შეატყობინეს, რომ განიკურნა ლიმფურ სისხლძარღვთა კიბოსგან. 90-იანი წლებიდან მწერალს თან სდევს კიბო. 1990 წელს ფილტვის კიბოს ოპერაცია გაუკეთეს, შარშან კი თავი ცუდად იგრძნო და იძულებული გახდა, რომანებსა და მოგონებათა წიგნზე მუშაობა შეეწყვიტა. მას ლიმფომა აღმოუჩინეს. მდგომარეობა იმდენად სერიოზული იყო, რომ ზოგიერთმა გაზეთმა მარკესის გარდაცვალების შესახებ დაბეჭდა ინფორმაცია. მოგვიანებით მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა და შემოდგომაზე, ონკოლოგიური საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ, მექსიკაში გადავიდა საცხოვრებლად, რადგან ადგილობრივი „ემოციური კლიმატი“ მას რეაბილიტაციაში ეხმარება. მექსიკამ მართლა უშველა. როგორც განაცხადა მარკესის გამომცემელმა და მისმა მეგობარმა ს. ალატრისტმა, მწერალი უკვე მუშაობს მოგონებათა წიგნზე. ჩვენს ერამდე პირველ საუკუნეში სატირიკოსი იუვენალი მწერლობას განუკურნებელ ავადმყოფობას უწოდებდა. ეტყობა, მარკესი იმდენად სერიოზულად არის მწერლობით დაავადებული, რომ სხვა სნეულება ვერ ერევა.

ორიოდე კვირის წინ მარკესი კუბაზე ეწვია ფიდელ კასტროს.

**ობშჩაია გაზეტა №10**

# აქლემებმა დოლი ჩაშალეს



ინგლისში ძალიან პოპულარულია დოლი. ბრიტანელები მზად არიან, ყოველ უქმე დღეს იპოდრომზე გაქანდნენ და უკანასკნელი გროში საყვარელ ფაშატზე დადონ. ჩვეულებრივ, ამ დროს ყველა კმაყოფილია, ვიღაც — მოგებულია, წაგებული კი მომავალი დოლის იმედით ცოცხლობს, მაგრამ იპოდრომზე ხშირია კაზუსებიც.

როცა ლონდონის სადოლე არენა „ოლიმპიაზე“ ჩემპიონატის დროს ორი აქლემი გამოვარდა, შეშინებული ცხენები აქეთ-იქით დაიფანტნენ. სანახაობა რომ არ შეწყვეტილიყო, ორმა ჟოკეიმ სცადა, აელაგმა ხულიგნები და არენიდან გაეყვანა. მაგრამ ბუნებით ჯიუტმა, ამაყმა და უზრდელმა ცხოველებმა ეს პირად შეურაცხყოფად მიიჩნიეს და იპოდრომზე ფურთხებას და ჯირითს მოჰყვნენ. საბრალო ცხენები კი არა, ღონისძიების ორგანიზატორებიც გვარიანად დაფეთდნენ, თან გუნებაში ჩაშლილი შოუსგან მიყენებულ ზარალს ანგარიშობდნენ.

**ნოვოსტი მირა №10**

# ანზორი — პაველ ბურეს მეგობარი



სრულიად რუსეთის სახალხო პარტიის ლიდერი ანზორ აქსენტიევ-კიკალიშვილი მაიამის ვარსკვლავის, პაველ ბურეს მეგობარია. თავად ანზორი (რომელმაც მას შემდეგ, რაც პოლიტიკოსობას მიჰყო ხელი, ქართული გვარი კიკალიშვილი რუსულ აქსენტიევად გადაიკეთა) ბურეს „სულიერ მამად“ მიიჩნევს თავს. ამერიკაში ანზორ კიკალიშვილ-აქსენტიევს (თუ პირიქით) რუსული მაფიის ნათლიად მიიჩნევენ. გფბ-ს მონაცემებით, იგი გარეულია გამოძალვასა და რეკეტში როგორც აშშ-ში, ისე რუსეთში. მისი მრავალსახოვანი „ასოციაცია XX საუკუნე“ ყველანაირ საქმიანობას ეწევა — ღვინის წარმოებით დაწყებული, სორტსმენების მეურვეობით დამთავრებული. თავად ბურე ამტკიცებს, რომ „XX საუკუნესთან“ არავითარი საერთო არა აქვს, თუმცა მთელი მოსკოვი მოფენილია პლაკატებით, რომელზეც ის და ანზორი ერთად არიან გამოსახულნი. ისიც უნდა ითქვას, რომ ანზორის მეგობრობას ბურე არ უარყოფს და ამბობს, რომ 14 წლიდან ერთად მოდიან.

თავად ანზორზე სისხლის სამართლის საქმე არასოდეს აღძრულა და იგი დაბეჯითებით უარყოფს აშშ-ისა თუ რუსეთის სამართალდამცავების ყველა ბრალდებას.

უამრავი მასალა და დოკუმენტი გააჩნია, რომელიც მის უდანაშაულობას ამტკიცებს. როგორც ანზორი ამბობს, დაიღალა „სიმართლის ძებნით ამერიკაში“. სამაგიეროდ, ანზორის სიყვარული სპორტისა და სპორტსმენების მიმართ გულწრფელია, თუმცა არც მთლად უანგარო...

P.S. ამბობენ, თუ ბურე-კურნიკოვას სიყვარული შიფერი-კოპერფილდის მიჯნურობას არ ჰგავს და ნამდვილია, მაშინ ანზორი მეგობარს თბილისში დასწერს ჯვარსო.

**მკ ბულვარი №7**



**თარაზულად:** 7. ვარსკვლავი, ჰიტლერი; 8. ქადა, აჩმა; 10. ელექტრონი, კათოდი; 11. აზრი, მსოფლმხედველობა; 12. ნინო ანანიაშვილი, ოპერა; 15. ტყემალი, ალიბუხარი; 18. კორსიკა, იაპონია; 19. ბადე, მგელი; 20. აზნაური, პლატონი; 21. შექსპირი, გერმანია; 23. გემო, სუნამო; 26. კოშკი, ბაბილონი; 27. ისტორია, თავგადასავალი; 31. კლარნეტი, კლინტონი; 33. რესტორანი, სამზარეულო; 34. ფეხბურთი, დრო; 35. ფონეტიკა, წინადადება; 36. პრევმონია, პლევრა.

**შვეულად:** 1. ხარება, ბიბლია; 2. ძროხა, ქალი; 3. პარკი, ბაღი; 4. ბეღელი, ღვინო; 5. წყალმცენარე, სოკო; 6. ოჯახი, წესი; 9. არიზონა, ბერინგის ზღვა; 13. ქვა, ქუჩა; 14. ხარისხი, რიცხვი; 16. კატლეტი, პიურე; 17. არაბეთი, პირამიდა; 22. დანია, ოსლო; 24. ლეონარდო და ვინჩი, ჩიკონე; 25. პისტოლეტი, ტყვიამფრქვევი; 28. აია, ფოთი; 29. კონგო, ზაირი; 30. ფანდი, ფეხბურთი; 32. მონასტერი, მამაო.

**წინა ასოციაციის პასუხები:**

**თარაზულად:** 7. პარტიზანი; 8. სპექტაკლი; 10. ამარეტო; 11. კურკა; 12. პიტნა; 17. ბოსელი; 18. კაიზერი; 19. პრერია; 20. ატამანი; 21. არტერია; 25. ალიონი; 26. არარატი; 27. პლომბი; 30. რიქშა; 33. სიმბა; 34. მარტენი; 35. ბუკინისტი; 36. ბელვედერი.

**შვეულად:** 1. პანამა; 2. ასპიტი; 3. პარაკლისი; 4. ბილიკი; 5. სტატია; 6. ალებასტრი; 9. ტრაპეზი; 13. პლატონი; 14. ლაინერი; 15. ართრიტი; 16. არტიკლი; 22. ნიკარაგუა; 23. ერუდიტი; 24. ამბრაზურა; 28. იშხანი; 29. ლივრეა; 31. პარტია; 32. ენძელა.

ჩვენი ისტორიის ფურცლებზე აღბეჭდილ ტოპონიმთა შორის ყველაზე მკაფიოდ გამოირჩევიან ისინი, დიდი გამარჯვებისა თუ მწარე დამარცხების ნიშანსვეტებად რომ აღმართულან ცნობიერებაში: დიდგორი, ბასიანი, გარნისი, მარტყოფი, მარაბდა, კრწანისი... მაგრამ მარტოოდენ მოგებული ან წაგებული ომი როდი ანიჭებს უკვდავებას რომელიმე სოფელსა და ალაგს. საქართველოს მდიდარი წარსული ერთფეროვანი ტილო არ გახლავთ და მოზაიკას უფრო წააგავს, სადაც გმირობისა და რაინდობის მომხიბლავ ფონზე აქა-იქ გამოკრთება ხოლმე შავი კენჭები შურისა და ღალატისა, მუხანათობისა და დაუნდობლობისა.

ახსენებ საფურცლეს, დღეს რომ ნატახტარი ჰქვია, და მყისვე მოგაგონდება, რომ სწორედ საფურცლეში გათამაშდა ის სისხლიანი ეპიზოდი, რომელიც იმდროინდელი „სისხლის წვიმების“ სცენაზეც კი შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი მოულოდნელობითა და მზაკვრული ჩანაფიქრით.

## რიდი უფლისა

1630 წლის შემოდგომაზე საფურცლეში მოკლეს ზურაბ არაგვის ერისთავი.

მარტყოფისა და მარაბდის სასტიკ ბრძოლებში სიკვდილს გადარჩენილმა, ხუთი წლის შემდეგ, ჟამსა მშვიდობისასა ჰპოვა თავისი აღსასრული მყუდრო საფურცლეში, სადაც არც ბუკ-ნაღარის ხმა ისმოდა და არც ყიზილბაშთა ყიჟინა. განგებამ გადმთიელ მტერს არ მოაკვლევინა და მოყვასთა ხელთაგან სიკვდილი მიუსაჯა.

ჩანს, საფურცლე იყო მისი ბედისწერა...

ვინ იცის, ეგებ შემთხვევითი არ გამოდგა არჩევანი იმ ადგილისა, სადაც თავისი ბობოქარი სული უნდა დაელია ზურაბ ერისთავს. ვინ უწყის, ვინ გვეტყვის, თუ როგორ წყდება ხოლმე ბედი კაცისა ზეცაში, ღვთის სამსჯავროზე.



შატილი

სიკვდილამდე ორიოდე წლით ადრე, მიწა-წყლითა და ყმათა მომრავლებით გატაცებული, თავისი აღზევებით გათამამებული ზურაბ ერისთავი ეკლესიის მამულებსაც წაეპოტინა.

მცხეთის ერთი სიგელი გვამცნობს, რომ ზურაბს მისივე სიმამრი — თეიმურაზ I მკაცრად აფრთხილებდა: „ერისთავს სიძეს ბატონს ზურაბს მრავალი მოკითხვა მოახსენეთ... საფურცლე და მისაქციელი სვეტიცხოვლისა არის, მაგაზე ხელს ნუ დაიდებთ, კათალიკოზს მიაბარეთ, სვეტიცხოვლის მამულთან არას-კაცს ხელი არა აქვს“.

ზურაბ ერისთავი გონს მოეგო, დაშოშმინდა. მეფესა თუ დიდებულებს არასოდეს ეპუებოდა, მაგრამ უფლის რიდმა სძლია, უშიშარი გმირი შეაკრთო და დაუყოვნებლივ მოარჯულა.

აგერ, მეორე სიგელში ვკითხულობთ: „ჩვენ ერისთავმან ბატონმან ზურაბ შემოგწირეთ მცხეთას და კათალიკოზს ზაქარიას საფურცლე... საფურცლე ძველთაგანვე თქვენი ყოფილა და მუხრანის ბატონს თეიმურაზს და ქაიხოსროს წაერთმევინათ და ჩვენ ხრმლით ვიშოვეთ და ისრეთვე თქვენ შემოგწირეთ“.

ხმლით იშოვა მამული და უსიტყვოდ დაათმობინეს. მაგრამ განგებამ აღარაფრად ჩააგდო მისი ქედმოხრა და მაინც გაუსწორა ანგარიში სწორედ იმავე საფურცლეში.

„საფურცლეს მოკლეს ზურაბი“, — გულისტკივილით კითხულობ ხალხური ლექსის უკვდავ სტრიქონს და თითქმის ოთხი საუკუნის შემდეგ ისე განიცდი მის ტრაგიკულ აღსასრულს, როგორც ახლობლის სიკვდილს. თითქოს იცნობდი, თითქოს მისი სიტყვაც გსმენია. თვალწინ წარმოგიდგება ახოვანი და გოროზი, სხვათაგან გამორჩეული და განუმეორებელი, ამაღლებული უფერულობასა და ვნების სიმწირეზე, ყოველდღიურობის მარტივ ზნე-ჩვეულებებზე. ადამიანს, რომელიც ზემოდან დაჰყურებს საყოველთაოდ აღიარებულ ადათ-წესებსა და ზნეობას, თვისდა და სხვათა სავალალოდ, ძალმომრეობა გადაუქცევია ცხოვრების ნორმად და სავსებით ლოგიკურია, რომ საქმეთა ბოროტთა მოქმედი თვითონაც გარდუვალად ხდება მსხვერპლი ძალმომრეობისა.

მაგრამ რას იზამ, არცთუ იშვიათად, ფერმკრთალ სიკეთეზე მეტად გულისყურს იპყრობს ხოლმე თვალისმომჭრელი ავკაცობა — გაუგებარი, ამოუხსნელი, დამაფიქრებელი, შემაშფოთებელი და დაუსრულებელი, ადამის მოდგმას რომ მოჰყვება დასაბამიდან დღემდე. და იდუმალება უფრო გვიტაცებს, ვიდრე ბანალური აქსიომები.

## ვიდრე ცოცხალ ვარ...

იტალიელი მისიონერი ჯაკომო დი სტეფანო 1630 წლის 18 ნოემბრით დათარიღებულ თავის წერილში დროებით რომს გამგზავრებულ პიეტრო ავიტაბილეს, საქართველოში დამკვიდრებულ თეატინელთა მისიონის წინამძღვარს, აუწყებს ზურაბ ერისთავის მიერ სვიმონ-ხანის მკვლელობას, თეიმურაზ მეფესთან შერიგებას და განაგრძობს: ზურაბ ერისთავს თეიმურაზი და მისი ამალა სტუმრად მიუწვევია თავის მამულში. ქართლ-კახეთის მეფეს სამი დღე გაუტარებია იქ და დაბრუნებულა თავის სამფლობელო სოფელში, რომელსაც სოფრასელი (საფურცლე) ჰქვიაო. მას ხელახლა წარმოქმნილი ეჭვისა თუ წარსული ამბოხების გამო დაუბარებია ზურაბი ვითომდა მნიშვნელოვან საქმეებზე მოსათათბირებლად. არაგვის ერისთავი მაშინვე ჩასულა საფურცლეში. როგორც კი შეაბიჯა დივანში (ქართველთა პარლამენტს ასე უწოდებენო), კარი უმალვე მიუკეტეს. იმ ბატონმა, რომელსაც თეიმურაზი ეძახდა ყორჩიბაშს, მყისვე ხანჯალი ჩასცა ზურაბს და შესძახა: ადრე სიცრუე იყო, თითქოსდა თეიმურაზს შენი მოკვლა სურდა, ახლა კი სიმართლე არისო. ზურაბმა ხმალზე იტაცა ხელი, მაგრამ სახლთუხუცესმა მკლავში დაჭრა და ხმალი ხელიდან გააგდებინა. ბოლო, სასიკვდილო ჭრილობა სუფრაჯიმ მიაყენა.

ზურაბის მკვლელობის შემდეგ თეიმურაზი სასწრაფოდ გაემართა მისი ცოლის ანუ თავისი ასულის შინ წამოსაყვანად. ზურაბის ძმებმა ციხესიმაგრეს შეაფარეს თავი და თეიმურაზთან მორიგებას შეუდგნენ.

სხვა წყაროები რაღას ამბობენ?

# რომელმან აღიღოს მახვილი

ვახუშტი ბატონიშვილი სიტყვაძუნწობს: ზურაბ ერისთავი საფურცლეში ღალატით მოკლესო. ეს არის და ეს.

ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, ზურაბის აღზევებითა და ქედმაღლობით გალიზიანებული დიდებულნი ქართლ-კახეთისა თეიმურაზს არწმუნებდნენ: „მეფის სვიმონის ბიძა ყაენის ყულარაღასიაო და სისხლს არ შეგვარჩენსო. მაშ ასე სჯობსო, ზურაბ მოვკლათო და თავი ყაენს გაუგზავნოთო და მეფის სვიმონის სიკვდილი იმას დავაბრალოთო და ქართლის მეფის სისხლი და ერანის ხელმწიფის რისხვა ამით ავიცდინოთო“.

სპარსელი ისტორიკოსის ცნობით, როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა თეიმურაზს — გამოეჩინა ერთგულება შაჰისა, „ზურაბის მოსაკლავად აჩქარდა და ორგულობის საზღაური მიაგო“. ქართლ-კახეთის მეფემ შაჰს მოახსენა, რომ ზურაბმა სვიმონ-ხანს უღალატა და მოკლა, მერე მასთან მივიდა, რათა ქართლში მბრძანებლობით მოეხიბლა. მაგრამ თეიმურაზი არ ენდო ზურაბს. ახლა უმტკიცებდა შაჰ-სეფის: ზურაბ ერისთავი სვიმონ-ხანის მკვლელობის გამო დავსაჯეო.

პიეტრო ავიტაბილეს წერილში პიეტრო დელა ვალესადმი (ალეპოდან რომს, 1632 წლის 24 თებერვალი) ვკითხულობთ, რომ იტალიელ მისიონერს უცხოეთში მყოფ ქართველ ვაჭართაგან მოუსმენია: თეიმურაზმა ზურაბი შაჰის საამებლად მოკლაო.

თუკი ვენდობით არჩილ მეფის პოემას, თეიმურაზისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია ამ ტრაგიკულ ეპიზოდს. ვიდრე ცოცხალ ვარ, ვინანიებო, ცრემლი მუდმივად მდისო. რად მოვკალი შვილსა და ძმაზე უმჯობესი სიძე, ნამსახური კაცი, მოდგმით სიკეთე რომ დაჰყვებოდაო, — ამგვარად მოთქვამს ქრისტიანული სულისკვეთებით გამსჭვალული მეფე.

ჩადენილი ბოროტმოქმედება თავზარს სცემს:

„ღვთისა მეშინის, კაცთაგან მრცხვენის ამისსა მყოფელსა; გული გაშმაგდეს და ხელნი შემხმეს მის ლახვრის მყოფელსა! სახელმწიფონი ოხრად მიჩნს, რას ვაქნევ მე საყოფელსა! იმ სოფელს ნუმც მეკითხება, გარდამხდეს ამავ სოფელსა!“

მაგრამ ორ ისტორიკოსს, ქართველსა და იტალიელს, ერთსულოვნად გამოუტანიათ განაჩენი არა თეიმურაზისათვის არამედ — ზურაბ ერისთავისთვის.

ბერი ეგნატაშვილი: „და აღსრულდა ბრძანება უფლისა მის ზედა, ვითარმედ: რომელმან აღიღოს მახვილი, მახვილითაცა წარწყმდეს“.

ბართოლომეო ფერრო: „ასე დაიღუპა ის, ვინც აუჯანყდა თავის პატრონს და უღალატა მეგობარს. ღვთისმკრეხელი არ იყო ღირსი სიცოცხლისა და თუმცა უფალი ზოგჯერ აგვიანებს სასჯელს, გაუქმება არა სჩვევია“.

ზემოთ დამოწმებული ინფორმაცია ქართული თუ უცხოური საისტორიო წყაროებიდან ზურაბ ერისთავის ცხოვრების უკანასკნელი მონაკვეთის შესახებ, შეიძლება ითქვას, სავსებით დამაკმაყოფილებელია. და მაინც, თითქოს გულის ფეთქვა აკლია მოთხრობილს, ფაქტებს დაუჩრდილავს ადამიანთა სულიერი განცდები. წყაროებში ამოკითხული დიახაც გააღრმავებს ჩვენს ცოდნას წარსულზე, მაგრამ გაუჭირდება შეათრთოლოს ტრაგედიის მთავარი გმირისადმი თანაგრძნობის სიმი და სიმძიმილი აღუძრას მკითხველს. და ჩვენდა საბედნიეროდ, ასპარეზზე გამოდის ლექსი...

## ვინ მოგკლა, შვილო ზურაბო

ზურაბ ერისთავს ბედმა გაუღიმა. მისი სახელის უკვდავყოფა მხოლოდ ქართველ თუ უცხოელ მემატიანეებს როდი ერგოთ წილად. ქართულმა ხალხურმა პოეზიამ უბადლო ძეგლი აუგო. სწორედ ხალხის მეხსიერებამ შემოგვინახა მისი მბორგავი სულის ანაბეჭდი, რასაც საისტორიო მწერლობაში ვერ წავაწყდებით. ზურაბის სიცოცხლისა და სიკვდილის ეპიზოდები შეუდარებლად აამეტყველეს იმ კუთხის შვილებმა, ვისაც დაუნდობლად ებრძოდა მრისხანე არაგვის ერისთავი და ვის დამორჩილებასაც ამაოდ ლამობდა წლების მანძილზე. მართალია, უღელი ვერ დაადგა ქედზე, მაგრამ უკეთეს იღბალს ეწია — იმდენად დაიპყრო მათი გონება და შთაგონება, რომ პოეტურ შედევრთა გმირად გარდაისახა.

თვით ფშავ-ხევსურულ ფოლკლორშიც კი თვალსაჩინოდ გამოირჩევა მთელი ციკლი უაღრესად მომხიბლავი ლექსებისა, ზურაბ ერისთავზე რომ შეუქმნიათ. მხატვრული სიტყვა შეჭრილა ისტორიაში და თავის უშუალო მისიასთან ერთად ფრიად საპატიო ტვირთი წამოუკიდია ზურგზე — საისტორიო წყაროებში დაცული მასალის შევსება ახალი, სისხლსავსე და საინტერესო დეტალებით. ხალხურ ლექსებში მიმობნეულა ზურაბ ერისთავის ბიოგრაფიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტები.

„ზურაბმ აიფრო ქვეყანა, ბევრს ვაჟს უტირა დედაო, ბევრს ქალს გაუხსნა საკინძი, უკბინა ძუძუზედაო“, — ასე გადმოგვცემს ლექსი სასტიკი ფეოდალისგან აკლებულ-აწიოკებული მოსახლეობის ვაებას.

„როშკას ატირდეს ციხენი, ბლოს სახლნი ქვითკირისანი. ზურაბ, ნუ დაგვლევ, ღვთის მადლმა, ნარჩომ ვართ შენის ხმლისანი“, — დანდობას ევედრებიან დაუნდობელს.

ვერ აიტანდა ბატონყმობას თავისუფალი მთა. ხვეწნა-ვედრება რომ არა სჭრიდა, კრძალვით მოითხოვდნენ: „დადეგ, დაგვეხსენ, ზურაბო!“ და მერე გამომწვევადაც ექადნებოდნენ: „ხევსურეთშია,

> სამუდამოდ მოისვენეს მრისხანე ერისთავისგან და მაინც დასტირიან. სიკვდილს თესავდა და სიკვდილი მოიმკო. წარბი არ შეუხრია ხალხის ჭირ-ვარამზე და ხალხურმა პოეზიამ შვილივით დაიტირა მე ცდომილი.

ზურაბო, ვერ იქამ ერისთვობასა!“ მართალია, ძალზე უჭირდათ გამკლავება არაგვის ერისთავისა, მაგრამ დათმობა და დანებება არასოდეს უფიქრიათ.

ამაოდ მოუწოდებდა მანგია მისურაული თავისიანებს: ხევსურნო, ზურაბს ნუ ენდობით, სუფრაზე ხმლებს ნუ დაიხსნითო, მაგრამ ხევსურებმა გამჭრიახი კაცის ნათქვამი არაფრად ჩააგდეს, ეხათრებოდათ ზურაბისა, — არ გაჯავრდესო. ვაი რომ, სანანებელი გაუხდათ დაუდევრობა და მედიდური ერისთავის რიდი. კარგადაც მოულხენიათ! „ნასხდომ ხევსურებს ხმლებით სცეს, სისხლი გუბ-გუბად დგებაო... სამოცი თავი ჰგორავდა სამოცი ხევსურისაო“.

და ზურაბ ერისთავის გაუგონარი სისასტიკის აპოთეოზად ჟღერს რაღაც არაადამიანური ფანტასმაგორია სავსებით რეალისტური ხასიათის ლექსთა გვერდით, ოღონდაც უფრო ღრმად ჩაგვახედონ ზურაბის შავბნელ სულში: „ხევსურებ ხინკლად ჩაყარა, ფშაველებ შაუნთა შეშადა“.

ხევსურული თქმულების თანახმად, ატირებულ ბავშვს ეუბნებოდნენ ხოლმე: ხმა გაიკმინდე, თორემ ზურაბ ბატონი მოსულა, ემანდ კარს უკან აყუდებულა, შემოვა და შეგჭამსო.

დღემდე ახსოვთ, რომ ზურაბ ერისთავი „ძალიან საშინელ ვაჟკაც ყოფილ, სრუ ერთიან შიშის ზარ სცემდ დიდ-პატარას, სახელოვან ვაჟებსაც ელდას ახვედრებდა“.

ხანდახან დასცინიან კიდეც სახელგანთქმულ გმირსა და სარდალს. მოურიდებლად ფანტაზიორობენ, ვითომდა ხევსურებთან ბრძოლაში დამარცხებულ ერისთავს მსახურნი კიცხავენ: „ზურაბ, ვერ იყავ ჭკვიანი“ ანდა ცოლი განიწმატებით მიმართავს ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ გამოქცეულს: „რად არ მოგილვს მკვდარია?“; ლანძღვა-გინებას და დაცინვას მოჰყვება უმოწყალო წყევლა: „სევდამც მაგხვდების, ზურაბო, დაგლევდამც სისხლის წყალია!“

მაგრამ არც სანდომიან გარეგნობას უკარგავენ („ლერწამი ზღვის პირისაო“) და არც გულადობას, უპირველესი ადგილი რომ ეჭირა ფშავ-ხევსურეთის ფასეულობათა ნუსხაში.

„ზურაბისთანა ბატონი ვინლა გამოვა ხმლიანი, განჯა-მირანა ამტვრივა, დღესაც კი სახელი არი. იმის ნანგრევი სოფლები ოხრათვე ყრია ტიალი“, — ამ სტრიქონებში იგულისხმება მარტყოფის აჯანყების (1625 წ.) მომდევნო დღეებში განხორციელებული ღრმა რეიდი გიორგი სააკაძისა და ზურაბ ერისთავისა, როდესაც დაარბიეს განჯა-ყარაბაღის ტერიტორია.

განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ის ლექსი, სადაც საფურცლეში მომხდარი ამბავია გადმოცემული.

„საფურცლეს ზურაბ მოვიდა, ლერწამი ზღვის პირისაო“, — აღტაცებით ეგებებიან არაგვის ერისთავს. უშლიან ხალიჩებს, რათა განცხრომით მიეცეს ლხინს ძვირფასი სტუმარი. ხალხურ ლექსში უეცრად გაიელვებს შეფარული ირონია, გამოწვეული თეიმურაზის ვერაგობითა და ზურაბის მიამიტობით: „აუყვავებენ სუფრასა, სიძევ, შაექე ხილსაო!“ მერე კი მელექსე აფრთხილებს: „გიღალატებენ, ზურაბო, ელიან შენსა ძილსაო“. მაგრამ ზურაბის სმენამდე ვერ აღწევს საგანგაშო ზარი. ნება-ნება შეექცევა ხილს, მიეძალება დათაფლულსა და ტკბილ ღვინოს (ბანგი ხომ არ შეურიეს სასმელში?). „დაადგეს მოჩანგეები, დააძინებენ ძილსაო. მოუსხდეს მოღალატენი ახლოსა, ყურის პირსაო“.

ყველაფერი რიგზეა შეთქმულთათვის და დგება უკანასკნელი წუთები ზურაბის სიცოცხლისა.

იწყება ყველაზე შემზარავი, უხამსი სიტყვებით შეკაზმული აღწერილობა: „ხმლითა სცემს ბარამ ბატონი: დაჰკარით კახპის შვილსაო! ხანჯარი თუშთ მოურავმა მარცხენა ძუძუს ძირსაო“.

დაბოლოს, მართლაც თავზარდამცემი, უსაზღვრო სიბრალულის მომგვრელი სტრიქონები, სადაც ზურაბის უკანასკნელ გაფართხალებას ვხედავთ: „ზურაბმ ჭირთ გაცოფებულმა ხმალსა დაჰგლიჯნა ვადანი. ვაი თქვენს ზურაბს, ფშაველებო! ძაფ დაუხვევავ მაგარი“.

მელექსის კეთილშობილი ნიჭი თვალს მიაპყრობს იმათაც, ვისაც ცრემლი უნდა დაეღვარა ზურაბის სიკვდილზე. დედის, დისა და ცოლის ხმები ესიყვარულებიან დაღუპულ ვაჟკაცს.

დედა: „ვინ მოგკლა, შვილო ზურაბო, ვინ შეგსხნა ხელნი გმირსაო? ვინ ჩამოგყარა თაობა ქართლისა, არაგვისაო? აღარვინ მეგულებოდა მამრევი ზურაბისაო“.

და: „არვინ მეგონა მამრევი ჩემის ძმის ზურაბისაო. ზურაბ საფურცლეს მამიკლეს, წვერ დამირეკეს ხმლისაო... არ მეგონ, გვიღალატებდა, გააქვრივებდა შვილსაო“.

ცოლი: „ზურაბის ცოლი ტიროდა: ვაჰმე, უდროოდ ქვრივსაო! არვინ მეგონა მამრევი ჩემის ქმრის ზურაბისაო!“

რაოდენ თვალნათლივ ვლინდება შემწყნარებლობა და დიდსულოვნება ხალხისა. სამუდამოდ მოისვენეს მრისხანე ერისთავისგან და მაინც დასტირიან. რაც დაიმსახურა, ის მიაგეს საფურცლეში! სიკვდილს თესავდა და სიკვდილი მოიმკო. წარბი არ შეუხრია ხალხის ჭირ-ვარამზე და ხალხურმა პოეზიამ შვილივით დაიტირა ძე ცდომილი. ამა თუ იმ მელექსეთა ქმნილებებს ხალხის სულში გამოუვლია, ხალხს შეუთვისებია და შეუსისხლხორცებია ისინი.

დასტირიან უსასტიკეს მტერს!

ტრაგიკული აღსასრულის წყალობით, ხალხური პოეზია თითქოს მოწამის შარავანდსაც ადგამს თავზე უმოწყალო ზურაბს.

ძვირად თუ ეღირსება ვინმეს ესოდენ პარადოქსული ბედ-იღბალი.

ფშავ-ხევსურეთს უკვე მიეშურება სამახარობლოდ ჩაფარი, რათა აუწყოს ზურაბის სიკვდილი მისგან გატანჯულსა და თავმობეზრებულ მოსახლეობას: „ფშავ-ხევსურეთში ქალ-რძალმა ძილ დაიძინონ მაგარი. საფურცლეს მოკლეს ზურაბი, აღარ მოგივათ ლაშქარი“.

ამიერიდან მშვიდად, უშფოთველად დაიძინებენ თავისუფალი მთის ქალები... კიდევ უფრო დიდი და უსასრულო სიმშვიდე ელოდება ზურაბ არაგვის ერისთავს, ვისი აჩრდილიც ასე მომხიბლავად და მშფოთვარედ დაიარება ლექსიდან ლექსში, წყევლითა და ქებით შემკული.

*თამაზ ნატროშვილი*

გთავაზობთ:
ნათურების, ჭაღებისა და თანამედროვე განათებების საშუალებების ფართო არჩევანს
ტელ: 34-85-30;
/899/ 55-87-24
ქ. თბილისი, დიდუბის ქუჩა №6
შ.პ.ს. „ახალი ნათება"
სინათლე თქვენს ფანჯრებში, ოფისებში და ა.შ.

ქაღალდი პოლიგრაფიისთვის
ადგილზე მიტანით
ფურცლებში და რულონებში

71-04-14
877-43-28-62
სხვადასხვა ფორმატი
A1; A2; A3

ყველა სახის სარეკლამო მომსახურება
სავიზიტო ბარათები, საფირმო ბლანკები, კონვერტები, მაისურები, კალმისტრები, თვითწებვადი ეტიკეტები, პირადობის მოწმობები, სანიშნებლები, ბუკლეტები, ჟურნალები, ბილბორდები, გარე რეკლამა, და მრავალი სხვა.
სარეკლამო-პოლიგრაფიული ფირმა
სანაპიროს 2ა, ტელ.: 98 24 98, 37 64 46
ჩვენი წარმოება თქვენს სამსახურშია

# აბაშას მილიონების კვალდაკვალ

## როგორ გაძარცვა აფრიკის დიქტატორმა ნიგერია?

ნავთობით მდიდარი ქვეყნის, ნიგერიის პრეზიდენტ აბაშას განუზომელი ძალაუფლება ჰქონდა — შეეძლო ოპოზიციის დაპატიმრებაც და დასჯაც, ცენტრალური ბანკიდან სატვირთო მანქანებით უამრავი ფულის გამოტანა. უცერემონიოდ ჩაშლიდა ხოლმე ოფიციალურ შეხვედრებსაც კი საკუთარი ვნებების დასაცხრობად. ასე მოხდა 1998 წლის 8 ივნისს, — მან სახელმწიფო დონის შეხვედრაზე გამგზავრება გადაიფიქრა, ღამის ოთხ საათზე დატოვა სამთავრობო რეზიდენცია და საკუთარი ვილისკენ გაეშურა, სადაც გარდაიცვალა კიდეც. მისი სიკვდილის დეტალები ბურუსითაა მოცული. სახელმწიფო მოხელეთა გადმოცემით, 53 წლის დიქტატორმა ვიაგრას ზემოქმედებას ვერ გაუძლო და სამ მეძავთან გამართულ სექსუალურ ორგიას ემსხვერპლა.



იგი მეორე დღესვე დაკრძალეს, სასწრაფოდ, ყოველგვარი ოფიციალობის, ცერემონიალის და ექსპერტიზის გარეშე. დიქტატორის საფლავს მიწაც არ ჰქონდა მიყრილი, რომ ხალხი მის მიერ მიტაცებულ მილიარდებზე ალაპარაკდა. აბაშას მეუღლე მესამე დღეს საუდის არაბეთში გაემგზავრა იმ მიზნით, რომ წმინდა მიწაზე გაეგრძელებინა გლოვა. მერიამ აბაშას ასეთმა სწრაფმა გაუჩინარებამ მაშინვე ეჭვი აღუძრა სამართალდამცავებს. პოლიციამ იგი კანოს აეროპორტში დააკავა 38 ფულით „გატენილი“ ჩემოდნით.

ასე დაიწყო მსოფლიოში ფულის „ტოტალური დატაცების“ გამოძიება. ასეთი დიდი თანხა მსოფლიო ისტორიაში არავის მიუთვისებია. ეს მართლაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო. ინდონეზიის დიქტატორმა სუჰარტომ 40 მილიარდი დოლარი მიითვისა, ფილიპინების პრეზიდენტს ფერდინანდ მარკოსს 4 მილიარდის ოქროულობა და ფული აღმოაჩნდა გადამალული. ზაირის დიქტატორის, მობუტუ სესე სეკოს 10 მილიარდსაც ვერავინ მიაკვლია. მის შვილებს საფრანგეთსა და ბრიუსელში საუცხოო ვილები აქვთ. რაც შეეხება ჰაიტის პრეზიდენტს გლაუდეო დუვალიერის 400 მილიონს, საყოველთაოდ ცნობილია, რომ მან იგი შუაზე გაუყო ყოფილ მეუღლეს.

ცივი ომის დროს მსგავს დესპოტებს დასავლეთი იყენებდა კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. თანაც ეს დიქტატორები თავიანთ ფულს ამერიკულ და შვეიცარიულ ბანკებში აბანდებდნენ, მაგრამ ახლა თამაშის წესები შეიცვალა. ევროპას და ამერიკას აღარ სჭირდება კორუმპირებული ინდონეზია, პაკისტანი, ვენესუელა და ასე შემდეგ. კორუფცია ანგრევს ამ ქვეყნების ეკონომიკას და არახელსაყრელ საინვესტიციო გარემოს ქმნის.

სწორედ ამიტომ შვეიცარიულ ბანკებში უკვე ეჭვის თვალით უყურებდნენ ფულის იმ აურაცხელ ნაკადს, რომელიც უწყვეტად მიედინებოდა ნიგერიიდან. საბანკო ოპერაციებს დიქტატორის შვილები მუჰამედი და იბრაჰიმი აწარმოებდნენ. ეს უკანასკნელი 2 წლის წინ ავიაკატასტროფაში დაიღუპა. მშობლებმა მაშინ განაცხადეს, რომ მათი შვილი ტერაქტის მსხვერპლი შეიქნა.

ამჟამად სპეციალური კომისია, საგამოძიებო ჯგუფი სწავლობს იმ თანხებს, რომლებიც ლონდონის სითიბანკის, ამერიკისა და შვეიცარიის ბანკების ანგარიშებზეა გადარიცხული. დიქტატორის მეუღლემ პირობა დადო, რომ შვილთან ერთად ითანამშრომლებს პოლიციასთან, თუმცა მუჰამედი კატეგორიულ უარს აცხადებს რაიმე დახმარებაზე. იგი კვალს უფრო უბნევს სამართალდამცავებს.

სახელმწიფომ კონფისკაცია გაუკეთა ყოფილი დიქტატორის სახლს. მისი ორსართულიანი სასახლის ირგვლივ, „უზარმაზარ ტერიტორიაზე“, არავინ ცხოვრობდა. ჯერჯერობით, პოლიციამ ავტომობილები ვერ დაითვალა. მის უზარმაზარ ავტოფარეხში ათეულობით მანქანა იდგა. ახლა აბაშას მთელი უძრავი ქონება სახელმწიფოს საკუთრებაშია.

# ჰიტლერის ბავშვები



ჰელგა კაჰრაუ ჯერ კიდევ ბავშვობაში მიხვდა, რომ ბევრი რამით განსხვავდებოდა უბრალო მოკვდავთაგან. იგი ნაცისტურ გერმანიაში დაიბადა, ირგვლივ ესესელთა უნიფორმაში გამოწყობილი ადამიანები ეხვივნენ, რომლებიც გადამეტებულად ანებივრებდნენ და ჩიტის რძესაც არ აკლებდნენ. დედამისი, მატილდა გერმანელ ბელადთა, გებელსისა და ბორმანის სამდივნოებში მუშაობდა, მამა კი გერმანელი ოფიცერი გახლდათ. დედ-მამა მხოლოდ ერთხელ, 1940 წლის ივნისში, შეხვდა ერთმანეთს — როდესაც ბერლინი ჰიტლერის მიერ საფრანგეთის დაპყრობას ზეიმობდა. მას შემდეგ მათ ერთმანეთი აღარ უნახავთ. ცხრა თვეში კი ჰელგა დაიბადა. მატილდა კაჰრაუმ მიუნხენის გარეუბანში „ლებენსბორნში“ — „სიცოცხლის წყაროს სათავეში“ იმშობიარა. „ლებენსბორნი“ ჰაინრიხ ჰიმლერის მიერ შექმნილი საგანგებო დაწესებულებების ქსელის სახელწოდება გახლდათ. აქ გერმანელ ქალებს „ნამდვილი არიელები“ უნდა გაეჩინათ — ქერა თმით, ცისფერი თვალებით და არაებრაული გარეგნობით. დედამისი მშობიარობის შემდეგ ექვს თვეში სამსახურს დაუბრუნდა. ჰელგა კი ნაცისტთა საიდუმლო პოლიციის თანამშრომელთა მეურვეობაში გადავიდა. ასე შეიქნა იგი უნებური მონაწილე „უმაღლესი რასის შესაქმნელი პროგრამისა“, რომელიც მესამე რაიხის 12-წლიანი არსებობის მანძილზე ხორციელდებოდა. მაგრამ მხოლოდ გერმანელები როდი მონაწილეობდნენ ამ პროექტში. 1940 წელს, ნორვეგიის ოკუპაციის შემდეგ, ჰიმლერმა გადაწყვიტა გერმანული რასის „ვიკინგთა სისხლით“ გაკეთილშობილება და დაიწყო გერმანელ ჯარისკაცთა და ნორვეგიელ ქალთა ურთიერთობათა „წახალისება“. შეიქმნა რამდენიმე ნორვეგიული „ლებენსბორნიც“, სადაც 10.000-ზე მეტი ბავშვი დაიბადა. შემდგომში ბევრი მათგანის ბედი ტრაგიკულად წარიმართა. ყოველგვარი ინფორმაცია მამების შესახებ ესესელებმა გაანადგურეს და ნორვეგიელი ქალები უმამო ბავშვების დედებად იქცნენ.

ჰელგა კაჰრაუ ხვდებოდა, რომ მისი ოჯახის ისტორიაში „რაღაც საიდუმლო“ იმალებოდა. 70-იანი წლების ბოლოს ჰელგამ „ლებენსბორნების“ ისტორიაც შეიტყო. ერთ მშვენიერ დღეს კი ტელევიზიით ის დოკუმენტებიც უჩვენეს, სადაც აქ დაბადებული ბავშვების მშობლები იყვნენ იდენტიფიცირებულნი. ჰელგას დედისათვის ამის შესახებ არაფერი უკითხავს — „არ მინდოდა მისთვის წარსულის გამო ტკივილი მიმეყენებინა“, იხსენებს იგი. და აი, 1993 წელს, მატილდა კაჰრაუს გარდაცვალების შემდეგ, ჰელგა მიუნხენის გარეუბანში, პულაჩში გაემგზავრა. აქ ინახებოდა „ლებენსბორნების“ გადარჩენილი კარტოთეკა. დიდხანს იქექებოდა ძველ საბუთებში, ვიდრე მიაგნებდა თავის მშობლების შესახებ ინფორმაციას. აღმოჩდა, რომ მამამისი ცოცხალი ყოფილა — ის ომის დროს ესესელი ოფიცერი გახლდათ და ათასობით პოლონელი ებრაელის განადგურებაში ჰქონია მონაწილეობა მიღებული. ჰელგას სურვილი არ გასჩენია მამა ეპოვა და გაეცნო, მაგრამ მოულოდნელად, 1994 წლის მარტში, მის სახლში ტელეფონმა დაიწკრიალა. რეკავდა კაცი, რომელიც თავს ჰელგას მამად აცხადებდა. ეს სწორედ ის ესესელი ოფიცერი გახლდათ. ჰელგა კაჰრაუ თავზარდაცემული იყო. „რატომ გამოჩნდით 53 წლის შემდეგ?“ — ჰკითხა მან მამას. 80 წელს გადაცილებული ყოფილი ოფიცერი კიბოთი იყო ავად და ერთადერთ ნუგეშად მხოლოდ ქალიშვილი ეგულებოდა. ჰელგამ სიკვდილამდე უპატრონა მამას. 1996 წელს მამა გარდაიცვალა. იგი უმდიდრესი ადამიანი იყო და მთელი ქონება ქალიშვილს დაუტოვა. მიუხედავად ამისა, ჰელგამ ადვოკატებისგან შეიტყო, რომ „ლებენსბორნში“ დაბადებულებს მშობლად არ ჩაეთვლებათ ნამდვილი მამა, აქედან გამომდინარე, ვერც ქონების მემკვიდრენი გახდებიან. ომისდროინდელი კანონით, ყველა ასეთი ახალშობილის მამად ადოლფ ჰიტლერი მიიჩნეოდა. ჰელგა კაჰრაუმ კიდევ ერთი „საჩუქარი“ მიიღო ნაცისტური წარსულიდან.

# 21-ე საუკუნის ხელნაწერი



ხელნაწერი ბიბლია და 21-ე საუკუნე ერთმანეთს, თითქოს, მხოლოდ ბიბლიის სიძველემ უნდა დააკავშიროს. მაგრამ სხვაგვარად ფიქრობენ მინესოტის წმინდა იოანეს უნივერსიტეტელი ბენედიქტელი მამები. მათ სურთ ბიბლიის პირველი ბეჭდვითი გამოცემიდან, 550 წლის შემდეგ, ბიბლიის ხელნაწერი შექმნან. ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად მათ უელსელი მხატვარი დონალდ ჯექსონი მოიწვიეს. მას „დედოფლის კალიგრაფს“ უწოდებენ. ჯექსონი ლორდთა სასახლეში, სამეფო ოფისში მუშაობს და ყველა მიღებულ კანონსა თუ შესწორებას ხელით წერს, რასაც საბოლოოდ დედოფალი აწერს ხელს. ორწლიანი მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ, ჯექსონი მუშაობას შეუდგა. მან წიგნის მაკეტი შექმნა. სპეციალური, წმინდა იოანეს ფონტი დახატა. ყოველ გვერდს — კომპიუტერული ფონი დაუდო, რასაც შემდეგ საუკეთესო კალიგრაფების ჯგუფი ფურცლებზე ხელით გადაიტანს. ილუსტრაციებს ულამაზესი მინერალებისაგან — მალაქიტის, ლაზურიტის, კეთილშობილი ლითონების — ოქროსა და ვერცხლისაგან დამზადებული საღებავებით დახატავენ. წმინდა იოანეს უნივერსიტეტელმა მამებმა მინესოტის ლანდშაფტების ფოტოები იმეილით გაუგზავნეს ჯექსონს თავის სახელოსნოში, უელსის ქალაქ მონმოუთში, ანუ იქ, სადაც ხელნაწერი ბიბლია იქმნება. როგორც ჩანს, ხელნაწერი და კომპიუტერი კარგად „შეეწყვნენ“ ერთმანეთს. ჯექსონი ისტორიულ, რელიგიურ ცნობებსა თუ ფოტოებს სწორედ კომპიუტერის, იმეილის საშუალებით იღებს. „ამისთვის მთელი ცხოვრება ვემზადებოდი, ეს სამუშაო, ალბათ, ექვსი წელი გასტანს — ექვსი წელი რომლისთვისაც ცხოვრება ღირს. ეს იქნება ჩემი „სიქსტის კაპელა“, — ამბობს ჯექსონი. წარმოიდგინეთ, რა შედევრებს შექმნიდა მიქელანჯელო იმეილი რომ ჰქონოდა?!

# აუქციონებს — ფიქსირებული ფასები

მსოფლიო ბიზნესი — გიგანტი კომპანიების ხელშია. კვების პროდუქტებით ვაჭრობაში პეპსის, კოკა-კოლას თუ მაკდონალდსს ვერავინ შეეჯიბრება, აუქციონთა ბიზნესში კი სოთბი და ქრისტი მეთაურობს. თითქოსდა, მათთან სადავო არავის უნდა ჰქონდეს, მაგრამ მათაც ექმნებათ პრობლემები. პირველ რიგში ეს ხელოვნების ნიმუშთა ფასებს ეხება.

იანვარში ქრისტის აუქციონის თანამშრომლებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ იუსტიციის დეპარტამენტთან დავა აქვთ ფიქსირებული ფასების თაობაზე.

ვინაიდან განგაშის ზარები დაარისხეს, ჩანს, ეს აუქციონისთვის სერიოზული პრობლემაა. ქრისტის თანამშრომლის, ირვინგ ბლუმის თქმით, — მთავრობა აპირებს აუქციონებს ისევე მოექცეს, როგორც მაიკროსოფთს. აქ მთავარი ის არის, რომ ორივე აუქციონი — სოთბიც და ქრისტიც — ფარული შეთანხმებით მოქმედებს და სერიოზულ საკომისიო თანხებსაც იღებს. 80-იანი წლების დასაწყისამდე ისინი არანაირ საკომისიოს არ ახდევინებდნენ მყიდველს. შემდეგ ქრისტიმ 10% „საპრემიო“ მოითხოვა, სოთბი მას ორი წლის მერე მიჰყვა. 1992 წელს, ორი კვირის სხვაობით, ორივე აუქციონმა საპროცენტო განაკვეთი ერთნაირად გაზარდა. 1995 წელს კი უკვე გამყიდველებიც „დაიბეგრნენ“ და ყოველი გაყიდული ლოტიდან აუქციონებს 20% რჩებათ. თითქოსდა არაფერია კრიმინალური, როცა ორი ფირმა ერთნაირი ფასით მუშაობს,



მაგრამ აღმოჩნდა, რომ ორივე აუქციონი, მიუხედავად იმისა, რომ მაღალფასიანი ნამუშევრების გასაყიდად იყო მოწოდებული და შესაბამისად მისი კლიენტურა მდიდართა ფენაა, არც მეწვრილმანეობას ერიდებოდა. საშუალო ფენის ახალი თაობის ხელში ჩასაგდებად რამდენიმე ასეულ დოლარად ყიდდა ტონობით სამკაულსა და ნაკლებად ცნობილი მხატვრების ნახატებს. თუ ასე გაგრძელდა, აუქციონები ნელ-ნელა იაფფასიანი ნივთების სავაჭრო დახლებად გადაიქცევიან.

სკანდალის ერთ-ერთი თემა ინტერნეტ-აუქციონიც გახლდათ, სადაც თურმე ვარჰოლდისა და დეგას სურათები 25.000 და 19.500 დოლარად გაიყიდა. ეს სიცრუე გახლდათ და აუქციონები ამას მხოლოდ გულუბრყვილო კლიენტურის მოსაზიდად სჩადიოდნენ.

შესაძლოა, ფიქსირებული ფასების დაწესება უფრო დიდ სკანდალად იქცეს, ვიდრე 1985 წელს ქრისტის დირექტორის დევიდ ბათურსტის გამო ატეხილი კამათი. მაშინ ბათურსტმა ორი ცნობილი იმპრესიონისტის ტილოს გაყიდვა დამალა.

# 6 წლის გოგონას მკვლელობა

## იქნებ ამერიკის მომავალი პრეზიდენტის მკვლელობა იყო



დანეულ ოუენი მაშინვე მიხვდა, რომ მკვლელობა მისმა შვილმა ჩაიდინა. დასახლებულ უბანში სწრაფად გავრცელდა ხმა ექვსი წლის გოგონას — კელიას მკვლელობის შესახებ. თვითონ ოუენი წლების მანძილზე იხდიდა სასჯელს კოკაინის რეალიზაციის გამო. შერიფის შეკითხვაზე, რატომაა დარწმუნებული, რომ მკვლელი მისი ექვსი წლის ბიჭუნაა, მან ასე უპასუხა: „იგი არანაკლებ სისასტიკეებს სჩადიოდა ადრეც, რამდენჯერმე არაადამიანურად სცემა თანაკლასელები, ერთხელ ფანქრით დაჩიჩქნა მეგობარი. ხშირად ვეკითხებოდი, რატომ სჩადიოდა ამას. ის კი მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებდა. „მძულს ისინი“. ჩემი შვილი უმეტესად საშინელებათა ფილმებს უყურებდა“.

კელია როლანდი ნიჭიერებითა და გონიერებით გამოირჩეოდა თანატოლებისგან. მან სწრაფად ისწავლა კითხვა და საგნების ათვისებისას 6 წლის ასაკისათვის შეუფერებელ უნარსა და ინტერესს იჩენდა. ძლიერი და მტკიცე ხასიათის გამო თანაკლასელებში „ქალაბიჭას“ სახელით იყო ცნობილი. მეზობლები მას „ამერიკის მომავალ პრეზიდენტს“ ეძახდნენ.

ექვსი წლის მკვლელი, აუტანელი ოჯახური ატმოსფეროს გამო მუდამ დემონებზე ლაპარაკობდა. იგი დედამ მცირეწლოვანი მიატოვა. სახლში, რომელშიც ის ცხოვრობდა (ბიძასთან ერთად) მუდამ მარიხუანას ხარშავდნენ. იქ ხშირად იკრიბებოდნენ საეჭვო პირები. პატარა ბიჭს ყურადღებას არავინ აქცევდა, ხშირად დაძინებასაც ვერ ახერხებდა, კუთხეში მიიყუჟებოდა ხოლმე. მეზობლები ამბობდნენ, მათი სახლიდან სროლის ხმაც ისმოდაო, ამის გამო ბევრმა მიატოვა „ჯოჯოხეთის სახლი“.

მკვლელობამდე ერთი დღით ადრე, როგორც თვითონ უმცროსი ოუენი იგონებს, კელიამ სილა გააწნა. შეურაცხყოფილმა ბიჭმა მთელი ღამე შურისძიებაზე ფიქრში გაატარა. მან სახლში 32 კალიბრიანი, ნახევრად ავტომატური პისტოლეტი იპოვა. წინა დღით იგი ბიძამისს კოკაინის სანაცვლოდ დაუტოვეს. მეორე დილით მან ბალიშის ქვეშ დამალული იარაღი დატენა და სკოლისკენ გაეშურა. ოუენმა ისარგებლა იმით, რომ მასწავლებელი ერთი წუთით გავიდა კლასიდან, იარაღი ამოიღო, კელიას დაუმიზნა და ხმამაღლა იღრიალა: „მე შენ მძულხარ“. ტყვიამ გოგონას გული გაუხვრიტა. „მგონი ვკვდები“, ამოიხრიალა გოგონამ და დაეცა. მკვლელი გაიქცა, მაგრამ დაცვამ მალე დააკავა. მოგვიანებით ოუენმა აღიარა, რომ თანაკლასელის მოკვლა სულაც არ უნდოდა, მხოლოდ მისი შეშინება სურდა. საავადმყოფოში მისული კელიას დედა ამაოდ ეძებდა შვილის პალატას. სიცოცხლით სავსე და საღ-სალამათი შვილი მშობელმა მორგში სუდარაგადაფარებული აღმოაჩინა.

ეს უკვე მეორე ინციდენტია, რომელიც ამ სკოლაში მოხდა. პირველი ტრაგედიის გმირი 10 წლის ბიჭი იყო. ბავშვები უკვე მასობრივად ტოვებენ „დაწყევლილ სკოლას“, მათ სიკვდილის ეშინიათ.

პრეზიდენტმა კლინტონმა კონგრესის სპეციალური სხდომა მოიწვია ამ საკითხთან დაკავშირებით, სადაც იარაღით ვაჭრობის შესახებ იმსჯელეს.

ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ არის მკვლელის ბედი, რადგან ის მხოლოდ 6 წლისაა. ამერიკული კანონი მცირეწლოვანთა შესახებ 80 დღით პატიმრობას ითვალისწინებს, თუმცა იგი ასეთ მძიმე დანაშაულზე არ ვრცელდება. ამჟამად ამ საქმეში პროფესიონალი იურისტების გარდა, ფსიქოლოგებიც არიან ჩართულნი, ხოლო სოციოლოგები სწავლობენ იმ გარემოს, სადაც „უნებლიე“ მკვლელი აღიზარდა.

ამ ფაქტმა მთელი ამერიკა გააოგნა და ააფორიაქა.

# ამბოხებულთა კავშირ-ურთიერთობები

ჩეჩნები სრულიად არ ფარავენ იმას, რომ მათი მებრძოლები წვრთნას წლების მანძილზე ავღანეთში გადიოდნენ. ჩეჩენთა საველე მეთაური, შამილ ბასაევი 1994 წელს თვითონ ეწვია პაკისტანს. იანვარში კი ქაბულში ჩეჩენთა დიპლომატიური წარმომადგენლობა დაარსდა, რომელსაც ჩეჩნეთის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი იანდარბიევი ხელმძღვანელობს.

ამერიკის და რუსეთის სადაზვერვო სამსახურებისათვის ბოლომდე ნათელი არ არის, თუ რა სახის დახმარებას იღებს ჩეჩნეთი. იანდარბიევს პაკისტანის უდიდესმა ისლამურმა პარტიამ 185 ათასი დოლარი გადასცა.

მოსკოვი ძალიან გაალიზიანა ამ ფაქტმა, თუმცა იანდარბიევის დაფინანსებისათვის ამას ხელი არ შეუშლია — ავღანეთი ბოლო დროის მანძილზე ისლამის სახელით მეომართა ინკუბატორად იქცა. სწორედ აქედან იგზავნებოდნენ „ბოევიკები“ ჩეჩნეთში. ქაშმირის ჯგუფის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ბოლო თვეების მანძილზე კავკასიაში ათეულობით მებრძოლი გადასხეს.

ამჟამად კი ჩეჩნეთი რუსების მიერ იზოლაციაშია მოქცეული, მაგრამ ქაშმირის ბელადები ფიქრობენ, რომ მათ უფრო მეტი უნდა გააკეთონ ჩეჩნეთის დასახმარებლად.

პაკისტანის ხელისუფლება სულ მალე ბილ კლინტონის ვიზიტს ელოდება, რომელსაც არასტაბილური კავკასია არ აძლევს ხელს. ამიტომ პაკისტანის მთავრობამ იანდარბიევს დროებით მათი ქვეყნის ტერიტორიაზე გადმოსვლა აუკრძალა. ორივე მუსულმანური სახელმწიფო აქტიურად იმ შემთხვევაში ჩაერევა რუსეთ-ჩეჩნეთის ომში, თუკი ჩეჩნეთი ჯიჰადს გამოაცხადებს.

ამ სიტყვებმა უკვე ძილი დაუფრთხო პუტინის ადმინისტრაციას, მათ ხომ ჩეჩნეთის ომი მოგებულად მიაჩნიათ.

## №12 (181) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 553 მკითხველი გამოეხმაურა. 7 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 172-მა ქალმა და 374-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ არის ყველაზე მეტად დამნაშავე 9 აპრილის ტრაგედი-აში?“**

რესპონდენტთა უმრავლესობის — 62-ის აზრით, ცხრა აპრილის ტრაგედია, უდანაშაულო ქართველთა სისხლი, პირველ რიგში, სსრკ-ის ცკ-ის გენერალური მდივნის — მიხაილ გორბაჩოვის კისერზეა. მხოლოდ რესპონდენტთა 2-მა დაუწერა მას მინიმალური ქულა. **7,88** საშუალო ქულით „პერესტროიკის“ ავტორი პირველ ადგილზეა. მკითხველმა მეორე ადგილი დიმიტრი იაზოვს — სსრკ-ის თავდაცვის მინისტრს მიაკუთვნა, საშუალო ქულაა 6,01. თუმცა ეს უკანასკნელი მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით უკან ჩამოიტოვეს როდიონოვმა, პატიაშვილმა და ლიგაჩოვმა. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი — ეგორ როდიონოვი 5,86 საშუალო ქულით მესამე ადგილზეა.

ედუარდ შევარდნაძე — სსრკ-ის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი მეხუთე ადგილზეა, საშუალო ქულაა 5,19. ჯუმბერ პატიაშ-ვილი 4,59 საშაულო ქულით მეექვსეზეა...

აღსანიშნავია, რომ კონსტანტინ კოჩეტოვს არც ერთმა მკითხველმა არ დაუწერა მაქსიმალური — 9 ქულა. ყველაზე მეტი მინიმალური ქულა „არაფორმალებმა“ — გამსახურდიამ, კოსტავამ, ჭანტურიამ, წერეთელმა და სხვებმა დაიმსახურეს. მკითხველთა 59-მა დაუწერა მათ მინიმალური — 1 ქულა.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა ასაკისა და სქესის მიუხედავად, პასუხებს შორის განსხვავება არ ყოფილა.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულე-ბი არიან: 30 წლის **ლაშა ჟურაშვილი** და 35 წლის **დ. ვახვახიშვილი** (ორივე თბილისიდან).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 28 მარტს, 17 საათზე.

## №13 (182) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხ-ველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხ-ვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგე-ბი საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგე-ბით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალ-იტრის“** მომდევნო ნომერში გამარ-ჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწ-ილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზა-ვნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუა-ლოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზე-ბული თემების თითოეული გრაფი-სათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდე-ბა, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსები-სას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

**№13 (182) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარა-თი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 29 მარტის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 30 მარტის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

თემა №13 (182) —
**პრეზიდენტის ერთგულნი**

**თქვენი აზრით, ვინ არის პრეზიდენტ შევარდნაძის ყველაზე ერთგული** (ჩამოთვ-ლილთაგან)? დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს 8 — და ა.შ. 1-მდე.

**№13(182) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | მიხეილ სააკაშვილი | |
| 2 | ვანო ზოდელავა | |
| 3 | მიხეილ მაჭავარიანი | |
| 4 | ნიკო ლეკიშვილი | |
| 5 | გიორგი ბარამიძე | |
| 6 | ზურაბ ჟვანია | |
| 7 | თემურ შაშიაშვილი | |
| 8 | ვაჟა ლორთქიფანიძე | |
| 9 | ნუგზარ ფოფხაძე | |

მკითხველის რეიტინგი *

**ახლა რომ საარჩევნო ურნასთან იდგეთ, რომელ კანდიდატს მისცემთ ხმას საპრეზიდენტო არჩევნებში?**

✓ ____________________

____________________
თქვენი სახელი, გვარი

____________________
ქალაქი (რაიონი)

__________ ასაკი __________ ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს.**

## დამატებითი კითხვის შედეგები

დამატებით კითხვას — **„როგორ აფასებთ ამომრჩეველთა მარკირე-ბის საკითხს?“** — 527-მა მკითხ-ველმა უპასუხა.

რესპონდენტთა 45-ის აზრით მარკირება საჭიროა; 37 თვლის, რომ ამომრჩეველთა მარკირება არ არის საჭირო. მკითხველთა 18-მა კი კითხ-ვაზე კონკრეტული პასუხი ვერ გას-ცა.

ორი მკითხველი მიიჩნევს, რომ მარკირებას აზრი არა აქვს;

ასევე, ორი მკითხველი თვლის, რომ ეს ამომრჩეველთა შეურაცხყოფაა; ხოლო ერთმა მკითხველმა კი კატე-გორიულად განაცხადა: „ასეთ შემთხ-ვევაში არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებ“.




## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალ-იტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამო-ქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

**რას დაარქმევდით?**

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________


მიხეილ მაჭავარიანი და ნიკო ლეკიშვილი

სააკაშვილის ბულკები.

***ბეთჰოვენა, თბილისი***

**ა.ბ.** — სააკაშვილს შემოუთვლია, გადადგომის განცხადება დაწერეთო.
**ჯ.ბ.** — თუ არ დავწერთ?
**ა.ბ.** — მაშინ ამ საგამოცდო ტესტზე გამეცით პასუხიო.
**ჯ.ბ.** — დამიწერე განცხადება.

***ლაშა გეწაძე, თბილისი***

**ა.ბ.** — **ჯ.ბ-ს.** — ჯამლეთ, ნახე მიშა სააკაშვილის სკოლის ატესტატი ვიშოვე. სამართალმცოდნეობაში ორიანი გამოყოლია და ახლა რომ დიდი კაცი გახდა, ჩვენზე, იურისტებზე იყრის ჯავრს.

***ლ. ქაჩიბაია, თბილისი***

მოდი, ვაამოთ პრეზიდენტს,
სმირბას გამოვდოთ კვანტია,
შევინარჩუნოთ სკამები,
ესეც ერთგვარი ფანდია.

***ზენა, თბილისი***

**ა.ბ.** — ერთი შეხედე, საზიზღარ მიშას ჩვენი პროკურორებისთვის ყველა საგანში ორიანი დაუწერია, არითმე-ტიკაშიც.
**ჯ.ბ.** — აბა, აბა, ახლებს შემოგვიგდე-ბენ, ისეთებს, გაყოფა რომ არ ეცოდ-ინებათ.

***მარიამ ქართლელი, თბილისი***

**ა.ბ.** — ეს დასაჭერი ხალხის სიაა.
**ჯ.ბ.** — მოიცადეთ 9 აპრილამდე, ეს სია შეიძლება რადიკალურად შე-იცვალოს.
**ა.ბ.** — ეს როგორ ბატონო ჯამ-ლეთ?
**ჯ.ბ.** — როგორ და შეიძლება აქლე-მის ქურდები წავიდნენ ციხეში.

***ოთარი, თბილისი***


ანზორ ბალუაშვილი და ჯამლეთ ბაბილაშვილი

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 148 მკითხველი გა-მოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**ჯ.ბ.** — ეს არის სააკაშვილზე მაკომპრო-მეტირებელი მასალები მაქვსო?
**ა.ბ.** — დავიგვიანეთ ჯამლეთ ბატონო. ის მასალები „კვირის პალიტრის“ წინა ნო-მერში შეჭამა სააკაშვილმა აბდალაძის ხე-ლშეწყობით!

***თენგო თალაკვაძე, ოზურგეთი. ნაგომარი***

პროკურორები წერილს სწერენ პრეზიდენტს
**ა.ბ.** — ისიც მისწერეთ, ბატონო ჯამ-ლეთ, რომ გახშირდა სააკაშვილის თარეში .(კ/ფ „დავით გურამიშვილის“ თანამედროვე რემეიკი)

***ზურა ქართველიშვილი, თბილისი***

**ა.ბ.** — ჯამლეთ, ერთი შეხედე რომელი სჯობია, ვარცხნილობის შეცვლა გადავწყვიტე!

***ბობი რატიანი, თბილისი***

გამოცდაზე:
**ჯ.ბ.** — ეს საკითხი იცი?
**ა.ბ.** — არა.
**ჯ.ბ.** — არც მეორე?
**ა.ბ.** — არა.
**ჯ.ბ.** — ჰოდა ჩაგვაბარეს ტარად!

***მერაბ ბუჩარი, ჭიათურა***

გააბიტურიენტებული პროკურორები გამოცდაზე:
**ჯ.ბ.** — ჩემო ანზორ, ამ კითხვას როგორ ვუპასუხო, შენ „შპარგალკა“ გექნება და მათხოვე.
**ა.ბ.** — ჩუმად, მიშა გვიყურებს, არ გაგვაგ-დონ.

***მერი ვარამაშვილი, თბილისი***

**ა.ბ.** — ნახეთ ბატონო ჯამლეთ! საპრიზო რეიტინგში „კორუმპირებული უწყება“ მეოთხე ადგილზე ვართ.
**ჯ.ბ.** — ეჰ, ბევრი უფლებები ჩამოგვართვეს, ამ ბოლო დროს, თორემ სამეულში როგორ ვერ მოვხვდებოდით?

***ჯიო 31, თბილისი***

**ა.ბ.** — აი, ბატონო ჯამლეთ კომპრომატია სააკაშვილზე, ყოველდღე ოთხმოცდაექვს ხინკალს ჭამს რესტორანში, ხელფასი კი მხოლოდ სამოც ხინკალზე უნდა ეყოს.
**ჯ.ბ.** — უყურე შენ, ახლავე აღძარით საქმე კორუფციის მუხლით.

***მარკშეიდერი, გურამ რეხვიაშვილი, თბილისი***

## წლევანდელი „ოსკარი" უჩვეულოდ დაიწყო...



შეგახსენებთ, რომ დაახლოებით 50 ქანდაკება მოიპარეს ლოს-ანჯელესის შემოგარენში საწყობიდან. ძიების ფედერალურმა ბიურომ ჯილდოც კი დააწესა — 50 ათასი დოლარი ქურდის დამჭერისათვის. ქანდაკებები იპოვეს მეტად უჩვეულო ადგილზე, ლოს-ანჯელესის კორეელებით დასახლებულ რაიონში, იაფფასიანი სუპერმარკეტის გვერდით მდგარ ურნაში.

ქანდაკებებთან დაკავშირებულმა ისტორიამ განაგრძო წინასაოსკარო სკანდალი. ჯერ იყო და ფოსტაში დაიკარგა (მერე იპოვეს) ხმის მისაცემი ბიულეტენები. კინოაკადემიის დირექტორი ბრიუს დევისი ხუმრობს — ეს ბერმუდის სამკუთხედს ჰგავს, რა თქმა უნდა სპეციალურად არაფერი გაგვიკეთებია, მაგრამ თუ ჩვენი რეიტინგი აიწევს, მემრისს ჩვენ თვითონ მოვაპარინებთ „ოსკარებსო".

ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში მოგითხრობთ „ოსკარის" გადაცემის ცერემონიაზე.

***



ექიმი პაციენტს: — თქვენ დიდი ხანია გტანჯავთ მოურჩენელი და სიცოცხლის მომწამვლე-

ახალია

## ფოტო კომენტარით



თეთრი დათვი უკვე 200 ათასი წელია დაშორდა მურა დათვს, შეეჩვია არქტიკული წრის მიღმა საშინელ კლიმატურ პირობებს. პლანეტის დათბობის გამო ყინულის ველი მცირდება და პოლუსის ათლეტებს შიმშილი დაემუქრათ.

***

ჟურნალისტს ეკითხებიან — რა განსხვავებაა დაფლეთილ გაზეთსა და ქალს შორის...

— უზარმაზარი! — დაფლეთილი გაზეთი

**ჯანმრთელობისთვის არახელსაყრელი გეომაგნიტური პერიოდი**

**5/IV 19.00–21.00 სთ-მდე;**

**9/IV 16.00–18.00 სთ-მდე;**



## წამალი „სალხინო" — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო"**



„კვირის პალიტრის" **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე"** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

**„კვირის პალიტრაში"** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ნაძალადევში კ/თ „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".*

***ქალაქებში და რაიონებში:*** *ქუთაისი, რუსთავი, მცხეთა, დუშეთი, ჟინვალი, კასპი, გორი, ქარელი; ხაშური; სურამი; ზესტაფონი; თერჯოლა, სამტრედია, აბაშა, ოზურგეთი, ლანჩხუთი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, საგარეჯო, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, გურჯაანი, თელავი, წნორი, ახმეტა, -* ***არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.***

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

(13) ***უფასო განცხადების ქვითარი***

განცხადების ტექსტი ________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

**სიტყვა და საქმე**

***გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№13 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 30 მარტის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.



## წინა სკანვორდის პასუხები



## ყუყაფონიზმები

შრომამ შექმნა ადამიანი
...და შემდეგ სახედრად აქცია
***ომარ მიქაძე***

ახალი ქართული ვარიანტი — გაჭირვებულ კაცს ქვამ აღმართშიც და დაღმართშიც უკვე გადაუარა.
***გაიოზ ყაითმაზაშვილი, ბათუმი***

ტყე შეუნახე შვილებსა
...ჯირკები შვილიშვილებსა
***ცოტნე***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი. სარედაქციო კოლეგია.**

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა:** 98-74-44

palitra@access.sanet.ge

**სარეგისტრაციო ნომერი 1518**

**„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".